

დამოუკიდებელი ანგარიშგების მექანიზმი (IRM): საქართველოს 2018- 2019 სამოქმედო გეგმის შეფასება

ნოდარ ხერხეულიძე, დამოუკიდებელი მკვლევარი

სარჩევი

რეზიუმე: საქართველო	3
I. შესავალი	7
II. ღია მმართველობის კონტექსტი საქართველოში	8
III. ხელმძღვანელობა და მრავალმხრივი პროცესი	14
3.1 ხელმძღვანელობა	14
3.2 სამოქმედო გეგმის შემუშავების მრავალმხრივი პროცესი	15
IV. ვალდებულებები	26
1. გაუმჯობესებული საჯარო სერვისები ყველასათვის	29
2. მოქალაქეთა ჩართულობის ინოვაციური პლატფორმა	33
3. სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა ერთიანი ავთენტიფიკაციის სისტემის დანერგვის გზით	38
4. ეკონომიკური მმართველობის ინოვაციური პლატფორმა	41
5. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნების შესასრულებლად ელექტრონული პორტალის ამოქმედება	45
6. არსებული ძირითადი ანტიკორუფციული ინსტიტუტების გაძლიერება	49
7. საზოგადოების მიერ მდგრადი განვითარების მიზნების მონიტორინგი	54
8. საკანონმდებლო აქტების შემუშავება მოქალაქეთა ჩართულობითა და მონაცემთა ანალიზის საფუძველზე	57
9. სასამართლო გადაწყვეტილებების ერთიან ბაზაში გამოქვეყნება და საძიებო სისტემის შექმნა	60
10. შინაგან საქმეთა სამინისტროს გამჭვირვალობის გაზრდა	63
11. საჯარო ფინანსების ზედამხედველობაში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა	66
12. სახელმწიფო საგრანტო დაფინანსების სისტემის გამჭვირვალობის გაზრდა	69
13. ელექტრონული ინოვაციები საჯარო შესყიდვების მეტი გამჭვირვალობისა და ეფექტიანობისთვის	73
14. საცხოვრისის პოლიტიკის დოკუმენტის და სამოქმედო გეგმის შემუშავება	77

15. სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობის მქონე საწარმოების ღიაობა და ანგარიშვალდებულება	80
16. გამჭვირვალე და კეთილსინდისიერი მმართველობის განმტკიცება მუნიციპალიტეტებში	84
17. ღია მონაცემების შეგროვება და გამოქვეყნების პროცესის გაუმჯობესება ახალციხისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტებში	88
18. ახალციხისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვანი ჩართულობისა და მონაწილეობის გაუმჯობესება	91
19. ქალაქ ბათუმში საბიუჯეტო პროცესებში მოქალაქეთა ჩართულობის გაუმჯობესება მონაწილეობითი ბიუჯეტირების ინსტიტუციონალური მექანიზმის დანერგვის გზით	94
20. შენი იდეა ზუგდიდის მერს	98
21. ქალაქ ბათუმისა და რუსთავის მუნიციპალიტეტებში ელექტრონული სერვისების დანერგვა და განვითარება	100
22. I.Gov. ზუგდიდი	103
23. სერვისების შეფასებისა და მოქალაქეთა კმაყოფილების დონის გაზომვის სისტემის დანერგვა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში	106
24. პარლამენტის მიერ გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) შესრულების ხელშეწყობა და მონიტორინგი	109
25. ბიუჯეტის შემუშავებისა და დამტკიცების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა	113
26. პარლამენტის ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის გაძლიერება ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვით	117
27. მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრის შექმნა საქართველოს პარლამენტში	121
28. საპარლამენტო დემოკრატიის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება	125
V. ზოგადი რეკომენდაციები	129
5.1 IRM რეკომენდაციები	129
5.2 რეაგირება წინა IRM ანგარიშის ძირითადი რეკომენდაციებზე	135
VI. მეთოდოლოგია და წყაროები	137
ინტერვიუები და მონაწილე მხარეთა კომენტარები	137
დამოუკიდებელი ანგარიშების მექანიზმის შესახებ	142
დანართი I. საქართველოს სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესის მიმოხილვა	143

რეზიუმე: საქართველო

საქართველოს მეოთხე სამოქმედო გეგმა აერთიანებს მთავრობის, პარლამენტისა და რამდენიმე ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ინიციატივებს. მიუხედავად იმისა, რომ სამოქმედო გეგმა ფარავს საკითხების ფართო სპექტრს, ბევრი ვალდებულება ორიენტირებულია მხოლოდ მცირე გაუმჯობესებაზე და სრულად არ ასახავს დაინტერესებული მხარეების მიერ კონსულტაციების დროს ხაზგასმულ პრიორიტეტებს. სამომავლოდ, უმჯობესი იქნება, თუ შემდგომი სამოქმედო გეგმა მეტად იქნება ფოკუსირებული ანტიკორუფციულ მიმართულებაზე. კერძოდ, ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება, სახელმწიფო შესყიდვების პრაქტიკის გაუმჯობესება და ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონის ვალდებულების განხორციელება.

ღია მმართველობის პარტნიორობა (OGP) არის ნებაყოფლობითი საერთაშორისო ინიციატივა, რომელიც აერთიანებს სამთავრობო რეფორმატორებსა და სამოქალაქო საზოგადოების ლიდერებს. ინიციატივის მიზანია, ერთობლივი ძალისხმევით ისეთი კონკრეტული სამოქმედო გეგმების შემუშავება, რომლებიც ხელს შეუწყობენ მთავრობების ინკლუზიურობის, რეაგირებისა და ანგარიშვალდებულების ზრდას. ანგარიშგების დამოუკიდებელი მექანიზმი (IRM) ახორციელებს მთავრობების მიერ სამოქმედო გეგმების ფარგლებში გაწერილი ვალდებულებების განხორციელების მონიტორინგს. საქართველო პარტნიორობას შეუერთდა 2011 წელს და მას შემდეგ სამი სამოქმედო გეგმა განახორციელა. აღნიშნული ანგარიში წარმოადგენს მეოთხე სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესის შეფასებას.

სამოქმედო გეგმის ზოგადი მიმოხილვა

მას შემდეგ, რაც ღია მმართველობის პარტნიორობის წევრი გახდა, საქართველომ ბევრი რეფორმა განახორციელა გამჭვირვალობისა და კარგი მმართველობის უზრუნველსაყოფად, მათ შორისაა რეფორმები საჯარო მოხელეების ქონებრივი დეკლარაციების, ბიუჯეტის მონიტორინგისა თუ საჯარო სერვისების მიწოდების შესახებ. საქართველომ, როგორც პარტნიორობის თავმჯდომარე ქვეყანამ 2016 წელს, 2018 წლის გლობალური სამიტის მასპინძელმა და 2019 წელს პარტნიორობის მმართველი კომიტეტის ხელმძღვრედ არჩეულმა წევრმა, პარტნიორობის ლიდერის როლი შეითავსა.

ცხრილი 1. მოკლედ

წევრი: 2011 წლიდან

სამოქმედო გეგმა: 4

ანგარიშის ფორმა: შემუშავების ანგარიში

ვალდებულებათა რაოდენობა: 28

სამოქმედო გეგმის შემუშავება

მრავალმხრივი ფორუმი: დიახ

საზოგადოების გავლენა: ჩართულობა

OGP-ის პროცესთან შეუსაბამობა: არა

სამოქმედო გეგმის დიზაინი

ვალდებულებები, რომლებიც შესაბამისობაშია OGP-ის

ლირებულებებთან: 26 (93%)

ტრანსფორმაციული ვალდებულებები: 0

პოტენციურად ვარსკვლავური ვალდებულებები: 0

სამოქმედო გეგმის განხორციელება

ვარსკვლავური ვალდებულებები: ამ ეტაპზე არ ფასდება

დასრულებული ვალდებულებები: ამ ეტაპზე არ ფასდება

ვალდებულებები, რომლებმაც მნიშვნელოვნად გაზარდა

მთავრობის ღიაობა: ამ ეტაპზე არ ფასდება

ვალდებულება რომელმაც გამორჩეულად გაზარდა

მთავრობის ღიაობა: ამ ეტაპზე არ ფასდება



მეოთხე სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში იუსტიციის სამინისტრომ ქვეყნის მასშტაბით რამდენიმე საჯარო განხილვა თუ კონსულტაცია გამართა. სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა დატოვეს მრავალმხრივი ფორუმი, რისი საფუძველიც გახდა უთანხმოება გადაწყვეტილების მიღების პროცესისა და სამოქმედო გეგმის არასაკმარისად ამბიციური ხასიათის შესახებ.

საქართველოს თანამონაწილეობის პროცესი ((co-creation) შეფასდა როგორც "ჩართულობა" საზოგადოების გავლენის დონის მიხედვით. აღნიშნული შეფასების დონე, წინა სამოქმედო გეგმის პროცესთან შედარებით ერთი საფეხურით დაბალ შეფასებას წარმოადგენს (მიღწეული იყო დონე - „თანამშრომლობა“).

2019 წელს ფორუმის სამდივნომ იუსტიციის სახლიდან საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში გადაინაცვლა, რასაც დადებითად შეხვდა სამოქალაქო საზოგადოება. მეოთხე სამოქმედო გეგმამ მოიცვა ღია პარლამენტის ვალდებულებებიც, რომლებიც შემუშავებულია ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს მიერ განხორციელებული საჯარო კონსულტაციების შედეგად.

ყველა წინა სამოქმედო გეგმისგან განსხვავებით, მეოთხე სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული არც ერთი ვალდებულება არ არის პოტენციურად ტრანსფორმაციული ხასიათის. მიუხედავად ნაკლებად ამბიციური ხასიათისა, ვალდებულებები ფარავს თემატური საკითხების ფართო სპექტრს, როგორებიცაა საჯარო სერვისები, სასამართლო გადაწყვეტილებები და ინფორმაცია ბიუჯეტის შესახებ. ამასთანავე, ვალდებულებები ეხება ახალ მიმართულებებსაც, როგორებიცაა მდგრადი განვითარების მიზნები, უსახლკარობა, და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობის მქონე საწარმოების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება. სამოქმედო გეგმა ასევე მოიცავს მრავალ ისეთ ვალდებულებას, რომელიც მიზნად ისახავს მუნიციპალურ დონეზე და პარლამენტში ღია მმართველობის გაუმჯობესებას.

აღსანიშნავია ის ვალდებულებები, რომლებიც სახელმწიფო დონეზე ეხება სასამართლო გადაწყვეტილებების ერთიან უნიფიცირებულ ბაზაში გამოქვეყნებას, საგრანტო დაფინანსებების გაცემის პროცესის გამჭვირვალობის გაუმჯობესებას და სახელმწიფო შესყიდვების გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის გაზრდას. სხვა აღსანიშნავი ვალდებულებები ეხება რვა მუნიციპალიტეტში გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების სტრატეგიების შემუშავებას და საქართველოს პარლამენტში მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრის შექმნას.

ცხრილი 2. აღსანიშნავი ვალდებულებები

ვალდებულების აღწერა	შემდგომი ნაბიჯები	სტატუსი განხორციელების ციკლის ბოლოს / დასასრულს
ვალდებულება 9: სასამართლო გადაწყვეტილებების ერთიან ბაზაში გამოქვეყნება და საძიებო სისტემის შექმნა	ახლადშექმნილი რეესტრის განახლებით, საქართველოს უზენაესი სასამართლო გეგმავს გაზარდოს ხელმისაწვდომობა სასამართლო გადაწყვეტილებებზე. ერთიანი რეესტრის შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანია ხელს შეუწყობს მის შესახებ ინფორმირებულობის ზრდას.	<i>შენიშვნა: შეფასდება სამოქმედო გეგმის განხორციელების ციკლის ბოლოს</i>
ვალდებულება 12: სახელმწიფო საგრანტო დაფინანსების სისტემის გამჭვირვალობის გაზრდა	აღნიშნული ვალდებულება მიზნად ისახავს სამთავრობო გრანტების გაცემის ერთიანი სტანდარტის შექმნას. სამომავლოდ, აღნიშნული ხელს	<i>შენიშვნა: შეფასდება სამოქმედო გეგმის განხორციელების ციკლის ბოლოს</i>

	შეუწყობს უნიფიცირებული სტანდარტის მონიტორინგისა და შეფასებისათვის საჭირო ინსტრუმენტის შექმნას. ერთიანი სტანდარტი ასევე სასარგებლო იქნება უნიფიცირებული ვებ-გვერდის შესაქმნელად, რომელზეც განთავსდება ინფორმაცია ყველა არსებული სამთავრობო საგრანტო შესაძლებლობის შესახებ.	
ვალდებულება 13: ელექტრონული ინოვაციები საჯარო შესყიდვების მეტი გამჭვირვალობისა და ეფექტიანობისთვის	აღნიშნული ვალდებულება მიზნად ისახავს, opendata.spa.ge პორტალზე შესყიდვების შესახებ განთავსებული მონაცემების ხელმისაწვდომობის ზრდას. ასევე, ვალდებულების მიზანია, რომ პორტალზე გამოქვეყნებული ინფორმაცია მეტად შეესაბამებოდეს Open Contracting Data Standard (OCDS) სტანდარტს. IRM დამოუკიდებელი მკვლევარის რეკომენდაციაა, რომ სამომავლოდ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ გამოაქვეყნოს როგორც სპეციფიკური საქონლისა თუ მომსახურების CPV კოდები, ასევე ინფორმაცია ქვეკონტრაქტორების შესახებ.	<i>შენიშვნა: შეფასდება სამოქმედო გეგმის განხორციელების ციკლის ბოლოს</i>
ვალდებულება 16: გამჭვირვალე და კეთილსინდისიერი მმართველობის განმტკიცება მუნიციპალიტეტებში	აღნიშნული ვალდებულების მიზანია საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების ხელშეწყობით, საქართველოს რვა მუნიციპალიტეტში შეიმუშაოს გამჭვირვალობის სტრატეგია. ადგილობრივ დონეზე ინიციატივების უკეთ კოორდინირებისათვის, შესაძლოა შეიქმნას პლატფორმა, სადაც მუნიციპალიტეტები ერთმანეთს გაუზიარებენ ღია მმართველობის საუკეთესო პრაქტიკას.	<i>შენიშვნა: შეფასდება სამოქმედო გეგმის განხორციელების ციკლის ბოლოს</i>
ვალდებულება 27: მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრის შექმნა საქართველოს პარლამენტში	სასურველია მოქალაქეთა ჩართულობის ახალმა ცენტრმა შეიმუშაოს ცენტრის მუშაობის ზოგადი ეფექტურობის შეფასების მექანიზმები. მისი საშუალებით ცენტრი შეძლებს თვალყურის ადევნოს მოქალაქეთა მიმართვიანობას, გააკეთოს დასმული შეკითხვებისა და მოთხოვნების ტიპის, პეტიციების და ჩართულობის შემთხვევების ანალიზი. შეფასების მექანიზმების მეშვეობით შესაძლოა განხორციელდეს მომსახურების ხარისხის და უკუკავშირის მექანიზმების მონიტორინგი.	<i>შენიშვნა: შეფასდება სამოქმედო გეგმის განხორციელების ციკლის ბოლოს</i>

რეკომენდაციები

IRM რეკომენდაციების მიზანია ასახოს შემდგომი სამოქმედო გეგმის შემუშავებისათვის საჭირო ინფორმაცია და ხელი შეუწყოს მიმდინარე სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესს. შესაბამისად, IRM დამოუკიდებელი მკვლევარი რეკომენდაციას აძლევს მთავრობას, რომ შემდეგი სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში ფოკუსირება მოხდეს შედარებით მცირე რაოდენობის, თუმცა უფრო ამბიციური ხასიათის ვალდებულებებზე, რომლებიც ასევე შესაბამისობაში იქნება დაინტერესებული მხარეების მიერ დღის წესრიგში წარმოდგენილ პოლიტიკის მიმართულებებთან. შემდგომი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა წარმოადგენდეს საქართველოს ღია მმართველობის სტრატეგიის მნიშვნელოვან ნაწილს, რომლის მეშვეობითაც საქართველო შეძლებს პრიორიტეტულ მიმართულებებში ხელშესახები და თვალსაჩინო შედეგების მიღწევას.

ცხრილი 3. ხუთი ძირითადი IRM რეკომენდაცია

MSF მრავალმხრივი ფორუმისთვის შესაბამისი მანდატის მინიჭებისა და OGP-ის ჩართულობის და თანამონაწილეობის სტანდარტის სახელმძღვანელოს შექმნის გზით თანამონაწილეობის (co-creation) პროცესის გაძლიერება.
ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონის დროული მიღება.
ქვეყნის ანტიკორუფციული საჭიროებების და არსებული ინსტიტუციური სისტემის ყოვლისმომცველი შეფასების განხორციელება დამოუკიდებელი, ობიექტური და პოლიტიკურად ნეიტრალური საჯარო პოლიტიკის ანალიზის გზით.
ეროვნული სამოქმედო გეგმის არეალის განვრცობა ბენეფიციარი მესაკუთრეობის გამჭვირვალობის მიმართულებით; უცხოური კომპანიების ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრის შექმნა, რომლებიც ქონებას ფლობენ საქართველოში და მონაწილეობას იღებენ სახელმწიფო შესყიდვებში.
გაგრძელდეს მუშაობა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მონაცემების ღია კონტრაქტების მონაცემთა სტანდარტის (OCDS) შესაბამისად გამოქვეყნების მიმართულებით.

ავტორის შესახებ

ნოდარ ხერხეულიძე არის დამოუკიდებელ ექსპერტი, რომელიც საქმიანობს საჯარო ადმინისტრირებისა და საჯარო პოლიტიკის სფეროში. ის გახლავთ საქართველოს უნივერსიტეტის ბიზნესის და ადმინისტრაციული მეცნიერებების სკოლის საჯარო მმართველობის დეპარტამენტის უფროსი.

ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) მიზანია ხელი შეუწყოს მთავრობების მიერ კონკრეტული ვალდებულებების შემუშავებას, რომლებიც მიმართული იქნება გამჭვირვალობის ამაღლების, მოქალაქეთა გაძლიერების, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის და ახალი ტექნოლოგიების დანერგვით მმართველობის პროცესის გაძლიერებისკენ. OGP-ის დამოუკიდებელი ანგარიშგების მექანიზმები (IRM) აფასებს ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების პროცესს და ხელს უწყობს დაინტერესებულ მხარეთა შორის დიალოგისა და ანგარიშვალდებულების გაუმჯობესებას.

Open
Government
Partnership



I. შესავალი

ღია მმართველობის პარტნიორობა (OGP) არის გლობალური პარტნიორობა, რომელიც აერთიანებს სამთავრობო რეფორმატორებსა და სამოქალაქო საზოგადოების ლიდერებს. პარტნიორობის მიზანია, ერთობლივი ძალისხმევით ისეთი კონკრეტული სამოქმედო გეგმების შემუშავება, რაც ხელს შეუწყობს მთავრობების ინკლუზიურობის, რეაგირებისა და ანგარიშვალდებულების ზრდას.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებები, შესაძლებელია, გამომდინარეობდეს როგორც მთავრობის მიმდინარე აქტივობებიდან, ასევე ემსახურებოდეს რეფორმების ფარგლებში შემდგომი ნაბიჯების განსაზღვრას, ან წარმოადგენდეს ინიციატივებს სრულიად ახალი სამოქმედო არეალის ფარგლებში. OGP-ის დამოუკიდებელი ანგარიშგების მექანიზმი IRM ახორციელებს ყველა სამოქმედო გეგმის მონიტორინგს, რათა უზრუნველყოს მთავრობების მხრიდან ვალდებულებების განხორციელება. სამოქალაქო საზოგადოებისა და მთავრობების წარმომადგენლები იყენებენ IRM მექანიზმის ანგარიშებს საკუთარი პროგრესის შესაფასებლად და იმის განსაზღვრისათვის, იქონია თუ არა განხორციელებულმა ქმედებებმა გავლენა მოქალაქეების ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

საქართველო 2011 წელს გახდა OGP-ის წევრი. წინამდებარე ანგარიში შეეხება საქართველოს 2018-2019 წლის მეოთხე სამოქმედო გეგმის დაგეგმვისა და შემუშავების პროცესს.

OGP-ის IRM დამოუკიდებელი ანგარიშგების მექანიზმი თანამშრომლობს ნოდარ ხერხეულიძესთან, დამოუკიდებელი მკვლევართან, რომელმაც განახორციელა წინამდებარე შეფასება. IRM-ის მიზანია დიალოგში ჩართულ მხარეებს მიაწოდოს ინფორმაცია სამომავლო ვალდებულებების შემუშავებისა და განხორციელებისათვის საჭირო მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. IRM-ის მეთოდოლოგიის სრული აღწერის გასაცნობად ეწვიეთ [ვებ-გვერდს](#).

II. ღია მმართველობის კონტექსტი საქართველოში

უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე საქართველომ განახორციელა მრავალი პოლიტიკური და ადმინისტრაციული რეფორმა, რომლებიც ემსახურებოდა ღია მმართველობის პრინციპებისა და დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას. წარმატებული აღმოჩნდა საჯარო სერვისების, ფისკალური გამჭვირვალობისა და მონაცემთა პროაქტიულად გამოქვეყნების პროცესის გაუმჯობესებისკენ მიმართული ნაბიჯები, თუმცა პოლიტიკის მრავალი სფერო, როგორცაა მაგალითად ელიტური კორუფცია და სახელმწიფო შესყიდვები, ჯერ კიდევ საჭიროებს ღია მმართველობის პრინციპების განმტკიცებას.

2011 წლიდან დღემდე, საქართველომ, როგორც OGP-ის წევრმა ქვეყანამ, შესამჩნევ წარმატებას მიაღწია ღია მმართველობის კონტექსტში. მან მეოთხე ეროვნული სამოქმედო გეგმის ფარგლები გააფართოვა სამოქმედო არეალი, რომელიც აქამდე მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლების ჩართულობით შემოიფარგლებოდა და პროცესში ჩართო როგორც სასამართლო და საკანონმდებლო ხელისუფლება, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობა. 2015 წელს საქართველო გახდა პირველი ქვეყანა, რომელმაც დაამტკიცა ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმა და ხელი მოაწერა საპარლამენტო ღიაობის დეკლარაციას. იმავე წელს, OGP-ის გლობალურ სამიტზე მექსიკაში, ღია პარლამენტის გეგმის შემუშავების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობისათვის საქართველომ დაიმსახურა ღია მმართველობის ჩემპიონის პირველი ჯილდო.¹

2016 წლის მესამე სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულები მოიცავდა 5 მუნიციპალიტეტს, ხოლო მეოთხე სამოქმედო გეგმაში ჩართული მუნიციპალიტეტების რაოდენობა 11-მდე გაზარდა. თბილისი, საქართველოს დედაქალაქი, ასევე გახდა ერთ-ერთი პირველი ქალაქი, რომელიც OGP-ის ადგილობრივ ხელისუფლებთან სამთავრობო საპილოტე პროგრამას² შეუერთდა და 2016 წელს, წარადგინა პირველი სამოქმედო გეგმა. 2014 წელს საქართველო აირჩიეს OGP-ის მმართველი კომიტეტის წევრად, ხოლო მოგვიანებით, 2016 წელს OGP-ის თანა-თავმჯდომარე ქვეყანად. 2017 წელს, საქართველო გახდა OGP-ის წამყვანი თავმჯდომარე საფრანგეთის შემდეგ, ხოლო 2018 წლის ზაფხულში, OGP-ის გლობალური სამიტის მასპინძელი ქვეყანა.³ მმართველი კომიტეტის წევრობის მეორე ვადის პერიოდში, 2019 წლის 1 ოქტომბრიდან, საქართველო გერმანიასა და ინდონეზიასთან ერთად ახორციელებს OGP პარტნიორობის ხელმძღვანელობას.⁴

ღია მმართველობის პარტნიორობაში მონაწილეობამ ხელი შეუწყო საქართველოს მნიშვნელოვან პროგრესს ღია მმართველობის კუთხით, საჯარო ადმინისტრირების გამჭვირვალობის გაუმჯობესებასა და საჯარო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას. მართლმსაჯულების მსოფლიო პროექტის (World Justice Project) 2015 წლის ღია მმართველობის საერთაშორისო ინდექსის თანახმად, საქართველო პირველ ადგილზე დასახელდა აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში და გლობალური რეიტინგის მიხედვით ოცდამეცხრე ადგილი დაიკავა 102 ქვეყანას შორის.⁵ (აღნიშნული ინდექსი მსოფლიო მასშტაბით ადგილობრივი ექსპერტების გამოცდილებებსა და დამოკიდებულებებზე დაყრდნობით ზომავს მთავრობის ღიაობის დონეს პრაქტიკაში.)

პირველი და მეორე სამოქმედო გეგმის ფარგლებში, საქართველომ შექმნა ვებ-გვერდი data.gov.ge⁶ და ღია მონაცემთა პორტალი opendata.ge.⁷ ასევე დაიწყო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება სხვადასხვა პოლიტიკის მიმართულებით. მაგალითად, განათლება, ჯანდაცვა, მშენებლობა, სოფლის მეურნეობა და სახელმწიფო შესყიდვები. ღია მონაცემთა ბარომეტრის 2016 წლის ინდექსის თანახმად საქართველომ შესაძლო

მაქსიმალური 100 ქულიდან, 37,88 ქულა მიიღო და მსოფლიო მასშტაბით მე-40 ადგილი დაიკავა.⁸ 2015 წლის ღია მონაცემთა გლობალური ინდექსის⁹ მიხედვით, საქართველო 47-ე პოზიციას იკავებს. მნიშვნელოვანი პროგრესია მიღწეული ისეთი მიმართულებებით, როგორებიცაა დეტალური სახელმწიფო ბიუჯეტი, ბიზნესის რეესტრი, არჩევნების შედეგები და ტენდერებისა და შესყიდვების გამჭვირვალობა. თუმცა, გამოწვევად რჩება სამთავრობო მონაცემების ისეთი საკვანძო მიმართულებები, როგორებიცაა მიწის საკუთრებისა და დეტალური სამთავრობო ხარჯების საკითხები.¹⁰

OGP-ის წინა ვალდებულებების ფარგლებში, საქართველომ ასევე საგრძნობლად გააუმჯობესა პოლიტიკური პარტიების დაფინანსებისა და საჯარო მოხელეების ქონების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროების საკითხი. პოლიტიკური პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობის ასამაღლებლად დამტკიცდა ახალი ჩარჩო, რომელიც პარტიებს ყოველწლიური ფინანსური დეკლარაციების გასაჯაროებას ავალდებულებს.¹¹ საჯარო სამსახურის ბიურომ, საჯარო მოხელეების ანგარიშვალდებულების გაზრდისა და კორუფციის რისკების შემცირების მიზნით, შემოიღო საჯარო მოხელეების ქონებრივი დეკლარაციების ყოველწლიური მონიტორინგის სისტემა.¹²

ბოლო წლებში საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია ფისკალური გამჭვირვალობის კუთხით. 2017 წლის ღია ბიუჯეტის კვლევის (Open Budget Survey) შედეგების მიხედვით, საქართველომ საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადა ყველა მნიშვნელოვანი საბიუჯეტო დოკუმენტი. შედეგად, საქართველომ ფისკალური გამჭვირვალობის შეფასებისას შესაძლო 100 ქულიდან 82 ქულა მოიპოვა და 115 ქვეყანას შორის, მსოფლიო რეიტინგში მე-5 ადგილი დაიკავა. შესაბამისად, საქართველო არის ერთ-ერთი იმ ხუთი ქვეყნიდან, სადაც საბიუჯეტო გამჭვირვალობა დამაკმაყოფილებელია და ბიუჯეტის შესახებ სიღრმისეული ინფორმაცია ხელმისაწვდომია.^{13 14 15} საქართველოში პარლამენტს აქვს ექსკლუზიური უფლებამოსილება დაამტკიცოს ბიუჯეტი და განახორციელოს მისი მონიტორინგი პარლამენტთან ანგარიშვალდებული საკონსტიტუციო ორგანოს - სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მეშვეობით. OGP-ის ფარგლებში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა, სახელმწიფო და მუნიციპალური ბიუჯეტების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის და საჯარო ფინანსების განკარგვის ზედამხედველობის საკითხებში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდის¹⁶ მიზნით, შექმნა ვებ-პორტალი budgetmonitor.ge.¹⁷ 2017 წლის ღია ბიუჯეტის კვლევის თანახმად, საქართველოში გაჩნდა ბიუჯეტირების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის შესაძლებლობები, თუმცა მონაწილეობის მაჩვენებელი ჯერ კიდევ დაბალია (22 ქულა შესაძლო 100-იდან). მიუხედავად ამისა უნდა აღინიშნოს, რომ ეს მონაცემი გლობალური მასშტაბით საერთო საშუალო ქულაზე (12) მაღალია.¹⁸

მეორე და მესამე სამოქმედო გეგმის ფარგლებში საქართველომ აიღო ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონის შემუშავებისა და დამტკიცების ვალდებულება, რასაც სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები აქტიურად უწყევდნენ ადვოკატირებას.^{19 20} ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით და რეგულირდება საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსით, რომელიც დამტკიცებულია 1999 წელს. შესაბამისად, დიდი ხანია არსებობს საზოგადოებრივი მოთხოვნა ახალი სპეციალური კანონის მიღების შესახებ, რომელიც ქმედითი მექანიზმების საშუალებით უზრუნველყოფს ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის კონსტიტუციურ უფლებას. ინფორმაციაზე წვდომის უფლების გლობალური რეიტინგის მიხედვით, საქართველო ინფორმაციის თავისუფლების არსებული კანონმდებლობით, 123 ქვეყანას შორის 45-ე პოზიციას იკავებს.²¹ 2014 წელს იუსტიციის სამინისტრომ, სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან

თანამშრომლობით, შეიმუშავა კანონ-პროექტი ინფორმაციის თავისუფლების შესახებ. თუმცა, აღნიშნული კანონ-პროექტი არ წარედგინა პარლამენტს შემდგომი საკანონმდებლო პროცედურისათვის. ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონის მიღების საკითხი საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტად რჩება.

OGP-ის ფარგლებში, საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საჯარო სერვისების გაუმჯობესების კუთხით. მაგალითად, საქართველომ შემოიღო და დანერგა ისეთი წარმატებული პროექტები, როგორებიცაა „მომხმარებლის ხმა“,²² „Just Drive“²³ და საზოგადოებრივი ცენტრები.²⁴ აგრეთვე, იუსტიციის სახლის - საჯარო სერვისების მიმწოდებელი ყველაზე დიდი საჯარო სააგენტოს - სერვისები გახდა ხელმისაწვდომი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირებისათვის.²⁵

საქართველომ ასევე ტრანსფორმაციული ცვლილება განახორციელა გარემოს დაცვის საკითხებში.²⁶ 2017 წელს, მესამე სამოქმედო გეგმის ფარგლებში, საქართველომ მიიღო გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი. აღნიშნული კოდექსის მეშვეობით შესაძლებელი გახდა გარემოს დაცვის შეფასების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობა. კოდექსი ასევე ავალდებულებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ვებ-გვერდისა და საგაზეთო გამოცემების საშუალებით უზრუნველყოს დაგეგმილი პროექტების შესახებ მოქალაქეთათვის ინფორმაციის პროაქტიული მიწოდება, მათი უკუკავშირის შეგროვება და საბოლოო გადაწყვეტილებების შესახებ მათი ინფორმირება. მეოთხე სამოქმედო გეგმის ფარგლებში გრძელდება გამჭვირვალობისა და ჩართულობის პროცესის ხელშეწყობა ახალი ვებ-პლატფორმის დანერგვის გზით, რომელიც გაუადვილებს მოქალაქეებს ინფორმაციის მოპოვებას და უზრუნველყოფს ჩართულობის უკეთეს შესაძლებლობებს (ვალდებულება 5).

OGP-ში მონაწილეობის პერიოდში საქართველომ გადადგა პოზიტიური ნაბიჯები ღია კონტრაქტების მიმართულებით. ელექტრონული შესყიდვების ინსტრუმენტის კონცეფციიდან საბოლოოდ შეიქმნა ელექტრონული შესყიდვების მოქმედი სისტემა.²⁷ მიმდინარე სამოქმედო გეგმა მიზნად ისახავს სახელმწიფო შესყიდვების საკითხის შემდგომ დახვეწას და სისტემის Open Contracting Data (OCDS) სტანდარტისათვის უკეთ მორგებას (ვალდებულება 13). თუმცა, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ანტიკორუფციული ქსელის,²⁸ ასევე ევროსაბჭოს²⁹ და საქართველოში მოქმედი სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების შეფასებების მიხედვით, სახელმწიფო შესყიდვების არსებულ სისტემაში კვლავ რჩება რიგი ხარვეზები. ნიშანდობლივია, რომ გამოქვეყნებულ დოკუმენტაციაში ქვეკონტრაქტორების შესახებ ინფორმაციის არ არსებობის გამო, შავ სიაში მყოფ კომპანიებს შესაძლებლობა ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო შესყიდვებში ქვეკონტრაქტორების რანგში. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) რეკომენდაციაა, რომ ინფორმაცია შავ სიაში მყოფი კომპანიების მთლიანი წილის შესახებ ქვე-კონტრაქტორების პროცესში იყოს საჯარო. ამით შესაძლებელი გახდება კონტრაქტის პირობებისა და მხარეების იდენტიფიცირება.³⁰ იმისათვის, რომ გამოირიცხოს საჯარო შესყიდვების პროცესში იმ კომპანიებისა და მათი მმართველების მონაწილეობა, რომლებიც შეინიშნებიან კორუფციასა და თაღლითობაში, საჭიროა ასევე საკანონმდებლო ცვლილებები.

2016 წელს ლონდონში გამართულ ანტიკორუფციული სამიტზე საქართველომ აიღო ვალდებულება, რომ უზრუნველყოფდა საკუთრების გამჭვირვალობასა და სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე ყველა კომპანიის კონტროლს. საქართველომ ასევე აიღო

ვალდებულება განიხილოს კომპანიების ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ ინფორმაციის ცენტრალურ საჯარო რეესტრში რეგისტრირების მიზანშეწონილობის საკითხი.³¹ გარდა ამისა, 2017 წელს, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ანტიკორუფციული ქსელის რეკომენდაციით, საქართველომ სავალდებულო უნდა გახადოს ბენეფიციარი მფლობელი იურიდიული პირების ცენტრალურ რეესტრში დარეგისტრირება და გაასაჯაროს აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია (გამოაქვეყნოს ონლაინ).³² თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობის საკითხი ქვეყანაში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გზაზე ჯერ კიდევ გამოწვევად რჩება, სამოქმედო გეგმაში არ არის ვალდებულება, რომელიც აღნიშნულ საკითხს შეეხება. ბევრი კომპანია, რომელიც რეგისტრირებულია საზღვარგარეთ, მონაწილეობას იღებს სახელმწიფო შესყიდვების ტენდერებში და ფლობს მნიშვნელოვან აქტივებს საქართველოში, თუმცა ინფორმაცია მათი ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ არ არის ხელმისაწვდომი. აღნიშნული ინფორმაციის არარსებობა შეიცავს კორუფციის, ორგანიზებული დანაშაულის და ინტერესთა კონფლიქტების მაღალ რისკს.³³

რაც შეეხება ანტიკორუფციულ ქმედებებს, ბოლო წლების განმავლობაში საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია საჯარო ადმინისტრირებაში წვრილმანი კორუფციის აღმოფხვრის კუთხით. 2018 წელს კორუფციის კონტროლის ინდიკატორის მიხედვით ქვეყანამ ისტორიულ ნიშნულს - 77.4 -ს მიაღწია და ევროპის ქვეყნებს შორის მე-9-ე ადგილი დაიკავა. მთავრობის ეფექტურობის ინდიკატორის მიხედვით, საქართველოს მაჩვენებელი 72.12 ქულა შეადგენს და მსოფლიო მასშტაბით 59-ე ადგილს იკავებს.³⁴ გარდა ამისა, მართლმსაჯულების მსოფლიო პროექტის 2019 წლის კანონის უზენაესობის ინდექსის მიხედვით, „კორუფციის არარსებობის“ პარამეტრით საქართველომ 126 ქვეყნიდან 24-ე ადგილი დაიკავა. 2014 წლიდან მოყოლებული კანონის უზენაესობის აღსრულების კუთხით საქართველო ინარჩუნებს პირველ ადგილს აღმოსავლეთ ევროპის, ცენტრალური აზიისა და დაბალ-საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებს შორის.³⁵ საერთაშორისო გამჭვირვალობის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველოში 2003 წლის შემდგომ კორუფციის დონემ საგრძნობლად იკლო და 2018 წლის კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით საქართველომ მსოფლიოში 41-ე ადგილი დაიკავა.³⁶

2015-2016 წლის გლობალური კორუფციის ბარომეტრის თანახმად, ბოლო 12 თვის მანძილზე საქართველოს მოქალაქეების 7%-ზე ნაკლებმა გადაიხადა ქრთამი საჯარო მომსახურების მიღებისას.³⁷ თუმცა, მოსახლეობის 41% მთავრობის ანტიკორუფციულ პოლიტიკას არაეფექტურად მიიჩნევს.³⁸ მიუხედავად ბოლო წლებში მიღწეული წარმატებისა, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოს ღია მმართველობის პროცესში ჯერ კიდევ ბევრ ნაკლს ხედავენ.³⁹ ევროპარლამენტმა ევროკავშირისა და საქართველოს შორის ასოცირების ხელშეკრულების განხორციელების 2017 წლის ანგარიშში გამოთქვა შეშფოთება მაღალი თანამდებობის პირთა მხრიდან კორუფციის შემთხვევების შესახებ.⁴⁰ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (OECD) ასევე აღნიშნა, რომ საქართველოში ელიტური კორუფცია კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს.⁴¹

ამჟამად საქართველოში სამი საკვანძო ანტიკორუფციული სტრუქტურა არსებობს: კორუფციასთან ბრძოლის უწყებათაშორისი ანტიკორუფციული საბჭო, მთავარი პროკურატურის კორუფციულ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის სამმართველო და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სტრუქტურული ერთეული - ანტიკორუფციული სააგენტო. უწყებათაშორისი ანტიკორუფციული საბჭო⁴² წარმოადგენს საკონსულტაციო ერთეულს და აერთიანებს სახელმწიფო უწყებების, სამოქალაქო

საზოგადოების, საერთაშორისო ორგანიზაციების, მუნიციპალიტეტებისა და ბიზნესის წარმომადგენლებს. მისი მიზანია ანტიკორუფციული პოლიტიკის შემუშავება. პროკურატურის კორუფციულ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის სამმართველო და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო ახორციელებენ საგამოძიებო და აღკვეთის ღონისძიებებს.

აღნიშნულის მიუხედავად, სამოქალაქო საზოგადოების აზრით, ამჟამინდელი ანტიკორუფციული სქემა არ წარმოადგენს არსებული ელიტური კორუფციის აღკვეთისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურ მექანიზმს. იმის გამო, რომ ანტიკორუფციული ფუნქციები გადანაწილებულია ძირითადად სამ სამთავრობო უწყებაზე, მათ არ აქვთ სათანადო დამოუკიდებლობა და ელიტურ კორუფციასთან ბრძოლის შესაბამისი მანდატი. ელიტური კორუფცია კი თავის მხრივ ქვეყანაში მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. შესაბამისად, სამოქალაქო საზოგადოება ერთხმად უჭერს მხარს დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სააგენტოს შექმნას, რომელიც ძლიერი დამოუკიდებელი მანდატით უზრუნველყოფს ელიტურ კორუფციასთან ბრძოლას. თუმცა მთავრობის პოზიციაა, რომ არსებული ანტიკორუფციული ინსტიტუტების სისტემა ეფექტურად მუშაობს და არ არსებობს დამოუკიდებელი სააგენტოს შექმნის საჭიროება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებებმა უარყოფითად იმოქმედეს მეოთხე სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესზე.

OGP-ის დასაშვებობის ოთხი ძირითადი მოთხოვნის კუთხით, საქართველომ მიიღო მაქსიმალური 4-იდან 4 ქულა ფისკალური გამჭვირვალობის,⁴³ ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა ⁴⁴ ⁴⁵ და საჯარო მოხელეთა ქონებრივი დეკლარაციების გასაჯაროების კუთხით.⁴⁶ საქართველომ მოქალაქეთა ჩართულობის კუთხით მეოთხე ძირითად კრიტერიუმში 4-იდან 3 ქულა მიიღო. აღნიშნული კრიტერიუმით ფასდება პოლიტიკის შემუშავებისა და მმართველობის პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობისა და ჩართულობისათვის ღიაობის და ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის ხარისხი. ⁴⁷ ⁴⁸

¹ ღია მმართველობის პარტნიორობა, “პარლამენტი, როგორც ღია მმართველობის პარტნიორობის ინიციატივის პარტნიორი“, ივლისი 2019, <https://bit.ly/2SESRX8>

² ღია მმართველობის ადგილობრივ ხელისუფლებათა დეკლარაცია, პარიზი-საფრანგეთი 2016, <https://bit.ly/2OI9ksu>.

³ ღია მმართველობის პარტნიორობა, “OGP-ის გლობალური სამიტი 2018: თბილისი“, <https://bit.ly/2YdjFyM>

⁴ ღია მმართველობის პარტნიორობა, “2019 წლის მმართველი კომიტეტის არჩევნები“, 14 მაისი 2019, <https://bit.ly/30KfRGa>.

⁵ მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტი, ღია მმართველობის ინდექსი: 2015 წლის ანგარიში, <https://bit.ly/2Gopbsa>.

⁶ ღია მმართველობის პარტნიორობა, “ღია მონაცემთა პორტალი (Data.Gov.Ge) (GE0019)“, <https://bit.ly/31V8U5M>.

⁷ ღია მმართველობის პარტნიორობა, “შესყიდვების ელექტრონული სისტემა (GE0030)“, <https://bit.ly/36dhosz>.

⁸ World Wide Web Foundation, “ღია მონაცემთა ბარომეტრი (2016)“, <https://bit.ly/2BPIVTT>.

⁹ Open Knowledge International, “გლობალური ღია მონაცემთა ინდექსი (2015)“, <https://bit.ly/2Js1PDy>.

¹⁰ Open Knowledge International, “გლობალური ღია მონაცემთა ინდექსი (2015)“, <https://bit.ly/2Js1PDy>; და World Wide Web Foundation, “ღია მონაცემთა ბარომეტრი (2016)“, <https://bit.ly/2BPIVTT>

¹¹ ღია მმართველობის პარტნიორობა, “გამჭვირვალობა პარტიათა დაფინანსებაში (GE0008)“, <https://bit.ly/2PpsYe1>.

¹² ღია მმართველობის პარტნიორობა, “თანამდებრობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის დანერგვა (GE0050)“, <https://bit.ly/2MTcV6t>.

¹³ ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობა, “ღია ბიუჯეტის ინდექსი (2017)“, <https://bit.ly/2E0FtHS>

¹⁴ ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობა, “ღია ბიუჯეტის ინდექსი (2017), საქართველო“, <https://bit.ly/2JsRoZ>

¹⁵ ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობა, “ღია ბიუჯეტის ინდექსი (2017), საქართველო“, <https://bit.ly/2JsRoZ>

- ¹⁶ ღია მმართველობის პარტნიორობა, “საჯარო ფინანსების ზედამხედველობის (საჯარო აუდიტის) პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა (GE0055),” <https://bit.ly/36cuTIU>.
- ¹⁷ სახელმწიფო აუდიტის სამსახური, “ბიუჯეტის მონიტორი,” <https://bit.ly/2PY00RT>
- ¹⁸ ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობა, “ღია ბიუჯეტის ინდექსი (2017), საქართველო,” <https://bit.ly/2JsJRoZ>
- ¹⁹ ღია მმართველობის პარტნიორობა, “ინფორმაციის თავისუფლების აქტის შემუშავება (GE0020),” <https://bit.ly/347i4xB>.
- ²⁰ ღია მმართველობის პარტნიორობა, “ინფორმაციის თავისუფლების აქტის შემუშავება (GE0048),” <https://bit.ly/2Nk6Ajr>
- ²¹ ინფორმაციაზე წვდომის უფლების გლობალური რეიტინგი, “საქართველო (2018),” <https://bit.ly/2v2kBNG>
- ²² ღია მმართველობის პარტნიორობა, “მომხმარებლის ხმა (GE0013),” <https://bit.ly/31YzUJa>.
- ²³ ღია მმართველობის პარტნიორობა, “მომხმარებლის კომფორტზე ორიენტირებული ახალი სერვისის-JUSTdrive-ის ამოქმედება (GE0014),” <https://bit.ly/2piW6sy>.
- ²⁴ ღია მმართველობის პარტნიორობა, “საზოგადოებრივი ცენტრების განვითარება საქართველოში (GE0040),” <https://bit.ly/2BQ1xly>.
- ²⁵ ღია მმართველობის პარტნიორობა, “შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მოთხოვნებთან იუსტიციის სახლის მიერ გაცემული სერვისების ადაპტირება (GE0042),” <https://bit.ly/2paCJSO>.
- ²⁶ ღია მმართველობის პარტნიორობა, “გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მიღება (GE0057),” <https://bit.ly/2MQOh6w>.
- ²⁷ ღია მმართველობის პარტნიორობა, “ელექტრონული შესყიდვების სამამულო კონცეფცია” <https://bit.ly/2MRLABz>; <https://bit.ly/2pVX8ec> “სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის დანერგვა,” <https://bit.ly/2pVX8ec>; და ღია მმართველობის პარტნიორობა, “საჯარო შესყიდვების მეტი გამჭვირვალობისთვის ელექტრონული ინოვაციების განვითარება” <https://bit.ly/2MQnbfU>.
- ²⁸ ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია, *სტამბულის ანტი-კორუფციული სამოქმედო გეგმა: მონიტორინგის მეოთხე რაუნდი: საქართველო, 2017, გვ.42*, <https://www.oecd.org/corruption/acn/OECD-ACN-Georgia-Progress-Update-September-2017-ENG.pdf>.
- ²⁹ პროექტი ეკონომიკური დანაშაულის, კორუფციული რისკების და საჯარო შესყიდვების შეფასება, მაისი 2017, <https://rm.coe.int/peckii-4561-tp15-cra-public-procurement/16808ae501>.
- ³⁰ IDFI, *გამჭვირვალე საჯარო შესყიდვების რეიტინგი*, 2017, გვ. 14, <https://bit.ly/39zZ0vd>
- ³¹ ანტი-კორუფციული სამიტი-ლონდონი 2016: საქართველოს განცხადება, <https://bit.ly/3cHRFM4>.
- ³² ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია, *სტამბულის ანტი-კორუფციული სამოქმედო გეგმა: მონიტორინგის მეოთხე რაუნდი: საქართველო*, <https://bit.ly/38B53y6>
- ³³ IDFI, *IDFI-ის რეკომენდაციები საქართველოს 2018–2020 ღია მმართველობის პარტნიორობა (OGP) ეროვნული გეგმის გასაუმჯობესებლად*, 22 მაისი 2018, <https://bit.ly/32YOMSF>
- ³⁴ მსოფლიო ბანკი, “გლობალური მართველობის ინდიკატორები” <https://bit.ly/2TO1JdF>
- ³⁵ მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტი, *კანონის უზენაესობის ინდექსი - საქართველო (2019)*, <https://bit.ly/2O9zfvf>.
- ³⁶ საერთაშორისო გამჭვირვალობა, “კორუფციის აღქმის ინდექსი (2018),” <https://www.transparency.org/cpi2018>.
- ³⁷ საერთაშორისო გამჭვირვალობა, “საზოგადოება და კორუფცია,” <https://bit.ly/2Ay9a0M>.
- ³⁸ საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, “გლობალური კორუფციის ბარომეტრი 2016: წვრილმანი კორუფციის დონე საქართველოში კვლავ დაბალია, თუმცა მთავრობის ანტიკორუფციულ პოლიტიკას მოსახლეობა არაეფექტურად აფასებს,” ნოემბერი 2016, <https://bit.ly/32YFcPq>
- ³⁹ ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია, *სტამბულის ანტი-კორუფციული სამოქმედო გეგმა: მონიტორინგის მეოთხე რაუნდი: საქართველო*, 2016, <https://bit.ly/2Dx42LX>.
- ⁴⁰ ევროპარლამენტი, *საქართველოს მიერ ასოცირების შეთანხმების შესრულების შესახებ ანგარიში (2017/2282 (INI))*, 2018, <https://bit.ly/2O8PYPq>.
- ⁴¹ ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია, *სტამბულის ანტი-კორუფციული სამოქმედო გეგმა: მონიტორინგის მეოთხე რაუნდი: საქართველო*, 2016, <https://bit.ly/2Dx42LX>.
- ⁴² “ანტი-კორუფციული საბჭო, <http://justice.gov.ge/Ministry/Index/170>.
- ⁴³ ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობა, “ღია ბიუჯეტის ინდექსი (2017),” <https://bit.ly/2E0FtHS>.
- ⁴⁴ “ინფორმაციაზე წვდომის უფლების გლობალური რეიტინგი-ქვეყნების მიხედვით,” <https://bit.ly/2PWIP3f>
- ⁴⁵ Good Law & Practice, “ქვეყნები, რომლებმაც აქვთ ინფორმაციაზე წვდომის შესახებ კანონმდებლობა” (Countries with ATI Laws), მაისი 2019, <https://bit.ly/2JHxf4y>.
- ⁴⁶ მსოფლიო ბანკი, ქონებრივი დეკლარაციების საკანონმდებლო ბაზა, <https://bit.ly/2Y5raYb>.
- ⁴⁷ “დემოკრატიის ინდექსი 2018: მეც? პოლიტიკური თანამონაწილეობა, პროტესტი და დემოკრატია,” გამოცემა - *The Economist*, Intelligence Unit, <https://bit.ly/2JLAFbn>.
- ⁴⁸ ღია მმართველობის პარტნიორობა, “დასაშვებობის მოთხოვნები & OGP ღირებულებებთან შესაბამისობის შეფასება,” <https://bit.ly/2Yi4GaQ>.

III. ხელმძღვანელობა და მრავალმხრივი პროცესი

საქართველოს მეოთხე სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად, იუსტიციის სამინისტრომ და პარლამენტმა ჩაატარეს საჯარო კონსულტაციები II კალაქში, რომლებსაც ჯამში 800 ადამიანი ესწრებოდა. მრავალმხრივი ფორუმის (MSF) ფარგლებში სამოქმედო გეგმის შემუშავებისას წარმოქმნილი უთანხმოებების გამო, 2018 წლის ნოემბერში სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა დატოვეს ფორუმი. მეოთხე სამოქმედო გეგმას დაემატა საპარლამენტო ვალდებულებები, რომლებიც ღია მმართველობის მუდმივმა საპარლამენტო საბჭომ შეიმუშავა საჯარო კონსულტაციების შედეგად. 2019 წელს OGP-ის ფორუმის სამდივნომ იუსტიციის სამინისტროდან გადაინაცვლა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში.

3.1 ხელმძღვანელობა

აღნიშნულ თავში აღწერილია საქართველოში OGP-ის ხელმძღვანელობა და ინსტიტუციური კონტექსტი. საქართველო წარმოადგენს საპარლამენტო დემოკრაციას, სადაც ძალაუფლება გადანაწილებულია ხელისუფლების საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო შტოებს შორის. საქართველოს OGP-ის ეროვნული სამოქმედო გეგმები მოიცავდა ხელისუფლების სამივე შტოს ვალდებულებებს.

2011 წელს, როდესაც საქართველო გახდა პარტნიორობის წევრი, OGP პროცესს ხელმძღვანელობდა იუსტიციის სამინისტრო. იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტი წარმოადგენდა საქართველოში ღია მმართველობის სამდივნოს. დეპარტამენტი კოორდინირებას უწევდა საქართველოს, როგორც პირველი სამი სამოქმედო გეგმის შემუშავებას და განხორციელებას, ასევე მეოთხე (2018-2019) სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესს. 2019 წელს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ გადაიბარა OGP-ის კოორდინაცია ეროვნულ დონეზე და OGP-ის საერთაშორისო მმართველი კომიტეტის ხელმძღვანელობა. ამჟამად, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პოლიტიკის ანალიზის, სტრატეგიული დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტი წარმოადგენს OGP-ის საკოორდინაციო სტრუქტურულ ერთეულს ეროვნულ დონეზე. OGP-ის ხელმძღვანელობის იუსტიციის სამინისტროდან მთავრობის ადმინისტრაციაში გადატანამ უზრუნველყო უფრო მაღალი დონის სამთავრობო წარმომადგენლობა OGP-ის პროცესში. იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობის პერიოდში, საქართველოს პრემიერ მინისტრი არ იყო უშუალოდ ჩართული პროცესში. OGP-ის ხელმძღვანელობის მთავრობის ადმინისტრაციისათვის გადაცემის შემდეგ, OGP-ის საკონტაქტო პირს წარმოადგენს პრემიერ მინისტრის აპარატის უფროსი, რაც თავის მხრივ იმის გარანტიაა, რომ პრემიერ მინისტრი უშუალოდ იქნება ჩართული პროცესში.

OGP-ის განხორციელებისათვის არ არის გამოყოფილი ცალკე ბიუჯეტი. თუმცა, შესაბამისი სახელმწიფო ხარჯები ასახულია მიმდინარე სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამებში. მეოთხე სამოქმედო გეგმაში მოცემულია ინფორმაცია თითოეული ვალდებულების განხორციელებისათვის საჭირო სავარაუდო დანახარჯების, ასევე დაფინანსების წყაროების, მაგალითად დონორი ორგანიზაციებისა თუ სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.¹ სრული ხარჯები განსაზღვრულია მხოლოდ იმ ვალდებულებებისათვის, რომლებიც ფინანსდება დონორი ორგანიზაციების მიერ. 2019 წელს, OGP-ის ხელმძღვანელობის იუსტიციის სამინისტროდან მთავრობის ადმინისტრაციაში გადაინაცვლების შემდეგ, მთავრობის ადმინისტრაციის პოლიტიკის ანალიზის, სტრატეგიული დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტში შეიქმნა საჯარო ადმინისტრირების სამმართველო, რომელიც ღია მმართველობის პარტნიორობისა

და საჯარო ადმინისტრირების რეფორმაზე პასუხისმგებელი. აღნიშნული სამმართველო ამჟამად დაკომპლექტებულია ოთხი თანამშრომლით.²

პირველი ორი სამოქმედო გეგმის ფარგლებში, ღია მმართველობის ეროვნული პროცესში ძირითადად მონაწილეობდნენ სამინისტროები და სააგენტოები. რამდენიმე ვალდებულება ასევე შეეხებოდა სასამართლო ხელისუფლებას. მესამე სამოქმედო გეგმის ფარგლებში, მონაწილეთა არეალი გაფართოვდა და მოიცვა ახალციხის, ბათუმის, ქუთაისის, ოზურგეთისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტები.³ აქვე აღსანიშნავია, რომ დედაქალაქი და ამავდროულად ყველაზე დიდი ქალაქი - თბილისი - 2016 წლიდან მონაწილეობდა OGP-ის ადგილობრივ ხელისუფლებათა პროგრამაში.

OGP-ის ფარგლებს გარეთ, 2015 წლიდან საქართველოს პარლამენტმა შეიმუშავა და განახორციელა ორი ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმა. აღნიშნული გეგმები შემუშავდა ღია პარლამენტის შესახებ დეკლარაციის ფარგლებში.⁴ აღნიშნული სამოქმედო გეგმები არ წარმოადგენდა OGP-ის ნაწილს და შესაბამისად ღია პარლამენტის თანა-შემუშავებისა და განხორციელების პროცესი მიმდინარეობდა დამოუკიდებლად. პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებით, 2015 წლის დეკემბერში შეიქმნა საპარლამენტო საკოორდინაციო ერთეული - ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო.⁵ საბჭოს შექმნა ეფუძნება ინტერფრაქციული სამუშაო ჯგუფის პრინციპებს. საბჭო შედგება 12 წევრისგან, რომელშიც შედის პარლამენტის თავმჯდომარე, 7 წევრი უმრავლესობიდან, 2 წევრი საპარლამენტო უმცირესობიდან და 2 წევრი სხვა დანარჩენი ფრაქციიდან.⁶ OGP-ისთან დაკავშირებული აქტივობებისათვის საქართველოს პარლამენტს არ ჰქონდა გამოყოფილი ცალკე ფინანსური ან ადამიანური რესურსი სამოქმედო გეგმის შემუშავებამდე. თუმცა ახალი რეგლამენტის მიხედვით მუდმივმოქმედი საბჭოს სამდივნოს I თანამშრომელი იმუშავებს OGP-ის საკითხებზე. სავარაუდოდ ხარჯები გათვალისწინებულია სახელმწიფო ბიუჯეტის მიმდინარე პროგრამებით ან ფინანსდება დონორი ორგანიზაციების მიერ.

სამოქმედო გეგმის სამართლებრივი საფუძველი უზრუნველყოფილია დადგენილებით.⁷ ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმას ამტკიცებს პარლამენტის ბიურო - მთავარი გადაწყვეტილებების მიმღები ორგანო პარლამენტში.⁸ ბიუროზე დამტკიცების შემდეგ, ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმა ხდება ეროვნული სამოქმედო გეგმის ნაწილი.

3.2 სამოქმედო გეგმის შემუშავების მრავალმხრივი პროცესი

2017 წელს OGP-იმ მიიღო ჩართულობისა და თანამონაწილეობის სტანდარტები, რომელთა მიზანია არის OGP-ის განხორციელების სრული ციკლის ყველა ეტაპზე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა ჩართულობისა და მონაწილეობის ხელშეწყობა. OGP-ის წევრი ყველა ქვეყანა ვალდებულია აკმაყოფილებდეს აღნიშნულ სტანდარტს. სტანდარტის მიზანია OGP-ის სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების პროცესში ჩართულობის ხარისხის გაუმჯობესება.

OGP-ის სახელმძღვანელო პრონციპების დიკუმენტში (Articles of Governance) ასევე ჩამოყალიბებულია ჩართულობისა და თანამონაწილეობის სტანდარტები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს ყველა ქვეყანა თუ თივთმმართველი ერთეული, რომ სამუშაო გეგმის შემუშავება და განხორციელება OGP-ის პროცესის შესაბამისად წარიმართოს. საქართველოს არ განუხორციელებია OGP-ის პროცესის საწინააღმდეგო ქმედებები.⁹

ინფორმაცია სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში საქართველოს მიერ ჩართულობისა და თანამონაწილეობის სტანდარტების დანერგვისათვის განხორციელებული ქმედებების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ დანართში I.

ცხრილი 3.2 სამოქალაქო გავლენის დონე

IRM-მა მიიღო სამოქალაქო ჩართულობის საერთაშორისო ასოციაციის (IAP2) საზოგადოების "ჩართულობის სპექტრი"-ის სკალა და მიუსადაგა OGP-ის პროცესს.¹⁰ აღნიშნული სკალა აჩვენებს საზოგადოების გავლენის პოტენციურ დონეს სამოქმედო გეგმის შინაარსზე. OGP-ის სულისკვეთებით, მონაწილე ქვეყნა უნდა ეცადოს, რომ მიაღწიოს „თანამშრომლობის“ დონეს.

საზოგადოების ზეგავლენის დონე		სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში
გაძლიერება	მთავრობამ გადაწყვეტილებების მიღების უფლება საზოგადოების წევრებს გადასცა	
თანამშრომლობა	შედეგ მრავალჯერის დიალოგი და მოქალაქეებმა მონაწილეობა მიიღეს სამოქმედო გეგმის დღისწესრიგის შემუშავებაში.	
ჩართულობა	მთავრობამ საზოგადოებას მიაწოდა უკუკავშირი იმის შესახებ, თუ რა ფორმით გაითვალისწინა მოქალაქეთა მოსაზრებები.	✓
კონსულტირება	საზოგადოების წევრებს მიეცათ მოსაზრებების წარდგენის შესაძლებლობა.	
ინფორმირება	მთავრობამ საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია სამოქმედო გეგმის შესახებ	
კონსულტაციის გარეშე	კონსულტაცია არ ჩატარებულა	

მრავალმხრივი ფორუმი (MSF)

2012 წელს საქართველოს მთავრობამ შექმნა OGP-ის აქტივობების საკოორდინაციო მექანიზმი - ფორუმი.¹¹ 2014 წელს, იუსტიციის სამინისტრომ განახორციელა ფორუმის რეორგანიზაცია და ამჟამად ფორუმს ქვია ღია მმართველობის ფორუმი. ფორუმი დამტკიცებულია მთავრობის მიერ და წარმოადგენს სხვადასხვა დაინტერესებული მხარეებისაგან შემდგარ სტრუქტურას, რომელსაც თანათავმჯდომარეობენ მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები (ამჟამად საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო). მთავრობამ ასევე დაამტკიცა ფორუმის სახელმძღვანელო წესების დოკუმენტი.¹²

მეოთხე სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესის დასაწყისში, ღია მმართველობის ფორუმი შედგებოდა 111 წევრისაგან, რომლებიც წარმოადგენდნენ 55 ორგანიზაციას, მათ შორის საჯარო უწყებებს, ადგილობრივ თვითმმართველობებს, პარლამენტს, სასამართლო ხელისუფლებას, ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოებრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებს. ფორუმში წარმოდგენილია ცნობილი სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების საკითხებზე, მაგალითად ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI),

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო (TI- Georgia), ფონდი ღია საზოგადოება საქართველო (OSGF) და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA). აღსანიშნავია, რომ ფორუმში არ არიან წარმოდგენილები არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებსაც სამოქმედო გეგმის ფარგლებში გათვალისწინებული რიგი მიმართულებების შესახებ სპეციფიკური ცოდნა და გამოცდილება გააჩნიათ.

იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობის დროს, ფორუმში იკრიბებოდა თბილისში, იუსტიციის სამინისტროს შენობაში ორ თვეში ერთხელ.. მიუხედავად იმისა, რომ ფორუმს არ გააჩნია რეგულაცია წევრების გენდერული ბალანსის უზრუნველსაყოფად, ბალანსი მაინც არის დაცული. აქვე უნდა აღნიშნოს, რომ პირველი ორი სამოქმედო გეგმისაგან განსხვავებით, მესამე და მეოთხე სამოქმედო გეგმის შემუშავებისას განხორციელებული შეხვედრების ოქმები იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდზე არ არის ხელმისაწვდომი.

ფორუმის სახელმძღვანელო წესების დოკუმენტში¹³ არ არის დადგენილი ფორუმის მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ფორმალური პროცედურები. პრაქტიკაში, გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრე წევრების ხმათა უმრავლესობით. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენლის¹⁴ მოსაზრებით, ხმათა უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილებების სისტემა პრობლემურია, რადგან სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები ფორუმში მცირე რაოდენობით არიან წარმოდგენილები. შესაბამისად, თუ არასამთავრობო ორგანიზაციების უმრავლესობა არ უჭერს მხარს წარმოდგენილ სამოქმედო გეგმას, ფორუმს მაინც შეუძლია მიიღოს გეგმა, რადგან სამთავრობო უწყებების წარმომადგენლების რაოდენობა ბევრად აღემატება სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების რაოდენობას. მას შემდეგ, რაც OGP-ის კოორდინირება საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში გადავიდა, მან დადო პირობა, რომ განაახლებს სახელმძღვანელო პრინციპებსა და სამუშაო პროცედურებს და დახვეწს ფორუმის მიერ გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმს.¹⁵

სამოქალაქო საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ასევე აღნიშნეს, რომ სამთავრობო უწყებები ფორუმში წარმოდგენილი არიან ძირითადად საშუალო რგოლის საჯარო მოხელეების სახით, რომლებსაც არ აქვთ შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება.¹⁶ ეს კი თავის მხრივ ამცირებს ფორუმის გადაწყვეტილებების მასშტაბს, რადგან უმეტეს შემთხვევაში მთავრობის წარმომადგენლები თავიანთი უწყებების დონეზე ხელმძღვანელებთან კონსულტაციების გარეშე გადაწყვეტილებებს ვერ იღებდნენ. მაღალი რგოლის გადაწყვეტილების მიმღებთა პროცესში ჩართვის მექანიზმის არარსებობა, არა მხოლოდ პროცესის არაეფექტურობას განაპირობებს, არამედ ართულებს სამოქმედო გეგმაში ისეთი საკითხების შეტანას, რომლებიც მთავრობის მხრიდან მაღალი დონის პოლიტიკურ მხარდაჭერას საჭიროებს.

პარლამენტს თავის მხრივ აქვს ცალკე ფორუმი სახელწოდებით ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო. საბჭო შედგება 12 პარლამენტის წევრისგან. ასევე შექმნილია საბჭოსთან არსებული სხვადასხვა დაინტერესებული მხარისაგან შემდგარი საკონსულტაციო ჯგუფი, რომელიც შედგება საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების 17 წარმომადგენლისაგან.¹⁷ საკონსულტაციო ჯგუფი¹⁸ გასცემს რეკომენდაციებს და აფიქსირებს უკუკავშირის საპარლამენტო სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში და ასევე მონიტორინგს უწევს ღია პარლამენტის ვალდებულებების განხორციელებას. საკონსულტაციო ჯგუფში მონაწილეობა ღია სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის, თუმცა დაინტერესებულმა მხარეებმა საბჭოს წერილობით უნდა წარუდგინონ სამოტივაციო წერილი წინასწარ შემუშავებული ფორმით.¹⁹ საკონსულტაციო ჯგუფს აქვს სარეკომენდაციო ფუნქცია და

შეუძლია აქტიური მონაწილეობა მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.²⁰

საბჭოს წევრებისა და საკონსულტაციო ჯგუფის კვარტალური შეხვედრების შემდეგ, საბჭო პარლამენტის ვებ-გვერდზე რეგულარულად აქვეყნებს შეხვედრის ოქმებს, ანონს თუ სხვა სახის ინფორმაციას.²¹ ინფორმაციის რეგულარული განახლებით, პარლამენტი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს საქმის კურსი აყენებს OGP-ისთან დაკავშირებული აქტივობებისა და პროგრესის შესახებ და ხელს უწყობს პარლამენტსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის დისკუსიას.

სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში მონაწილეობა და ჩართულობა

საზოგადოების ზეგავლენის სპექტრის სკალის მიხედვით სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესმა საქართველოში მიაღწია დონეს „ჩართულობა“. აღნიშნული დონე წინა სამოქმედო გეგმების პროგრესზე დაბალია (წინა გეგმების ფარგლებში მიღწეული დონე შეესაბამებოდა „თანამშრომლობას“). მეოთხე სამოქმედო გეგმის შემუშავებისას OGP-ის ფორუმი წარმოადგენდა დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობისა და ჩართულობის უზრუნველყოფის მთავარ მექანიზმს. როგორც იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელმა აღნიშნა, პროცესში მონაწილეობა იყო სრულიად ღია და მთავრობა ყველა დაინტერესებულ მხარეს აძლევდა საშუალებას სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში ჩართულიყვნენ.²²

იუსტიციის სამინისტრომ, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს კარგი მმართველობის ინიციატივის (USAID GGI) მხარდაჭერით, მეოთხე სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით საკონსულტაციო შეხვედრები გამართა ქვეყნის მასშტაბით. 2018 წლის აპრილიდან მაისამდე 10 ქალაქში²³ ჩატარდა 13 საკონსულტაციო შეხვედრა, რომელსაც ჯამში 500-მდე ადამიანი ესწრებოდა. კონსულტაციებისას OGP-ის დელეგაციის ძირითადი წევრები იყვნენ იუსტიციის სამინისტრო, სამოქალაქო საზოგადოებრივი და დონორი ორგანიზაციები.²⁴ მიუხედავად იმისა, რომ დელეგაციის შემადგენლობა იცვლებოდა შეხვედრიდან შეხვედრამდე, სულ მცირე თითო მთავრობის და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი ესწრებოდა ყველა შეხვედრას.

დაგეგმილი შეხვედრების, ასევე OGP-ის შესახებ საბაზისო ინფორმაციის წინასწარ გავრცელება ხორციელდებოდა მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრების დახმარებით.²⁵ მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრებმა, ასევე ხელი შეუწყვეს ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, სამეცნიერო წრეების და სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობას საკონსულტაციო შეხვედრებში.²⁶ USAID GGI-ის წარმომადგენლების მიხედვით, დელეგატები ადგილობრივ მონაწილეებს მოუწოდებდნენ გამოეთქვათ აზრი და რეკომენდაციები ადგილობრივ დონეზე კარგი მმართველობის გაუმჯობესების შესახებ. აზრის დაფიქსირება მოქალაქეებს შეეძლოთ პირადი შეხვედრებისას, ელექტრონული ფოსტის ან იუსტიციის ვებ-გვერდზე ონლაინ ლინკის „OGP Idea“ მეშვეობით.²⁷ საქართველოს მთავრობისა და USAID GGI-ს ერთიანი ძალისხმევით გაიზარდა OGP-პროცესში ჩართული მუნიციპალიტეტების რაოდენობა და წინა სამოქმედო გეგმასთან შედარებით (5 მუნიციპალიტეტი) მიმდინარე სამოქმედო გეგმაში 11-ს მიაღწია.²⁸

ზოგადად, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა ხაზი გაუსვეს თანამონაწილეობის პროცესის რამდენიმე ნაკლოვანებას. მაგალითად, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სამდივნომ არ

წარუდგინა შემაჯამებელი ანგარიში იმ შეთავაზებებისა და იდეების შესახებ, რომლებიც გამოითქვა საჯარო კონსულტაციებისას. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ასევე აღნიშნეს, რომ იუსტიციის სამინისტრომ არ მიაწოდა მათ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელი ვალდებულებები აისახა (და საერთოდ აისახა თუ არა) ქვეყნის მასშტაბით გამართული კონსულტაციების შედეგად, საბოლოო სამოქმედო გეგმაში.²⁹ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის წარმომადგენლის (IDFI) მიხედვით, ვალდებულებები განიხილეს მხოლოდ იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკურ დეპარტამენტსა და პასუხისმგებელ უწყებებში. ვალდებულებების დოკუმენტის სამუშაო ვერსია სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს გააცნეს მხოლოდ 2018 წლის 29 ივნისს დაგეგმილ ფორუმამდე ერთი დღით ადრე, რის გამოც სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეზღუდული დრო ჰქონდათ ვალდებულებების დოკუმენტის სამუშაო ვერსიასთან დაკავშირებით რეკომენდაციების მოსამზადებლად.

მას შემდეგ რაც საქართველო OGP-ის წევრი გახდა, OGP-ის ფორუმი წარმოადგენს კონსულტირებისა და თანამონაწილეობის მნიშვნელოვან მექანიზმს. თუმცა, მეოთხე სამოქმედო გეგმის კონსულტაციების პროცესი, წინა სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესისგან განსხვავებით, სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან შეფასდა როგორც „განსხვავებული გამოცდილება“.³⁰ სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები არა მხოლოდ აკრიტიკებდნენ მეოთხე სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესს, არამედ ხაზს უსვამდნენ ასევე მთავრობის მხრიდან სამოქალაქო საზოგადოების შეთავაზებებისა და იდეების უგულებელყოფას. სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების მიხედვით, პროცესი „საკმაოდ დამაბული“ იყო და მთავრობას „არ ქონდა კომპრომისის სურვილი“.³¹

სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები ასევე აღნიშნავენ, რომ სამოქმედო გეგმა ნაკლებად ამბიციურია და ინოვაციური ვალდებულებებისა და ინიციატივების სიმწირით გამოირჩევა, რაც შესაფერისი იქნებოდა საქართველოს, როგორც OGP-ის თანათავმჯდომარე ქვეყნისათვის.³² 2018 წლის ივლისში, ფორუმის წევრმა სამოქალაქო საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა მიმართეს საქართველოს პრემიერ მინისტრს პროცესთან დაკავშირებულ გამოწვევებთან დაკავშირებით.³³ მოვლენების ამგვარი განვითარება დაემთხვა სამოქალაქო საზოგადოების მხარდ უკმაყოფილებას მთავრობის მიმართ. აღნიშნული გამოწვეული იყო ელიტური კორუფციული გარიგებების ახალი შემთხვევებით, რომლებიც ქვეყანაში არსებულ დემოკრატიული ინსტიტუტებს რისკის ქვეშ აყენებდა.³⁴ პრემიერ მინისტრისათვის გაგზავნილ საერთო წერილზე მთავრობის პასუხით გამოწვეული უკმაყოფილების ფონზე, სამოქალაქო საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ოფიციალურად დატოვეს ფორუმი და 2018 წლის ნოემბერში მოითხოვეს OGP-ის მყისიერი რეაგირების მექანიზმის გააქტიურება.³⁵ იუსტიციის სამინისტროსა და სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის საჯარო განცხადებების³⁶ გაცვლის შემდეგ, საქართველოს პრემიერ მინისტრმა წერილობით მიმართა OGP-ის სამდივნოს აღმასრულებელ დირექტორს დაპირებით, რომ OGP-ის მხარდაჭერის სტრუქტურულ ერთეულთან, პარლამენტთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით გადაიდგმებოდა კონკრეტული ნაბიჯები სამოქალაქო საზოგადოებასთან დიალოგის აღსადგენად.³⁷

სამოქმედო გეგმის შემუშავების შემჭიდროებული ვადების შესახებ მთავრობის არგუმენტაცია გახლდათ, რომ 2018 წლის 17-19 ივლისს OGP-ის გლობალური სამიტის მასპინძლობისა და საქართველოს OGP-ის თანათავმჯდომარე ქვეყნად არჩევის გამო, მთავრობისათვის მნიშვნელოვანი იყო სამოქმედო გეგმის სამიტის დაწყებამდე

გამოქვეყნება.³⁸ თუმცა, IDFI-ს წარმომადგენლის³⁹ განცხადებით დამტკიცებულ სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი საქართველოს ვალდებულებები საერთოდ არ იყო ამბიციური.

საბოლოოდ, პროცესის გასაძლიერებლად, მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ფორუმის სამდივნოს ფუნქციები გადასულიყო საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში და დაქვემდებარებოდა საქართველოს პრემიერ მინისტრს. სამოქალაქო საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა დადებითად შეაფასეს აღნიშნული ცვლილება, როგორც მთავრობის მხრიდან OGP-ის საკითხებზე უკეთესი თანამშრომლობისკენ წინგადადგმული ნაბიჯი.

როგორც საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელმა (GYLA) აღნიშნა, მთავრობა წინასწარ იყო განწყობილი სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინიციატივების უგულვებელსაყოფად. სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლის მიხედვით, მთავრობამ სიტყვიერი უარი განაცხადა ინიციატივების გათვალისწინებაზე და კომპრომისის მზაობა არ გამოუხატავს.⁴⁰ არასამთავრობო ორგანიზაციების რამდენიმე ინიციატივა გათვალისწინებული იქნა სამოქმედო გეგმაში ვალდებულებების სახით, მაგალითად ვალდებულება 10 (შინაგან საქმეთა სამინისტროს გამჭვირვალობის გაზრდა) და ვალდებულება 14 (საცხოვრისის პოლიტიკის დოკუმენტის და სამოქმედო გეგმის შემუშავება). თუმცა, მთავრობამ უარი თქვა IDFI-ს მიერ წამოყენებულ ყველა ინიციატივაზე. ღია საზოგადოება საქართველოს (OSGF) წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ მიერ შეთავაზებული ექვსი ვალდებულებიდან მთავრობამ უარი თქვა სამზე და აღნიშნული უარის შესახებ განმარტება სიტყვიერად ერთ-ერთი შეხვედრისას გააკეთა.⁴¹ გარდა ამისა, მთავრობამ უარი თქვა საერთო ინიციატივაზე, რომელიც გულისხმობდა დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სააგენტოს შექმნას და არ გაითვალისწინა, რომ აღნიშნულ ინიციატივას მხარს უჭერდა ფორუმის წევრი ყველა აქტიური სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაცია.⁴²

სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების აზრით, გამჭვირვალობის გაზრდისა და კორუფციასთან ბრძოლის საკითხი სახელმწიფო პრიორიტეტია და შესაბამისად საქართველოს, როგორც OGP-ის თანა-თავმჯდომარე ქვეყანას,⁴³ ახალი დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სააგენტოს შექმნით შეეძლო სამაგალითო გამხდარიყო კორუფციასთან ბრძოლის კუთხით. მთავრობამ უარი თქვა აღნიშნულ ინიციატივაზე, რადგან მისი მტკიცებით, მოქმედი ანტიკორუფციული სტრუქტურები კარგად ფუნქციონირებენ და არ არსებობს ახალი დამოუკიდებელი სააგენტოს შექმნის საჭიროება.⁴⁴ სამოქალაქო საზოგადოების მოთხოვნის საპასუხოდ, საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა სამოქმედო გეგმაში შეეტანა ვალდებულება, რომლის ფარგლებშიც დაიგეგმებოდა მხოლოდ არსებული ანტიკორუფციული ინსტიტუციების გაძლიერება (ვალდებულება 6). აღნიშნული განახორციელა კიდეც, მიუხედავად იმისა, რომ მას მხარი არ დაუჭირეს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა.

სამოქალაქო საზოგადოების მოსაზრებით, მთავრობამ უარყო სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყველა ძირითადი ინიციატივა და სამოქმედო გეგმა სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერის გარეშე დაამტკიცა. ამით მან არ გაითვალისწინა OGP-ის რეკომენდაციები და მოთხოვნები თანამონაწილეობითი პროცესის შესახებ.⁴⁵ გარდა ამისა, როგორც საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს წარმომადგენელმა აღნიშნა, მას შემდეგ, რაც სამოქალაქო საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ფორუმი დატოვეს, კომპრომისის მცდელობის ნაცვლად, ფორუმის ლეგიტიმაციის შენარჩუნების

მიზნით, მთავრობამ პროცესში სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართვაზე დაიწყო ზრუნვა.⁴⁶

ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი სამოქმედო გეგმის სხვა ვალდებულებებისაგან დამოუკიდებლად განხორციელდა. ღია მმართველობის მუდმივმოქმედმა საპარლამენტო საბჭომ და მისთან არსებულმა საკონსულტაციო ჯგუფმა უზრუნველყვეს პროცესის განმავლობაში აქტიური მონაწილეობა და ჩართულობა. ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს დებულებაში ნათლად არის გაწერილი ფორმალური პროცედურები.⁴⁷ საკონსულტაციო შეხვედრები ჩატარდა 2018 წლის მარტში და აპრილში, შვიდ მუნიციპალიტეტში⁴⁸ და მას ესწრებოდა ადგილობრივი თვითმმართველობის, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების, კერძო სექტორის,⁴⁹ აკადემიური სფეროს, ახალგაზრდებისა⁵⁰ და მედიის 300-ზე მეტი წარმომადგენელი. საკონსულტაციო შეხვედრებს ორგანიზება გაუწია საქართველოს პარლამენტმა ევროკავშირის, გაეროს განვითარების პროგრამისა და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მხარდაჭერით. კონსულტაციების შედეგების გათვალისწინებით, საქართველოს პარლამენტმა საკონსულტაციო ჯგუფთან ერთად შეიმუშავა სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია. საქართველოს პარლამენტმა აღნიშნული გეგმის დეტალური განხილვა განახორციელა 2018 წლის 13 და 14 აპრილს⁵¹ ბორჯომში ორდღიანი შეკრებისას, რომელიც ორგანიზებული იყო გეგმის დასრულების და დამტკიცების მიზნით.

ღია პარლამენტის საბოლოო სამოქმედო გეგმა მოიცავს ხუთ ვალდებულებას და 37 განხორციელების ეტაპს, რომელთაგან 4 მოქალაქეების მიერ არის ინიცირებული. დაინტერესებული მხარეების თანახმად, ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმა შემუშავდა მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე, რაც სრულ შესაბამისობაშია OGP-ის პრინციპებთან.

სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში თანამონაწილეობისა და ჩართულობასთან დაკავშირებული რეკომენდაციები

მეოთხე სამუშაო გეგმის შემუშავებისას საქართველომ წარმატებით ჩაატარა ცნობიერების ამაღლების კამპანია დაინტერესებული მხარეებისა და მოსახლეობისათვის. მაგალითად:

- იუსტიციის სამინისტრომ, USAID GGI-ის მხარდაჭერით, პროცესში ჩართო მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრები, დედაქალაქის გარეთ, რეგიონებში დაგეგმილი შეხვედრებისა და OGP-ის შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად.
- სამოქმედო გეგმების შემუშავების მიზნით, იუსტიციის სამინისტროსა და პარლამენტის მიერ ქვეყნის მასშტაბით განხორციელებული საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში, ღონისძიებები ჩატარდა 11 ქალაქში,⁵² რომლებშიც მონაწილეობდა 800-ზე მეტი ადამიანი.
- რეგიონული საინფორმაციო კამპანიისა და მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის შედეგად სამოქმედო გეგმაში ჩართული მუნიციპალიტეტების რაოდენობა, წინა სამოქმედო გეგმასთან შედარებით (5 მუნიციპალიტეტი) 11-ამდე გაიზარდა.

რამდენიმე მიმართულება, რომელთა შემდგომი გაუმჯობესებაც საქართველოს შეუძლია, შეეხება ღია მმართველობის ფორუმის მანდატს, მის შემადგენლობასა და სამოქმედო გეგმაზე მუშაობის პროცედურებს. აღნიშნული მიმართულებების გასაუმჯობესებლად IRM დამოუკიდებელი მკვლევარი რეკომენდაციას უწევს შემდეგ ნაბიჯებს:

- სასურველია, ღია მმართველობის ფორუმში ახალი წევრების მისაღებად საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ შეიმუშაოს ახალი გამჭვირვალე პროცედურები და ასახოს ფორუმის სახელმძღვანელო წესების დოკუმენტში.
- საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ გააძლიეროს ძალისხმევა სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირებისა და სამუშაო პროცესში მათი ჩართვის მიზნით. მხარეებს შორის მოიაზრება სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები, აკადემიური სფეროს წარმომადგენლები, კერძო სექტორი, ახალგაზრდები და რეგიონული ორგანიზაციები. ასევე მნიშვნელოვანია, მიზნობრივი და თემატური გამოცდილების მქონე არასამთავრობო ორგანიზაციების მოწვევა. აღნიშნული ხელს შეუწყობს სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში წარმოდგენილი მრავალმხრივი ხედვისა და ქვემოდან ზემოთ მიმართული (bottom-up) ინიციატივების ასახვას, ასევე თანამონაწილეობის არეალის გაფართოებას და ქვეყნის მასშტაბით OGP-ის შესახებ ცნობიერების ამაღლებას.
- ფორუმმა უზრუნველყოს თანამშრომლობა როგორც სამუშაო, ასევე წარმომადგენლობით დონეზე. ამის მიღწევა შესაძლებელია თემატური სამუშაო ჯგუფების შექმნით, რომლებიც თანხვედრაში იქნება OGP-ის მიერ განსაზღვრულ პოლიტიკის მიმართულებებთან. თემატური ჯგუფები ითანამშრომლებენ სხვადასხვა სამუშაო არხების საშუალებით და ფორუმის რეგულარულ შეხვედრებზე წარმოდგენილი იქნებიან მაღალი რანგის წარმომადგენლობით.
- სასურველია ფორუმმა დაადგინოს შეხვედრების და ოქმების წარმოების ფორმალური პროცედურები და ასახოს სახელმძღვანელო წესების დოკუმენტში. ფორმალური წესების არსებობა ხელს შეუწყობს სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და განხორციელებისათვის თვლყურის დევნების პროცესის გამართვას.
- ფორუმმა შეიმუშაოს სამოქმედო გეგმის მისაღებად საჭირო ხმის მიცემის ფორმალური წესი და ასახოს სახელმძღვანელო წესების დოკუმენტში. აღნიშნული უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის მიმართ მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერას.
- სასურველია ფორუმმა შეიმუშაოს ინფორმაციის გავრცელების სახელმძღვანელო დოკუმენტი, სადაც გაწერილი იქნება სამუშაო გეგმის შემუშავების პროცესში არსებული მნიშვნელოვანი ეტაპების, ინიციატივების, დედლაინების, საკონსულტაციო შეხვედრების, და პროცედურების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების წესები. სახელმძღვანელოში, შესაძლებელია ასევე, განსაზღვრული იყოს სამოქმედო გეგმის პროგრესის, ვალდებულებების სამუშაო ვერსიებისა და შეხვედრების ოქმების გამოქვეყნების სახელმძღვანელო პრინციპები. გარდა ამისა, სახელმძღვანელო დოკუმენტში შესაძლოა გაწერილი იყოს პროცესში სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოქალაქეების თანამონაწილეობის მიმოხილვითი დოკუმენტების და მთავრობის რეაგირების გასაჯაროების წესები.
- მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა და მისცეს მათ შესაძლებლობა, განსაზღვრონ OGP-ის დღის წესრიგის თემატური მიმართულებები, მოახდინონ პრობლემებისა და პრიორიტეტების იდენტიფიცირება და კონკრეტული ვალდებულებების ინიცირება.

- მნიშვნელოვანია, მთავრობის ადმინისტრაციამ გამოაქვეყნოს სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია, რომ მოქალაქეებმა შეძლონ კომენტარების, მოსაზრებებისა და უკუკავშირის გაზიარება.
- მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ შექმნას ღია მმართველობის პარტნიორობის ერთიანი ელექტრონული მონაცემთა არქივი, სადაც თავმოყრილი იქნება ინფორმაცია ცენტრალური ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტების ინიციატივებისა და აქტივობების შესახებ. ეს ინფორმაცია იქნება რეგულარულად განახლებადი, ადვილად ხელმისაწვდომი და მომხმარებელზე ორიენტირებული ინტერფეისით უზრუნველყოფილი. აღსანიშნავია, რომ მოცემული ანგარიშის წერის პერიოდში, მთავრობის ადმინისტრაცია მუშაობდა აღნიშნული ონლაინ პლატფორმის შექმნის საკითხებზე.
- სასურველია, მთავრობის ადმინისტრაციამ შეიმუშავოს ღია მმართველობის პარტნიორობის კომუნიკაციის სტრატეგია და აწარმოოს ცნობიერების ამაღლების ფართომასშტაბიანი კამპანია ქვეყნის მასშტაბით, რაც ხელს შეუწყობს ზოგადად OGP-ის და მის ფარგლებში განხორციელებული წინა და მიმდინარე გეგმებით გათვალისწინებული ვალდებულების შესახებ ინფორმირებულობის ზრდას. ამისათვის, მთავრობის ადმინისტრაციას შეუძლია გადახედოს OGP კომუნიკაციის სტრატეგიას, რომელიც 2017 წელს მომზადდა USAID GGI-ის მხარდაჭერით.

¹ ღია მმართველობის ინიციატივა, “საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა 2018–2019,”

<https://bit.ly/2XLXiju>.

² ქეთევან ცანავა, უფროსი მრჩეველი საჯარო პოლიტიკის საკითხებში, პოლიტიკის ანალიზის სტრატეგიული დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტი, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, ნინო სარიშვილი, პოლიტიკის ანალიზის სტრატეგიული დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, აპრილი 2019.

³ ღია მმართველობის პარტნიორობა, *IRM: საქართველოს წინსვლის ანგარიში 2016–2017*,

<https://bit.ly/2XKZWpP>.

⁴ საქართველოს პარლამენტი, “დეკლარაცია ღია პარლამენტის შესახებ,” ივლისი 2019, <https://bit.ly/2Iwlls2>

⁵ საქართველოს პარლამენტი, “პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანება ინტერფრაქციული ჯგუფის შექმნის შესახებ და ცვლილებები, მუხლი 283),” <https://bit.ly/2IPZt0D>.

⁶ საქართველოს პარლამენტი, “ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს დებულება (28.05.2018 №121/3),” <https://bit.ly/2PgLrdh>.

⁷ ღია მმართველობის ინიციატივა, “საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა 2018–2019,”

<https://bit.ly/2JNE87P>.

⁸ საქართველოს პარლამენტი, “ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს დებულება (28.05.2018 №121/3),” <https://bit.ly/2PgLrdh>.

⁹ პროცესის წინააღმდეგ მოქმედება = 1) მთავრობამ ვერ უზრუნველყო სამოქმედო გეგმის შემუშავებაში მოქალაქეთა „ჩართულობა“ ან სამოქმედო გეგმის შემუშავების თუ განხორციელების პროცესში მათი „ინფორმირება“, და (2) მთავრობამ ვერ შეძლო IRM-ის მითითებების შესაბამისად ინფორმაციის შეგროვება, გამოქვეყნება, და დაარქივება OGP-ის ადგილობრივ ვებგვერდზე..

¹⁰ “IAP2’s საზოგადოების ჩართულობის სპექტრი,” IAP2, 2014, <https://bit.ly/2WhwyIE>.

¹¹ ღია მმართველობის ინიციატივა, *IRM საქართველოს წინსვლის ანგარიში 2016–2017*, <https://bit.ly/2XKZWpP>.

¹² იუსტიციის სამინისტრო, ღია მმართველობა საქართველოს ფორუმი, *ფორუმის სახელმძღვანელო წესები*, <http://bit.ly/1xnGePV>.

¹³ იუსტიციის სამინისტრო, ღია მმართველობა საქართველოს ფორუმი, *ფორუმის სახელმძღვანელო წესები*, <http://bit.ly/1xnGePV>.

¹⁴ სადარაძე, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, მაისი 2019

¹⁵ ქეთევან ცანავა, უფროსი მრჩეველი საჯარო პოლიტიკის საკითხებში, პოლიტიკის ანალიზის სტრატეგიული დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტი, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, ნინო სარიშვილი, პოლიტიკის ანალიზის სტრატეგიული დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსი, , ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, აპრილი 2019.

¹⁶ ანაო ცინცაძე, მონაწილეობითი დემოკრატიის პროგრამა, პროექტის კოორდინატორი, ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 15 მაისი 2019.

¹⁷ საქართველოს პარლამენტი, “საბჭოსთან არსებული საკონსულტაციო ჯგუფი,” 17 ივლისი 2019, <https://bit.ly/39yPGaV>

¹⁸ საქართველოს პარლამენტი, “ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს დებულება (28.05.2018 №121/3),” <https://bit.ly/2PgLrdh>.

¹⁹ საქართველოს პარლამენტი, “ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს დებულება (28.05.2018 №121/3),” <https://bit.ly/2PgLrdh>.

²⁰ ირინა ფრუიძე, ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თავმჯდომარე, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 22 აპრილი 2019.

²¹ საქართველოს პარლამენტი, “საბჭოს სხდომები” (ხელმისაწვდომია ქართულად), <https://bit.ly/2IPa4Jj>.

²² ზურაბ სანიკიძე, ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი, იუსტიციის სამინისტრო, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 3 მაისი 2019.

²³ თბილისი, მცხეთა, რუსთავი, თელავი, გორი, ახალციხე, ბათუმი, ოზურგეთი, ზუგდიდი და ქუთაისი.

²⁴ იუსტიციის სამინისტრო, მონაცემთა გაცვლის სააგენტო, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, IDFI, GYLA, TI-საქართველო, რუსთვის მერია, USAID, და USAID GGI.

²⁵ დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი, <http://cce.ge/>.

²⁶ მარიამ გორგაძე, პროექტის ხელმძღვანელის მოადგილე და მიხეილ დარჩიაშვილი, სახელმწიფო მართვის პროგრამის მენეჯერი, USAID-ის პროექტი დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველო, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 14 მაისი 2019.

²⁷ თბილისი, მცხეთა, რუსთავი, თელავი, გორი, ახალციხე, ბათუმი, ოზურგეთი, ზუგდიდი, და ქუთაისი

²⁸ მარიამ გორგაძე, პროექტის ხელმძღვანელის მოადგილე და მიხეილ დარჩიაშვილი, სახელმწიფო მართვის პროგრამის მენეჯერი, USAID-ის პროექტი დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველო, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 14 მაისი 2019.

²⁹ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), “IDFI-ის მოსაზრებები ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) 2018-2019 წლების ეროვნულ სამოქმედო გეგმაზე,” <https://bit.ly/2PZ0J5g>

³⁰ ღია მმართველობა საქართველო, *IRM საქართველოს საბოლოო ანგარიში 2016-2018*, <https://bit.ly/2XN8Oix>.

³¹ სალომე საღარაძე, პროექტის კოორდინატორი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 17 მაისი 2019.

³² IDFI, “IDFI-ის მოსაზრებები ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) 2018-2019 წლების ეროვნულ სამოქმედო გეგმაზე,” <https://bit.ly/2PZ0J5g>

³³ მრავალმხრივი ფორუმის წევრი არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება, რომელიც ხელმისაწვდომია IDFI-ის ვებ-გვერდზე: “ღია მმართველობა საქართველო” ფორუმში მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართვა საქართველოს პრემიერ მინისტრს”, 13 ივლისი 2018, <https://bit.ly/2IsTrTh>

³⁴ საქართველოში, ძირითადი არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება: საერთაშორისო გამჭვირვალობა- საქართველო, “არაფორმალური მმართველობამ დემოკრატიული ინსტიტუტების კრიზისი გამოიწვია,” 1 ოქტომბერი 2018, <https://bit.ly/337B7c0>

³⁵ *ფორუმის წევრი სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოთხოვნა OGP- ის მყისიერი რეაგირების მექანიზმის გააქტიურების შესახებ*, 1 ნოემბერი 2018, <https://bit.ly/2M5uGzN>.

³⁶ *საქართველოს მთავრობის საპასუხო წერილი ფორუმის წევრი სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებს OGP-ის მყისიერი რეაგირების მექანიზმების გააქტიურების შესახებ*, 8 ნოემბერი 2018, <https://bit.ly/2O38qsN>. საზოგადოებრივი ორგანიზაციების საპასუხო წერილი მთავრობას, თარიღით- 12 ნოემბერი 2018, ხელმისაწვდომია <https://bit.ly/2LVCuDX>.

³⁷ მთავრობის საპასუხო წერილი, თარიღით 20 ნოემბერი 2019, ხელმისაწვდომია <https://bit.ly/2xN86DA>.

³⁸ ზურაბ სანიკიძე, ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი, იუსტიციის სამინისტრო, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 3 მაისი 2019

³⁹ საბა ბუაძე, ანტი-კორუფციული მიმართულების ყოფილი ხელმძღვანელი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 22 მაისი 2019.

⁴⁰ სალომე საღარაძე, პროექტის კოორდინატორი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 17 მაისი 2019.

⁴¹ ანაო ცინცაძე, მონაწილეობითი დემოკრატიის პროგრამა, პროექტის კოორდინატორი, ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 15 მაისი 2019.

⁴² IDFI, “IDFI-ის მოსაზრებები ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) 2018-2019 წლების ეროვნულ სამოქმედო გეგმაზე,” 13 ივლისი 2018, <https://bit.ly/2uukwOt>.

⁴³ ღია მმართველობის პარტნიორობა, “Georgia and Mukelani Dimba Co-chair Vision for the Open Government Partnership, October 2017–October, 2018,” 18 ივლისი 2018, <https://bit.ly/36Yyycl>

⁴⁴ ზურაბ სანიკიძე, ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი, იუსტიციის სამინისტრო, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 3 მაისი 2019.

⁴⁵ ფორუმის წევრი სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოთხოვნა OGP-ის მცხდარი რეაგირების მექანიზმის გააქტიურების შესახებ, 1 ნოემბერი 2018, <https://bit.ly/2M5uGzN>.

⁴⁶ გიორგი ონიანი, აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 30 მაისი 2019.

⁴⁷ საქართველოს პარლამენტი, “ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს დებულება (28.05.2018 №121/3),” <https://bit.ly/2PgLrdh>

⁴⁸ თელავი, რუსთავი, მარნეული, ახალციხე, ქუთაისი, ბათუმი და თბილისი.

⁴⁹ IDFI, “პარლამენტის და კერძო სექტორის წარმომადგენლებმა ღია პარლამენტის ახალ სამოქმედო გეგმაზე იმსჯელეს“ ივლისი 2019, <https://bit.ly/2wH2Fc8>

⁵⁰ IDFI, “შეხვედრა სტუდენტებთან ღია მმართველობის საკითხებზე,” 10 მაისი 2018, <https://bit.ly/2Z5Rlzs>.

⁵¹ IDFI, “მოქალაქეთა ჩართულობა საპარლამენტო დიალოგში: დასრულდა 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავების საინფორმაციო კამპანია,” 20 აპრილი 2018, <https://bit.ly/2jt2VSa>.

⁵² ზემოთ აღნიშნული ქალაქები: მცხეთა, გორი, ოზურგეთი, ზუგდიდი, თელავი, რუსთავი, მარნეული, ახალციხე, ქუთაისი, ბათუმი და თბილისი.

IV. ვალდებულებები

OGP-ის მონაწილე ქვეყნები შეიმუშავენ სამოქმედო გეგმებს, რომლებიც მოიცავს კონკრეტულ ვალდებულებებს და რომელთა განხორციელებაც განსაზღვრულია ორი წლის ვადაში. მთავრობები OGP-ის სამოქმედო გეგმაზე მუშაობას იწყებენ ღია მმართველობასთან დაკავშირებული არსებული ძალისხმევის - მიმდინარე პროექტებისა თუ სპეციფიკური სტრატეგიების გაზიარებით.

ვალდებულებები უნდა ეხმიანებოდეს კონკრეტულ ქვეყანაში ან თვითმმართველ ერთეულში არსებულ მდგომარეობას და გამოწვევებს. ვალდებულებები ასევე შესაბამისობაში უნდა იყოს OGP-ის ღირებულებებთან, რომლებიც ასახულია OGP-ის მმართველობის შესახებ მუხლებში და ღია მმართველობის დეკლარაციაში, რომლებსაც OGP-ის წევრი ყველა ქვეყანა აწერს ხელს.¹ IRM-ის მიერ გამოყენებული ინდიკატორები და მეთოდი იხილეთ IRM-ის პროცედურულ სახელმძღვანელოში.² IRM-ის მიერ გამოყენებული მთავარი ინდიკატორების მიმოხილვის ნახვა შეგიძლიათ დაბლა:

- **კონკრეტულობა:**
 - არ არის საკმარისად კონკრეტული, რომ შეფასდეს: არის თუ არა ვალდებულების ტექსტში ვალდებულების მიზნები და სამიზნე ნიშნულები სათანადოდ მკაფიო და კონკრეტული, რათა მათი განხორციელება ობიექტურად შეფასდეს?
 - საკმარისად კონკრეტულია, რომ შეფასდეს: არის თუ არა ვალდებულების ტექსტში ვალდებულების მიზნები და შეთავაზებული ღონისძიებები სათანადოდ მკაფიო და კონკრეტული, რათა მათი განხორციელება ობიექტურად შეფასდეს?
- **შესაბამისობა:** აღნიშნული ცვლადი აფასებს ვალდებულების შესაბამისობას OGP-ის ღირებულებებთან შესაბამისობას. ვალდებულების ტექსტზე დაყრდნობით შესაბამისობის დასადგენად კვლევა ხელმძღვანელობს შემდეგი კითხვებით:
 - **ინფორმაციის ხელმისაწვდომობა:** გაასაჯაროებს თუ არა მთავრობა მეტ ინფორმაციას ან გააუმჯობესებს თუ არა საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის ხარისხს?
 - **მოქალაქეთა ჩართულობა:** შექმნის ან გააუმჯობესებს თუ არა მთავრობა მოქალაქეთა შესაძლებლობებს, რომ მათ უკეთ შეძლონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა და პოლიტიკაზე ზეგავლენა?
 - **ანგარიშვალდებულება:** შექმნის ან გააუმჯობესებს თუ არა მთავრობა გადაწყვეტილების მიმღები პირების ანგარიშვალდებულებას და საზოგადოების წინაშე მათ პასუხისმგებლობას?
 - **ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის:** გამოიყენება თუ არა ტექნოლოგიური ინოვაციები OGP-ის 3 ზემოაღნიშნული ღირებულებიდან ერთ-ერთისთვის გამჭვირვალობის ან ანგარიშვალდებულების გასაუმჯობესებლად?
- **პოტენციური შედეგი:** აღნიშნული ცვლადი აფასებს სრულად შესრულების შემთხვევაში მის პოტენციურ გავლენას. IRM დამოუკიდებელი მკვლევარი ეყრდნობა ვალდებულებების ტექსტს სამოქმედო გეგმიდან, რათა:
 - გამოავლინოს სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, ან გარემოსდაცვითი პრობლემა;
 - დაადგინოს სამოქმედო გეგმის საწყის ეტაპზე არსებული მდგომარეობა (status quo); და

- განსაზღვროს ვალდებულების განხორციელებით გამოწვეული გავლენის ხარისხი; მოხდენს თუ არა ვალდებულების შესრულება გავლენას მოცემულ პრობლემაზე?
- **შესრულება:** ეს ცვლადი აფასებს ვალდებულების წინსვლასა და შესრულებას. ცვლადი ფასდება სამოქმედო გეგმის დასრულებისას, IRM-ის განხორციელების ანგარიშში.
- **გააუმჯობესა მთავრობის ღიაობა?** აღნიშნული ცვლადის მიზანია, გასცდეს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ შედეგებს და გაანალიზოს, ვალდებულების შესრულების შემდეგ როგორ შეიცვალა OGP-ის ღირებულებების მიმართ მთავრობის ქმედებები და პრაქტიკა. ცვლადი ფასდება სამოქმედო გეგმის დასასრულს, IRM განხორციელების ანგარიშში.

რას ნიშნავს პოტენციურად ვარსკვლავური ვალდებულება?

პოტენციურად „ვარსკვლავურ ვალდებულებას“ მეტი ამბიცია და განხორციელების პოტენციალი აქვს. კარგია ის ვალდებულება, რომელიც მკაფიოდ წარმოაჩენს:

1. **პრობლემას:** რაში მდგომარეობს ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, ან გარემოსდაცვითი პრობლემა? (ადმინისტრაციული პრობლემის განხილვის ნაცვლად) (მაგალითად, „სოციალური დახმარებისთვის განსაზღვრული ფინანსების არაეფექტიანი გამოყენება“ უფრო მისაღებია, ვიდრე „ვებგვერდის არარსებობა“).
2. **არსებულ მდგომარეობას:** სამოქმედო გეგმის დაწყებისას პოლიტიკის რა პრობლემა გამოიკვეთა? (მაგალითად, „სასამართლოში არსებული კორუფციის შესახებ საჩივრების 26%-ის განხილვა ამჟამად არ მიმდინარეობს.“).
3. **ცვლილებას:** რა სახის ცვლილებაზეა ვალდებულების შესრულება მიმართული? (მაგალითად, „გაორმაგდეს დაკმაყოფილებული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების რაოდენობა“ უფრო ძლიერი მიზანია, ვიდრე „პასუხისთვის ოქმის გამოქვეყნება“).

ვარსკვლავური ვალდებულება

ერთ-ერთ ინდიკატორს – „ვარსკვლავურ ვალდებულებას“ (★) – სპეციალური განმარტება სჭირდება, რადგან ის მკითხველისთვის განსაკუთრებით საინტერესოა, OGP-ის მონაწილე ქვეყნებს კი სტიმულს აძლევს, შეეჯიბრონ ერთმანეთს. „ვარსკვლავური ვალდებულება“ OGP-ის სამაგალითო ვალდებულებას ნიშნავს. ვარსკვლავის მისაღებად ვალდებულებამ რამდენიმე კრიტერიუმი უნდა დააკმაყოფილოს:

- პოტენციური ვარსკვლავი: ვალდებულება შეფასებას უნდა ექვემდებარებოდეს, უნდა ჰქონდეს კავშირი OGP-ის ღირებულებებთან და მისი პოტენციური შედეგი „ტრანსფორმაციული“ უნდა იყოს.
- მთავრობამ ვალდებულება სამოქმედო გეგმის განხორციელების პერიოდში მეტწილად უნდა შეასრულოს და იგი უნდა შეფასდეს, როგორც „არსებითად“ ან „სრულად“ შესრულებული.

აღნიშნული ცვლადი ფასდება სამოქმედო გეგმის დასრულებისას, IRM-ის განხორციელების ანგარიშში.

ვალდებულებების ზოგადი აღწერა

საქართველოს 2018-2019 წლების მეოთხე სამოქმედო გეგმა მოიცავს 28 ვალდებულებას, რომლებიც შემუშავებულია აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების მიერ. სამოქმედო გეგმა აერთიანებს ცენტრალური სამთავრობო უწყებების 15 და 8 მუნიციპალურ ვალდებულებას თერთმეტი თვითმმართველობის ჩართულობით. ვალდებულებები ფოკუსირებულია ხუთ მნიშვნელოვანი მიმართულებით: 1) საჯარო სერვისების გაუმჯობესება, 2) საჯარო კეთილსინდისიერების გაზრდა 3) სამოქალაქო რესურსების უკეთესი მართვა, 4) უსაფრთხო საზოგადოების ჩამოყალიბება და 5) კორპორატიული ანგარიშვალდებულების გაზრდა. ღია პარლამენტის ვალდებულებები პასუხობს ორ გამოწვევის, ესენია 1) საჯარო სერვისების გაუმჯობესება და 2) მოქალაქეთა ჩართულობის გაუმჯობესება.

მეოთხე სამოქმედო გეგმის ქართულ და ინგლისურ ვერსიებში, რამდენიმე ვალდებულების დაწყებისა და დასრულების განსხვავებული თარიღებია მითითებული. წინამდებარე ანგარიშში, გამოყენებულია სამოქმედო გეგმის ინგლისურ ვერსიაში მითითებული თარიღები.

¹ ღია მმართველობის პარტნიორობა, “ღია მმართველობის პარტნიორობა: მმართველობის შესახებ მუხლები,” ივნისი 2012 (განახლებულია 2014 წლის მარტსა და 2015 წლის აპრილში): <https://bit.ly/2Tx219L>

² “დამოუკიდებელი ანგარიშგების მექანიზმის (IRM) პროცედურული სახელმძღვანელო,” OGP, <https://bit.ly/3aG2ZGO>

I მიმართულება: საჯარო სერვისების გაუმჯობესება

I. გაუმჯობესებული საჯარო სერვისები ყველასათვის

ვალდებულების ტექსტი სამოქმედო გეგმაში:

სსიპ – იუსტიციის სახლის (იუსტიციის სახლი) მიზანია სახელმწიფო სერვისებზე მოქალაქეთა ხელმისაწვდომობის გაზრდა და გამარტივება. იუსტიციის სახლი საქართველოში სახელმწიფო სერვისების ყველაზე დიდი მიმწოდებელია, ამდენად, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ყოველწლიურად, მისი მომსახურებით ასობით შშმ პირი სარგებლობს. მიუხედავად იმისა, რომ გაუმჯობესებულია შშმ პირებისთვის მომსახურების მიწოდების ხარისხი, ამ პროცესში მათ კვლავაც უწევთ გარკვეულ გამოწვევებთან გამკლავება.

იმისათვის, რომ არსებული გამოწვევები გადავლახოთ, აუცილებელია:

- იუსტიციის სახლის თანამშრომელთათვის შემუშავდეს შშმ პირთა მომსახურებასთან დაკავშირებით მკაფიო პროცედურები;
- გაუმჯობესდეს იუსტიციის სახლის თანამშრომლების უნარები და კომპეტენციები.

წინამდებარე გეგმის ფარგლებში, შშმ პირების ჩართულობით და უშუალო მონაწილეობით, შემუშავდება შშმ პირთა მომსახურების ხარისხის სტანდარტი, ჟესტების ენის სახელმძღვანელო.

ამ ვალდებულების განხორციელების გზით, იუსტიციის სახლი გახდება საქართველოში პირველი საჯარო დაწესებულება, რომელიც დანერგავს შშმ პირების მომსახურების სტანდარტს.

აღსანიშნავია, რომ ჟესტების ენაზე არ არსებობს იმ სპეციფიკური ტერმინოლოგიის შესატყვისი აღნიშვნები, რაც სახელმწიფო სტრუქტურების მიერ საჯარო სერვისების მიწოდებისას გამოიყენება. დამატებით, სტანდარტების და სახელმძღვანელოების არარსებობა განაპირობებს საჯარო სერვისების მიმწოდებელი პერსონალის დაბალ კომპეტენციას, რაც შშმ პირებისთვის მნიშვნელოვანი ბარიერია.

განხორციელების ეტაპები:

1. საჭიროებების კვლევა (შშმ პირთა უშუალო მონაწილეობით ფოკუს-ჯგუფებისა და მრგვალი მაგიდის ფორმატში);
2. შშმ პირთა მომსახურების სტანდარტის სახელმძღვანელოს შემუშავება
3. (1) შშმ პირებისთვის სერვისების მიწოდების პროცესში მათ საჭიროებებზე მორგებული ტრენინგ მოდულის შემუშავება; (2) ტრენერთა ტრენინგებისა და სხვა ტრენინგების ჩატარება იუსტიციის სახლის თანამშრომელთათვის;
4. ჟესტების ენაზე საჯარო დაწესებულებებთან კომუნიკაციისათვის აუცილებელი ტერმინოლოგიის შექმნა და შშმ პირებისა და იუსტიციის სახლის თანამშრომლებისათვის სახელმძღვანელოს შემუშავება
5. თანამშრომელთა გადამზადება ჟესტების ენის შესწავლის მიზნით
6. მოსახლეობის, განსაკუთრებით შშმ პირებისა და მათი ოჯახის წევრების ცნობიერების ამაღლება იუსტიციის სახლში არსებული შშმ პირთათვის ადაპტირებული სერვისების შესახებ

დაწყების თარიღი: ივნისი, 2018

დასრულების თარიღი: დეკემბერი, 2018

შენიშვნა: ზემოთმოყვანილი ტექსტი არის ამონარიდი თბილისის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმიდან. სრულ ტექსტში მოცემულია დეტალური ტექნიკური ინფორმაცია ვალდებულების შესრულების შესახებ. ვალდებულება სრული სახით შეგიძლიათ იხილოთ: <https://www.opengovpartnership.org/documents/georgia-action-plan-2018-2019/>

ვალდებულების მიმოხილვა	კონკრეტულობა		OGP -ის ღირებულებებთან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				შესრულება				გახსნა ამაწ მთავრობა?				
	შესაფასებლად არ არის საკმარისად კონკრეტული	შესაფასებლად საკმარისად კონკრეტულია	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშგაუქმებულებ	ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშგაუქმებულებისათვის	არცერთი	შეზღუდული	არსებითი	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	ნაწილობრივ	მეტწილად	სრულად	გააუარესა	არ შეცვლილა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი ცვლილება	გამორჩეული
I. გაუმჯობესებული საჯარო სერვისები ყველასათვის		✓		✓				✓			შეფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის დასასრულს				შეფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის დასასრულს				

კონტექსტი და მიზნები

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირები, განსაკუთრებით უსინათლო და მხედველობის დარღვევის ან ყრუ და სმენადაქვეითებული მოქალაქეები საქართველოში ხშირად აწყდებიან პრობლემებს საჯარო სერვისების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. სამოქალაქო საზოგადოების ანგარიშების თანახმად, საჯარო სივრცეები, სამთავრობო შენობები, და საზოგადოებრივი ტრანსპორტი ხშირ შემთხვევაში არ არის შშმ პირების საჭიროებებთან ადაპტირებული.¹ უფრო მეტიც, ინფორმაცია არსებული სერვისების შესახებ შშმ პირთათვის შეზღუდულია.^{2 3}

მოცემული ვალდებულება აგრძელებს საქართველოს 2016-2017 სამოქმედო გეგმის პირველი ვალდებულების მიზანს, რომელიც ითვალისწინებდა თბილისის იუსტიციის სახლში სპეციალური ნავიგაციის სისტემის დანერგვას და შენობების ტაქტილური ბილიკებითა და ბრაილის რუკებით აღჭურვას.⁴ მიმდინარე ვალდებულება კი გულისხმობს შშმ პირების ჩართულობითა და ფოკუს ჯგუფების დახმარებით, ქსეების ენაზე სერვისებთან დაკავშირებული სპეციფიკური ტერმინოლოგიის და შესაბამისი სახელმძღვანელო სტანდარტის შემუშავებას, რაც გააუმჯობესებს იუსტიციის სახლის სერვისების ხელმისაწვდომობას შშმ პირებისთვის. ვალდებულებაში ასევე გათვალისწინებულია იუსტიციის სახლის თანამშრომელთა გადამზადება შესაბამისი ახალი სტანდარტის შესაბამისად. ვალდებულების მიზანია, ხელი შეუწყოს მომსახურების მიწოდების ხარისხის ზრდას და შშმ პირთა და მათი ოჯახის წევრთა ინფორმირებას და ცნობიერების ამაღლებას არსებული ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ.

განხორციელების I ეტაპის ფარგლებში სერვისების გაუმჯობესებისათვის საჭირო ინფორმაციის მოგროვების მიზნით მთავრობამ ფოკუს ჯგუფებისა და მრგვალი მაგიდის ფორმატში დისკუსიების მეშვეობით უნდა უზრუნველყოს საჭიროებების კვლევა. აღნიშნული განაპირობებს ვალდებულების შესაბამისობას OGP-ს მოქალაქეთა ჩართულობის ღირებულებასთან. განხორციელების ეტაპები არის კონკრეტული. დაგეგმილი აქტივობებისთვის განსაზღვრულია სპეციფიკური ინდიკატორები, როგორებიცაა ჩასატარებელი ფოკუს ჯგუფებისა და გადასამზადებელი თანამშრომლების რაოდენობა.

ვალდებულების სრულად განხორციელებამ შესაძლოა ხელი შეუწყოს შშმ პირებზე ადაპტირებული მომსახურების ხარისხის სტანდარტი შექმნას. ვალდებულების ფარგლებში შემუშავდება ჟესტების ენის სახელმძღვანელო და გაუმჯობესდება იუსტიციის სახლის თანამშრომელთა შშმ პირების მომსახურებისათვის საჭირო უნარ-ჩვევები. გამოვითხული სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები და ფოკუს ჯგუფის მონაწილეები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ზემოაღნიშნული აქტივობები გააუმჯობესებს სერვისებზე ხელმისაწვდომობის არსებულ სტანდარტს. მაგალითად, საქართველოში შშმ პირებთან დაკავშირებულ საკითხებზე მომუშავე წამყვანი არასამთავრობო ორგანიზაციის "ანიკა" წარმომადგენელთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ვალდებულების შესრულება დაეხმარება შშმ პირებს საჯარო სერვისებით ისარგებლონ დამოუკიდებლად,⁵ რაც მეტად მნიშვნელოვანია მათი საზოგადოებაში ინტეგრირებისათვის.⁶

იუსტიციის სახლი, ქვეყნის მასშტაბით 22 ფილიალში ახორციელებს 400 ტიპის საჯარო და კერძო მომსახურებას. ვალდებულების სრულად განხორციელების შემთხვევაში, იუსტიციის სახლი გახდება პირველი საჯარო უწყება საქართველოში, რომელიც შეიმუშავებს და ქვეყნის მასშტაბით ფილიალებში დანერგავს შშმ პირებზე მორგებულ მომსახურების მეთოდოლოგიას.⁷ სამოქმედო გეგმის თანახმად, საქართველოში არ არსებობს შშმ პირების საჭიროებებზე მორგებული მომსახურების უნიფიცირებული სტანდარტი. შესაბამისად, იუსტიციის სახლის ძალისხმევა ამ მიმართულებით, შეიძლება გახდეს სამაგალითო სერვისების განმახორციელებელი სხვა საჯარო უწყებებისათვის. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ სამოქმედო გეგმაში არ არის დაკონკრეტებული შესაძლებელია თუ არა, რომ იუსტიციის სახლის აქტივობები გავრცელდეს და აისახოს მომსახურების სფეროს პოლიტიკასა თუ სხვადასხვა პროგრამებზე სახელმწიფო დონეზე. შესაბამისად, ვალდებულების შედეგი შეიძლება განვიხილოთ როგორც პოტენციურად მცირე.

შემდგომი ნაბიჯები

იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა გააგრძელებს ვალდებულებას შემდგომი სამოქმედო გეგმის ფარგლებში, IRM დამოუკიდებელი მკვლევარი იძლევა რეკომენდაციას, რომ მოხდეს საჭიროებების უფრო ფართომასშტაბიანი კვლევა, რაც გააძლიერებს OGP-ის ღირებულებებთან შესაბამისობას. სასურველია, რომ კვლევა მოიცავდეს რაოდენობრივ მონაცემებსაც და მოიცვას ყველა შესაბამისი დაინტერესებულ მხარე, როგორც თავად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, ასევე მათი ოჯახის წევრებიც. კვლევა ხელს შეუწყობს სერვისების უზრუნველყოფის პროცესის უკეთ დაგეგმვასა და პრიორიტეტების განსაზღვრას; წვლილს შეიტანს შშმ პირების საჭიროებებზე მორგებული სერვისების მიწოდების ერთიანი სტანდარტის ჩამოყალიბებაში.

არასამთავრობო ორგანიზაცია "ანიკა"-ს რეკომენდაციაა, რომ მთავრობამ განაგრძოს მუშაობა ინფრასტრუქტურის ადაპტირების კუთხით, რათა უზრუნველყოს სერვისების ხელმისაწვდომობა და უსაფრთხოება. 2016-2017 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში იუსტიციის სახლის შენობებში დაინერგა სპეციალური სანავიგაციო სისტემები - ტაქტილური ბილიკები და ბრაილის რუკები. თუმცა, აღნიშნული შენობებს დღემდე არ გააჩნიათ სრულად ფუნქციონირებადი ხმოვანი სანავიგაციო სისტემები. შესაბამისად, "ანიკა" რეკომენდაციას უწევს სანავიგაციო სისტემაში ხმოვანი მოდულის ინტეგრირებას, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს შშმ პირთათვის საჯარო სერვისებით დამოუკიდებლად სარგებლობის შესაძლებლობას.⁸

¹ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), *“შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების შესახებ სტატისტიკური მონაცემების ანალიზი”* 16 მარტი 2018, <https://bit.ly/2pfTrMo>

² იუსტიციის სახლი, *სახელმძღვანელო- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მომსახურება იუსტიციის სახლში*, 2018, გვ. 11, <https://bit.ly/2GfaCqS>.

³ საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი“, *გარემო ბარიერების გარეშე- შენობებისა და ინფრასტრუქტურის ადაპტირებულობა საქართველოში და საერთაშორისო გამოცდილება*, 2017, <https://bit.ly/2Dj0euD>

⁴ ღია მმართველობის პარტნიორობა, *IRM: საქართველოს წინსვლის ანგარიში 2016–2018*, <https://bit.ly/2XKZWpP>

⁵ ანიკა არის ადგილობრივი ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისათვის თანაბარი შესაძლებლობებისა და პირობების შექმნის მიმართულებით. <http://anika.ge/?lang=en>.

⁶ ირაკლი სეფერთელაძე, გამგეობის წევრი, ანიკა, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 6 ივნისი 2019.

⁷ ირაკლი სეფერთელაძე, გამგეობის წევრი, ანიკა, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 6 ივნისი 2019.

⁸ ირაკლი სეფერთელაძე, გამგეობის წევრი, ანიკა, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 6 ივნისი 2019.

2. მოქალაქეთა ჩართულობის ინოვაციური პლატფორმა

ვალდებულების ტექსტი სამოქმედო გეგმაში:

OGP-ის ფარგლებში, იუსტიციის სახლი გეგმავს დანერგოს საქართველოს რეალობაში სრულიად ახალი, მოქალაქეთა ჩართულობის ინოვაციური პლატფორმა.

პლატფორმის კონცეფცია ეფუძნება ანგარიშვალდებულების, ღიაობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს და გულისხმობს სამი განსხვავებული მოდულის საშუალებით, ფართო საზოგადოების ჩართულობას ახალი სერვისების დანერგვის, არსებული სერვისების დახვეწის, სერვისების მიწოდების ახალი არხების შექმნისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების პროცესში.

გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა უზრუნველყოფილი იქნება შემდეგი მოდულების საშუალებით:

- **საზოგადოებრივი აზრის ელექტრონული კვლევა** – იუსტიციის სახლში ახალი პროექტების განხორციელების პროცესი დაეფუძნება ელექტრონული გამოკითხვების შედეგებს. მომხმარებლები თავად აირჩევენ ახალ სერვისებს და მათი იუსტიციის სახლში დანერგვის რიგითობას. გამოკითხვები გამოყენებული იქნება აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი პროექტების დაგეგმვისათვის.
- **ხმის მიცემის ელექტრონული სისტემა** – იუსტიციის სახლის მომხმარებლები შეძლებენ შეაფასონ უკუკავშირის სხვადასხვა არხებისა და კვლევების შედეგად მიღებული ინიციატივები და ხმა მისცენ ყველაზე პრიორიტეტულს. მომხმარებელს საშუალება ექნება თავად გაუწიოს ლობირება ამა თუ იმ ინიციატივას და იმუშაოს ხმის მიცემის პროცესით საზოგადოების დაინტერესებაზე, ვინაიდან პრიორიტეტულად ჩათვლება სწორედ ის ინიციატივა, რომელიც დააგროვებს ხმათა უმრავლესობას;
- **უკუკავშირის ელექტრონული სისტემა** – ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით უკუკავშირის დაფიქსირებას მომხმარებელი სახლიდან გაუსვლელად შეძლებს. უკუკავშირი შევსებისთანავე აისახება შესაბამის პროგრამაში და იუსტიციის სახლი შეძლებს დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება აღნიშნულზე. ელექტრონული სისტემის გამოყენებით უკუკავშირზე რეაგირების არსებული, I-თვიანი პერიოდი შემცირდება 24 საათამდე.
- **ანგარიშგების ელექტრონული სისტემა** – პროცესების ღიაობა და გამჭვირვალობა უზრუნველყოფილი იქნება სპეციალური ელექტრონული ანგარიშგების სისტემით, რომელიც ყველა დაინტერესებულ პირს გააცნობს აღნიშნული პროექტის ფარგლებში მიმდინარე ნებისმიერ პროცესთან დაკავშირებით ამომწურავ ინფორმაციას.

პროექტის ფარგლებში დაინერგება შემდეგი კომუნიკაციის არხები:

- **მობილური აპლიკაცია** – იუსტიციის სახლის ყველა ფილიალში თითოეული ოპერატორის სამუშაო მაგიდასთან განთავსდება QR კოდები, რომლის წაკითხვაც შესაძლებელი იქნება მობილური აპლიკაციით. შეფასების დასრულებისთანავე მომხმარებელს გამოუჩნდება ელექტრონული კითხვარი ან ხმის მიცემის ფუნქციონალი, რომელშიც სურვილის შემთხვევაში მიიღებს მონაწილეობას.
- **ვებგვერდის აპლიკაცია** – მომხმარებელს სახლიდან გაუსვლელად შესაძლებლობა მიეცემა გამოიყენოს იუსტიციის სახლის პლატფორმა, რომელიც ინტეგრირებული იქნება იუსტიციის სახლის ოფიციალურ ვებგვერდზე.

- **სენსორული მონიტორები** – იუსტიციის სახლის ყველა ფილიალში განთავსდება სენსორული მონიტორები, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება ვებ პლატფორმის გამოყენება. სენსორული მონიტორების გამოყენებას დაუბრკოლებლად შემდეგნაირად უნდა პირები: პროგრამული უზრუნველყოფა აღჭურვილი იქნება ხმოვანი ფუნქციით, აგრეთვე, გამოყენებული აპარატურა ადაპტირებული იქნება უსინათლო და მცირემხედველი პირებისათვის. ამასთან, სენსორულ მონიტორებში არსებული პროგრამა მომხმარებელს შესაძლებლობას მისცემს დატოვოს ხმოვანი შეტყობინება.

განხორციელების ეტაპები:

1. პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება ვებგვერდის და მობილური აპლიკაციისთვის
2. სენსორული მონიტორებისა და საჭირო ტექნიკის შესყიდვა, პროექტის დაწყება
3. საზოგადოების ინფორმირება პლატფორმის შესახებ
4. გამოკითხვის/ხმის მიცემის პროცესის ადმინისტრირება, ფოკუს ჯგუფების ორგანიზება, ანგარიშგება

დაწყების თარიღი: სექტემბერი, 2018

დასრულების თარიღი: აგვისტო, 2018

შენიშვნა: ზემოთმოყვანილი ტექსტი არის ამონარიდი თბილისის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმიდან. სრულ ტექსტში მოცემულია დეტალური ტექნიკური ინფორმაცია ვალდებულების შესრულების შესახებ. ვალდებულება სრული სახით შეგიძლიათ იხილოთ: <https://www.opengovpartnership.org/documents/georgia-action-plan-2018-2019/>

ვალდებულების მიმოხილვა	კონკრეტულობა		OGP -ის ღირებულებებთან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				შესრულება				გახსნა ან მთავრობა?				
	შესაფასებლად არ არის საკმარისად კონკრეტული	შესაფასებლად საკმარისად კონკრეტული	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია	არცერთი	შუალედური	არსებითი	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	ნაწილობრივ	მეტწილად	სრულად	გააუარესა	არ შეცვლილა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი ცვლილება	გამორჩეული
2. გაუმჯობესებული საჯარო სერვისები ყველასათვის		✓	✓	✓		✓		✓			შეფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის დასასრულს				შეფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის დასასრულს				

კონტექსტი და მიზნები

წინამდებარე ვალდებულება აგრძელებს საქართველოს მეორე სამოქმედო გეგმის (2014-2016) მე-2 ვალდებულებას,¹ რომლის ფარგლებშიც იუსტიციის სახლში დაინერგა მის ნებისმიერ დაწესებულებაში მიღებული სერვისების შესახებ მომხმარებლის მხრიდან უკუკავშირის მიღების მექანიზმი ე.წ. „მომხმარებლის ხმა“. აღნიშნული მექანიზმი გულისხმობს მომხმარებლისთვის სტანდარტიზებული წერილობითი ფორმის

საშუალებით მიღებული სერვისის ხარისხის შეფასების შესაძლებლობას. ამ სერვისის ფარგლებში, მომხმარებლებს შეუძლიათ იუსტიციის სახლის ცხელი ხაზის მეშვეობით, მათ მიერ დატოვებულ უკუკავშირზე რეაგირების სტატუსის შემოწმება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წლის IRM საბოლოო ანგარიშის ანგარიშის გამოქვეყნების პერიოდისთვის, იუსტიციის სახლს არ ჰქონდა დაწყებული კამპანია ქვეყნის მასშტაბით ამ ახალი საკომუნიკაციო მექანიზმის პოპულარიზაციის მიზით. იმ დროისათვის, იუსტიციის სახლს არც ოფიციალური სტატისტიკა გამოუქვეყნებია, იმის შესახებ, თუ რამდენმა მოქალაქემ შეავსო უკუკავშირის ფორმა, რა საკითხებს მოიცავდა ის და რა რეაგირება მოჰყვა მათ უკუკავშირს.²

მიმდინარე სამოქმედო გეგმის ვალდებულება პასუხობს 2014-2015 წლის IRM წინსვლის ანგარიშის შედეგებს.³ ანგარიშში აღნიშნული იყო იუსტიციის სახლის სერვისების შესახებ წერილობით ფორმასთან ერთად ელექტრონული უკუკავშირის ფორმის შემოღების საჭიროება. შესაბამისად, ეს ვალდებულება მიზნად ისახავს სხვადასხვა ელექტრონული პლატფორმის (ვებ-გვერდი, მობილური აპლიკაცია და სენსორული მონიტორები) შემუშავებასა და დანერგვას, რაც საშუალებას მისცემს მოქალაქეებს აირჩიონ, მოითხოვონ და ხმა მისცენ ახლად შემოთავაზებულ სერვისებს ელექტრონულ ფორმატში. პლატფორმა ასევე საშუალებას მისცემს მოქალაქეებს, რომ დააფიქსირონ უკუკავშირი არსებული სერვისების შესახებ. წინა წერილობით ფორმასთან შედარებით, ახალ ელექტრონულ სისტემას გააჩნია სხვა სახის დამატებითი უპირატესობები, მაგალითად:

- იუსტიციის სახლის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ უკუკავშირზე პასუხის გაცემისათვის საჭირო დროის შემცირდება 30 დღიანი პერიოდიდან 24 საათამდე;
- მოქალაქეებს შეეძლებათ არსებულ სერვისებზე ელექტრონულ ფორმატში დააფიქსირონ უკუკავშირი;
- დაინერგება ანგარიშების სპეციალური ელექტრონული სისტემა, რომელიც ელექტრონულ სისტემაში განხორციელებული ყველა აქტივობის დოკუმენტირების შესაძლებლობას იძლევა. ახლის სისტემის საშუალებით, მომხმარებლებს შეეძლებათ მიიღონ ამომწურავი ინფორმაცია განხორციელებული აქტივობების შესახებ.

აღნიშნული ვალდებულება შესაბამისობაშია OGP-ის მოქალაქეთა ჩართულობის ღირებულებასთან, რადგან ის მიზნად ისახავს მოქალაქეებისათვის იუსტიციის სახლის მიერ გაწეული მომსახურების შესახებ უკუკავშირის დაფიქსირების ხელშეწყობას. მაგალითად, დაგეგმილი ახალი სერვისებისთვის პრიორიტეტის მინიჭების მიზნით, მოქალაქეებს შეეძლებათ ხმა მისცენ შემოთავაზებულ სერვისებს. ვალდებულება ასევე შეესაბამება ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ღირებულებას, რადგან შეიქმნება 1) უკუკავშირის ელექტრონული სისტემა, რომელიც ავალდებულებს იუსტიციის სახლს, რომ მოქალაქის უკუკავშირზე რეაგირება მოახდინოს 24 საათის განმავლობაში და 2) ანგარიშების ელექტრონულ სისტემა, სადაც იუსტიციის სახლი გამოაქვეყნებს ინფორმაციას აღნიშნული ელექტრონულ სისტემის მეშვეობით განხორციელებული აქტივობების შესახებ. ვალდებულების ტექსტში წარმოდგენილია კონკრეტული ინდიკატორები, მაგალითად ახალ ელექტრონულ სისტემაში ექვსი თვის მანძილზე უკუკავშირის სამიხნე ნიშნული (500), გამოკითხვებისა და ჩატარებული ფოკუს ჯგუფების რაოდენობა (სამ-სამი) და გამოკითხული პირებისა და ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა სავარაუდო რაოდენობა (5,000).

ვალდებულების სრულად განხორციელება, ხელს შეუწყობს იუსტიციის სახლში არსებული უკუკავშირის მექანიზმების მცირე გაუმჯობესებას, სხვადასხვა ელექტრონული პლატფორმის შექმნას და შეამცირებს უკუკავშირზე რეაგირების დროს. გარდა ამისა, უზრუნველყოფს ისეთი მექანიზმის შემუშავებას, რომელიც ხელს შეუწყობს იუსტიციის სახლში სერვისების მიწოდების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობას. საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაცია "ანიკას" წარმომადგენელმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ სენსორული მონიტორების შემოღება, რომლებსაც ექნებათ ხმოვანი ფუნქციის ჩაშენებული სისტემა, ხელს შეუწყობს პროცესში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ჩართულობას.⁴

ვალდებულება მოქალაქეებისთვის ამარტივებს იუსტიციის სახლის სერვისების შესახებ უკუკავშირის დაფიქსირებას, რაც თავის მხრივ იუსტიციის სახლის მიერ შემოთავაზებული სერვისების ხარისხის გაუმჯობესებას დაედება საფუძვლად. თუმცა, ვალდებულების მასშტაბი და შესაბამისად პოტენციური შედეგი შეზღუდულია. საჯარო სერვისების გამოკითხული ექსპერტის მიხედვით,⁵ ვალდებულების ტექსტი არ ითვალისწინებს სპეციფიკურ ინსტრუმენტებს, რომლებიც მოქალაქეებს ახალი სერვისების ინიცირების საშუალებას მისცემდა, არამედ ორიენტირებულია ისეთ მექანიზმებზე, რომლებიც იუსტიციის სახლის მიერ შემოთავაზებულ სერვისებს შორის არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა.

შემდგომი ნაბიჯები

იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა გააგრძელებს ვალდებულებას მომდევნო სამოქმედო გეგმის ფარგლებში, IRM დამოუკიდებელი მკვლევარი იძლევა შემდეგ რეკომენდაციებს:

- დღემდე არ არსებობს ფორმალური მექანიზმი ან პროცედურა, რომელიც მოქალაქეებს საჯარო სივრცეში ახალი სერვისების ინიცირების საშუალებას მისცემს.⁶ შესაბამისად, IRM მკვლევარის რეკომენდაციაა, რომ ელექტრონულ პლატფორმებს დაემატოს ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც მოქალაქეები შეძლებენ ახალი სერვისების ინიცირებას. ეს ინსტრუმენტი ხელს შეუწყობს მოსახლეობის მხრიდან ახალი იდეების გენერირებას და გაზრდის სერვისების მიწოდების სფეროში მოქალაქეთა ჩართულობას. იუსტიციის სახლს შეეძლება იდეების გაზიარება და ამის საფუძველზე ახალი სერვისების შექმნა, ხოლო მოქალაქეებს კი შეეძლებათ ამ სერვისების დანერგვის პროცესში არჩევა, მოთხოვნა, ხმის მიცემა და პრიორიტეტების მინიჭება, როგორც ეს ვალდებულების ტექსტშია ასახული.
- მიუხედავად იმისა, რომ იუსტიციის სახლის მიერ სენსორული მონიტორების დანერგვა წინ გადადგმული ნაბიჯია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის ადაპტირებული სერვისების შეთავაზების კუთხით, "ანიკა" ასევე რეკომენდაციას უწევს ვებ-გვერდისა და მობილური აპლიკაციის შშმ პირების საჭიროებებთან ადაპტირებას. აღნიშნული, საშუალებას მისცემს შშმ პირებს ფართოდ გამოყენებული მოწყობილობების გამოყენებით, გაცილებით კომფორტულად დააფიქსირონ უკუკავშირი მიღებული სერვისის შესახებ.⁷

¹ ღია მმართველობის ინიციატივა, "საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა 2018–2019," <https://bit.ly/2YRRUN7>.

² ღია მმართველობის პარტნიორობა, IRM: საქართველოს საბოლოო ანგარიში, გვ. 20, <https://bit.ly/38zR4J4>

³ ღია მმართველობის პარტნიორობა, IRM: საქართველოს წინსვლის ანგარიში 2014–15, <https://bit.ly/2GZl9X5>

⁴ ირაკლი სეფერთელაძე, გამგეობის წევრი, ანიკა, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 6 ივნისი 2019

⁵ თინათინ კუპრაშვილი, საჯარო სერვისების ექსპერტი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 18 ივნისი 2019.

⁶ ფოკუს-ჯგუფი, ივნისი 2019.

⁷ სეფერთელაძე, ინტერვიუ, ივნისი 2019.

3. სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა ერთიანი ავთენტიფიკაციის სისტემის დანერგვის გზით

ვალდებულების ტექსტი სამოქმედო გეგმაში

ერთიანი ავთენტიფიკაციის სისტემის მიზანია, ნებისმიერ სახელმწიფო (და პერსპექტივაში კერძო) დაწესებულებას მისცეს ონლაინ სივრცეში პიროვნების იდენტიფიკაციის ინსტრუმენტების ფართო არჩევანი და ამ გზით მოუხსნას მათი მომსახურებების გაციფროვნების პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაღობა. ერთიანი ავთენტიფიკაციის სისტემის მართვას განახორციელებს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, რომელიც საქართველოში სამოქალაქო რეესტრის მწარმოებელი ორგანოა და გააჩნია კომპეტენცია პირის ვინაობის უტყუარი დადგენისათვის. ამ შემთხვევაში სხვა სახელმწიფო დაწესებულებებს შეეძლებათ აქცენტი მხოლოდ საკუთარი მონაცემთა ბაზების სისრულესა და მათში დაცული ინფორმაციის ონლაინ ხელმისაწვდომობაზე გადაიტანონ. ასე ისინი დიდ რესურსსაც დაზოგავენ.

სახელმწიფო დაწესებულებების მონაცემთა ბაზებში დაცულ ინფორმაციას, არაუფლებამოსილი პირებისთვის გამჟღავნების თავიდან აცილებას სხვადასხვაგვარი კრიტიკულობა გააჩნია. ერთიანი ავთენტიფიკაციის სისტემა სახელმწიფო დაწესებულებებს საშუალებას მისცემს, თავად განსაზღვრონ გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის კრიტიკულობის დონე და ამის მიხედვით შეუსაბამონ მას პიროვნების იდენტიფიკაციის პროცესის სირთულე. ამ გზით ნაკლებად კრიტიკული ინფორმაციის სანახავად მომხმარებელს არ მოუწევს შეაერთოს ბარათის წამკითხველი, აკრიფოს PIN კოდი.

ერთიანი ავთენტიფიკაციის სისტემა უზრუნველყოფს სანდო და დაცული ონლაინ ავთენტიფიკაციის არსებობას ქვეყანაში, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას, ინფორმაციის ღიაობასა და მათზე წვდომის სიმარტივეს, ვინაიდან:

- ყველა ჩართულ სისტემაში (იქნება ეს კერძო თუ საჯარო ორგანიზაცია) მომხმარებელს დასჭირდება ერთი და იგივე მომხმარებლის სახელი და პაროლი ან ID ბარათი და პინ კოდი (მომავალში Mobile ID-იც).
- ორგანიზაციებს გაუმარტივდებათ საკუთარი მომსახურების გაციფროვნება

განხორციელების ეტაპები:

1. ერთიანი ავთენტიფიკაციის სისტემის საწარმოო რეჟიმში გაშვება და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს sharepoint ან არასაჯარო გამოყენების სხვა სისტემასთან ინტეგრაცია
2. ერთიანი ავთენტიფიკაციის სისტემის ინტეგრაცია სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დისტანციურ სერვისებში
3. ერთიანი ავთენტიფიკაციის სისტემის სხვა უწყებებისთვის მისაწოდებლად საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება და ინიცირება
4. ერთიანი ავთენტიფიკაციის სისტემის ინტეგრირება სხვა ორგანიზაციების სისტემებში

დაწყების თარიღი: ივნისი, 2018

დასრულების თარიღი: დეკემბერი, 2019

შენიშვნა: ზემოთმოყვანილი ტექსტი არის ამონარიდი თბილისის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმიდან. სრულ ტექსტში მოცემულია დეტალური ტექნიკური ინფორმაცია ვალდებულების შესრულების შესახებ. ვალდებულება სრული სახით შეგიძლიათ იხილოთ: <https://www.opengovpartnership.org/documents/georgia-action-plan-2018-2019/>

ვალდებულების მიმოხილვა	კონკრეტულობა		OGP -ის ღირებულებებთან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				შესრულება				გახსნა ან მთავრობა?				
	შესაფასებლად არ არის საკმარისად კონკრეტული	შესაფასებლად საკმარისად კონკრეტულია	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია	არცერთი	შეზღუდული	არსებითი	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულია	ნაწილობრივ	მეტწილად	სრულად	გააუარესა	არ შეცვლილა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი ცვლილება	გამორჩეული
3. სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა ერთიანი ავთენტიფიკაციის სისტემის დანერგვის გზით		✓	გაუარკვევლი					✓			შეფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის დასასრულს				შეფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის დასასრულს				

კონტექსტი და მიზნები

აღნიშნული ვალდებულების ფარგლებში, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (SDA) გეგმავს ერთიანი ავთენტიფიკაციის სისტემის (UAS) შემოღებას. ამ სისტემის დანერგვით სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო მიზნად ისახავს უპასუხოს საჯარო სერვისების ელექტრონულად განხორციელების პროცესში სხვადასხვა გამოწვევას. მაგალითად, ერთიანი ავთენტიფიკაციის სისტემის მეშვეობით შესაძლებელი იქნება, რომ მოქალაქეებმა ნებისმიერ საჯარო მომსახურების მქონე სამთავრობო ვებ-გვერდზე ავთენტიფიკაციისათვის გამოიყენონ ერთი და იგივე მომხმარებლის სახელი და პაროლი. გარდა ამისა, სერვისების მომხმარებლებს ექნებათ შესაძლებლობა ისარგებლონ ისეთი ონლაინ მომსახურებით, რომლებიც მანამდე მხოლოდ პირადი ვიზიტის (მაგ. პასპორტის აღება) ან ვიდეო ზარის იდენტიფიცირების საშუალებით იყო შესაძლებელი. სერვისების მომწოდებლებს კი ერთიანი ავთენტიფიკაციის სისტემის დანერგვა საშუალებას მისცემს რესურსები მიმართონ სერვისების განვითარებისაკენ, ნაცვლად იმისა, რომ ინდივიდუალურად შეიმუშაონ და მართონ საიდენტიფიკაციო სისტემები.

მიუხედავად იმისა, რომ ერთიანი ავთენტიფიკაციის სისტემის შემოღება გააუმჯობესებს საჯარო სერვისების მიწოდებას, ის არ არის პირდაპირ შესაბამისობაში OGP-ის ღირებულებებთან. ვალდებულება მოიცავს კონკრეტულ აქტივობებს და ნათლად განსაზღვრულ ამოცანებს (ერთიანი ავთენტიფიკაციის სისტემის შემუშავება ქვეყნის მასშტაბით დანერგვა). მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ინიციატივა პროცედურულად გააუმჯობესებს საჯარო სერვისებზე ხელმისაწვდომობას, ის მხოლოდ მცირედით აუმჯობესებს საჯარო სერვისებით ონლაინ სარგებლობის საკითხს.¹

შემდგომი ნაბიჯები

მიუხედავად იმისა, რომ ერთიანი ავთენტიფიკაციის სისტემის დანერგვა დადებით ზეგავლენას მოახდენს საჯარო სერვისების მიწოდების პროცესზე, **IRM** დამოუკიდებელი მკვლევარი არ უწევს რეკომენდაციას აღნიშნული ვალდებულების მომდევნო სამოქმედო გეგმის ფარგლებში გაგრძელებას.

¹ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, “*IDFI-ის მოსაზრებები ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP-ის) 2018-2019 წლების ეროვნულ სამოქმედო გეგმაზე.*” <https://bit.ly/3cJ5cTp>

4. ეკონომიკური მმართველობის ინოვაციური პლატფორმა

ვალდებულების ტექსტი სამოქმედო გეგმაში:

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო იღებს ვალდებულებას შექმნას ინტერაქტიული პორტალი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საზოგადოების და კერძო სექტორის მაქსიმალური ჩართულობა ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების პროცესში, ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღება, პროცესების გამჭვირვალობა და ბიზნეს გარემოს პროგნოზირებადობის ზრდა.

საიტზე განთავსდება:

- თითოეული ეკონომიკური რეფორმის მოკლე აღწერა, საჭიროების დასაბუთება და საერთაშორისო გამოცდილება;
- კანონის პროექტები;
- რეფორმების მიმდინარეობის პროცესი და შესრულებული სამუშაოები;
- შესავსები კითხვარი რეფორმის შესახებ აზრის დასაფიქსირებლად.

მომხმარებელს ეძლევა შესაძლებლობა:

- დააფიქსიროს შეხედულება სხვადასხვა რეფორმის პრიორიტეტულობასთან დაკავშირებით.
- წარადგინოს ინიციატივა, რომელზეც ფართო საზოგადოება ხმის მიცემით შეძლებს მხარდაჭერის გამოხატვას; საკითხი საკმარისი რაოდენობის მხარდამჭერების მოპოვების შემთხვევაში განიხილება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური ანალიზისა და რეფორმების დეპარტამენტის მიერ.

განხორციელების ეტაპები:

1. ინტერაქტიული ვებ პორტალი YOU. GOV შინაარსობრივი სრულყოფა
2. ინტერაქტიული ვებ პორტალი YOU. GOV პლატფორმის პოპულარიზაცია

დაწყების თარიღი: მაისი, 2018

დასრულების თარიღი: ივნისი, 2019

შენიშვნა: ზემოთმოყვანილი ტექსტი არის ამონარიდი თბილისის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმიდან. სრულ ტექსტში მოცემულია დეტალური ტექნიკური ინფორმაცია ვალდებულების შესრულების შესახებ. ვალდებულება სრული სახით შეგიძლიათ იხილოთ: <https://www.opengovpartnership.org/documents/georgia-action-plan-2018-2019/>

ვალდებულების
მიმოხილვა

კონკრეტულობა

OGP -ის ღირებულებებთან
შესაბამისობა

პოტენციური
შედეგი

შესრულება

გახსნა ან მთავრობა?

	შესაფასებლად არ არის საკმარისად კონკრეტული	შესაფასებლად საკმარისად კონკრეტულია	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის	არცერთი	შეზღუდული	არსებითი	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულია	ნაწილობრივ	მეტწილად	სრულად	გააუარესა	არ შეცვლილა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი ცვლილება	გამორჩეული
4. ეკონომიკური მმართველობის ინოვაციური პლატფორმა		✓	✓	✓		✓		✓			შეფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის დასასრულს				შეფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის დასასრულს				

კონტექსტი და მიზნები

წინამდებარე ვალდებულების ფარგლებში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო მიზნად ისახავს მისი და მასთან დაქვემდებარებული სამართლებრივი ერთეულების მიერ განხორციელებული ეკონომიკური რეფორმებისა და პროცესების შესახებ ინფორმაციის ერთიან სისტემაში თავმოყრას. ამჟამად ინფორმაცია ეკონომიკური რეფორმების შესახებ ხელმისაწვდომია სხვადასხვა უწყების ვებ-გვერდებზე, მაგ. parliament.ge და economy.ge. თუმცა, ბევრი სხვა ორგანიზაციაც აქვეყნებს თავისი საქმიანობის ფარგლებში ეკონომიკური შინაარსის ინფორმაციას. ეს ართულებს მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების შესახებ კონსოლიდირებული ინფორმაციის მოპოვების საკითხს. ახალ ინტერაქტიულ ვებ-პორტალზე განთავსდება ინფორმაცია თითოეული ეკონომიკური რეფორმის, მისი არსის, შესაბამისი საერთაშორისო გამოცდილების, კანონპროექტებისა თუ განხორციელების ეტაპების შესახებ; ასევე ვებ-პორტალზე უნდა განთავსდეს საჯარო კითხვარი, რომელიც მოქალაქეებს რეფორმების შესახებ უკუკავშირის დაფიქსირების საშუალებას მისცემს. გარდა ამისა, ახალი ვებ-პორტალის საშუალებით მოქალაქეები შეძლებენ ხმა მისცენ და პრიორიტეტი მიანიჭონ ეკონომიკური რეფორმების პაკეტში შემავალ სხვადასხვა ასპექტს. მოქალაქეები ასევე შეძლებენ ინიციატივების წარდგენას, რომლებსაც შემდგომში, საკმარისი რაოდენობის ხმების დაგროვების შემთხვევაში, განიხილავს სამინისტრო.

აღნიშნული პორტალის შექმნით, სამინისტრო მიზნად ისახავს მიმდინარე და დაგეგმილ ეკონომიკურ რეფორმებთან დაკავშირებით ინფორმაციის ხელმისაწვდომობის და გამჭვირვალობის უზრუნველყოფას. ჩართულობის აღნიშნული მექანიზმების გამოყენებით, სამინისტრო ასევე გეგმავს საზოგადოებისა თუ კერძო სექტორის წარმომადგენლების ჩართვას რეფორმების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ვალდებულება შესაბამისობაშია OGP-ის იმ ღირებულებებთან, რომლებიც მოიცავს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, საზოგადოების ჩართულობას და ღია მმართველობის გასაუმჯობესებლად ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გამოყენებას. ვალდებულების ტექსტში მკაფიოდ არის განსაზღვრული თუ რა სახის ინფორმაცია უნდა განთავსდეს ვებ-პორტალზე და რა სახის თანამონაწილეობის შესაძლებლობები ექნებათ მომხმარებლებს, რაც აღნიშნულ ვალდებულებას საკმარისად კონკრეტულ ხასიათს სძენს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტექსტში დეტალურად არ არის აღწერილი, თუ კონკრეტულად რა ნაბიჯები მოიაზრება მოცემული მეორე განხორციელების ეტაპის ფარგლებში.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა მოსაზრებით,¹ ეკონომიკური რეფორმების მიმართ მზარდი საჯარო ინტერესის გათვალისწინებით, ინტერაქტიული პორტალი დროული და წინადადგმული ნაბიჯი იქნება. პორტალი განსაკუთრებით დაეხმარება მთავრობას, მიიღოს უკუკავშირი იმ მოქალაქეებისგან, რომლებიც არ წარმოადგენენ სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, თუმცა დაინტერესებულები არიან რეფორმებით და სურთ მათ შესახებ გარკვეული შეხედულებების დაფიქსირება.

როგორც ფოკუს ჯგუფზე დისკუსიისას გამოიკვეთა,² ვალდებულებაში არ არის დაკონკრეტებული თუ როგორ აისახება პლატფორმის საშუალებით განხორციელებულ მოქალაქეთა ჩართულობა ეკონომიკური რეფორმების შემუშავებისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე. ვალდებულებაში აღნიშნულია, რომ მოქალაქეთა წინადადებებს „განიხილავს“ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური ანალიზისა და რეფორმების დეპარტამენტი, მაგრამ არსად ჩანს, თუ კონკრეტულად რა პროცედურებს გულისხმობს აღნიშნული „განიხილვა“.

აგრეთვე, ვალდებულების ტექსტში არ არის დაკონკრეტებული, რომელი მექანიზმების გაძლიერება ან შემუშავება მოხდება იმისათვის, რომ მოქალაქეებმა შეძლონ ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების პროცესში თავიანთი მონაწილეობის შედეგს მიაღწეონ თვალი. შესაბამისად, იმის მიუხედავად, რომ ვალდებულებაში აღწერილია თანამონაწილეობის მექანიზმები, მკაფიოდ არ ჩანს თუ როგორ უზრუნველყოფს მთავრობა, რომ დაინტერესებული მხარეების ჩართულობას რეალური გავლენა ჰქონდეს პოლიტიკის შემუშავების პროცესზე. ამის გათვალისწინებით, პოტენციური შედეგი შეფასებულია როგორც შეზღუდული.

შემდგომი ნაბიჯები

ფოკუს ჯგუფის მონაწილეების მიერ დაფიქსირებული უკუკავშირისა და ეკონომიკური რეფორმებისადმი მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის შესაბამისად, IRM დამოუკიდებელი მკვლევარი რეკომენდაციას უწევს მის გაგრძელებას, სამოქმედო გეგმის შემდეგი საკითხების გაუმჯობესების გათვალისწინებით:

- მეტი სიცხადისთვის, დაინტერესებული მხარეები რეკომენდაციას უწევენ კონკრეტული წესებისა და პროცედურების შემუშავებას, თუ როგორ მოახდენს ეკონომიკური ანალიზისა და რეფორმების დეპარტამენტი მოქალაქეთა წინადადებებისა და ხმის მიცემის შედეგების გათვალისწინებას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.³ დაინტერესებული მხარეები ასევე რეკომენდაციას უწევენ მთავრობას, სავალდებულო გახადოს მოქალაქეების ინფორმირება იმის შესახებ, რომ მათი უკუკავშირი მიღებულია. მოქალაქეებმა, კითხვებისა და დამატებითი განმარტებების საჭიროების შემთხვევაში უნდა მიიღონ ნათელი, კარგად დასაბუთებული პასუხები. ვებ-გვერდზე შემოსული განცხადებები უნდა განიხილოს ექსპერტთა სამუშაო ჯგუფმა, რომელთა შემადგენლობაში ასევე წარმოდგენილი იქნებიან სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, რაც წინადადებების უფრო ფართო ექსპერტულ ანალიზს უზრუნველყოფს. ამას გარდა, ყურადღება უნდა მიექცეს, რომ ონლაინ ჩართულობის მექანიზმი განიხილებოდეს როგორც დამატებითი მექანიზმი და არ უნდა ჩაანაცვლოს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის სხვა არსებული მექანიზმები.
- IRM დამოუკიდებელი მკვლევარი რეკომენდაციაა, რომ აღნიშნული ინიციატივა გასცდეს ეკონომიკური რეფორმების თემატიკას და ერთიან პორტალში იყოს თავმოყრილი ყველა ის მთავარი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული რეფორმა,

რომელთა მიმართაც არსებობს საზოგადოების მაღალი ინტერესი. ეს ხელს შეუწყობს საჯარო დაინტერესებისა და ჩართულობის ამაღლების პროცესს.

- ვალდებულების გაძლიერების მიზნით, **IRM** დამოუკიდებელი მკვლევარი რეკომენდაციას უწევს ცნობიერების ამაღლების და პოპულარიზაციის სტრატეგიის შემუშავებას, რომლის მეშვეობითაც მოხდება მოქალაქეების you.gov.ge პლატფორმისა და მისი შესაძლებლობების შესახებ ინფორმირება. სტრატეგია შესაძლოა გულისხმობდეს ფართომასშტაბიან კამპანიას, სოციალური მედიის აქტიურ გამოყენებას, და ქვეყნის მასშტაბით პლატფორმის შესახებ ცნობიერების ამაღლების სხვადასხვა ტიპის აქტივობის განხორციელებას

¹ IRM მკვლევარის მიერ განხორციელებული ფოკუს-ჯგუფი ექსპერტებთან, მკვლევარებთან და საჯარო ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან, 18 ივნისი 2019.

² ფოკუს-ჯგუფი, 18 ივნისი 2019.

³ IRM მკვლევარის მიერ განხორციელებული ფოკუს-ჯგუფი საჯარო ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან, 18 ივნისი 2019.

5. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნების შესასრულებლად ელექტრონული პორტალის ამოქმედება

ვალდებულების ტექსტი სამოქმედო გეგმაში

ღია მმართველობის პარტნიორობის 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმით (ვალდებულება №16) გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად, საქართველოს პარლამენტმა 2017 წლის 1 ივნისს მიიღო „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“. კოდექსი ახლებურად არეგულირებს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მქონე საქმიანობების განხორციელების შესახებ კომპეტენტური ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცედურას. გარდა ამისა, კოდექსმა შემოიტანა კომპეტენტურ ორგანოთა მიერ სხვადასხვა სახის გადაწყვეტილებების მიღების ინსტრუმენტებიც, რომლებიც აბსოლუტურად ახალია საქართველოსთვის. ეს ინსტრუმენტები საქართველოში ეტაპობრივად ამოქმედდება.

ვინაიდან გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი გადაწყვეტილებების მიღების ახალ წესებს აყალიბებს, სამინისტროს მიზანია შეცვალოს მიდგომები და პრაქტიკა და მოძებნოს ტექნიკური ინსტრუმენტი ახალი მოთხოვნების სრულფასოვნად დასაწერად. შესაბამისად, წინამდებარე გეგმის ფარგლებში, მთავრობის მიზანია დანერგოს ისეთი ტექნიკური ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციაზე დროულ და დაუბრკოლებელ ხელმისაწვდომობას და გადაწყვეტილებების მიღების ყველა ეტაპზე საზოგადოების ეფექტურ მონაწილეობას.

განხორციელების ეტაპები:

1. ახალი პორტალის შექმნის ან არსებული პორტალების გამოყენების შესაძლებლობების გამოვლენა
2. განსათავსებელი ინფორმაციის და ფუნქციების ზუსტი განსაზღვრა; პორტალის სტრუქტურის შემუშავება
3. პორტალის ამუშავება, ფუნქციური დატვირთვა
4. პორტალის ამოქმედებამდე მიღებული გადაწყვეტილებების ეტაპობრივი განთავსება

დაწყების თარიღი: ოქტომბერი, 2018

დასრულების თარიღი: სექტემბერი, 2019

შენიშვნა: ზემოთმოყვანილი ტექსტი არის ამონარიდი თბილისის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმიდან. სრულ ტექსტში მოცემულია დეტალური ტექნიკური ინფორმაცია ვალდებულების შესრულების შესახებ. ვალდებულება სრული სახით შეგიძლიათ იხილოთ: <https://www.opengovpartnership.org/documents/georgia-action-plan-2018-2019/>

	შესაფასებლად არ არის საკმარისად კონკრეტული	შესაფასებლად საკმარისად კონკრეტულია	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის	არცერთი	შეზღუდული	არსებითი	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულია	ნაწილობრივ	მეტწილად	სრულად	გააუარესა	არ შეცვლილა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი ცვლილება	გამორჩეული
5. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნების შესასრულებლად ელექტრონული პორტალის ამოქმედება		✓	✓	✓		✓			✓		შეფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის დასასრულს				შეფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის დასასრულს				

კონტექსტი და მიზნები

აღნიშნული ვალდებულება აგრძელებს საქართველოს მესამე სამოქმედო გეგმის (2016-2018) მე-16 ვალდებულების¹ მიზნებს, რომლის ფარგლებშიც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი შეიმუშავა. კოდექსის შემუშავების მიზანი გახლდათ ყველა იმ საქმიანობისა თუ პროექტის სამინისტროს რეგულირების სფეროში მოქცევა, რომელთაც ზემოქმედება აქვთ გარემოზე. ვალდებულება ასევე მიზნად ისახავდა მოქალაქეთა ინფორმირებულობის გაზრდასა და პროექტების დამტკიცების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების შემუშავებას. მესამე სამოქმედო გეგმის დასასრულს (2018), სამინისტროს შემუშავებული ჰქონდა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი, თუმცა მასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ნორმებსა და მისი პრაქტიკული განხორციელების საკითხებში სამოქალაქო საზოგადოებამ რამდენიმე ნაკლოვანება დააფიქსირა.²

წინა ვალდებულებით გათვალისწინებულ აქტივობებზე და ასევე ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს ინიციატივაზე (OSGF)³ დაყრდნობით, მიმდინარე ვალდებულება მიზნად ისახავს სამოქალაქო საზოგადოებისათვის მეტად ხელმისაწვდომი გახადოს ინფორმაცია გარემოსდაცვითი შეფასების პროცესების შესახებ და გაზარდოს აღნიშნულ პროცესებში მათი ჩართულობა. უფრო ზუსტად კი, ვალდებულება გულისხმობს ახალი ვებ-პორტალის შექმნას, რომელზეც გამოქვეყნდება ინფორმაცია დაგეგმილი პროექტების გარემოზე ზემოქმედების შესახებ. ახალი პორტალის მეშვეობით, ასევე ხელმისაწვდომი გახდება ინფორმაცია დაგეგმილი საჯარო განხილვების თარიღების და ადგილმდებარეობის შესახებ. ვალდებულების ფარგლებში, ასევე დაგეგმილია თითოეული წარდგენილი პროექტის შესახებ მოქალაქეთა მხრიდან უკუკავშირის დაფიქსირების მექანიზმის შემუშავება, რაც თავის მხრივ გაამარტივებს გარემოზე ზეგავლენის შეფასების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობას.⁴

OSGF-ის შეფასებით,⁵ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ინფორმაცია გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ გაზრდილია სხვადასხვა ვებ-გვერდზე, მათ შორის გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებ-გვერდზე. შესაბამისად, ინფორმაცია სამშენებლო ნებართვებისა და სხვადასხვა

საპროექტო განაცხადების შესახებ მოქალაქეთათვის და ასევე გარემოსდაცვითი ორგანიზაციებისათვის არ არის ადვილად ხელმისაწვდომი. აღნიშნული, ხშირად იწვევს საპროტესტო აქციებს, რომლებიც მიმართულია არაორგანიზებული მშენებლობებისა და პროექტების წინააღდეგ.

შესაბამისად, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნების გათვალისწინების და გარემოსდაცვითი შეფასებებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოებრივი ჩართულობის უზრუნველსაყოფად, ახალმა ვებ-პორტალმა უნდა უზრუნველყოს მოქალაქეების დროული ინფორმირება დაგეგმილი პროექტების გარემოზე ზემოქმედების საკითხებისა და უკუკავშირის არსებული მექანიზმების შესახებ.

ვალდებულება მოიცავს განხორციელების ოთხ ეტაპს: ახალი პორტალის შექმნის საჭიროების დადგენა და არსებული პორტალების გამოყენების შესაძლებლობებთან შედარება; განსათავსებელი ინფორმაციის და ფუნქციების ზუსტი განსაზღვრა და პორტალის სტრუქტურის შემუშავება; პორტალის ამუშავება, მისი ფუნქციური დატვირთვა და მასზე პორტალის ამოქმედებამდე მიღებული გადაწყვეტილებების ეტაპობრივი განთავსება. ვალდებულების ტექსტში ბუნდოვანია განხორციელების ეტაპების ქრონოლოგია, კერძოდ კი მესამე განხორციელების ეტაპი - „პორტალის ამუშავება“ და მეოთხე განხორციელების ეტაპი - „პორტალის ამოქმედებამდე მიღებული გადაწყვეტილებების ეტაპობრივი განთავსება“. ვალდებულების ტექსტში არ არის ასახული გაზომვადი ინდიკატორები დაგეგმილი აქტივობისათვის. თუმცა, რადგან დაგეგმილი აქტივობები ერთიანობაში ხელშესახებ შედეგს იძლევა, ვალდებულება შესაფასებლად საკმარისად კონკრეტულია.

ვალდებულების სრულად განხორციელების შემთხვევაში, ის დადებითად იმოქმედებს სამინისტროს მიერ ინფორმაციის გამოქვეყნების და დაინტერესებული ჯგუფების, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოქალაქეების ჩართულობის პროცესზე. ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს წარმომადგენლის განცხადების მიხედვით, აღნიშნულმა ვალდებულებამ შეიძლება არ გამოიწვიოს რადიკალური ცვლილებები, მაგრამ ის იქნება არსებული პრობლემების პრაქტიკული გადაწყვეტის შესაძლებლობა. მაგალითად, იმ შემთხვევაში თუ მოქალაქე დროულად შეიტყობს მისი საცხოვრებელი ადგილის მახლობლად დაგეგმილი არასასურველი სამშენებლო პროექტის შესახებ, შეძლებს აღნიშნულზე საწინააღმდეგო მოსაზრების დროულად დაფიქსირებას,⁶ რაც თავის მხრივ შესაძლებელს გახდის, რომ შესაბამისმა ადმინისტრაციულმა ერთეულებმა აღნიშნულთან დაკავშირებით დროულად მოახდინონ რეაგირება. ასეთი ფორმით ჩართვა, მომავალში მოქალაქემ შესაძლოა ასევე გამოიყენოს სასამართლოში, როგორც საჩივრის ლეგალური საფუძველი.

აღნიშნული ვალდებულების განხორციელება ასევე შეამცირებს ისეთ პრობლემებს, რომლებზეც საუბრობენ გარემოს დაცვის ექსპერტები და როგორებიცაა ინფორმაციის არასაკმარისი ღიაობა და საჯარო განხილვების თარიღების ხშირი ცვლილება დაინტერესებული მხარეების წინასწარი ინფორმირების გარეშე.⁷ გამოკითხული ექსპერტის შეფასებით,⁸ პლატფორმა ხელს შეუწყობს ინფრასტრუქტურული პროექტებისა და მათი გარემოზე ზემოქმედების შესახებ ინფორმაციის საჯარო ხელმისაწვდომობას და წახალისებს ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის საჭირო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობას. ამას გარდა, შესაბამისმა ადმინისტრაციულმა უწყებებმა პლატფორმის მიერ შემოთავაზებული შესაძლებლობები შეიძლება გამოიყენონ როგორც მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმი.⁹

შემდგომი ნაბიჯები

პორტალის გააქტიურებისა და სრულად ამუშავების შემთხვევაში, IRM დამოუკიდებელი მკვლევარის რეკომენდაციაა, მთავრობამ იზრუნოს მისი გამოყენების პოპულარიზაციაზე და აწარმოოს ცნობიერების ამაღლების კამპანია, რომლის საფუძველზეც მოხდება ახალი ვებ-პორტალის და მისი ფუნქციების შესახებ მოქალაქეთა ინფორმირება.

¹ ღია მმართველობის ინიციატივა, “საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა 2018–2019,”

<https://bit.ly/2YRRUN7>.

² ღია მმართველობის პარტნიორობა, *IRM: საქართველოს საბოლოო ანგარიში*, გვ. 52. <https://bit.ly/2SgvPFO>

³ OSGF-ის მიერ შეთავაზებული ვალდებულება 2018-2019 წლების ღია მმართველობა საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმისთვის

⁴ ანანო ცინცაბაძე, მონაწილეობითი დემოკრატიის პროგრამა, პროექტის კოორდინატორი, ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 15 მაისი 2019.

⁵ ცინცაბაძე, 15 მაისი 2019.

⁶ ცინცაბაძე, 15 მაისი 2019.

⁷ ღია მმართველობის პარტნიორობა, *IRM: საქართველოს საბოლოო ანგარიში, 2016–2018*, <https://bit.ly/2XN8Oix>.

⁸ ნათია გობეჯიშვილი, GIZ სამხრეთ კავკასია (პროგრამა: ბიოლოგიური მრავალფეროვნების მენეჯმენტი), სატელეფო ინტერვიუ IRM მკვლევართან, 22 ოქტომბერი 2019.

⁹ ცინცაბაძე, 15 მაისი 2019.

გამოწვევა II: საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება

6. არსებული ძირითადი ანტიკორუფციული ინსტიტუტების გაძლიერება

ვალდებულების ტექსტი სამოქმედო გეგმაში

საერთაშორისო გამჭვირვალობის მიერ მომზადებული კორუფციის აღქმის ინდექსის თანახმად, 2017 წლის მონაცემებით, მსოფლიოს 180 ქვეყანას შორის საქართველო 46-ე პოზიციას იკავებს. World Justice Report-ის კანონის უზენაესობის ინდექსის (2017-2018) მიხედვით კი საქართველოს პირველი ადგილი უკავია აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში, ხოლო მსოფლიოში 38-ე ადგილზეა 113 ქვეყანას შორის. საქართველოს მთავრობის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკური ნება გამოხატულია ხელისუფლების მიერ საერთაშორისო ასპარეზზე აღებული ვალდებულებებით, ახალი სტრატეგიული დოკუმენტებითა და თითოეული სახელმწიფო უწყების მიზანმიმართული ანტიკორუფციული პოლიტიკით.

საქართველოს მთავრობა აცნობიერებს, რომ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა არ შეიძლება იყოს ერთჯერადი რეფორმა ან დროში შეზღუდული პროცესი. კორუფციის პრევენცია საჭიროებს მუდმივ და განგრძობად ძალისხმევას კეთილსინდისიერი და ანგარიშვალდებული საჯარო სამსახურის ჩამოყალიბებისთვის.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი ანტიკორუფციული პოლიტიკის ეფექტურად განხორციელების ხელშეწყობის მიზნით შექმნილია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო. საბჭო ფუნქციონირებს ანტიკორუფციული პოლიტიკის განხორციელების ძირითადი პრინციპების საფუძველზე: კომპლექსურობა, კორუფციის შემცირებასა და შედეგზე ორიენტირებული მიდგომა, კანონის უზენაესობის დაცვა, სახელმწიფო უწყებებს შორის კოორდინაცია, სამოქალაქო სექტორის ჩართულობა, ანგარიშგება და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინება, პროცესის გამჭვირვალობა და სხვ. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით საკვანძო სტრუქტურებს აგრეთვე მთავარი პროკურატურის კორუფციულ დანაშაულზე სისხლის სამართლებრივი დევნის სამმართველო და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სტრუქტურული ერთეული – ანტიკორუფციული სააგენტო წარმოადგენენ. პირველი პასუხისმგებელია განსაკუთრებული მნიშვნელობის კორუფციული დანაშაულების გამოძიებასა და დევნაზე, ხოლო უკანასკნელი – საჯარო სექტორში დასაქმებულ პირთა მიერ ჩადენილი სამოხელეო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლასა და სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებაზე, გამოვლენასა და აღკვეთის ღონისძიებების განხორციელებაზე.

ბოლო წლებში ანტიკორუფციული საბჭოს ეფექტიანობის მნიშვნელოვანი ზრდის მიუხედავად, საქართველოს მთავრობის პრიორიტეტია მუდმივად გააუმჯობესოს კორუფციასთან ბრძოლის მექანიზმები. ამასთან, საერთაშორისო რეკომენდაციებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა მოსაზრებით, საჭიროა ანტიკორუფციული საბჭოსა და სხვა ანტიკორუფციული ორგანოების შემდგომი გაძლიერება. წინამდებარე გეგმით საქართველოს მთავრობა იღებს ვალდებულებას, გამოავლინოს კორუფციასთან ბრძოლის ეფექტური საშუალებები, შესაბამის შეფასებასა და ანალიზზე დაყრდნობით, გააძლიეროს ძირითადი ანტიკორუფციული ორგანოები.

აღნიშნულით, მთავრობის მიზანია მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი კორუფციის ყველა ფორმის, მათ შორის კომპლექსური ფორმის კორუფცია. ამ პროცესში საქართველოს მთავრობა შესაბამის კონსულტაციებს გამართავს სამოქალაქო სექტორთან.

განხორციელების ეტაპები:

1. ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნოს მიერ ანტიკორუფციული საბჭოსა და ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის წევრებთან თანამშრომლობით კორუფციული რისკების შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება
2. კორუფციული რისკების შეფასების მეთოდოლოგიის შესაბამისად კორუფციული რისკების შეფასების განხორციელება ანტიკორუფციულ დანაყოფებში (კორუფციული რისკების შეფასების მიმდინარეობის შესახებ ფორუმის ინფორმირება და ფორუმზე განხილვა)
3. ანტიკორუფციული საბჭოს ანგარიშგების გაძლიერება (ანტიკორუფციული საბჭო ყოველწლიურ ანგარიშს წარუდგენს საქართველოს პარლამენტს)
4. კორუფციული რისკების შეფასების შედეგებისა და საჭიროების მიხედვით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოსა და მთავარი პროკურატურის კორუფციულ დანაშაულზე სისხლის სამართლებრივი დევნის სამმართველოს გაძლიერება
5. კორუფციული დანაშაულების გამოძიებასა და სისხლისსამართლებრივ დევნაზე მომუშავე პირების პერიოდული ტრენინგები სპეციალიზაციის მიმართულებით, მათ შორის იურიდიული პირების მიერ ჩადენილი კორუფციული დანაშაულებისა და საერთაშორისო კორუფციული დანაშაულების გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხებზე.

დაწყების თარიღი: ოქტომბერი, 2018

დასრულების თარიღი: დეკემბერი, 2019

შენიშვნა: ზემოთმოყვანილი ტექსტი არის ამონარიდი თბილისის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმიდან. სრულ ტექსტში მოცემულია დეტალური ტექნიკური ინფორმაცია ვალდებულების შესრულების შესახებ. ვალდებულება სრული სახით შეგიძლიათ იხილოთ: <https://www.opengovpartnership.org/documents/georgia-action-plan-2018-2019/>

ვალდებულების მიმოხილვა	კონკრეტულობა		OGP-ის ღირებულებებთან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				შესრულება				გახსნა ამან მთავრობა?				
	შესაფასებლად არ არის საკმარისად კონკრეტული	შესაფასებლად საკმარისად კონკრეტულია	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშგებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია	არცერთი	შუბლდული	არსებითი	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	ნაწილობრივ	მეტწილად	სრულად	გააუარესა	არ შეცვლილა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი ცვლილება	გამორჩეული
6. არსებული ძირითადი ანტიკორუფციული ინსტიტუტების გაძლიერება		✓		✓	✓			✓			შეფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის დასასრულს				შეფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის დასასრულს				

კონტექსტი და მიზნები

ამჟამად საქართველოში სამი საკვანძო ანტიკორუფციული სტრუქტურა არსებობს: კორუფციასთან ბრძოლის უწყებათაშორისი ანტიკორუფციული საბჭო, რომელიც წარმოადგენს საკონსულტაციო ერთეულს, პროკურატურის კორუფციულ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის სამმართველო და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო. აღნიშნული ვალდებულება ითვალისწინებს უწყებათაშორისი ანტიკორუფციული საბჭოს მიერ, OGP-ის მრავალმხრივი ფორუმთან (MSF) თანამშრომლობით, კორუფციული რისკების შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავებას.

ანტიკორუფციული საბჭო პასუხისმგებელია ანტიკორუფციული პოლიტიკის შემუშავებასა და შესაბამისი სტრატეგიების და სამოქმედო გეგმების მონიტორინგზე. ამჟამად, ანტიკორუფციული საბჭო შედგება 55 წევრისგან, რომელთაგან 17 ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებს, დონორებსა და ბიზნეს ასოციაციებს წარმოადგენს.¹

ვალდებულების ფარგლებში მთავრობა გეგმავს ანტიკორუფციული საბჭოს წლიური ანგარიშების პარლამენტისათვის წარდგენის პრაქტიკის დანერგვას, ასევე კორუფციული დანაშაულის საგამოძიებო და აღსრულების საკითხებში ჩართული პერსონალისათვის პერიოდული ტრენინგების ჩატარებას. ვალდებულება შესაბამისობაშია OGP-ის მოქალაქეთა ჩართულობის ღირებულებასთან, რადგან ითვალისწინებს ანტიკორუფციული საბჭოს მიერ კორუფციული რისკების შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავებას სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით. იმდენად, რამდენადაც ანტიკორუფციულმა საბჭომ საქართველოში უნდა უზრუნველყოს ანგარიშვალდებულებისა და ერთიანი ანტიკორუფციული ჩარჩოს გაძლიერება, ვალდებულება ასევე შესაბამისობაშია OGP-ის ანგარიშვალდებულების ღირებულებასთან.

სამოქმედო გეგმის შემუშავების პერიოდში, მრავალმხრივი ფორუმის წევრი სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების უმრავლესობა არ უჭერდა მხარს ამ ვალდებულების სამოქმედო გეგმაში წარმოდგენას. აღნიშნული ვალდებულების ნაცვლად, სამოქალაქო საზოგადოების წევრები ადვოკატირებას უწევდნენ დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სააგენტოს შექმნას. ფორუმის წევრი აქტიური არასამთავრო ორგანიზაციების შეფასებით, არსებული ინსტიტუციური სისტემა ვერ უზრუნველყოფს ელიტური კორუფციის წინააღმდეგ ეფექტური საგამოძიებო და პრევენციულ მექანიზმების არსებობას. დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სააგენტოს შექმნა კი გარანტირებულად უზრუნველყოფდა მეტ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას.²

დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სააგენტოს შექმნის ნაცვლად,³ მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნდა მოქმედი ანტიკორუფციული ინსტიტუტების გაძლიერება. მთავრობის არგუმენტი გახლდათ, რომ არსებული ანტიკორუფციული ინსტიტუტები გამართულად მუშაობენ და შესაბამისად არ არსებობს ცალკე-მდგომი, დამოუკიდებელი სააგენტოს შექმნის საჭიროება. მთავრობისა და ფორუმის წევრი ძირითადი სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები ვერ შეთანხმდნენ და საბოლოოდ, მთავრობამ აღნიშნული ვალდებულება სამოქმედო გეგმაში სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერის გარეშე შეიტანა.

ვალდებულების ტექსტში განხორციელების ეტაპები 6.1, 6.2 და 6.3 კონკრეტულია და მოიცავს კონკრეტულ აქტივობებსა და შედეგებს, როგორებიცაა მეთოდოლოგიის შემუშავება, კორუფციული რისკების შეფასება, და პარლამენტის წინაშე წლიური ანგარიშების წარდგენის ინსტიტუციონალიზაცია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 6.4 და 6.5

განხორციელების ეტაპის ნიშნულებში არ არის მოცემული კონკრეტული ნაბიჯები, რაოდენობრივი მაჩვენებლები და ინდიკატორები.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ათწლეულების მანძილზე, კორუფციასთან ბრძოლის კუთხით მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია,⁴ საერთაშორისო ორგანიზაციების და ინსტიტუტების, ევროპარლამენტისა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიხედვით⁵, ელიტური კორუფცია საქართველოში კვლავაც გამოწვევად რჩება⁶. საქართველოს შესახებ 2018 წლის რეზოლუციაში⁷ ევროპარლამენტი აღნიშნავს, რომ ქვეყანა ჯერ კიდევ დგას ელიტური კორუფციის გამოწვევის წინაშე და ხაზს უსვამს ანტიკორუფციული მომსახურების დამოუკიდებელ ორგანოდ ჩამოყალიბების საჭიროებას.

ბოლო წლების წარმატებისა თუ საქართველოს მისწრაფებიდან გამომდინარე, რომ გახდეს კორუფციასთან ბრძოლის თვალსაზრისით სამაგალითო ქვეყანა რეგიონალური და გლობალური მასშტაბით, რთულია აღნიშნული ვალდებულება განვიხილოთ როგორც კორუფციასთან ბრძოლის გზაზე მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი. აღნიშნულს ეხმიანება, დაინტერესებული მხარეებისა და ფორუმის წევრი არასამთავრობო ორგანიზაციების უმრავლესობის მოსაზრება.⁸ დაინტერესებულ მხარეები ხაზგასმით აცხადებენ, რომ ვალდებულება არ იქნება ეფექტური კორუფციის შესამცირებლად, რადგან საქართველოში კორუფციის მთავარი ხელშემწყობი მთავრობაში არსებული სტრუქტურული პრობლემები და გამეფებული ბიუროკრატიაა.⁹ ისინი ასევე აღნიშნავენ, რომ პოლიტიკური ნების არარსებობა განაპირობებს, რომ კორუფციულმა გარიგებებმა სახელმწიფო შესყიდვების ტენდერებში ფესვები გაიდგა და აღნიშნული ვალდებულება უფრო მეტად გააძლიერებს არსებულ მანკიერ სისტემას.

შემდგომი ნაბიჯები

იმის გათვალისწინებით, რომ დიდია განსხვავება აღნიშნული ვალდებულების ფარგლებში გათვალისწინებულ აქტივობებსა და სამოქალაქო საზოგადოების მოლოდინს შორის, IRM დამოუკიდებელი მკვლევარი რეკომენდაციას უწევს ქვეყნის ანტიკორუფციული საჭიროებების დამოუკიდებელი, ობიექტური და პოლიტიკურად მიუკერძოებელი შეფასების განხორციელებას შემდგომი სამოქმედო გეგმის ფარგლებში. დამოუკიდებელ კვლევაში უნდა ჩაერთონ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები, განახორციელონ არსებული ინსტიტუციური ნაკლოვანებების ანალიზი და შეაფასონ, დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სააგენტოს პოტენციური იდენტიფიცირებული სისტემური პრობლემების აღმოსაფხვრელად.

¹ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, ანტიკორუფციული საბჭო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო: <http://justice.gov.ge/Ministry/Index/170>.

² გიორგი ონიანი, აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 30 მაისი 2019.

³ ზურაბ სანიკიძე, ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი, იუსტიციის სამინისტრო, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 3 მაისი 2019.

⁴ საერთაშორისო კვლევების და ინდექსების ანგარიშის ნიმუშები, რომლებიც აფასებს საქართველოს მიღწეულ წარმატებას კორუფციასთან ბრძოლის კუთხით:

- საერთაშორისო გამჭვირვალობა, „კორუფციის გამჭვირვალობის ინდექსი 2018“ 2018,“ <https://bit.ly/2B7SAEu>
- მსოფლიო ბანკი „მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები,“ <https://bit.ly/2YTusPI>
- მსოფლიოს მართლმსაჯულების პროექტი „კანონის უზენაესობის ინდექსი: 2017–2018,“ <https://bit.ly/2yb8izE> Freedom House, “Nations in Transit 2018: საქართველო,“ <https://bit.ly/2GOKgy1>

⁵ ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია, *სტამბულის ანტი-კორუფციული სამოქმედო გეგმა: მონიტორინგის მეოთხე რაუნდი*, <https://bit.ly/2Lhk8O8>; და Greco, *კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფის შეფასებების მეოთხე რაუნდის ანგარიში: საქართველო*, 17 იანვარი 2017, <https://bit.ly/2Lhkjli>.

⁶ სტატიების ნიმუშები, რომლებიც აფასებს საქართველოში ელიტური კორუფციის გამოწვევებს:

- დათო ფარულავა “ევროკავშირი აკრიტიკებს საქართველოს ელიტური კორუფციის გამო” OC მედია, 15 ნოემბერი 2018, <https://bit.ly/2oayc1Y>
- IDFI, “საქართველოში ელიტურ კორუფციასთან ბრძოლა კვლავ გამოწვევად რჩება,” 12 ოქტომბერი 2018, <https://bit.ly/2Iww7Eh>
- საქართველო დღეს, “საქართველოში ელიტურ კორუფციასთან ბრძოლა კვლავ გამოწვევად რჩება,” 15 ოქტომბერი 2018, <https://bit.ly/2BBnYuO>.
- “სოციოლოგიური კვლევა: საქართველოში უმრავლესობას სჯერა, რომ ხელისუფლება კორუმპირებულია,” JAM News, 5 აპრილი 2019, <https://bit.ly/2vNA3O7>
- ვანო ჩხიკვაძე, “აღმოსავლეთის პარტნიორობა: შემდეგი რა არის საქართველოსთვის?,” ჰაინრიხ ბიოლის ფონდი, 12 სექტემბერი 2019, <https://bit.ly/2IGPafi>
- “ელიტური კორუფცია: სად ნაწილდება ფული და ინტერესები?,” 12 ოქტომბერი 2018, <https://bit.ly/2MM07z3>.
- რადიო თავისუფლება, „ნინო ლომჯარია: ბიზნესში ელიტური კორუფციის ნიშნებს პასუხი უნდა გაეცეს,” 18 სექტემბერი 2018, <https://bit.ly/2qGTO7c>.

⁷ ევროპარლამენტი, *“ევროკავშირის ასოცირების ფარგლებში გაწეული ძალისხმევა: ევროკავშირი აქებს საქართველოს და აკრიტიკებს მოლოდინს”* 9 ოქტომბერი 2018, <https://bit.ly/2XHVTzd>.

⁸ IDFI-ის მიერ რეკომენდაციები ღია მმართველობა საქართველოს 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმისთვის, <https://bit.ly/2J25icT>.

⁹ გიორგი მელაძე, კონსტიტუციური კვლევების ცენტრის დირექტორი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 8 ივნისი 2019.

7. საზოგადოების მიერ მდგრადი განვითარების მიზნების მონიტორინგი

ვალდებულების ტექსტი სამოქმედო გეგმაში

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია პარტნიორ უწყებებთან ერთად 2018 წელს შეიმუშავებს და დანერგავს ახალ ელექტრონულ სისტემას (SDG Tracker), რომლის მიზანი გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (Sustainable Development Goals – SDGs) მონიტორინგის ეფექტიანად და გამჭვირვალედ განხორციელება იქნება. აღნიშნული სისტემის საშუალებით ნებისმიერი დაინტერესებული მხარე შეძლებს ონლაინ რეჟიმში მოიძიოს ინფორმაცია კონკრეტული მიზნების შესაბამისად მიღწეული პროგრესის შესახებ.

SDG Tracker უზრუნველყოფს ქვეყნის მასშტაბით სახელმწიფო უწყებების მიერ SDG მიზნების მისაღწევად განხორციელებული აქტივობების შესახებ უახლესი ინფორმაციის ერთ სივრცეში თავმოყრას და მოქალაქეებისათვის ხელმისაწვდომობას.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები საქართველოს მთავრობის შიდა რეფორმების განუყოფელი ნაწილია. მიზნების ნაციონალიზაციისა და დანერგვის პროცესი 2015 წლიდან, ხოლო უშუალოდ განხორციელების ფაზა 2018 წლიდან დაიწყო. აღნიშნულ პროცესში ჩართულია II სამინისტრო და სხვა მრავალი სახელმწიფო ორგანიზაცია. მონიტორინგისა და ანგარიშგების მიზნებისათვის აუცილებელია საერთო ელექტრონული პლატფორმის შექმნა, რომელიც გაამარტივებს უწყებათაშორის კოორდინაციას და გამჭვირვალეს გახდის ქვეყანაში მიზნების შესრულების პროცესსა და შედეგებს. სისტემა გაეროს მიზნებსა და ამოცანებს დააკავშირებს ქვეყნის შიდა პოლიტიკის დოკუმენტებთან და მოგვცემს ინფორმაციას ამა თუ იმ მიმართულებით არსებული სახელმწიფო ფინანსურ რესურსებზე. ეს კი საშუალებას მისცემს მოქალაქეებს და დაინტერესებულ პირებს გაეცნონ მთავრობის მისწრაფებებს მომდევნო წლებისთვის, ნახონ დაგეგმილი და გატარებული ღონისძიებები და შეაფასონ პროგრესი.

განხორციელების ეტაპები:

1. შიდა ელექტრონული სისტემის (შიდა საოპერაციო სისტემა ხელმისაწვდომია მხოლოდ სახელმწიფო უწყებებისთვის) ამოქმედება
2. მდგრადი განვითარების მიზნების ვებგვერდის, მათ შორის SDGs Tracker-ისა და სხვა კომპონენტების ამოქმედება/ფუნქციონალის გამართვა, სადაც გენერირდება შიდა სისტემის მონაცემები
3. SDGs Tracker-ის, როგორც მთავრობის პოლიტიკის მონიტორინგისა და შეფასების შესაძლებლობის პოპულარიზაცია
4. SDG Tracker ვებგვერდის საინფორმაციო ნაწილის ამოქმედება – ქვეყნის მასშტაბით მდგრადი განვითარების მიზნებთან დაკავშირებული ყველა პროექტის, მიმდინარე თუ დაგეგმილი აქტივობების შესახებ კალენდრის/ინფორმაციის განთავსება

დაწყების თარიღი: სექტემბერი, 2018

დასრულების თარიღი: დეკემბერი, 2019

შენიშვნა: ზემოთმოყვანილი ტექსტი არის ამონარიდი თბილისის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმიდან. სრულ ტექსტში მოცემულია დეტალური ტექნიკური ინფორმაცია ვალდებულების შესრულების შესახებ. ვალდებულება სრული სახით შეგიძლიათ იხილოთ: <https://www.opengovpartnership.org/documents/georgia-action-plan-2018-2019/>

ვალდებულების მიმოხილვა	კონკრეტულობა		OGP -ის ღირებულებებთან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				შესრულება				გახსნა ან მთავრობა?				
	შესაფასებლად არ არის საკმარისად კონკრეტული	შესაფასებლად საკმარისად კონკრეტულია	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულებისათვის	არცერთი	შუალედური	არსებითი	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	ნაწილობრივ	მეტწილად	სრულად	გააუარესა	არ შეცვლილა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი ცვლილება	გამორჩეული
7. საზოგადოების მიერ მდგრადი განვითარების მიზნების მონიტორინგი		✓	✓			✓			✓		შეფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის დასასრულს				შეფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის დასასრულს				

კონტექსტი და მიზნები

აღნიშნული ვალდებულება მიზნია, გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნულ დონეზე შესრულების (Sustainable Development Goals – SDGs) ეფექტური მონიტორინგის უზრუნველსაყოფად ახალი ელექტრონული სისტემის, SDG Tracker-ის დანერგვა.

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან თანამშრომლობით შეიმუშავა ძირითადი ინდიკატორები SDG-ის თითოეული ეროვნული სამიზნე ნიშნულისთვის. თუმცა, მონიტორინგის პროცესს ბევრი გამოწვევა უკავშირდება, მათ შორის სტატისტიკური მონაცემების სიმწირე, რაც ართულებს სანდო რაოდენობრივი ინდიკატორების განსასაზღვრას.¹ გარდა ამისა, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ პასუხისმგებელი უწყებებისაგან SDG მიზნებთან დაკავშირებული მონაცემების ხელით შეგროვების არსებული პრაქტიკა არ არის ეფექტური, რადგან თანამშრომლობა უწყებებს შორის არ არის კოორდინირებული.²

შიდა ელექტრონული სისტემის გარდა, რომელშიც შესაძლებელი იქნება სამთავრობო უწყებებს შორის მონაცემების შეგროვება და ანგარიშგება, ქვეყნის მასშტაბით დაგეგმილია SDG ვებ-გვერდის ამოქმედება, სადაც მონაცემები ერთად თავმოყრილი და საჯაროდ ხელმისაწვდომი იქნება.³ აღნიშნული ვებ-გვერდის საშუალებით ხელმისაწვდომი გახდება ინფორმაცია ეროვნულ SDG მიზნებთან დაკავშირებული საკითხების, პასუხისმგებელი უწყებების მიერ გატარებული ღონისძიებების და SDG-ის ეროვნული მიზნების განხორციელების პროგრესის შესახებ. ამას გარდა, ახალი პლატფორმის საშუალებით შესაძლებელი გახდება გაეროს განვითარების მიზნების ეროვნული დღის წესრიგის მონიტორინგის ეფექტური და გამჭვირვალე განხორციელება, რაც ამჟამად შეუძლებელია.⁴

აღნიშნული ვალდებულება საკმარისად კონკრეტულია. სრულად განხორციელების შემთხვევაში SDG ტრეკერს არსებითად გააუმჯობესებს საქართველოში SDG მიზნების მისაღწევად განხორციელებული აქტივობების საჯაროობის საკითხს. კერძოდ, ახალი პლატფორმა მოქალაქეთათვის იქნება ხელმისაწვდომი სივრცე, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება ეროვნული SDG მიზნების პროგრესის, სამთავრობო პოლიტიკისა და აქტივობების მონიტორინგი. როგორც IRM დამოუკიდებელი მკვლევარის მიერ ჩატარებული ფოკუსჯგუფის წევრებმა აღნიშნეს,⁵ ახალი სისტემა ასევე შესაძლებელს

გახდის, მთავრობის წარმომადგენლებმა, სამოქალაქო საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა და მოქალაქეებმა თვალყური ადევნონ პროგრესს პოლიტიკის ძირითად მიმართულებებში, როგორებიცაა გარემოს დაცვა, განათლება, სიღარიბის დაძლევა, ეკონომიკური განვითარება, ინკლუზიური გარემო და დემოკრატიული მმართველობა.⁶ ამასთანავე, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის ყოფილმა წარმომადგენელმა⁷ აღნიშნა, რომ ეს სისტემა იქნება მონაცემთა თავმოყრის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი და შესაბამისად ხელს შეუწყობს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის განხორციელებას. ასევე, ახალმა პლატფორმამ შესაძლოა ხელი შეუწყოს პოლიტიკურ-ადმინისტრაციული რეფორმებისა და მიღწევების პოპულარიზაციას და მთავრობისა თუ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დონორი ორგანიზაციებისა და ფონდების მოზიდვას.

შემდგომი ნაბიჯები

იმის გათვალისწინებით, რომ დაინტერესებული მხარეები ხაზს უსვამენ აღნიშნული ვალდებულების მნიშვნელობას, IRM დამოუკიდებელი მკვლევარი რეკომენდაციას უწევს მის შემდგომი სამოქმედო გეგმის ფარგლებში გაგრძელებას. SDG Tracker-ის ამუშავების შემდეგ, IRM დამოუკიდებელი მკვლევარის მიერ რეკომენდებულია:

- განხორციელდეს ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანია, რომლის ფარგლებშიც მოხდება მოქალაქეების, კერძო სექტორის წარმომადგენლების, ადგილობრივი მმართველობების წარმომადგენლების და სხვა სამთავრობო უწყებების ინფორმირება. ეს ღონისძიებები გაზრდის ცნობიერებას გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებისა და პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში მათი მნიშვნელობის შესახებ.
- SDG Tracker-ში დაინტეგრირდეს ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება ეროვნული ინდიკატორების დაგეგმვის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართვა. სასურველია აღნიშნული ინსტრუმენტი ითვალისწინებდეს სამოქალაქო საზოგადოებას მიერ ეროვნული ინდიკატორების შესრულების შეფასების შესაძლებლობას, რაც ხელს შეუწყობს სამოქალაქო საზოგადოების SDG მიზნების საყოველთაო მონიტორინგის პროცესში მონაწილეობას.

¹ გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები, “საქართველო,” <https://bit.ly/32pAhGx>.

² ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), „გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების მხარდაჭერა საქართველოში,“ 13 იანვარი 2017, <https://bit.ly/3cFHIUC>

³ საბა ბუაძე, ანტი-კორუფციული მიმართულების ყოფილი ხელმძღვანელი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 22 მაისი 2019..

⁴ IRM მკვლევარის მიერ განხორციელებული ფოკუს-ჯგუფი ექსპერტებთან, მკვლევარებთან და საჯარო ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან, 18 ივნისი 2019.

⁵ IRM მკვლევარის მიერ განხორციელებული ფოკუს-ჯგუფი ექსპერტებთან, მკვლევარებთან და საჯარო ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან, 18 ივნისი 2019.

⁶ თამარ ტატიშვილი, საჯარო ადმინისტრირების და არაკომერციული მენეჯმენტის მაგისტრი, არაკომერციული მენეჯმენტის პროგრამის ხელმძღვანელი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 18 ივნისი 2019.

⁷ საბა ბუაძე, ანტი-კორუფციული მიმართულების ყოფილი ხელმძღვანელი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 22 მაისი 2019.

8. საკანონმდებლო აქტების შემუშავება მოქალაქეთა ჩართულობითა და მონაცემთა ანალიზის საფუძველზე

ვალდებულების ტექსტი სამოქმედო გეგმაში

დია მმართველობა საქართველოს 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ, იუსტიციის სამინისტროსთან თანამშრომლობით, დაიწყო საკანონმდებლო აქტების რეგულირების ზემოქმედების შეფასებისა და მონიტორინგის ერთიანი სისტემის (Regulatory Impact Assessment – RIA) შემუშავება.

ეს სისტემა ემსახურება მტკიცებულებებზე დაყრდნობილი გადაწყვეტილების მიღების პროცესის ჩამოყალიბებას და გულისხმობს ex-ante შეფასების საფუძველზე სიტუაციური ანალიზის ჩატარებას. ex ante შეფასების საფუძველზე შესაძლებელია კონკრეტული პრობლემების იდენტიფიცირება და მათზე მორგებული საკანონმდებლო აქტების შემუშავება და დაგეგმვა.

მთავრობის მიზანია, მიმდინარე გეგმით აიღოს ვალდებულება რათა RIA-ს ანგარიშის მომზადება გახდეს სავალდებულო შესაბამისი საკანონმდებლო აქტით დადგენილ შემთხვევებში. მნიშვნელოვანია, რომ Ex ante შეფასების განუყოფელი ნაწილია კონსულტაცია როგორც სფეროს ექსპერტებთან, ასევე ფართო საზოგადოებასთან. ამ გზით მთავრობა მუდმივად უზრუნველყოფს კანონპროექტების თუ სტრატეგიული დოკუმენტების მომზადებისას მოქალაქეთა მონაწილეობას და შესაბამისად, მათ საჭიროებებზე მორგებული გადაწყვეტილებების მიღებას.

განხორციელების ეტაპები:

1. საკანონმდებლო აქტების შეფასებისა და მონიტორინგის საკანონმდებლო რეგულირების მიზნით კანონპროექტის შემუშავება
2. საკანონმდებლო აქტების შეფასებისა და მონიტორინგის ერთიანი ჩარჩოს და მეთოდოლოგიის შემუშავება

დაწყების თარიღი: სექტემბერი, 2018

დასრულების თარიღი: დეკემბერი, 2019

შენიშვნა: ზემოთმოყვანილი ტექსტი არის ამონარიდი თბილისის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმიდან. სრულ ტექსტში მოცემულია დეტალური ტექნიკური ინფორმაცია ვალდებულების შესრულების შესახებ. ვალდებულება სრული სახით შეგიძლიათ იხილოთ: <https://www.opengovpartnership.org/documents/georgia-action-plan-2018-2019/>

ვალდებულების
მიმოხილვა

კონკრეტულობა

OGP -ის ღირებულებებთან
შესაბამისობა

პოტენციური
შედეგი

შესრულება

გახსნა ამან მთავრობა?

	შესაფასებლად არ არის საკმარისად კონკრეტული	შესაფასებლად საკმარისად კონკრეტულია	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშგაღებულობა	ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობის და ანგარიშგაღებულობისათვის	არცერთი	შეზღუდული	არსებითი	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	ნაწილობრივ	მეტწილად	სრულად	გააუარესა	არ შეცვლილა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი ცვლილება	გამორჩეული
8. საკანონმდებლო აქტების შემუშავება მოქალაქეთა ჩართულობითა და მონაცემთა ანალიზის საფუძველზე		✓	✓	✓					✓		შეფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის დასასრულს				შეფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის დასასრულს				

კონტექსტი და მიზნები

წინადადება ვალდებულება აგრძელებს საქართველოს მესამე სამოქმედო გეგმის (2016-2017) მერვე ვალდებულებას,¹ რომელიც ითვალისწინებდა პოლიტიკის დოკუმენტებისა და საკანონმდებლო აქტების რეგულირების ზემოქმედების ex-ante და ex-post შეფასებისა და მონიტორინგის ერთიანი სისტემის შემუშავებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შესრულების საბოლოო ანგარიშის გამოქვეყნების პერიოდისთვის, აღნიშნული სისტემა არ ამოქმედებულა.² მიმდინარე ვალდებულების ფარგლებში მთავრობა გეგმავს რეგულირების ზემოქმედების შეფასების (RIA) და მონიტორინგის სისტემის საკანონმდებლო პროცესში სავალდებულო სახით დანერგვას გარკვეული ტიპის საკანონმდებლო ინიციატივებზე, რომლებიც განისაზღვრება ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონით. RIA სისტემის საკანონმდებლო და პოლიტიკის შემუშავების პროცესში ჩართვა ევროკავშირისა და საქართველოს შორის ასოცირების ხელშეკრულების ნაწილია.³ ხელშეკრულებაში ხაზგასმულია რეგულირების ზემოქმედების შეფასებისა და მონიტორინგის ჩარჩოს დანერგვის მნიშვნელობა, რომელიც შესაბამისობაში იქნება რეგულირების საერთაშორისო სტანდარტებთან.⁴

რეგულირების ზემოქმედების შეფასებისა და მონიტორინგმა შესაძლოა ხელი შეუწყოს პოლიტიკის შემუშავებისა და საკანონმდებლო პროცესის გამჭვირვალების გაზრდას. ამას გარდა, RIA-ს ანგარიშების საჯაროდ გამოქვეყნება, შესაძლებლობას მისცემს მოქალაქეებს მიიღონ ამომწურავი ინფორმაცია დაგეგმილი რეგულაციების პოტენციური შედეგების შესახებ. თავის მხრივ, აღნიშნულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა წახალისებს პროცესში დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობას, რადგან პროცესი ითვალისწინებს დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციასაც. შესაბამისად, ვალდებულება შესაბამისობაშია OGP-ის ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და მოქალაქეთა ჩართულობის ღირებულებებთან. ვალდებულებაში გაწერილია კონკრეტული სამიზნე ნიშნულები, როგორებიცაა 1) საკანონმდებლო აქტების შეფასებისა და მონიტორინგის საკანონმდებლო რეგულირების მიზნით კანონპროექტისა და 2) საკანონმდებლო აქტების შეფასებისა და მონიტორინგის ერთიანი ჩარჩოს და მეთოდოლოგიის შემუშავება.

ვალდებულების სრულად შესრულების შემთხვევაში, საკანონმდებლო პროცესში დაინერგება ახალი ინსტრუმენტი (RIA), რომელიც ხელს შეუწყობს პოლიტიკის შემუშავების პროცესის გაუმჯობესებასა და გამჭვირვალობას. გარდა პოლიტიკის პროცესისა, RIA-ს დანერგვამ შესაძლოა თვისებრივად გააუმჯობესოს საჯარო პოლიტიკის შემუშავების პროცესი,⁵ პოლიტიკისა თუ საკანონმდებლო ცვლილებების დასაბუთება და მათი ხელმისაწვდომობა.⁶ შესაბამისად, ვალდებულების პოტენციური შედეგი შეიძლება შევაფასოთ როგორც არსებითი.

შემდგომი ნაბიჯები

IRM დამოუკიდებელი მკვლევარი ხაზს უსვამს საკანონმდებლო აქტების რეგულირების ზემოქმედების შეფასებისა და მონიტორინგის სისტემის (RIA) დანერგვის მნიშვნელობას და რეკომენდაციას უწევს მის შემდგომ სამოქმედო გეგმაში გაგრძელებას:

- სასურველია რეგულირების ზემოქმედების შეფასების სავალდებულო ხასიათი შეეხოს საკანონმდებლო ინიციატივების უფრო ფართო სპექტრს. RIA-ს, როგორც პოლიტიკის დაგეგმვის, შემუშავებისა და შეფასების ძირითადი ინსტრუმენტის დანერგვა ქვეყნის მასშტაბით, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს შედეგზე ორიენტირებული პოლიტიკის შემუშავების პროცესის ინსტიტუციონალიზაციას;
- შემუშავდეს რეგულირების ზემოქმედების შეფასების ანგარიშების კომუნიკაციისა და გავრცელების სტრატეგია, რომელიც აისახება RIA-ს ერთიან მეთოდოლოგიაში. აღნიშნული ხელს შეუწყობს RIA-ს მიზნებისა და შეფასების შედეგების შესახებ დაინტერესებული მხარეებისა და მოქალაქეების ინფორმირებას.
- დაინტერესებულმა მხარეებმა რეკომენდაცია გაუწიეს მუნიციპალიტეტებში შესაბამისი რესურსების და უნარების განვითარების ხელშეწყობას, რათა მომავალში შესაძლებელი გახდეს RIA-ს დანერგვა ადგილობრივ დონეზე და ადგილობრივი გადაწყვეტილებების და პოლიტიკის დაგეგმვის პროცესის თვისებრივი გაუმჯობესება.
- სასურველია, მთავრობის ადმინისტრაციამ შეიმუშავოს RIA-ს პროცესში საჯარო კონსულტაციების განხორციელების სახელმძღვანელო პრინციპები და კონკრეტული ინსტრუმენტები, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს RIA-ს პროცესში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის კომპონენტის გაძლიერებას.

¹ ღია მმართველობის ინიციატივა, “საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა 2018–2019,” <https://bit.ly/2XLXiju>.

² ღია მმართველობის პარტნიორობა, *IRM: საქართველოს საბოლოო ანგარიში, 2016–2018*, <https://bit.ly/2XN8Oix>.

³ საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმების დღის წესრიგი, 2017–2020, <https://bit.ly/2u5v0DP>.

⁴ ევროკომისია საქართველოს მიერ ასოცირების შეთანხმების შესრულების შესახებ, 2017, <https://bit.ly/2J3IVkO> f.

⁵ მარიამ გორგაძე, პროექტის ხელმძღვანელის მოადგილე და მიხეილ დარჩიაშვილი, სახელმწიფო მართვის პროგრამის მენეჯერი, USAID-ის პროექტი დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველო, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 14 მაისი 2019.

⁶ გიორგი მელაძე, კონსტიტუციური კვლევების ცენტრის დირექტორი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 8 ივნისი 2019.

9. სასამართლო გადაწყვეტილებების ერთიან ბაზაში გამოქვეყნება და საძიებო სისტემის შექმნა

ვალდებულების ტექსტი სამოქმედო გეგმაში:

სასამართლო გადაწყვეტილებების ერთიან ბაზაში გამოქვეყნება და მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ემსახურება სასამართლო სისტემის გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და ეფექტიანობის გაუმჯობესებას. აღნიშნულზე მუშაობა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ [ღია მმართველობა საქართველოს 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის](#) ფარგლებში დაიწყო.

დღეს საქართველოში სასამართლო გადაწყვეტილებებს საკუთარ ვებგვერდზე საქართველოს უზენაესი სასამართლო აქვეყნებს. რაც შეეხება საერთო სასამართლოებს, მათთვის შექმნილია სპეციალური ვებგვერდი (<http://info.court.ge>) რომელმაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, მომავალში სასამართლო გადაწყვეტილებათა (პირველი და მეორე ინსტანციები, ასევე უზენაესი სასამართლო) ერთიანი რეესტრის ფუნქცია უნდა იტვირთოს.

ერთიანი პლატფორმის შექმნა მნიშვნელოვანია, თუმცა უფრო მნიშვნელოვანია მასზე განთავსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხარისხი. ამ მხრივ, საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, საქართველოს შეუძლია ახლადშექმნილ რეესტრზე დამატებითი ფუნქციების დანერგვა. პირველ რიგში, ესენია პროცესში მონაწილე მხარეთა შესახებ ინფორმაციის განთავსება და საქმისწარმოების პროცესთან დაკავშირებით მეტი ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება.

წინამდებარე ვალდებულებით, შეიქმნება გაერთიანებული სისტემა, რომელსაც ექნება შემდეგი მოდულები:

- სასამართლოს დაშტრიხული გადაწყვეტილებების და საბოლოო დოკუმენტების ძებნის მოდული;
- საჯარო შეტყობინებების გამოქვეყნებისა და მოძიების მოდული;
- სასამართლოში საქმის შემომტანის ვებ-სივრცე;
- ჩანიშნული სხდომების საძიებო მოდული.
-

განხორციელების ეტაპები:

1. სასამართლო გადაწყვეტილებების ერთიანი ბაზისთვის საძიებო სისტემის ტექნიკური დავალების შემუშავება
2. ერთიანი ბაზის საძიებო სისტემის შექმნა და დანერგვა
3. სასამართლო გადაწყვეტილებების ერთიან ბაზაში გამოქვეყნება
4. (1) საჯარო შეტყობინებების (2) სასამართლოში საქმის შემომტანის ვებსივრცის და (3) ჩანიშნული სხდომების საძიებო მოდულის ამოქმედება

დაწყების თარიღი: ივლისი, 2018

დასრულების თარიღი: დეკემბერი, 2019

შენიშვნა: ზემოთმოყვანილი ტექსტი არის ამონარიდი თბილისის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმიდან. სრულ ტექსტში მოცემულია დეტალური ტექნიკური ინფორმაცია ვალდებულების შესრულების შესახებ. ვალდებულება სრული სახით შეგიძლიათ იხილოთ: <https://www.opengovpartnership.org/documents/georgia-action-plan-2018-2019/>

ვალდებულების მიმოხილვა	კონკრეტულობა		OGP -ის ღირებულებებთან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				შესრულება				გახსნა ან მთავრობა?				
	შესაფასებლად არ არის საკმარისად კონკრეტული	შესაფასებლად საკმარისად კონკრეტულია	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის	არცერთი	შუალედური	არსებითი	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	ნაწილობრივ	მეტწილად	სრულად	გააუარესა	არ შეცვლილა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი ცვლილება	გამორჩეული
9. სასამართლო გადაწყვეტილებები ის ერთიან ბაზაში გამოქვეყნება და სამიუნივერსიტეტის შექმნა		✓	✓			✓			✓		შეფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის დასასრულს				შეფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის დასასრულს				

კონტექსტი და მიზნები

აღნიშნული ვალდებულება აგრძელებს საქართველოს მესამე სამოქმედო გეგმის (2016-2018) მეათე ვალდებულებას.¹ ვალდებულების ფარგლებში გათვალისწინებული იყო უზენაესი სასამართლოს მიერ სასამართლო გადაწყვეტილებების ონლაინ სივრცეში გამოქვეყნების ძირითადი მიმართულებებისა და ერთიანი სტანდარტის შემუშავება სამივე ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნებისა და ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით. ერთიანი სტანდარტები შემუშავდა, თუმცა ფინანსების ნაკლებობის და ონლაინ სივრცეში გამოქვეყნებასთან დაკავშირებული ტექნიკური პროცედურების სირთულის გამო პორტალის გაშვება ვერ მოხერხდა მესამე სამოქმედო გეგმის დასრულების პერიოდისთვის.²

დღეს, საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებები ((პირველი და მეორე ინსტანციის) ქვეყნდება ვებ-გვერდზე <http://info.court.ge>, უზენაესი სასამართლო კი თავის გადაწყვეტილებებს საკუთარ ვებ-გვერდზე აქვეყნებს. თუმცა, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოსა (TI-საქართველო) და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) წარმომადგენლების განცხადებით, საქართველოში სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის საკითხი ჯერ კიდევ გამოწვევად რჩება.³

ის ფაქტი, რომ არ არსებობს სასამართლო გადაწყვეტილებების ერთიანი რეესტრი, და ასევე საერთო სასამართლოებისა და უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოქვეყნება ხდება სხვადასხვა ვებ-გვერდებზე, ართულებს აღნიშნულ გადაწყვეტილებებზე ხელმისაწვდომობას. ამასთანავე, როგორც ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების ვებ-გვერდი (info.court.ge) არის ტექნიკურად გაუმართავი, რაც თავის მხრივ, სასამართლო გადაწყვეტილებებზე წვდომას უფრო ართულებს.⁴

მიმდინარე ვალდებულების ფარგლებში, უზენაესი სასამართლო გეგმავს ელექტრონული რეესტრის სისტემის გაუმჯობესებას და უზენაესი და საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების ერთიანი რეესტრის ფარგლებში თავმოყრას. ერთიან სისტემას ექნება 1) სასამართლოს დაშტრიხული გადაწყვეტილებების და საბოლოო დოკუმენტების ძებნის

მოდული; 2) საჯარო შეტყობინებების გამოქვეყნებისა და მოძიების მოდული; 3) სასამართლოში საქმის შემომტანის ვებ-სივრცე და 4) ჩანიშნული სხდომების საძიებო მოდული.

ვალდებულება შესაბამისობაშია OGP-ის ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ტექნოლოგიების და ინოვაციების ღირებულებებთან. ვებ-ტექნოლოგიების გამოყენებით ის იძლევა ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების, დიდი მონაცემების დამუშავებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების მონიტორინგის შესაძლებლობას. ვალდებულება შესაფასებლად საკმარისად კონკრეტულია. ოთხი სამიზნე ნიშნული ნათლად არის ჩამოყალიბებული, მათ შორის ერთიანი ბაზის საძიებო სისტემის სპეციფიკაციების შემუშავება და წინასწარგანსაზღვრული მოდულების ამოქმედება.

აღნიშნულმა ვალდებულებამ შესაძლოა არსებითად გააუმჯობესოს სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის საკითხი. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) წარმომადგენლების განცხადებით, ვალდებულება საგრძნობლად გააუმჯობესებს სასამართლო გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაციის მოპოვებას, რაც დღემდე გამჭვირვალობის თვალსაზრისით მთავარ გამოწვევას წარმოადგენს.⁵ ამას გარდა, IDFI-ის ყოფილი წარმომადგენლის მოსაზრებით, “ვალდებულება პასუხობს არსებული სისტემის სუსტი წერტილის, ტექნიკური გაუმართაობის პრობლემას და მისი განხორციელებით შესაძლებელი იქნება ტექნიკური პრობლემების ერთიანად გადაჭრა. საერთაშორისო გამჭვირვალობის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ასევე სასარგებლო იქნება იურისტებისთვის, რომლებსაც არსებული სისტემა ბევრ პრობლემას უქმნის.”⁷

შემდგომი ნაბიჯები

დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირზე დაყრდნობით და იმის გათვალისწინებით, რომ ვალდებულება ეხმიანება სასამართლო გადაწყვეტილებების მიმართ მაღალ საზოგადოებრივ ინტერესს, IRM დამოუკიდებელი მკვლევარი რეკომენდაციას უწევს მის გაგრძელებას. ასევე, რეკომენდებულია, რომ პორტალის ამოქმედების შემდეგ, მთავრობამ განახორციელოს მისი პოპულარიზაციის ფართომასშტაბიანი კამპანია, რომლის ფარგლებშიც მოხდება დაინტერესებული მხარეებისა და მოქალაქეების ინფორმირება ახალი ერთიანი სისტემისა და მისი შესაძლებლობების შესახებ.

¹ ღია მმართველობის ინიციატივა, “საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა 2016–2018,”

<https://bit.ly/2YRRUN7>.

² ღია მმართველობის პარტნიორობა, *IRM: საქართველოს საბოლოო ანგარიში*, გვ. 35. 2019,

<https://bit.ly/2OJW5HQ>

³ IDFI-ის მიერ რეკომენდაციები ღია მმართველობა საქართველოს 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმისთვის, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2J25icT>.

⁴ საბა ზუაძე, ანტი-კორუფციული მიმართულების ყოფილი ხელმძღვანელი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 22 მაისი 2019..

⁵ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, „სასამართლო გადაწყვეტილებათა პროაქტიული გამოქვეყნების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა,“ 2017, <https://bit.ly/2G9qYRS>.

⁶ საბა ზუაძე, ანტი-კორუფციული მიმართულების ყოფილი ხელმძღვანელი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 22 მაისი 2019.

⁷ გიორგი თოფურია, უფრო ანალიტიკოსი, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 22 მაისი 2019.

10. შინაგან საქმეთა სამინისტროს გამჭვირვალობის გაზრდა

ვალდებულების ტექსტი სამოქმედო გეგმაში

ბოლო წლებში შსს აქტიურად მუშაობს, რათა გააუმჯობესოს საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა:

- 2018 წლიდან წარმოებს საჩივრების/განცხადებების სტატისტიკა. აღირიცხება განმცხადებლის მიერ მითითებული სავარაუდო გადაცდომა, გადაცდომის მოტივი და სხვა პარამეტრები. დისციპლინური წარმოების პროცესში უზრუნველყოფილია სავარაუდო გადაცდომის ჩამდენი პირის/პირების ჩართულობა. გენერალური ინსპექციის მიერ წერილობითი განცხადების საფუძველზე ჩატარებული დისციპლინური წარმოების შედეგების თაობაზე განმცხადებელს ეცნობება წერილობით, ხოლო ცხელი ხაზის (126) მეშვეობით მიღებული შეტყობინების შემთხვევაში, ინიციატორის ინფორმირება ხდება ტელეფონის მეშვეობით. პრაქტიკაში, გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგებზე, გენერალური ინსპექციის უფროსის მიერ დამტკიცებული დასკვნა არასდროს გაუქმებულა მინისტრის მიერ, ასევე არცერთ შემთხვევაში შეცვლილა რეკომენდირებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა.

დღევანდელი მდგომარეობით, შსს-ს მიერ სტატისტიკური ინფორმაციის წარმოება არ ეფუძნება სისტემატიზებული პროცედურების ერთობლიობას და იგი კანონქვემდებარე აქტითა და მემორანდუმით არის მოწესრიგებული, რაც რიგ შემთხვევებში ართულებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. თუმცა, ამ მიმართულებით უკვე მიმდინარეობს მუშაობა და პროცესების გაწერა.

- (2) შსს-სთვის ასევე უმნიშვნელოვანესია გამჭვირვალედ აწარმოოს საკადრო პოლიტიკა, რათა პოლიციელის სამსახურში მიღების, ასევე მისი დაწინაურების, დისციპლინური პასუხისმგებლისა თუ გათავისუფლების საკითხებში გამოირიცხოს ყოველგვარი ბუნდოვანება.

განხორციელების ეტაპები:

1. სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების პროცედურების, ვადების და პასუხისმგებელი ორგანოების ნათლად გაწერა ერთიანი კონსოლიდირებული დოკუმენტის შექმნის გზით
2. საჩივარ/განცხადებები, ასევე სამსახურებრივი შემოწმების შედეგების მონაცემების პროაქტიულად გამოქვეყნება
3. შსს-ს გენერალური ინსპექციის რეფორმირების ფარგლებში, დისციპლინური წარმოების პროცედურების სახელმძღვანელო ინსტრუქციების შემუშავება
4. თანამდებობრივი გადაადგილების, წახალისების და გათავისუფლების პროცედურების შესწავლა და საჭიროების მიხედვით, შესაბამის კანონში ცვლილებების შეტანა

დაწყების თარიღი: აგვისტო, 2018

დასრულების თარიღი: დეკემბერი, 2019

შენიშვნა: ზემოთმოყვანილი ტექსტი არის ამონარიდი თბილისის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმიდან. სრულ ტექსტში მოცემულია დეტალური ტექნიკური ინფორმაცია

ვალდებულების შესრულების შესახებ. ვალდებულება სრული სახით შეგიძლიათ იხილოთ: <https://www.opengovpartnership.org/documents/georgia-action-plan-2018-2019/>

ვალდებულების მიმოხილვა	კონკრეტულობა		OGP -ის ღირებულებებთან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				შესრულება				გახსნა ან მთავრობა?				
	შესაფასებლად არ არის საკმარისად კონკრეტული	შესაფასებლად საკმარისად კონკრეტული	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია	არცერთი	შეზღუდული	არსებითი	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	ნაწილობრივ	მეტწილად	სრულად	გაუარესა	არ შეცვლილა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი ცვლილება	გამორჩეული
10. შინაგან საქმეთა სამინისტროს გამჭვირვალობის გაზრდა		✓	✓					✓			შეფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის დასასრულს				შეფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის დასასრულს				

კონტექსტი და მიზნები

აღნიშნული ვალდებულება მიზნად ისახავს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შსს) გამჭვირვალობის გაზრდას, განსაკუთრებით საკადრო საკითხების და სტატისტიკური მონაცემების შეგროვების პოლიტიკის კუთხით. ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს (OSGF) ანგარიშის თანახმად,¹ მიუხედავად იმისა, რომ საკადრო პოლიტიკა რეგულირდება პოლიციის შესახებ კანონით, დეტალური პროცედურა და გამონაკლისი შემთხვევები შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით რეგულირდება, რაც ხშირ შემთხვევაში ბუნდოვანია და გაუგებრობას იწვევს.^{2 3} მაგალითად, არ არსებობს ან ორაზროვანია შიდა დაწინაურების წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმები, რაც პოლიტიკურად მოტივირებული საკადრო პოლიტიკის გატარების საშუალებას იძლევა. რაც შეეხება სტატისტიკური მონაცემების წარმოებას, მონაცემთა შეგროვება არ ეფუძნება სისტემატიზებული პროცედურების ერთობლიობას. უფრო მეტიც, ვინაიდან კანონი შინაგან საქმეთა სამინისტროს კონკრეტული სტატისტიკური მონაცემების შეგროვებას არ ავალდებულებს, შსს ხშირად ამბობს უარს სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის მიწოდებაზე და მიზეზად სწორედ გამოთხოვილი მონაცემების სტატისტიკის წარმოების ვალდებულების არ არსებობას ასახელებს.⁴

გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტრო გეგმავს სტატისტიკის წარმოების პროცედურების, მონაცემთა ტიპების, პასუხისმგებელი უწყებების და ვადების განსაზღვრას და სისტემატიზებას ერთიანი, კონსოლიდირებული დოკუმენტის შემუშავების გზით. სამინისტრო ასევე შეაგროვებს და პროაქტიულად გამოაქვეყნებს მონაცემებს, როგორც მოქალაქეთა საჩივრების, ისე შიდა გენერალური ინსპექციის მიერ განხორციელებული დისციპლინური წარმოების შედეგების შესახებ. შედეგად, საჯარო გახდება ისეთი სტატისტიკური მონაცემები, როგორიცაა საჩივრები, შიდა აუდიტის შედეგები და შესაბამისი ადმინისტრაციული ღონისძიებები. ამას გარდა, შინაგან საქმეთა სამინისტრო განსაზღვრავს სამსახურებრივი გადაადგილების, წახალისებისა თუ

გათავისუფლების კრიტერიუმებს, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ორგანიზაციულ გამჭვირვალობას.

ვალდებულების ოთხივე სამიზნე ნიშნული კონკრეტულია და მოიცავს კონკრეტულ ინდიკატორებს. ვალდებულების აქტივობების განხორციელებას პოზიტიური გავლენა ექნება შინაგან საქმეთა სამინისტროში არსებულ პრაქტიკაზე. კერძოდ, გააუმჯობესებს სტატისტიკური მონაცემების შეგროვების, მათი გამოქვეყნებისა და საკადრო პოლიტიკის გატარების პროცესს.⁵

შემდგომი ნაბიჯები

რადგან აღნიშნული ვალდებულება გულისხმობს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ სტატისტიკური მონაცემების შეგროვების პროცედურების სისტემატიზაციასა და მათ პროაქტიურად გამოქვეყნებას, IRM დამოუკიდებელი მკვლევარი რეკომენდაციას უწევს აღნიშნული მონაცემების ღია ფორმატში გამოქვეყნებას. აღნიშნულ ფორმატში მომხმარებელს შეუძლია მონაცემების ჯვარედინული ანალიზი და შედარებითი ცხრილების მომზადება.

¹ OSGF-ის მიერ შეთავაზებული ვალდებულება 2018-2019 წლების ღია მმართველობა საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმისთვის

² ანანო ცინცაძე, მონაწილეობითი დემოკრატიის პროგრამა, პროექტის კოორდინატორი, ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 15 მაისი 2019.

³ საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, ადამიანის უფლებებისა სწავლების და მონიტორინგის ცენტრი (EMC), *შიგანგ საქმეთა სამინისტროს გამჭვირვალობა*, 2017 <https://bit.ly/2w10lMu>

⁴ ცინცაძე, 15 მაისი 2019.

⁵ გიორგი თოფურია, უფრო ანალიტიკოსი, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 22 მაისი 2019.

გამოწვევა III: საჯარო რესურსების უკეთესი მართვა

II. საჯარო ფინანსების ზედამხედველობაში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა

ვალდებულების ტექსტი სამოქმედო გეგმაში.

ღია მმართველობა საქართველოს 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა (სას) შექმნა ინოვაციური ანალიტიკური ვებ პლატფორმა – „ბიუჯეტის მონიტორი“, რომლის საშუალებით ფართო საზოგადოებას ეძლევა უნიკალური შესაძლებლობა მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია სახელმწიფო ბიუჯეტის, საჯარო რესურსების მართვასთან დაკავშირებული საკითხების, აუდიტის მიგნებების, გაცემული რეკომენდაციებისა და მათი შესრულების მდგომარეობის შესახებ. გარდა ამისა, პლატფორმა თითოეულ მოქალაქეს საშუალებას აძლევს მომართოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს საჯარო ფინანსების მართვაში არსებული ხარვეზების შესახებ და მიიღოს მონაწილეობა მომავალი წლის აუდიტის გეგმის შედგენაში.

ამ პროცესში მოქალაქეთა ჩართულობისა და პლატფორმის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, სახელმწიფო აუდიტის სამსახური იზიარებს OGP-ის დამოუკიდებელი შეფასების მექანიზმის (Independent Reporting Mechanism – IRM) რეკომენდაციას და მიზნად ისახავს დანერგოს მოქალაქეებისგან მიღებულ მომართვებზე და შეტყობინებებზე უკუკავშირის მექანიზმი. ამ გზით შესაძლებელი გახდება მათი შემოსულ მომართვებზე და შეტყობინებებზე (მათ შორის, ანონიმურზე) რეაგირების სტატუსის თვალყურის დევნება მუდმივ რეჟიმში.

განხორციელების ეტაპები:

1. ბიუჯეტის მონიტორის მეშვეობით მიღებულ მოქალაქეთა შეტყობინებებზე უკუკავშირის მექანიზმის შექმნა და დანერგვა
2. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ, ცნობიერების ამაღლების მიზნით, მინიმუმ 5 სამუშაო შეხვედრის ორგანიზება სხვადასხვა ფოკუს ჯგუფთან.

დაწყების თარიღი: მაისი, 2018

დასრულების თარიღი: დეკემბერი, 2018

შენიშვნა: ზემოთმოყვანილი ტექსტი არის ამონარიდი თბილისის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმიდან. სრულ ტექსტში მოცემულია დეტალური ტექნიკური ინფორმაცია ვალდებულების შესრულების შესახებ. ვალდებულება სრული სახით შეგიძლიათ იხილოთ: <https://www.opengovpartnership.org/documents/georgia-action-plan-2018-2019/>

ვალდებულების
მიმოხილვა

კონკრეტულობა

OGP -ის ღირებულებებთან
შესაბამისობა

პოტენციური
შედეგი

შესრულება

გახსნა ან მთავრობა?

	შესაფასებლად არ არის საკმარისად კონკრეტული	შესაფასებლად საკმარისად კონკრეტულია	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულებისათვის	არცერთი	შეზღუდული	არსებითი	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულია	ნაწილობრივ	მეტწილად	სრულად	გააუარესა	არ შეცვლილა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი ცვლილება	გამორჩეული
II. საჯარო ფინანსების ზედამხედველობაში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა		✓		✓		✓		✓			შეფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის დასასრულს				შეფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის დასასრულს				

კონტექსტი და მიზნები

აღნიშნული ვალდებულება აგრძელებს საქართველოს მესამე სამოქმედო გეგმის (2016-2018) მეთოთხმეტე ვალდებულებას, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა დანერგა ონლაინ პლატფორმა budgetmonitor.ge. პლატფორმაზე თავმოყრილია აქამდე გაბნეული ინფორმაცია სახელმწიფო და მუნიციპალური ბიუჯეტების შესახებ. აქვეა განთავსებული ე.წ. „მოქალაქის გვერდი“, რომლის საშუალებითაც მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ მიაწოდონ მთავრობას ინფორმაცია საბიუჯეტო რესურსების მართვაში არსებული ხარვეზებისა თუ კორუფციული შემთხვევების შესახებ. ამგვარ შეტყობინებებს შემდგომში განიხილავს აუდიტის სამსახური.¹ მესამე სამოქმედო გეგმის IRM დამოუკიდებელი მკვლევარის განხორციელების ანგარიშის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ პლატფორმა საშუალებას აძლევს მოქალაქეებს ჩაერთონ საბიუჯეტო რესურსების მართვის პროცესში, მათი მხრიდან აქტივობა ძალიან დაბალია. შესაბამისად, აუდიტის პროცესში მოქალაქეთა აქტივობის გაუმჯობესების მიზნით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა აიღო ვებ-გვერდისთვის ახალი ფუნქციის დამატების ვალდებულება. კერძოდ, აღნიშნული გვერდის საშუალებით მოქალაქეებს შესაძლებლობა ექნებათ თვალყური ადევნონ პლატფორმაზე მიწოდებული შეტყობინებების მიმდინარე სტატუსს და მათზე შემდგომ რეაგირებას. სახელმწიფო აუდიტის სამსახური ასევე გეგმავს ხუთი ფოკუს ჯგუფის ორგანიზებას, რაც ხელს შეუწყობს ახალი უკუკავშირის ფუნქციის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას. ვალდებულება შესაბამისობაშია OGP-ის მოქალაქეთა ჩართულობის ღირებულებასთან და ვებ-ტექნოლოგიების საშუალებით მისცემს მოქალაქეებს შესაძლებლობას დააფიქსირონ უკუკავშირი და თვალყური ადევნონ მის სტატუსს.

აღნიშნული ვალდებულება მოიცავს ორ კონკრეტულ განხორციელების ეტაპს: მოქალაქეთა შეტყობინებებზე რეაგირების მექანიზმის შექმნა და დანერგვა, ასევე ცნობიერების ამაღლების მიზნით 5 ფოკუს ჯგუფის შეხვედრის ორგანიზება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ვალდებულების ტექსტში ფოკუს ჯგუფის მიზნის უფრო ნათლად ჩამოყალიბების შემთხვევაში, ვალდებულება უფრო კონკრეტული და შესაბამისად, გაზომვადი იქნებოდა. სრულად განხორციელების შემთხვევაში, ახალი უკუკავშირის მექანიზმის დანერგვამ შესაძლოა მცირედით, თუმცა გააუმჯობესოს უკუკავშირის არსებული მექანიზმი და შესაბამისად, ხელი შეუწყოს საბიუჯეტო რესურსების მართვის პროცესში მოქალაქეთა უფრო აქტიურ ჩართვას. კერძოდ, ახალი ფუნქცია მოქალაქეებს

შესაძლებლობას მისცემს თვალი ადევნონ მათ მიერ დატოვებული შეტყობინების სტატუსს, ანონიმური წესით დატოვებული შეტყობინების ჩათვლით. აღსანიშნავია, რომ 2016-2017 IRM წინსვლის ანგარიშში რეკომენდებული იყო, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურს budgetmonitor.ge-ს შესახებ ცნობიერების ამაღლების ფართომასშტაბიანი კამპანია ეწარმოებინა. თუმცა, აღნიშნული ვალდებულების ტექსტში გათვალისწინებულია მხოლოდ ხუთი ფოკუს ჯგუფის ორგანიზება, რაც მასშტაბურობის თვალსაზრისით, შეზღუდულია.

შემდგომი ნაბიჯები

მიუხედავად იმისა, რომ წინა სამოქმედო გეგმის ფარგლებში budgetmonitor.ge პლატფორმის დანერგვამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხი, მიმდინარე ვალდებულება მხოლოდ მცირედით გააუმჯობესებს არსებულ პლატფორმას. შესაბამისად IRM დამოუკიდებელი მკვლევარი რეკომენდაციას უწევს, მთავრობამ განაგრძოს პლატფორმის შესახებ ცნობიერების ამაღლება, მაგრამ არა როგორც OGP-ის სამოქმედო გეგმის ნაწილი, არამედ მისგან დამოუკიდებლად.

¹ ღია მმართველობის პარტნიორობა, IRM: საქართველოს საბოლოო ანგარიში, გვ. 44-45. <https://bit.ly/2SgvPFO>

12. სახელმწიფო საგრანტო დაფინანსების სისტემის გამჭვირვალობის გაზრდა

ვალდებულების ტექსტი:

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია პარტნიორ უწყებებთან ერთად 2018 წელს დაიწყო მუშაობას სახელმწიფო/საჯარო ინსტიტუციების მიერ საგრანტო დაფინანსების გაცემის არსებული სისტემის რეფორმირების მიმართულებით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს აღნიშნული სფეროს გამჭვირვალობა და ეფექტურობა.

დღეის მდგომარეობით, საქართველოს კანონმდებლობა სამინისტროებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ გრანტის გაცემის საერთო პრინციპებსა და პროცედურას არ ითვალისწინებს. არ არსებობს საჯარო ინსტიტუციების მიერ გრანტის გაცემის ერთიანი საკანონმდებლო სტანდარტი.

წინამდებარე ვალდებულებით სახელმწიფო უწყებებისათვის დადგინდება დაფინანსების სტანდარტები და გაიწერება დეტალური პრინციპები. მთავრობის ადმინისტრაცია პარტნიორ უწყებებთან ერთად მოამზადებს გრანტების შესახებ კანონში ცვლილების პროექტს, რომელსაც განიხილავს დაინტერესებულ მხარეებთან ერთად და საბოლოოდ წარუდგენს საქართველოს პარლამენტს 2019 წლის ბოლომდე.

დღეის მდგომარეობით, საქართველოს კანონმდებლობა სამინისტროების, საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სხვა საჯარო ინსტიტუციების მიერ გრანტის გაცემის საერთო პრინციპებსა და პროცედურას არ ითვალისწინებს. გარდა ამისა, სახელმწიფო საგრანტო სისტემაში ჩართული არ არის რიგი საჯარო ინსტიტუციებისა, მათ შორის ადგილობრივი თვითმმართველობები.

წინამდებარე ინიციატივის ერთ-ერთი კომპონენტი გულისხმობს, კანონით დადგინდეს ძირითადი სტანდარტ-პრინციპები (მათ შორის, მიუკერძოებელი და მონაწილეობითი გადაწყვეტილების მიღება, შერჩევის კრიტერიუმების წინასწარ დადგენა და გამოქვეყნება, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება, პროცესის გამჭვირვალობა და სხვა), რომლებიც საკმარისად მკაფიო იქნება იმისთვის, რომ საგრანტო დაფინანსება სანდო და გამჭვირვალე პროცესად იქცეს. ამასთან, ცალკეულ სახელმწიფო უწყებებს ამ სტანდარტ-პრინციპების შესაბამისად, ექნებათ პროცესის დეტალური მოწესრიგების შესაძლებლობა.

ინიციატივა მათ შორის გულისხმობს ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის გრანტის გაცემის მექანიზმის გამოყენების უფლების მიცემას, რაც ხელს შეუწყობს, რიგ შემთხვევებში, ფუნქციების უკეთ განხორციელებას, ინტერ-მუნიციპალური ინიციატივების წახალისებას, ამ პროცესში სამოქალაქო საზოგადოების აქტიურ ჩართვას და ადგილზე სხვადასხვა ინიციატივების წახალისებას.

განხორციელების ეტაპები:

1. საკანონმდებლო ცვლილებების მომზადების მიზნით, სხვადასხვა საჯარო დაწესებულებებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და ექსპერტებთან კონსულტაციების გამართვა
2. გრანტების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების პროექტის მომზადება
3. კანონში ცვლილების პროექტის დაინტერესებული მხარეებისათვის წარდგენა
4. კანონში ცვლილების პროექტის ინიცირება საქართველოს პარლამენტში

დაწყების თარიღი: დეკემბერი, 2018

დასრულების თარიღი: სექტემბერი, 2019

შენიშვნა: ზემოთმოყვანილი ტექსტი არის ამონარიდი თბილისის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმიდან. სრულ ტექსტში მოცემულია დეტალური ტექნიკური ინფორმაცია ვალდებულების შესრულების შესახებ. ვალდებულება სრული სახით შეგიძლიათ იხილოთ: <https://www.opengovpartnership.org/documents/georgia-action-plan-2018-2019/>

ვალდებულების მიმოხილვა	კონკრეტულობა		OGP-ის ღირებულებებთან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				შესრულება				გახსნა ამან მთავრობა?				
	შესაფასებლად არ არის საკმარისად კონკრეტული	შესაფასებლად საკმარისად კონკრეტული	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშგაღებულობა	ტექნოლოგიები და ინოვაცია	არცერთი	შუალედური	არსებითი	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	ნაწილობრივ	მეტწილად	სრულად	გაუარესა	არ შეცვლილა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი ცვლილება	გამორჩეული
12. სახელმწიფო საგრანტო დაფინანსების სისტემის გამჭვირვალობის გაზრდა		✓		✓					✓		შეფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის დასასრულს				შეფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის დასასრულს				

კონტექსტი და მიზნები

ბოლო წლებში, სახელმწიფო გრანტის მოპოვების შესაძლებლობების გაზრდის მიუხედავად, საქართველოში არ არსებობს სახელმწიფო საგრანტო დაფინანსების ერთიანი წესები.¹ სახელმწიფო უწყებები გრანტებს გასცემენ ერთიანი სტანდარტიზებული წესების გარეშე შიდა პროცედურების საფუძველზე, რომლებიც მნიშვნელოვნად შეიძლება განსხვავდებოდეს სხვადასხვა უწყებისა და საგრანტო პროექტის მიხედვით. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული საგრანტო დაფინანსების გაცემის პროცესს ბუნდოვანს და გაუმჭვირვალეს ხდის და შესაბამისად, ზრდის კორუფციის რისკს.²

აღნიშნული ვალდებულების მიზანია, სახელმწიფო საგრანტო დაფინანსების გაცემის ერთიანი რეგულირების სტანდარტის შექმნა. მთავრობის ადმინისტრაცია დაინტერესებულ მხარეებთან (როგორებიცაა საჯარო უწყებები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, ექსპერტები) თანამშრომლობით შეიმუშავებს პროექტს გრანტების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შესატანად და წარუდგენს მას პარლამენტს. აღნიშნულ ცვლილებებზე სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გათვალისწინებით, ვალდებულება შესაბამისობაშია OGP-ის მოქალაქეთა ჩართულობის ღირებულებასთან.

ვალდებულების ტექსტი მოიცავს სპეციფიკურ და კონკრეტულ ნაბიჯებს, როგორებიცაა დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების შედეგად გრანტების შესახებ საქართველოს კანონში საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება და მათი

პარლამენტისათვის წარდგენა. თუმცა, აღნიშნული ცვლილებების შესახებ კონსულტაციების მასშტაბი და არეალი არ არის ნათლად ჩამოყალიბებული.

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს წარმომადგენლის მოსაზრებით, ერთიანი საკანონმდებლო სტანდარტის შემოღება შესაძლოა მუნიციპალიტეტებისთვის საგრანტო დაფინანსების ადგილობრივ დონეზე გაცემის ლეგალური საფუძველი გახდეს. მან ასევე აღნიშნა, რომ ერთიანი სტანდარტი ხელს შეუწყობს საგრანტო დაფინანსებასთან დაკავშირებული კორუფციის შემთხვევების რაოდენობის შემცირებას.³ ამის გარდა, გრანტის მიმღები დაინტერესებული მხარეები ირწმუნებიან, რომ ერთიანი სტანდარტი გააუმჯობესებს და უფრო გამჭვირვალეს გახდის მთავრობის მიერ გრანტების გაცემის პროცესს.⁴ ერთიანი საკანონმდებლო სტანდარტის შემოღებას ბევრად მასშტაბური გავლენა ექნებოდა სახელმწიფო გრანტების ისეთი მიმართულებებით არსებობის შემთხვევაში, როგორებიცაა მაგალითად სოციალური თემები (ასაკოვანი მოსახლეობა, უსახლკარობა და გარემოს დაცვა). თუმცა იქედან გამომდინარე, რომ დღეს სახელმწიფო საგრანტო დაფინანსება ძირითადად სამეცნიერო კვლევების, სასწავლო სტიპენდიებისა და სტარტაპების მიმართულებით გაიცემა, აღნიშნული ვალდებულების მასშტაბი შეზღუდულია. თუმცა, ვალდებულების განხორციელება მნიშვნელოვანი წინადადგმული ნაბიჯი იქნება საქართველოში ზოგადად საგრანტო დაფინანსების მენეჯმენტის სისტემის გაუმჯობესებისა და განვითარების პროცესში, რაც შეიძლება განვიხილოთ როგორც არსებითი გაუმჯობესება.

შემდგომი ნაბიჯები

დაინტერესებული მხარეები და გრანტის მიმღები ორგანიზაციები თვლიან, რომ აღნიშნული ვალდებულება იქნება სახელმწიფო საგრანტო დაფინანსების სისტემის გაუმჯობესებისკენ მნიშვნელოვანი წინადადგმული ნაბიჯი ქვეყნის მასშტაბით. შესაბამისად, IRM მკვლევარი რეკომენდაციას უწევს ვალდებულების გაგრძელებას, შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინებით:

- ერთიანი სტანდარტის ფარგლებში შემუშავდეს მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტი. აღნიშნული არა მხოლოდ საგრანტო დაფინანსების გამცემი უწყებებისათვის იქნება მონიტორინგისა და შეფასების ერთიანი სახელმძღვანელო, არამედ გრანტის მიმღებ ორგანიზაციებს მისცემს პროექტის მონიტორინგის, შეფასებისა და გამცემი უწყებებისათვის სწორი ანგარიშგების საშუალებას. ამ მექანიზმის საშუალებით საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია და გრანტის გამცემი უწყებები შეძლებენ შექმნან კონტროლის შიდა მექანიზმი, შეაფასონ პროცესი გრანტის გაცემამდე და შესრულებული სამუშაოს მონიტორინგისა და ხარჯ-ეფექტიანობის ანალიზზე თუ სხვა კრიტერიუმებზე დაყრდნობით მიიღონ საბოლოო გადაწყვეტილებები. მხარეებს ასევე შეეძლება აღნიშნული ინსტრუმენტის გამოყენება სახელმწიფო გრანტის ფარგლებში განხორციელებული პროექტების შესაფასებლად, პროცესის სუსტი მხარეებისა თუ წარმატებული პროექტების გამოსავლენად.
- დაინტერესებული მხარეები რეკომენდაციას უწევენ ერთიანი ვებ-გვერდის შექმნას, რომელზეც თავმოყრილი იქნება ინფორმაცია ყველა სახელმწიფო გრანტისა და ერთიანი საკანონმდებლო სტანდარტის შესახებ. (აღნიშნულ ვებ-გვერდზე შესაძლოა განთავსებული იყოს, ასევე ლინკები გამოცხადებულ გრანტებზე უფრო დეტალური ინფორმაციის მისაღებად). ერთი პორტალი, რომელსაც ექნება მარტივი და მომხმარებელზე ორიენტირებული ინტერფეისი

გააუმჯობესებს ინფორმაციაზე სახელმწიფო გრანტებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

¹ სახელმწიფო გრანტის ფარგლებში არსებული შესაძლებლობის მაგალითების არასრული ჩამონათვალი: აწარმოე საქართველოში <https://bit.ly/2Tx4QaS>; საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ფარგლებში განხორციელებული პროგრამები- <https://bit.ly/2TxfGJ> ; სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო- <https://bit.ly/2wzW96N>

² გიორგი თოფურია, უფრო ანალიტიკოსი, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 22 მაისი 2019.

³ გიორგი თოფურია, უფრო ანალიტიკოსი, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 22 მაისი 2019..

⁴ ნათია გოლიაძე, ექსპორტის განვითარების ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი და ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსი, საქართველოს უნივერსიტეტი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 19 ივნისი 2019

13. ელექტრონული ინოვაციები საჯარო შესყიდვების მეტი გამჭვირვალობისა და ეფექტიანობისთვის

ვალდებულების ტექსტი სამოქმედო გეგმაში

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტის (Department of International Development – DFID) მხარდაჭერით, ასევე ღია მონაცემთა პარტნიორობასთან (Open Contracting Partnership – OCP) თანამშრომლობით აქტიურად მუშაობს Open Contracting Data Standard (OCDS) დანერგვაზე. აღსანიშნავია, რომ OCDS გულისხმობს ღია მონაცემთა პუბლიკაციის სტანდარტის შემოღებას, რომელიც უზრუნველყოფს სატენდერო ინფორმაციისა და ხელშეკრულების შესრულების ყველა ეტაპზე (დაგეგმარებიდან განხორციელებამდე) სტრუქტურირებული ინფორმაციის გამოქვეყნებას.

OCDS-ის მიხედვით არსებობს ღია მონაცემთა გამოქვეყნების სტანდარტის 4 (3 ძირითადი და 1 დამატებითი) დონე: 1. საბაზისო; 2. შუალედური; 3. მოწინავე; 4. დამატებითი. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს გააჩნია ამბიცია, რომ OCDS-ის სტანდარტების მიხედვით დააკმაყოფილოს მე-3-მე-4 დონის სტანდარტები.

ამ ეტაპზე, დასრულებულია პირველი ეტაპის სამუშაოები OCDS-ის დანერგვის უზრუნველსაყოფად, რაც გულისხმობს, როგორც აგრეგირებული, ასევე ცალკეულ შესყიდვებზე არსებული ინფორმაციის სპეციალურ წაკითხვად (Machine readable) ფორმატში (JSON) სისტემატურ გამოქვეყნებას საგანგებოდ შექმნილ ახალ ვებგვერდზე.

მეორე ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო გეგმავს ღია მონაცემთა პუბლიკაციის სტანდარტის კიდევ უფრო განვრცობას, რაც გულისხმობს სპეციალურ წაკითხვად ფორმატში შემსყიდველი ორგანიზაციების შესყიდვის წლიური გეგმების გამოქვეყნებას, ასევე ავტორიზებული მომხმარებლისათვის ღია მონაცემების ბაზასთან პირდაპირ წვდომის მიზნით პროგრამული ინტერფეისის აპლიკაციის (API) და ახალი ვიზუალიზაციის ვებგვერდის შექმნას.

განხორციელების ეტაპები:

1. E-Procurement სისტემაში ჩაშენებული სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული წლიური გეგმების მოდულში (e-Plan) არსებული მიმდინარე წლის ინფორმაციის წაკითხვად (machine readable) ფორმატში გადაყვანა და გამოქვეყნება ვებგვერდზე – opendata.spa.ge
2. OCDS სტანდარტით შექმნილ ბაზაზე დაფუძნებული ახალი ვიზუალიზაციის ვებგვერდის შექმნა (ახალი ვებგვერდი დაეხმარება მომხმარებლებს მოიძიონ მათთვის სასურველი ინფორმაცია ნებისმიერ კორელაციაში)
3. OCDS სტანდარტზე დაფუძნებულ ბაზაზე წვდომისათვის პროგრამული ინტერფეისის აპლიკაციის (API) შექმნა
4. E-Procurement სისტემის ელექტრონულ ტენდერებში CPV კოდების მეტად დეტალიზებული (მინიმუმ მეორე დონის) მითითების უზრუნველყოფა
5. OCDS სტანდარტით შექმნილი ბაზის განახლება, 2011 წლიდან ისტორიული მონაცემების სრულად დაფარვა და ახალი, მიმდინარე მონაცემების სისტემატური განახლება

დაწყების თარიღი: დეკემბერი, 2018

დასრულების თარიღი: დეკემბერი, 2019

შენიშვნა: ზემოთმოყვანილი ტექსტი არის ამონარიდი თბილისის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმიდან. სრულ ტექსტში მოცემულია დეტალური ტექნიკური ინფორმაცია ვალდებულების შესრულების შესახებ. ვალდებულება სრული სახით შეგიძლიათ იხილოთ: <https://www.opengovpartnership.org/documents/georgia-action-plan-2018-2019/>

ვალდებულების მიმოხილვა	კონკრეტულობა		OGP -ის ღირებულებებთან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				შესრულება				გახსნა ან მთავრობა?				
	შესაფასებლად არ არის საკმარისად კონკრეტული	შესაფასებლად საკმარისად კონკრეტულია	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის	არცერთი	შეზღუდული	არსებითი	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	ნაწილობრივ	მეტწილად	სრულად	გააუარესა	არ შეცვლილა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი ცვლილება	გამორჩეული
13. ელექტრონული ინოვაციები საჯარო შესყიდვების მეტი გამჭვირვალობისა და ეფექტიანობისთვის		✓	✓			✓			✓		შეფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის დასასრულს				შეფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის დასასრულს				

კონტექსტი და მიზნები

ვალდებულება აგრძელებს საქართველოს მესამე სამოქმედო გეგმის (2016-2017) მეთხუთმეტე ვალდებულებას, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ აამუშავა პორტალი www.opendata.spa.ge, სადაც ღია ფორმატში აქვეყნებს ერთად თავმოყრილ (აგრეგირებულ) და დეტალურ მონაცემებს ტენდერებთან დაკავშირებით. აღნიშნული პორტალი შემუშავდა ღია კონტრაქტების სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის და ტენდერების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით.

მეოთხე სამოქმედო გეგმის მიმდინარე ვალდებულებით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო გეგმავს არსებულ opendata.spa.ge პორტალს დაამატოს ელექტრონული წლიური გეგმების (e-Plan) მოდული და გამოაქვეყნოს შესაბამისი ინფორმაცია ღია მონაცემების ფორმატში. ასევე დაგეგმილია შესყიდვების წლიური გეგმების შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციის გამოქვეყნება და ტენდერების აგრეგირებულ მონაცემებზე ფილტრების დამატება, რაც მომხმარებელს სასურველი ინფორმაციის მოძიებაში დაეხმარება, ასევე სრულად აღადგინოს და ხელმისაწვდომი გახადოს ისტორიული მონაცემები 2011 წლიდან დღემდე. და ბოლოს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო გეგმავს აპლიკაციის პროგრამირების ინტერფეისის (API) მიწოდებას პორტალზე რეგისტრირებული მომხმარებლებისთვის და პორტალის ახალი ვიზუალიზაციის შექმნას.¹

აღნიშნული ვალდებულება ეხმიანება სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების კრიტიკას, რომელიც ეხებოდა წინა სამოქმედო გეგმის ფარგლებში გაშვებულ მონაცემთა ბაზას. დაინტერესებული მხარეები აღნიშნავდნენ, რომ მონაცემთა ბაზა მონაცემების

ფილტრაციის შეზღუდულ შესაძლებლობას იძლეოდა, რაც არ იყოს საკმარისი დეტალური ანალიზისათვის. ასევე დაინტერესებულ მხარეებს არ მიეწოდებოდათ აპლიკაციის პროგრამირების ინტერფეისი, რომლის მეშვეობითაც მომხმარებლები შეძლებდნენ თავიანთი პორტალების სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდთან დაკავშირებას. ბევრი დაინტერესებული მხარე ასევე ხაზს უსვამდა მონაცემების წაკითხვად (machine-readable) და ღია ფორმატში გამოქვეყნების მნიშვნელობას ისე, რომ მომხმარებლებს შეძლებოდათ მონაცემების სხვადასხვა ცვლადის მიხედვით გაფილტვრა.² ³ გამომდინარე იქიდან, რომ ვალდებულების მიზანია შესყიდვების შესახებ მონაცემები მეტად ხელმისაწვდომი და გამოყენებადი გახადოს, ის შეესაბამება OGP-ის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ღირებულებას. ვალდებულება საკმაოდ კონკრეტულია. მასში გაწერილი სამიზნე ნიშნულები და შედეგები გაზომვადია და შესაბამისობაშია ვალდებულების ამოცანებთან.

ვალდებულებით გათვალისწინებული აქტივობები წარმოადგენს კიდევ ერთ წინგადადგმულ ნაბიჯს შესყიდვების შესახებ მონაცემთა გასაჯაროების მიმართულებით. ვალდებულება შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც გამართული სისტემის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. სრულად განხორციელების შემთხვევაში, განხორციელებული აქტივობები ხელს შეუწყობს შესყიდვების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გამჭვირვალობის გაზრდას და გააუმჯობესებს მოქალაქეთა და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესაძლებლობას, აწარმოონ სამთავრობო ხარჯების მონიტორინგი.⁴ აგრეთვე, რაც მნიშვნელოვანია, შესყიდვების შესახებ ინფორმაცია მეტად ხელმისაწვდომი გახდება საზოგადოებისთვის, მოქალაქეებისათვის და არა მხოლოდ გამოცდილი ექსპერტებისა თუ ორგანიზაციებისთვის.⁵

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მონაცემთა გამოქვეყნება წაკითხვად (machine readable) ფორმატში წინგადადგმული ნაბიჯია, არის მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხებისა, რომლებსაც აღნიშნული ვალდებულება ნაკლებად პასუხობს. მაგალითად, წლიური შესყიდვების გეგმა დღეს არ ასახავს საკმარისად დეტალურ ინფორმაციას, მაგალითად CPV კოდების მიხედვით (ვალდებულებით გათვალისწინებულია მეორე დონის მითითების უზრუნველყოფა). ასევე, აღსანიშნავია, რომ წლიური გეგმები ხშირად იცვლება, რაც დაინტერესებული მხარეებისათვის ართულებს ბიზნესის პროცესის წინასწარ დაგეგმვას.⁶

შემდგომი ნაბიჯები

სამომავლოდ IRM დამოუკიდებელი მკვლევარი რეკომენდაციას აძლევს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, რომ განაგრძოს მუშაობა www.opendata.spa.ge პორტალზე უფრო დეტალური ინფორმაციის გამოქვეყნების საკითხზე. მაგალითად, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) რეკომენდაციაა, რომ სახელმწიფო შესყიდვების სამსახურმა გამოაქვეყნოს საქონლისა და სერვისების დეტალური CPV კოდები.⁷ IRM დამოუკიდებელი მკვლევარი, ასევე, ხაზგასმით ეთანხმება და იმეორებს IDFI-ის რეკომენდაციას, რომელიც ეხება საჯარო შესყიდვების კანონმდებლობაში ცვლილების შეტანას ქვეკონტრაქტორი კომპანიების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების სავალდებულოდ განსაზღვრის მიზნით. ზემოაღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინება ხელს შეუწყობს შემდეგ საფეხურზე გადასვლას ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კუთხით და გამოიციხავს შავ სიაში მყოფი კომპანიების შესყიდვების პროცესში მონაწილეობას.

¹ Open Contracting Partnership, *სახელმძღვანელო, რომელიც განსაზღვრავს ღია კონტრაქტების სტანდარტიზებული ფუნქციონალურ მოთხოვნებს სახელმწიფო ელექტრონული შესყიდვების სისტემისთვის*, “2018, <https://bit.ly/32iny8C>.

² ღია მმართველობის ინიციატივა, *IRM საქართველოს წინსვლის ანგარიში 2016–2017*, <https://bit.ly/2XKZWpP>.

³ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), *სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის აღსრულების შეფასება*, 2017, <https://bit.ly/2IwoMEM>

⁴ საბა ბუაძე, ანტი-კორუფციული მიმართულების ყოფილი ხელმძღვანელი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 22 მაისი 2019.

⁵ IRM მკვლევარის მიერ განხორციელებული ფოკუს-ჯგუფი ექსპერტებთან, მკვლევარებთან და საჯარო ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან, 18 ივნისი 2019.

⁶ გიორგი თოფურია, უფრო ანალიტიკოსი, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 22 მაისი 2019

⁷ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), *სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის აღსრულების შეფასება*, მაისი 2017, <https://bit.ly/2IwoMEM>

გამოწვევა IV: უსაფრთხო გარემოს შექმნა

14. საცხოვრისის პოლიტიკის დოკუმენტის და სამოქმედო გეგმის შემუშავება

ვალდებულების ტექსტი სამოქმედო გეგმაში

უსახლკარობის პრობლემის მოგვარება, მისი კომპლექსურობიდან გამომდინარე, სახელმწიფოსგან მოითხოვს როგორც გრძელვადიანი, ასევე დროის მოკლე მონაკვეთში განსახორციელებელი პრიორიტეტების განსაზღვრას. შესაბამისად, მთავრობის მიზანია, ღია მმართველობის ფარგლებში შეიქმნას უწყებათაშორისი კომისია/საბჭო, რომელიც გაანალიზებს არსებულ მდგომარეობას, გამოწვევებს და შეიმუშავებს საცხოვრისის პოლიტიკის დოკუმენტს და სამოქმედო გეგმას.

დღეს ქვეყანაში არ არსებობს უსახლკარობის პრობლემის დამლევის ერთიანი ხედვა და სტრატეგია, რომელიც საფუძვლად დაედება ადგილობრივად პრობლემის ეტაპობრივ მოგვარებას. ბუნდოვანია საკანონმდებლო რეგულაციები, მათ შორის, უსახლკარობის სტატუსის დადგენის ზუსტი მეთოდოლოგია, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებების და ფუნქციების გამიჯვნის ნაწილში. შესაბამისად, აუცილებელია ერთიანი, კომპლექსური ღონისძიებების გატარება, რომელიც იქნება დროში განგრძობადი და სისტემურად უზრუნველყოფს ხარვეზების აღმოფხვრას.

განხორციელების ეტაპები:

1. უწყებათაშორისი კომისიის/საბჭოს შექმნა
2. საცხოვრისის პოლიტიკის დოკუმენტის და სამოქმედო გეგმის შემუშავება სხვადასხვა ჯგუფების ჩართულობის გზით
3. საცხოვრისის პოლიტიკის დოკუმენტის და სამოქმედო გეგმის დასამტკიცებლად წარდგენა

დაწყების თარიღი: იანვარი, 2019

დასრულების თარიღი: სექტემბერი, 2021

შენიშვნა: ზემოთმოყვანილი ტექსტი არის ამონარიდი თბილისის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმიდან. სრულ ტექსტში მოცემულია დეტალური ტექნიკური ინფორმაცია ვალდებულების შესრულების შესახებ. ვალდებულება სრული სახით შეგიძლიათ იხილოთ: <https://www.opengovpartnership.org/documents/georgia-action-plan-2018-2019/>

ვალდებულების
მიმოხილვა

კონკრეტულობა

OGP -ის ღირებულებებთან
შესაბამისობა

პოტენციური
შედეგი

შესრულება

გახსნა ან მთავრობა?

	შესაფასებლად არ არის საკმარისად კონკრეტული	შესაფასებლად საკმარისად კონკრეტულია	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის	არცერთი	შეზღუდული	არსებითი	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	ნაწილობრივ	მეტწილად	სრულად	გააუარესა	არ შეცვლილა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი ცვლილება	გამორჩეული
14. საცხოვრისის პოლიტიკის დოკუმენტის და სამოქმედო გეგმის შემუშავება		✓	✓	✓				✓			შეფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის დასასრულს				შეფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის დასასრულს				

კონტექსტი და მიზნები

2016 წელს ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის მიერ მომზადებული ანგარიშის თანახმად, 'საქართველოში არ არსებობს სახელმწიფო პოლიტიკა უსახლკარო პირებთან დაკავშირებით. ფონდი ღია საზოგადოება საქართველო (OSGF) 2016 წლიდან მუშაობს უსახლკარობის პრობლემაზე და საქართველოს OGP-ის მეოთხე სამოქმედო გეგმაში ამ ვალდებულების შეტანის ინიციატივაც სწორედ მას ეკუთვნის. აღნიშნული ვალდებულება ითვალისწინებს უწყებათაშორისი საბჭოს შექმნას, საცხოვრისის პოლიტიკის დოკუმენტისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებას, რომელშიც გაწერილი იქნება საცხოვრისის პოლიტიკის მიზნების მისაღწევად საჭირო კონკრეტული ნაბიჯები. ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (USAID GGI) დაეხმარება უწყებათაშორისი საბჭოს არსებული მდგომარეობის და საჭიროებების შეფასებასა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული საცხოვრისის პოლიტიკისა და სამოქმედო გეგმის დოკუმენტების შემუშავებაში. დოკუმენტების შემუშავების პროცესი შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს მოთხოვნებთან და განხორციელება რეგულირების ზემოქმედების შეფასება (RIA). ვალდებულება შესაბამისობაშია OGP-ის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ღირებულებასთან. ამასთანავე, რადგან საცხოვრისის პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება დაგეგმილია "სხვადასხვა ჯგუფების" ჩართულობით, ვალდებულება შეესაბამება OGP-ის მოქალაქეთა ჩართულობის ღირებულებას.

ვალდებულების განხორციელების ეტაპები კონკრეტულია. კერძოდ უწყებათაშორისი საბჭოს, საცხოვრისის პოლიტიკის დოკუმენტისა და სამოქმედო გეგმის შექმნა. თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ არ არის დაკონკრეტებული რომელი უწყებებისგან მოხდება უწყებათაშორისი საბჭოს დაკომპლექტება ან რომელი "სხვადასხვა ჯგუფები" იქნებიან ჩართული საცხოვრისის პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავებაში. რთულია შეფასება, თუ რა ზეგავლენას მოახდენს აღნიშნული ვალდებულება უსახლკარობის პრობლემაზე, რადგან შედეგი მეტწილად დამოკიდებული იქნება პოლიტიკის დოკუმენტის შინაარსსა და სამოქმედო გეგმაზე. შესაბამისად პოტენციური შედეგი შეფასდა როგორც შეზღუდული. მიუხედავად ამისა, OSGF-ისა² და USAID GGI-ის წარმომადგენლები³

აღნიშნეს, რომ აღნიშნული ვალდებულება წარმოადგენს პირველ მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯს საქართველოში უსახლკარობის პრობლემის მოგვარების გზაზე.

შემდგომი ნაბიჯები

მიუხედავად იმისა, რომ ვალდებულება ეხება უმნიშვნელოვანეს პრობლემას ქვეყანაში (უსახლკარობა და ღირსეული საცხოვრისის უფლება), **IRM** დამოუკიდებელი მკვლევარი რეკომენდაციას უწევს აღნიშნულ საკითხზე მუშაობის გაგრძელებას **OGP**-ის შემდგომი სამოქმედო გეგმის ფარგლებს მიღმა. **IRM** დამოუკიდებელი მკვლევარის შემდეგი რეკომენდაციაა, აქცენტი გაკეთდეს უსახლკარო პირთა უფლებებისა და შესაბამისი უწყებების ვალდებულებების შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობაზე.

¹ ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, *უსახლკარობა: სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზი*, 2016, <https://bit.ly/330tJ1N>

² ანანო ცინცაბაძე, მონაწილეობითი დემოკრატიის პროგრამა, პროექტის კოორდინატორი, ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 15 მაისი 2019

³ მარიამ გორგაძე, პროექტის ხელმძღვანელის მოადგილე და მიხეილ დარჩიაშვილი, სახელმწიფო მართვის პროგრამის მენეჯერი, USAID-ის პროექტი დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველო, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 14 მაისი 2019.

გამოწვევა V: კორპორატიული პასუხისმგებლობის გაუმჯობესება

15. სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობის მქონე საწარმოების ღიაობა და ანგარიშვალდებულება

ვალდებულების ტექსტი სამოქმედო გეგმაში

სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საქმიანობის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოების მართვა/განკარგვა. სახელმწიფოს მიერ საწარმოების მართვის მთავარი მიზანი სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანი ფუნქციების ეფექტიანად განხორციელებაა. აგრეთვე, სახელმწიფო ცდილობს არ იყოს კონკურენტი ბიზნესისთვის, არამედ, ხელი შეუწყოს მის განვითარებას. ქონების ეროვნული სააგენტო სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ საწარმოებთან მიმართებაში აგრძელებს მინიმიზაციის პოლიტიკას.

ასეთი საწარმოები განსაკუთრებულ საჯარო ინტერესს იწვევს. სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებული კვლევები, მიუთითებენ სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობის მქონე საწარმოების გაუმჭვირვალობასა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სტანდარტების დამკვიდრების საჭიროებაზე. ამ მხრივ მნიშვნელოვანია არსებობდეს ხელმისაწვდომი ინფორმაცია სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მართვაში არსებული სახელმწიფოს 100% წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების შესახებ. ამასთანვე საწარმოებს ჰქონდეთ ვალდებულება პროაქტიულად გამოაქვეყნონ ანგარიშები რომლებიც მოიცავს არამხოლოდ ფინანსურ, არამედ შინაარსობრივ ნაწილსაც.

საწარმოების ანგარიშვალდებულების და კორპორატიული პასუხისმგებლობის გაზრდის მიზნით, მნიშვნელოვანია სააგენტოს მიერ შემუშავდეს კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო, რომელიც განსაზღვრავს საწარმოთა მართვის საერთო პრინციპებსა და მიმართულებებს. მნიშვნელოვანია, რომ სააგენტოს მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო ეფუძნებოდეს ამ სფეროში არსებულ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას.

განხორციელების ეტაპები:

1. სახელმწიფოს 100% წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოებისთვის სააგენტოს მიერ განხორციელდება უნიფიცირებული შაბლონის შემუშავება, სადაც წარმოდგენილი იქნება ინფორმაცია საწარმოს სახელწოდების, საკონტაქტო ინფორმაციის, დაფუძნების, მმართველი რგოლის, კაპიტალის, საქმიანობის სფეროს, სახელმწიფო წილის შესახებ; ამასთან ფორმაში მოცემული იქნება ინფორმაცია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის და შედეგების შესახებ. ინფორმაცია გამოქვეყნდება სააგენტოს ვებ.გვერდზე nasp.gov.ge
2. სახელმწიფოს 100% წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოების კორპორაციული მართვის სახელმძღვანელოს პროექტის შემუშავება

დაწყების თარიღი: ივნისი, 2018

დასრულების თარიღი: დეკემბერი, 2019

შენიშვნა: ზემოთმოყვანილი ტექსტი არის ამონარიდი თბილისის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმიდან. სრულ ტექსტში მოცემულია დეტალური ტექნიკური ინფორმაცია

ვალდებულების შესრულების შესახებ. ვალდებულება სრული სახით შეგიძლიათ იხილოთ: <https://www.opengovpartnership.org/documents/georgia-action-plan-2018-2019/>

ვალდებულების მიმოხილვა	კონკრეტულობა		OGP -ის ღირებულებებთან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				შესრულება				გახსნა ან მთავრობა?				
	შესაფასებლად არ არის საკმარისად კონკრეტული	შესაფასებლად საკმარისად კონკრეტულია	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის	არცერთი	შუალედური	არსებითი	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	ნაწილობრივ	მეტწილად	სრულად	გააუარესა	არ შეცვლილა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი ცვლილება	გამორჩეული
15. სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობის მქონე საწარმოების ღიაობა და ანგარიშვალდებულება		✓	✓					✓			შეფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის დასასრულს				შეფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის დასასრულს				

კონტექსტი და მიზნები

ვალდებულება მიზნად ისახავს საქართველოში სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოების გამჭვირვალობის გაუმჯობესებას. ამჟამად, აღნიშნული საწარმოების შესახებ ისეთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია, როგორიცაა წლიური ფინანსური ანგარიშები, აუდიტის ანგარიშები, ადმინისტრაციული ხარჯები, შესყიდვები, მართვის პოლიტიკა თუ დასაქმებულთა რაოდენობა, არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი. უფრო მეტიც, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების 2015 წლის კვლევის თანახმად,¹ არ არსებობს რეგულაციები, რომლებიც სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოების გამჭვირვალობის მინიმალურ სტანდარტს უზრუნველყოფს. საწარმოების უმეტესობას ან საერთოდ არ აქვს ვებ-გვერდი, ან ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია მწირია და მოძველებული. დღეს, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოები ფუნქციონირებენ სსიპ-ებისათვის დადგენილი ზოგადი მენეჯმენტის საფუძველზე.

სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოების შესახებ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს (NASP) ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია მწირია და საწარმოს დასახელების, საიდენტიფიკაციო კოდის, საქმიანობის სფეროს, სახელმწიფოს წილის, იურიდიული და ფაქტობრივი მისამართითა და დირექტორის სახელით და გვარით შემოიფარგლება. 2019 წელს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე განახლებული ინფორმაციით რეგისტრირებულია 92 საწარმო,² რომელთაგან მხოლოდ 28 საწარმოზეა მითითებული ინფორმაცია პასუხისმგებელი პირის შესახებ.

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოების შესახებ ინფორმაციის სიმცირე კორუფციის გამოწვევებს უკავშირდება. მაგალითად,

სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოების დირექტორების ან დირექტორთა საბჭოს წევრების დანიშვნის პროცედურა არ არის გამჭვირვალე. კანონმდებლობაში არ არის გაწერილი ამგვარი საწარმოების დაფუძნების კრიტერიუმები ან ლეგიტიმური მიზნები. სტანდარტების არარსებობის გამო იზრდება ინტერესთა კონფლიქტის, ნეპოტიზმის და კორუფციის რისკები, ასევე, გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე პოლიტიკური და პირადი ინტერესების გავლენა. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს (TI-Georgia) წარმომადგენლის მოსაზრებით უნდა შემუშავდეს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოების გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და კეთილსინდისიერების სტანდარტები, რაც თავის მხრივ ანტიკორუფციული მექანიზმების გაძლიერებას შეუწყობს ხელს.³ კერძოდ, მათი რეკომენდაცია მოიცავს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოებისათვის სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის პროაქტიული გასაჯაროების და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვას.⁴

სახელმწიფოს 100% წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოების გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო მიზნად ისახავს უნიფიცირებული შაბლონის შემუშავებას, რომელშიც აღნიშნული იქნება შემდეგი სახის ინფორმაციას: ინფორმაცია დირექტორის შესახებ, საწარმოს კაპიტალი, პროექტები და სხვა. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო გამოაქვეყნებს აღნიშნულ მონაცემებს ვებ-გვერდზე nasp.gov.ge. გარდა ამისა, სააგენტო აღნიშნული საწარმოებისათვის შექმნის კორპორაციული მართვის სახელმძღვანელოს. შესაბამისად, ვალდებულება შესაბამისობაშია OGP-ის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ღირებულებასთან და განხორციელების ეტაპები (უნიფიცირებული შაბლონი, ინფორმაცია სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოებისათვის შესახებ და კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო) კონკრეტულია.

სრულად განხორციელების შემთხვევაში, ვალდებულება წინადადებული ნაბიჯი იქნება სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოების გამჭვირვალობის უზრუნველყოფის პროცესში. კერძოდ, უნიფიცირებული შაბლონის შემოღება ხელს შეუწყობს უფრო დეტალური ინფორმაციის გასაჯაროების, როგორცაა ადმინისტრაციული ხარჯები, თანამშრომელთა რაოდენობა, ფინანსური და აუდიტის ანგარიშები, საწარმოს ფინანსური მდგომარეობა, და რაც ამჟამად საჯაროდ ხელმისაწვდომი არ არის. ვალდებულების განხორციელებამ შესაძლოა ასევე წააქეზოს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოები ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებისკენ.

დაინტერესებული მხარეების განცხადებით, იმდენად რამდენადაც ამჟამად საქართველოში სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოები "ნეპოტიზმისა და კორუფციის ბუდე" წარმოადგენენ, აღნიშნული ინიციატივა იქნება არსებული სიტუაციის გაუმჯობესებისკენ გადადგმული პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი.⁵ თუმცა, მისი არასავალდებულო ხასიათი, ხელს შეუშლის ცვლილების ინსტიტუციონალიზაციას, რადგან გამჭვირვალობის სტანდარტის საკანონმდებლო დონეზე დარეგულირება არ არის გათვალისწინებული, ვალდებულების პოტენციური შედეგი შეზღუდულია. შეზღუდულია ასევე ვალდებულების არეალი, რადგან ორიენტირებულია მხოლოდ სახელმწიფოს 100% წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ საწარმოებზე, რაც 98 საწარმოდან მხოლოდ 53 (54%) წარმოადგენს. საწარმოთა 73%-ში სახელმწიფო ფლობს საკონტროლო პაკეტს. შესაბამისად, ვალდებულებაში არ არის გათვალისწინებული საწარმოების 19%, რომელთა საკონტროლო პაკეტის მფლობელიც სახელმწიფოა.⁶

შემდგომი ნაბიჯები

IRM დამოუკიდებელი მკვლევარი რეკომენდაციას უწევს ვალდებულების მომდევნო სამოქმედო გეგმაში გადატანას, იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოების შესახებ დეტალური და განახლებული ინფორმაციის გასაჯაროება დარეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით და გავრცელება სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ ყველა საწარმოზე. გარდა ამისა, შემდგომ ვალდებულებაში სასურველია დაზუსტდეს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოების მიერ გამოცხადებული ტენდერების საჯაროობის საკითხი.

¹ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია), სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების მართვა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება საქართველოში, 2016, <https://bit.ly/2YTzcVk>.

² სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, „სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი საწარმოების ჩამონათვალი,” <https://bit.ly/30xTOTK>.

³ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, კვლევა: სახელმწიფო საწარმოები საქართველოში- არსებული სამართლებრივი რეგულირება, გამოწვევები და რეკომენდაციები, “2018, , <https://bit.ly/2NSmVj2>.

⁴ საერთაშორისო გამჭვირვალობა- საქართველო, საქართველოს სახელმწიფო საწარმოები: გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და კორუფციის პრევენცია, 2016, <https://bit.ly/2Y4rF95>.

⁵ IRM მკვლევარის მიერ განხორციელებული ფოკუს-ჯგუფი ექსპერტებთან და სახელმწიფო გრანტის მიმღებებთან, 18 ივნისი 2019.

⁶ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, „სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი საწარმოების ჩამონათვალი,” <https://bit.ly/30xTOTK>.

გამოწვევა VI: მუნიციპალიტეტების ორგანოები

16. გამჭვირვალე და კეთილსინდისიერი მმართველობის განმტკიცება მუნიციპალიტეტებში

ვალდებულების ტექსტი სამოქმედო გეგმაში

მუნიციპალიტეტები ყოველწლიურად მნიშვნელოვან საბიუჯეტო სახსრებს განკარგავენ. საბიუჯეტო სახსრების გამჭვირვალედ და კეთილსინდისიერად გამოყენება მუნიციპალიტეტების უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს.

აღნიშნულთან დაკავშირებით, რიგი მუნიციპალიტეტებისთვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევაა, რომ მათ არ გააჩნიათ სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც აანალიზებს გამჭვირვალე და კეთილსინდისიერი მმართველობის წინაშე არსებულ გამოწვევებს/საფრთხეებს, ადგენს მათი გადაჭრის გზებს და განსაზღვრავს გამჭვირვალე და კეთილსინდისიერი მმართველობის არსებული სტანდარტების განმტკიცებისთვის განსახორციელებელ ქმედებებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ფორუმის წევრი მუნიციპალიტეტები შეიმუშავებენ გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების საშუალო ვადიან სტრატეგიას, რომელშიც ჩამოყალიბდება კეთილსინდისიერების და გამჭვირვალობის სახელმძღვანელო სტანდარტები. სტანდარტების დანერგვის მიზნით, შემუშავდება ორწლიანი სამოქმედო გეგმა.

გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების სტანდარტების დანერგვა, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში დემოკრატიული მმართველობის ხარისხის გაუმჯობესებას.

განხორციელების ეტაპები:

1. გამჭვირვალე და კეთილსინდისიერი მმართველობის შესახებ სიტუაციური ანალიზის მომზადება
2. გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის პირველადი სამუშაო ვერსიის მომზადება
3. გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის პირველადი ვარიანტების საჯარო განხილვები
4. გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიის (2019-2022), სამოქმედო გეგმის (2019-2020) და მონიტორინგის ჩარჩოს დამტკიცება

დაწყების თარიღი: სექტემბერი, 2018

დასრულების თარიღი: სექტემბერი, 2019

შენიშვნა: ზემოთმოყვანილი ტექსტი არის ამონარიდი თბილისის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმიდან. სრულ ტექსტში მოცემულია დეტალური ტექნიკური ინფორმაცია ვალდებულების შესრულების შესახებ. ვალდებულება სრული სახით შეგიძლიათ იხილოთ: <https://www.opengovpartnership.org/documents/georgia-action-plan-2018-2019/>

ვალდებულების მიმოხილვა	კონკრეტულობა		OGP -ის ღირებულებებთან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				შესრულება				გახსნა ან მთავრობა?				
	შესაფასებლად არ არის საკმარისად კონკრეტული	შესაფასებლად საკმარისად კონკრეტულია	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის	არცერთი	შუალედური	არსებითი	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	ნაწილობრივ	მეტწილად	სრულად	გააუარესა	არ შეცვლილა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი ცვლილება	გამორჩეული
16. გამჭვირვალე და კეთილსინდისიერი მმართველობის განმტკიცება მუნიციპალიტეტებში		✓	✓	✓					✓		შეფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის დასასრულს				შეფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის დასასრულს				

კონტექსტი და მიზნები

2016 წელს, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (OECD) გასცა რეკომენდაცია, რომ საქართველომ გადადგას ანტიკორუფციული ნაბიჯები ადგილობრივ დონზე, ადგილობრივი თვითმმართველობების კეთილსინდისიერების ამაღლებისა და ინტერესთა კონფლიქტის პოლიტიკისა და ანტიკორუფციული რეგულაციების განხორციელების მიზნით.¹ წინამდებარე ვალდებულების ფარგლებში, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (USAID GGI),² გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამა (UNDP)³ და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ),⁴ ადგილობრივ ორგანიზაციებთან და ექსპერტებთან თანამშრომლობით, დაეხმარებიან საქართველოს რვა მუნიციპალიტეტს, გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიებისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმების შემუშავებაში.⁵

აღნიშნული ვალდებულების ფარგლებში, პირველ რიგში გათვალისწინებულია სიტუაციური ანალიზის ჩატარება, რაც სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსიის შესამუშავებლად არის საჭირო. შემდგომი ნაბიჯია, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის პირველადი ვერსიის შემუშავება და საჯარო განხილვების ორგანიზება. და ბოლოს, სამუშაო ვერსიები დაეგზავნებათ შესაბამის მუნიციპალიტეტებს დასამტკიცებლად. დაინტერესებულმა მხარეებმა აღნიშნეს, რომ სტრატეგიები დაეხმარება ადგილობრივ თვითმმართველობებს პოტენციური ანტიკორუფციული რისკების გამოვლენასა და გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად კონკრეტული მექანიზმების შემუშავებაში.

UNDP⁶ ითანამშრომლებს ხონის, რუსთავის, წყალტუბოს, დუშეთისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტებთან ანტიკორუფციული მეთოდოლოგიის "Islands of Integrity" დანერგვის მიზნით, რომლის წარმატებული გახორციელებაც ქუთაისის მუნიციპალიტეტმა დაიწყო 2018 წელს.⁷ USAID GGI ითანამშრომლებს ახალციხისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებთან, ხოლო GIZ დაეხმარება დედოფლისწყაროს, სიტუაციური ანალიზის, სტრატეგიის შემუშავებასა და საჯარო განხილვების

ორგანიზებაში. USAID-ის და GIZ-ის თანახმად,⁸ სტრატეგიული დოკუმენტი შეეხება ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების, მოქალაქეთა განცხადებებზე პასუხის გაცემისათვის საჭირო დროის განსაზღვრის და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების ჩატარების საკითხებს. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ვალდებულება შესაბამისობაშია ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და მოქალაქეთა ჩართულობის ღირებულებებთან.

ვალდებულებით განსაზღვრული განხორციელების ეტაპები კონკრეტულია. სრული პროცესი დაყოფილია ოთხ მკაფიო და გაზომვად ნაბიჯად: 1. სიტუაციის ანალიზის ჩატარება, 2. დოკუმენტის პირველი სამუშაო ვერსიის შექმნა, 3. საჯარო განხილვები და უკუკავშირი და 4. სამუშაო ვერსიების დასამტკიცებლად წარდგენა.

USAID GGI-ის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სტრატეგიული დოკუმენტებში ასახული იქნება ეთიკისა და კეთილსინდისიერების საკითხები, ადამიანური რესურსების მართვის სისტემა, გამჭვირვალობის სტანდარტები, სამოქალაქო ჩართულობისა და საზედამხებდველო მექანიზმები, სახელმწიფო შესყიდვების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებული საჯარო უწყებების კეთილსინდისიერების საკითხები.⁹ UNDP-ის წარმომადგენლის მოსაზრებით, მხოლოდ სტრატეგიული დოკუმენტის მომზადება არ იქნება საკმარისი იმისათვის, რომ რვა მუნიციპალიტეტში გაიზარდოს გამჭვირვალობა და კეთილსინდისიერება. შედეგები დიდწილად დამოკიდებულია აღნიშნული სტრატეგიების განხორციელებაზე.¹⁰ აღნიშნულს ეხმიანება საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელიც,¹¹ რომელმაც განაცხადა, რომ პროექტის გრძელვადიანი შედეგის განმსაზღვრელი იქნება თუ რამდენად სწორად განხორციელდება სტრატეგიულ დოკუმენტებით და სამოქმედო გეგმებით გაწერილი მექანიზმები.

დაინტერესებულმა მხარეებმა ასევე აღნიშნეს, რომ ვალდებულების განხორციელება სასარგებლო იქნება მუნიციპალიტეტებისათვის იმ თვალსაზრისით, რომ ხელს შეუწყობს შემუშავების პროცესში ადგილობრივი მოსახლეობისა და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩართულობას. აღნიშნული არა მხოლოდ წაახალისებს, გაზრდის ინტერესსა და შესაძლებლობებს თვითმმართველობის აქტივობების მონიტორინგის განხორციელების კუთხით,¹² არამედ გაიზარდება მთავრობის მხრიდან ანგარიშვალდებულება და შესაბამისად გაუმჯობესდება მომსახურების ხარისხიც.^{13 14} გარდა ამისა, მონაწილეობითი შემუშავება ხელს შეუწყობს ადგილობრივი საჯარო მოხელეების ცნობიერების ამაღლებას და შესაძლებლობების გაუმჯობესებას ისეთი მიმართულებით, როგორებიცაა ანტიკორუფციული პოლიტიკა, კეთილსინდისიერება და გამჭვირვალობა. აღნიშნული კი, თავის მხრივ განაპირობებს შიდა მმართველობითი პროცესების და საჯარო სერვისების მიწოდების ხარისხის გაუმჯობესებას.

საერთო ჯამში, აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში კეთილსინდისიერების, გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების სტანდარტის დანერგვას არსებითი შედეგი ექნება.

შემდგომი ნაბიჯები

IRM მკვლევარი რეკომენდაციას უწევს მუნიციპალიტეტებს, რომ სტრატეგიების სამუშაო ვერსიების შემუშავებისას, პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით, პროცესში ჩართონ სამოქალაქო საზოგადოების, დაინტერესებული მხარეებისა და ადგილობრივი მაცხოვრებლების ფართო სპექტრი. სტრატეგიების შემუშავების შემდეგ, ადგილობრივმა უწყებებმა შესაძლოა შეიმუშაონ ანგარიშვალდებულების მონიტორინგის მექანიზმები და

აღნიშნულ პროცესში ჩართონ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და ადგილობრივი მოსახელობა.

ამჟამად, არ არსებობს მუდმივი კოორდინაცია პროცესში ჩართულ მუნიციპალიტეტებსა და პარტნიორებს შორის. შესაბამისად რეკომენდებულია, რომ დაინტერესებულმა მხარეებმა შექმნან საკოორდინაციო პლატფორმა, რომლის მეშვეობით შესაძლებელი იქნება გამოცდილების, მიდგომების, პრიორიტეტებისა და მეთოდოლოგიების გაზიარება, ასევე ძალისხმევის კოორდინირება სტრატეგიების, სამოქმედო გეგმის, და მონიტორინგის წარმატებით განხორციელებისათვის.

IRM დამოუკიდებელი მკვლევარი ასევე რეკომენდაციას უწევს შეფასების მექანიზმის შემუშავებას, რომლის მეშვეობითაც პარტნიორი მუნიციპალიტეტები მიღწეულ შედეგებს შეაფასებენ. შეფასების მექანიზმი მეტად სასარგებლო იქნება ქვეყნის მასშტაბით სხვა მუნიციპალიტეტებისთვის წარმატებული გამოცდილების გაზიარებისა და დანერგვის კუთხით.

¹ ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია, *სტამბულის ანტი-კორუფციული სამოქმედო გეგმა: მონიტორინგის მეოთხე რაუნდი: საქართველო*, 2016, <https://bit.ly/2lyfuJN>.

² Tetra Tech, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული მმართველობა “დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (USAID GGI),” <https://bit.ly/2XKANLI>.

³ UNDP, “დეცენტრალიზაციისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობა ადგილობრივ დონეზე,” <https://bit.ly/2v49Me9>

⁴ GIZ, “ადგილობრივი თვითმმართველობა სამხრეთ კავკასიაში,” <https://bit.ly/2LheTOI>.

⁵ შემდეგი 8 მუნიციპალიტეტია 1) ახალციხე, 2) დედოფლისწყარო, 3) ხონი, 4) ოზურგეთი, 5) რუსთავი, 6), წყალტუბო, 7) დუშეთი, და 8) ბოლნისი.

⁶ ნინო კაკუბავა, პროექტის მენეჯერი, და გიორგი ნასრაშვილი, კარგი მმართველობის ექსპერტი, UNDP, “დეცენტრალიზაციისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობა ადგილობრივ დონეზე საქართველოში, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 10 ივნისი, 2019.

⁷ UNDP, “ქუთაისში კორუფციასთან ბრძოლის ინოვაციური მეთოდოლოგია დაინერგება,” 27 თებერვალი 2018, <https://bit.ly/32YLFnc>

⁸ მარიამ გორგაძე, პროექტის ხელმძღვანელის მოადგილე და მიხეილ დარჩიაშვილი, სახელმწიფო მართვის პროგრამის მენეჯერი, USAID-ის პროექტი დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველო, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 14 მაისი 2019.

⁹ IRM-ს ინფორმაცია მიაწოდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დემოკრატიული მმართველობის ინიციატივამ (USAID GGI) გამოქვეყნებამდე განხილვის პერიოდში

¹⁰ კაკუბავა და ნასრაშვილი, ინტერვიუ, ივნისი 2019.

¹¹ ნინო ცუხიშვილი, საპარლამენტო მდივანი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 5 ივლისი 2019.

¹² ცუხიშვილი, ინტერვიუ, 2019.

¹³ გიორგი მელაძე, კონსტიტუციური კვლევების ცენტრის დირექტორი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 8 ივნისი 2019..

¹⁴ კაკუბავა და ნასრაშვილი, ინტერვიუ, ივნისი 2019.

17. ღია მონაცემების შეგროვება და გამოქვეყნების პროცესის გაუმჯობესება ახალციხისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტებში

ვალდებულების ტექსტი სამოქმედო გეგმაში

ღია მონაცემების კონცეფციას განსაკუთრებული ადგილი უკავია ღია მმართველობის პროცესში. საქართველოს მთავრობა როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ დონეზე ყოველდღიურ რეჟიმში აწარმოებს ღია მონაცემებს.

ღია მონაცემების რეგულარულად და სათანადო ფორმით გამოქვეყნება შესაძლებლობას აძლევს მოქალაქეებს, ბიზნეს სექტორს და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს გაეცნოს სახელმწიფო მონაცემებს და მათი გამოყენებით შექმნას ინოვაციური აპლიკაციები, ბიზნეს პროექტები და ელექტრონული სერვისები.

ღია მონაცემების რეგულარულად და ეფექტიანად გამოქვეყნების მიზნით, ღია მმართველობა საქართველოს 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში, იუსტიციის სამინისტროს სსიპ – „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ მიერ შეიქმნა ღია მონაცემთა პორტალი www.data.gov.ge. პორტალის შექმნიდან დღემდე მასზე მონაცემების განთავსება დაბალი სიხშირითა და ინტენსივობით ხდება, განსაკუთრებით კი ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტმა გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით შეიმუშავა და დაამტკიცა ანტი-კორუფციული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. ანტი-კორუფციული საქმიანობა ინოვაციური მოდელის – Islands of Integrity-ის გამოყენებით წარმართება. ანტი-კორუფციული სამოქმედო გეგმის ნაწილს ღია მონაცემების პროაქტიული გამოქვეყნება წარმოადგენს. თუმცა, ახალციხისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტებისთვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას ღია მონაცემების შეგროვებისა და სათანადო ფორმატებში (XML, CSV) დამუშავებისთვის საჭირო შესაძლებლობების სიმწირე წარმოადგენს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ახალციხისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტები შეიმუშავენ ღია მონაცემების სამოქმედო გეგმას 2019-2020 წლებისთვის, რომლის ეფექტიანად შესრულება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ღია მონაცემების შეგროვების, დამუშავების და გამოქვეყნების შესაძლებლობებს ახალციხისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტებში.

განხორციელების ეტაპები:

1. ღია მონაცემებს შეგროვებასთან, დამუშავებასა და გამოქვეყნებასთან დაკავშირებით სიტუაციური ანალიზის მომზადება
2. ღია მონაცემების სამოქმედო გეგმის (2019-2020) პირველადი ვერსიის შემუშავება
3. ღია მონაცემების სამოქმედო გეგმის (2019-2020) პირველადი ვერსიის საჯარო განხილვები
4. ღია მონაცემების სამოქმედო გეგმის (2019-2020) და მონიტორინგის ჩარჩოს დამტკიცება

დაწყების თარიღი: სექტემბერი, 2018

დასრულების თარიღი: ივნისი, 2019

შენიშვნა: ზემოთმოყვანილი ტექსტი არის ამონარიდი თბილისის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმიდან. სრულ ტექსტში მოცემულია დეტალური ტექნიკური ინფორმაცია ვალდებულების შესრულების შესახებ. ვალდებულება სრული სახით შეგიძლიათ იხილოთ: <https://www.opengovpartnership.org/documents/georgia-action-plan-2018-2019/>

ვალდებულების მიმოხილვა	კონკრეტულობა		OGP -ის ღირებულებებთან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				შესრულება				გახსნა ან მთავრობა?				
	შესაფასებლად არ არის საკმარისად კონკრეტული	შესაფასებლად საკმარისად კონკრეტული	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის	არცერთი	შეზღუდული	არსებითი	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	ნაწილობრივ	მეტწილად	სრულად	გააუარესა	არ შეცვლილა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი ცვლილება	გამორჩეული
17. ღია მონაცემების შეგროვება და გამოქვეყნების პროცესის გაუმჯობესება ახალციხისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტებში		✓	✓	✓				✓			შეფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის დასასრულს				შეფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის დასასრულს				

კონტექსტი და მიზნები

წინამდებარე ვალდებულების მიხედვით, ქუთაისისა და ახალციხის მუნიციპალიტეტები შეიმუშავენ ღია მონაცემთა სამოქმედო გეგმასა და მონიტორინგის ჩარჩოს. 2018 წელს, ქუთაისის მუნიციპალიტეტმა დაამტკიცა კეთილსინდისიერების სტრატეგია, რაც მოიცავდა მუნიციპალური მონაცემების პროაქტიულ გამოქვეყნებას. ახალციხის მუნიციპალიტეტმა კი OGP-ის მიმდინარე სამოქმედო გეგმის ფარგლებში აიღო გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების სტრატეგიის შემუშავების ვალდებულება. ღია მონაცემების სამოქმედო გეგმით, მონაცემთა შეგროვებისა და მართვის გაუმჯობესების მიზნით განისაზღვრება კონკრეტული ნაბიჯები, რაც ზემოაღნიშნულ თვითმმართველობებს დაეხმარებათ, გამოაქვეყნონ მუნიციპალური მონაცემები ღია მონაცემთა ფორმატში.¹

ვალდებულების განხორციელებას მხარს უჭერს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (USAID GGI).² ინიციატივის ფარგლებში, USAID GGI-იმ ხელშეკრულება გააფორმა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტთან (IDFI), რომელიც მუნიციპალიტეტებს ტექნიკურ დახმარებას გაუწევს. კერძოდ, IDFI დაეხმარება მუნიციპალიტეტებს დეტალური მეთოდოლოგიისა და სამუშაო გეგმის, საჭიროებების კვლევისა და შესაბამისი რეკომენდაციების, ასევე ღია მონაცემების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებაში. ასევე, უხელმძღვანელებს მუნიციპალიტეტში მომუშავე პერსონალის შესაძლებლობებისა და შესაბამისი უნარების განვითარებას. ვალდებულება და აქტივობები მიმართულია მონაცემთა მართვისა და გასაჯაროების პროცესების გაუმჯობესებისაკენ. შედეგად, ვალდებულება შესაბამისობაშია ინფორმაციის

ხელმისაწვდომობისა და მოქალაქეთა ჩართულობის ღირებულებასთან, რადგან ვალდებულებით ასევე გათვალისწინებულია ღია მონაცემების სამოქმედო გეგმის პირველადი სამუშაო ვერსიის საჯარო განხილვების ხელშეწყობა.

ვალდებულების ტექსტში მოცემულია კონკრეტული და გაზომვადი განხორციელების ეტაპები, როგორებიცაა სიტუაციური ანალიზის ჩატარება, დოკუმენტების სამუშაო ვარიანტების მომზადება და საჯარო კონსულტაციების გამართვა. ღია მონაცემების სამოქმედო გეგმების შემუშავება ხელს შეუწყობს მონაცემების მართვისა და პროაქტიული გამოქვეყნების პრაქტიკის გაუმჯობესებას მუნიციპალიტეტებში. აღნიშნული გაზრდის ხელმისაწვდომობას მუნიპალურ მონაცემებზე და გაუმჯობესებს მათ გამოყენებას დაინტერესებულ მხარეების, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების, კერძო სექტორის, მედიისა თუ აკადემიური წრის წარმომადგენლების მიერ. შესაბამისად, ვალდებულების განხორციელება იქნება მცირე, თუმცა პირველი წინგადადგმული ნაბიჯი აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში ღია მონაცემების მართვის პროცესის გაუმჯობესებისაკენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამოქმედო გეგმის კონკრეტული შედეგი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ მოხდება გეგმით გათვალისწინებული ნაბიჯების განხორციელება მუნიციპალიტეტების ყოველდღიურ საქმიანობაში.

შემდგომი ნაბიჯები

IRM დამოუკიდებელი მკვლევარის რეკომენდაციებია:

- გამოქვეყნებული ღია მონაცემების განახლება უნდა მოხდეს უწყვეტ რეჟიმში, რაც განაპირობებს მონაცემების სანდოობას და გაზრდის დაინტერესებული მხარეების მიერ მათი გამოყენების შესაძლებლობას;
- მაქსიმალური შედეგის მისაღწევად, უმჯობესი იქნება სამოქალაქო ორგანიზაციებმა იმუშაონ ადგილობრივი მაცხოვრებლების ღია მონაცემების არსისა და მათი გამოყენების შესაძლებლობების შესახებ ცნობიერების ამაღლების საკითხზე. აღნიშნულ ორგანიზაციებს შეუძლიათ ასევე, პოპულარიზაცია გაუწიონ მიღწევებს ღია მონაცემების მიმართულებით.

¹ ინფორმაციის თავისუფლების და განვითარების ინსტიტუტი (IDFI): "ღია მონაცემების სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება ქუთაისის და ახალციხის მერიებისთვის (2019-2020)", 2019, <https://bit.ly/38EA8Bi>

² მარიამ გორგაძე, პროექტის ხელმძღვანელის მოადგილე და მიხეილ დარჩიაშვილი, სახელმწიფო მართვის პროგრამის მენეჯერი, USAID-ის პროექტი დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველო, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 14 მაისი 2019.

18. ახალციხისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვანი ჩართულობისა და მონაწილეობის გაუმჯობესება		✓	გაურკვეველი	✓		შეფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის დასასრულს	შეფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის დასასრულს
--	--	---	-------------	---	--	---	---

კონტექსტი და მიზნები

ვალდებულების ფარგლებში ახალციხისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტები გეგმავენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის ადმინისტრაციულ შენობებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას. შშმ პირების საჭიროებებზე მორგებული ინფრასტრუქტურის ნაკლებობა ფუნდამენტურ გამოწვევად რჩება, რაც ხელს უშლის შშმ პირთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვას და სამოქალაქო სერვისებით სარგებლობას.¹ მაგალითად, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის წარმომადგენელი (USAID GGI) აღნიშნავს, ეტლით მოსარგებლე პირი ვერ ესწრება საბჭოს სხდომას, რადგან უმეტეს შემთხვევაში მათთვის სხდომათა დარბაზში შესვლა ფიზიკურად შეუძლებელია.² საქართველოს კანონმდებლობის თანახმად,³ ადმინისტრაციული შენობების შშმ პირების მოთხოვნილებებზე ადაპტირება თვითმმართველობის პასუხისმგებლობას წარმოადგენს. შესაბამისად, აღნიშნული ვალდებულების ფარგლებში, ქუთაისისა და ახალციხის მუნიციპალიტეტები, GGI-ის ხელშეწყობით, გეგმავენ განახორციელონ ადმინისტრაციული შენობების შესაძლებლობების ანალიზი, განსაზღვრონ საჭიროებები, შეიმუშაონ ტექნიკური დავალების დოკუმენტი და საბოლოო ჯამში უზრუნველყონ ადმინისტრაციული შენობების შშმ პირების საჭიროებებზე ადაპტირება.

აღნიშნული ვალდებულება შშმ პირებს მისცემს შესაძლებლობას, რომ დამოუკიდებლად შევიდნენ მუნიციპალურ შენობებში, ისარგებლონ სერვისებით და მიიღონ მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის პროცესებში. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ადმინისტრაციული შენობების ადაპტირება ავტომატურად არ უზრუნველყოფს შშმ პირთა პროცესებში ჩართვას, აღნიშნული ვალდებულება არ არის პირდაპირ შესაბამისობაში OGP-ის ღირებულებებთან, კერძოდ კი მოქალაქეთა ჩართულობის ღირებულებასთან.

საერთო ჯამში, აღნიშნული ვალდებულების ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები საკმარისად კონკრეტულია. მიუხედავად იმისა, რომ ვალდებულება ეხება საქართველოში არსებული მუნიციპალიტეტების წინაშე არსებულ აქტუალურ პრობლემას, კერძოდ კი ადმინისტრაციული შენობების ფიზიკურ ხელმისაწვდომობას,⁴ მასში არ არის განსაზღვრული შშმ პირთა ჩართულობის გაზრდის ხელშეწყობისათვის საჭირო ინსტიტუციური მექანიზმები. შესაბამისად, ვალდებულების მასშტაბი და არეალი, ისევე როგორც პოტენციური შედეგი, შეიძლება შეფასდეს როგორც შეზღუდული.

შემდგომი ნაბიჯები

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ვალდებულება საქართველოში მნიშვნელოვან საკითხს შეეხება, ის არ არის პირდაპირ შესაბამისობაში OGP-ის ღირებულებებთან. შესაბამისად, IRM დამოუკიდებელი მკვლევარის რეკომენდაციაა, რომ მისი განხორციელება გაგრძელდეს OGP-ის სამოქმედო გეგმის ფარგლებს მიღმა. OGP-ის ფარგლებში გაგრძელების შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ ვალდებულებას დაემატოს ხელშეწყობის დამატებითი ინსტრუმენტები, რომლის მეშვეობითაც შშმ პირები შეძლებენ საბჭოს სხდომებში, საჯარო განხილვებსა თუ სხვა შეკრებებში მონაწილეობას. ამგვარ ინსტრუმენტად შესაძლოა განვიხილოთ მაგალითად სხდომების ჟესტების ენაზე თარგმანის შესაძლებლობა ან სხვა წამახალისებელი და ხელშეწყობი ისეთი აქტივობები, რაც გაზრდის შშმ პირთა აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობებს.

¹ IDFI, *შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების შესახებ სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემების ანალიზი*, 2018, <https://bit.ly/2FjX74i>.

² მარიამ გორგაძე, პროექტის ხელმძღვანელის მოადგილე და მიხეილ დარჩიაშვილი, სახელმწიფო მართვის პროგრამის მენეჯერი, USAID-ის პროექტი დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველო, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 14 მაისი 2019.

³ საქართველოს ორგანული კანონი, “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი,” მუხლი 16, <https://bit.ly/38BtviS>

⁴ მარიამ გორგაძე, პროექტის ხელმძღვანელის მოადგილე და მიხეილ დარჩიაშვილი, სახელმწიფო მართვის პროგრამის მენეჯერი, USAID-ის პროექტი დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველო, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 14 მაისი 2019.

19. ქალაქ ბათუმში საბიუჯეტო პროცესებში მოქალაქეთა ჩართულობის გაუმჯობესება მონაწილეობითი ბიუჯეტირების ინსტიტუციონალური მექანიზმის დანერგვის გზით

ვალდებულების ტექსტი სამოქმედო გეგმაში

ადგილობრივი ბიუჯეტის გამჭვირვალედ, მიზანმიმართულად და საზოგადოების ფართო ჩართულობით დაგეგმვა და ხარჯვა ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

საბიუჯეტო პროცესებში მოქალაქეთა ჩართულობის გაუმჯობესების მიზნით ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია განავითარებს და დანერგავს მონაწილეობითი ბიუჯეტირების ინსტიტუციონალურ მექანიზმს.

ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის ახალი ტალღის მნიშვნელოვან ნაწილს ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის ახალი მექანიზმების დანერგვა და რეალური შესაძლებლობების შექმნა წარმოადგენს. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს მონაწილეობითი ბიუჯეტირებისთვის საჭირო ინსტიტუციონალური მექანიზმის არარსებობა. პრობლემატური საკითხია ასევე საბიუჯეტო პროცესებში მოქალაქეთა ჩართულობის დაბალი მოტივაცია, რაც მნიშვნელოვნად მოქმედებს ჩართულობის ინტენსივობასა და ხარისხზე.

განხორციელების ეტაპები:

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ქალაქის ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით საუბნო კავშირების ჩამოყალიბება
2. მონაწილეობითი ბიუჯეტირების ინსტიტუციური მექანიზმის დანერგვის მიზნით შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩოს დამტკიცება
3. მონაწილეობითი ბიუჯეტირების სისტემის პოპულარიზაცია; მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება.
4. მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის წარმართვა
5. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში შესაბამისი თანხების გათვალისწინება მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის დროს გამოვლენილი პროექტის/პროექტების განსახორციელებლად
6. მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის შედეგების პოპულარიზაცია

დაწყების თარიღი: იანვარი, 2018

დასრულების თარიღი: მარტი, 2019

შენიშვნა: ზემოთმოყვანილი ტექსტი არის ამონარიდი თბილისის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმიდან. სრულ ტექსტში მოცემულია დეტალური ტექნიკური ინფორმაცია ვალდებულების შესრულების შესახებ. ვალდებულება სრული სახით შეგიძლიათ იხილოთ: <https://www.opengovpartnership.org/documents/georgia-action-plan-2018-2019/>

	შესაფასებლად არ არის საკმარისად კონკრეტული	შესაფასებლად საკმარისად კონკრეტულია	ინფორმაციის ხელმძისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულებისათვის	არცერთი	შეზღუდული	არსებითი	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულია	ნაწილობრივ	მეტწილად	სრულად	გააუარესა	არ შეცვლილა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი ცვლილება	გამორჩეული
19. ქალაქ ბათუმში საბიუჯეტო პროცესებში მოქალაქეთა ჩართულობის გაუმჯობესება მონაწილეობითი ბიუჯეტირების ინსტიტუციონალური მექანიზმის დანერგვის გზით		✓	✓	✓				✓			შეფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის დასასრულს				შეფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის დასასრულს				

კონტექსტი და მიზნები

საქართველოს მესამე სამოქმედო გეგმის (2016-2018) ოცდამეოთხე ვალდებულებების ფარგლებში ახალციხის, ბათუმის, ქუთაისისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტები გეგმავდნენ ადგილობრივი ბიუჯეტების დაგეგმვის ელექტრონული მექანიზმის შემუშავებას.¹ კერძოდ, აღნიშნულმა ოთხმა მუნიციპალიტეტმა ბიუჯეტის პრიორიტეტების განსაზღვრისა და შესაბამისი გეგმების შესამუშავებლად აიღეს ვალდებულება, აემუშავებინათ ელექტრონული პლატფორმა „დაგეგმე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი“.² 2019 წელს, ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ შექმნა ვებ-პლატფორმა idea.batumi.ge, რომლის მეშვეობით მოქალაქეებს შეუძლიათ საკუთარი იდეების დარეგისტრირება და მათთვის სასურველი პროექტებისათვის ხმის მიცემა. ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (USAID GGI) ესტონეთის საგარეო სამინისტროსთან ერთობლივი გრანტის ფარგლებში აქტიურად უჭერდა მხარს აღნიშნულ მუნიციპალიტეტებს ვალდებულების განხორციელებისას. გრანტი გაიცა ესტონეთის ელექტრონული მმართველობის აკადემიისა და მისი ადგილობრივი პარტნიორის, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისთვის (IDFI).³

მიმდინარე ვალდებულებით, ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, USAID GGI-ის მხარდაჭერით, მიზნად ისახავს ბიუჯეტირების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობას მონაწილეობითი ბიუჯეტირების ინსტიტუციური მექანიზმების დანერგვის გზით. idea.batumi.ge-ს პოპულარიზაციის და მონაწილეობითი მექანიზმების ხელშეწყობის მიზნით, მუნიციპალიტეტი გეგმავს ქალაქის ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით ჩამოაყალიბოს საუბნო კავშირები, რომლებიც გააერთიანებს თითოეული უბნის მაცხოვრებლებს და ასეთ ტიპის მონაწილეობას მისცემს სტრუქტურული კავშირის სახეს. გარდა აღნიშნულისა, მუნიციპალიტეტი მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად განსაზღვრავს მერიის ვალდებულებებს და მონაწილეობის მექანიზმებს შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩოში მოაქცევს. ბოლოს, USAID GGI-ის მხარდაჭერით, მუნიციპალიტეტი განახორციელებს მონაწილეობითი ბიუჯეტირების

სისტემისა და მისი შესაძლებლობების შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიას და გამოაქვეყნებს შესაბამის შედეგებს. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული ვალდებულების მიზანი მონაწილეობითი ბიუჯეტირების შესაძლებლობების შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება და მონაწილეობითი მექანიზმების ინსტიტუციონალიზაციაა, ის შესაბამისობაშია OGP-ის ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და მოქალაქეთა ჩართულობის ღირებულებებთან.

ვალდებულების აქტივობები საკმარისად კონკრეტულია იმისათვის, რომ შეფასდეს. თუმცა, ვალდებულების და განხორციელების ეტაპების აღწერით ნაწილში ნათლად არ ჩანს, როგორ განხორციელდება მონაწილეობითი ბიუჯეტირება და რა ფორმით შეძლებენ მოქალაქეები აღნიშნულ პროცესში მონაწილეობას. განხორციელების შემთხვევაში, ვალდებულების ფარგლებში შეიქმნება ახალი მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც ბათუმის მოსახლეობას შეეძლება მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შეხედულებების მიხედვით გადანაწილება. საუბნო კავშირების ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს თვითმმართველობის პროცესში სამოქალაქო ჩართულობის ზრდას. საუბნო კავშირებს ექნებათ მოქალაქეებისა და მუნიციპალიტეტის დამაკავშირებლის ფუნქცია და პოპულარიზაციას გაუწევენ მონაწილეობითი ბიუჯეტირების მექანიზმებს.⁴ თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები საუბნო კავშირების ჩამოყალიბებას, ასევე განიხილავენ როგორც პოტენციურ ინსტრუმენტს, რომელიც მმართველმა პარტიამ შესაძლოა საკუთარი პოლიტიკური მიზნებისათვის გამოიყენოს. მაგალითად პარტიული აქტივისტების დასასაქმებლად და საკუთარი პარტიის ინტერესების პოპულარიზაციისათვის.⁵

სრულად განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ვალდებულება idea.batumi.ge პლატფორმასთან ერთად ხელს შეუწყობს ბათუმის მუნიციპალიტეტში ბიუჯეტირების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის ინსტიტუციონალიზაციას. თუმცა, რადგან ვალდებულებით გათვალისწინებული მონაწილეობითი ბიუჯეტი და მასტშაბი შეზღუდულია - მის ფარგლებში შესაძლებელია ჯამში 120 000 ლარი არაუმეტეს სამ სამოქალაქო ინიციატივაზე გადანაწილდეს - ვალდებულების პოტენციური შედეგი შეიძლება შეფასდეს, როგორც შეზღუდული.

შემდგომი ნაბიჯები

IRM მკვლევარის რეკომენდაციაა, რომ ბათუმის მუნიციპალიტეტმა დააკონკრეტოს მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის წარმართვის პრაქტიკა. მაგალითად, დააკონკრეტდეს პროცედურები, თუ როგორ გეგმავს მუნიციპალიტეტი საჯარო განხილვებისა და უკუკავშირის მიღების ორგანიზებას და როგორ ასახავს ამ გზით მიღებულ ინფორმაციას ბიუჯეტში. IRM მკვლევარი, ასევე რეკომენდაციას უწევს ისეთი მექანიზმის შემუშავებას, რომელიც ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობას დაგეგმვის, პრიორიტეტების განსაზღვრისა და საბიუჯეტო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, სრული საბიუჯეტო ციკლის განმავლობაში. გარდა აღნიშნულისა, IRM დამოუკიდებელი მკვლევარის რეკომენდაციაა, რომ მუნიციპალურმა მთავრობამ გააანალიზოს მოსახლეობის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტები და გამოაქვეყნოს მოსახლეობის პრიორიტეტების და დამტკიცებული ბიუჯეტის შედარებითი ანალიზი. ბიუჯეტის თემატურ მიმართულებებსა და მოსახლეობის პრიორიტეტებს შორის სხვაობის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია განსაზღვროს კონკრეტული ნაბიჯები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსახლეობის პრიორიტეტების გათვალისწინებას ბიუჯეტში.

ბიუჯეტირების პროცესში მოქალაქეების ჩართულობის გაზრდის მიზნით, IRM დამოუკიდებელი მკვლევარის რეკომენდაციაა, გაიზარდოს როგორც გამოყოფილი ბიუჯეტის მოცულობა, ასევე დაფინანსებული პროექტების რაოდენობა.

IRM დამოუკიდებელი მკვლევარის რეკომენდაცია უკავშირდება ასევე ადგილობრივ თვითმმართველობას. კერძოდ სასურველია ადგილობრივმა თვითმმართველობებმა მოქალაქეთა მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველსაყოფად გააგრძელონ ცნობიერების ამაღლების კამპანია მედიის, საჯარო განხილვებისა თუ სოციალური ქსელების საშუალებით. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ელექტრონული პლატფორმა მოიცავდეს სივრცეს, არა მხოლოდ მოსახლეობის კომენტარების, დისკუსიებისა თუ სახალხო დაფინანსების (ქრაუდსორსინგის) იდეებისთვის, არამედ იქვე არსებობდეს მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც მთავრობა პასუხს გასცემს წამოჭრილ საკითხებს.

ეროვნულ დონეზე, IRM დამოუკიდებელი მკვლევარი რეკომენდაციას უწევს საქართველოს მუნიციპალიტეტებში მონაწილეობითი ბიუჯეტირების მექანიზმის უნიფიცირებული მიდგომის შემუშავებას. ერთიანი მიდგომის დანერგვა წვლილს შეიტანს მონაწილეობითი ბიუჯეტირების მდგრადი პრაქტიკის დანერგვაში. აღნიშნული რეკომენდაცია ხაზს უსვამს წინა IRM დამოუკიდებელი მკვლევარის რეკომენდაციის მნიშვნელობას, რომელიც აღნიშნული საკითხისათვის ასევე ქვეყნის მასშტაბით უნიფიცირებული მიდგომის განვითარებას გულისხმობდა.

¹ ღია მმართველობის ინიციატივა, “საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა 2016–2018,” <https://bit.ly/2YRRUN7>.

² ღია მმართველობის პარტნიორობა, *IRM: საქართველოს საბოლოო ანგარიში, 2016–2018*, <https://bit.ly/2XN8Oix>.

³ ღია მმართველობის პარტნიორობა, *IRM: საქართველოს წინსვლის ანგარიში 2016–2018*, <https://bit.ly/2XKZWpP>.

⁴ აკაკი გვიანიძე, მუნიციპალური სერვისების სამსხურის უფროსი, ბათუმის მუნიციპალური სერვისების სააგენტო, ბათუმის მერია, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 11 ივნისი 2019.

⁵ Grass Fact-Check, “საუბნო კავშირები- ადგილობრივი ხელისუფლების ახალი მოკავშირეები? “ 17 ივლისი 2019, <https://bit.ly/2Lpas4j>

20. შენი იდეა ზუგდიდის მერს

ვალდებულების ტექსტი:

პროექტი „იდეა ზუგდიდის მერს“ ითვალისწინებს ონლაინ პორტალის შექმნას, რომლის მეშვეობით ზუგდიდის მოსახლეობა კომუნიკაციას დაამყარებს ქალაქის მერთან მისთვის კონკრეტული იდეის/ინიციატივის შეთავაზების გზით. აღნიშნული ხელს შეუწყობს ადგილობრივი თვითმმართველობისა და მოქალაქეების ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებასა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის ამაღლებას. ქალაქის მერია იღებს ვალდებულებას კიდევ უფრო ანგარიშვალდებული გახდეს მოქალაქეთა წინაშე და უპასუხოს შემოსულ იდეებს, მაშინაც კი, თუ ისინი რიგი შეზღუდვების გამო ვერ განხორციელდება.

განხორციელების ეტაპები:

1. პორტალის შექმნის შესახებ დებულების დამტკიცება
2. პორტალის შექმნა და ამოქმედება
3. პორტალის შესახებ მოქალაქეების ინფორმირება

დაწყების თარიღი: ივნისი, 2018

დასრულების თარიღი: დეკემბერი, 2019

შენიშვნა: ზემოთმოყვანილი ტექსტი არის ამონარიდი თბილისის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმიდან. სრულ ტექსტში მოცემულია დეტალური ტექნიკური ინფორმაცია ვალდებულების შესრულების შესახებ. ვალდებულება სრული სახით შეგიძლიათ იხილოთ: <https://www.opengovpartnership.org/documents/georgia-action-plan-2018-2019/>

ვალდებულების მიმოხილვა	კონკრეტულობა		OGP -ის ღირებულებებთან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				შესრულება				გახსნა ან მთავრობა?				
	შესაფასებლად არ არის საკმარისად კონკრეტული	შესაფასებლად საკმარისად კონკრეტული	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია	არცერთი	შეზღუდული	არსებითი	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	ნაწილობრივ	მეტწილად	სრულად	გაუარესა	არ შეცვლილა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი ცვლილება	გამორჩეული
20. შენი იდეა ზუგდიდის მერს		✓		✓				✓			შეფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის დასასრულს				შეფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის დასასრულს				

კონტექსტი და მიზნები

საქართველოს წინა სამოქმედო გეგმით (2016-2017) გათვალისწინებული იყო ვალდებულება, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილი იყო ზუგდიდის მუნიციპალიტეტში პეტიციების ელექტრონული პორტალის დანერგვა. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტის ახალ ვებ-გვერდს პეტიციების ახალი პორტალი დაემატა, სამოქმედო გეგმის დასასრულისთვის პეტიციის მექანიზმი არ ფუნქციონირებდა.¹ ამჟამად, ზუგდიდის მოსახლეობას მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიციების მხოლოდ

წერილობით ხელზე ჩაბარება შეუძლიათ. წინამდებარე ვალდებულების მიზანია, შეიქმნას ელექტრონული პორტალი სახელწოდებით „შენი იდეა ზუგდიდის მერს“, რომლის საშუალებითაც მოქალაქეებს შესაძლებლობა ექნებათ ინიციატივები ელექტრონულად წარუდგინონ მუნიციპალიტეტის მერს.

ვალდებულების ტექსტის მიხედვით, მუნიციპალიტეტი ასევე გეგმავს უპასუხოს პორტალის მეშვეობით შემოსულ ყველა ინიციატივას იმ შემთხვევაშიც კი, თუ იდეების განხორციელება არ ჩაითვლება მიზანშეწონილად. ამისათვის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი გეგმავს პორტალის შესახებ დებულების დამტკიცებას, პორტალის შემუშავებასა და ამოქმედებას და მის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აღნიშნული ვალდებულება შესაბამისობაშია OGP-ის მოქალაქეთა ჩართულობის ღირებულებასთან. ელექტრონული პორტალის ვალდებულება კონკრეტულია, მაგრამ არ არის დეტალურად განმარტებული, თუ რა აქტივობებია დაგეგმილი მოქალაქეების ახალი ელექტრონული პორტალის შესახებ ინფორმირებისთვის.

პორტალის ამუშავება მოსახლეობისთვის შექმნის ინიციატივებისა და იდეების მერიისთვის გაზიარების ახალ შესაძლებლობას. თუმცა ვალდებულების ტექსტში არ არის ახსნილი თუ რა ფორმით მოხდება ინიციატივების განხილვა ან როგორ წარიმართება შერჩევის პროცესი. IRM დამოუკიდებელი მკვლევარის ფოკუს ჯგუფის მონაწილეების აზრით, პორტალის წარმატება მეტწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ განიხილავს, შეარჩევს და განახორციელებს მერია მოქალაქეთა პეტიციებს.² შესაბამისად, ვალდებულების პოტენციური შედეგი შეიძლება შეფასდეს, როგორც შეზღუდული.

შემდგომი ნაბიჯები

ჩართულობის გასაუმჯობესებლად, IRM დამოუკიდებელი მკვლევარი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიას რეკომენდაციას უწევს, რომ შეისწავლოს იმ მოქალაქეების ჩართულობის საკითხი, რომლებსაც წვდომა არ აქვთ ინტერნეტთან, განსაკუთრებით ისეთ სოფლებში, სადაც ინტერნეტი ნაკლებად არის ხელმისაწვდომი.

ვალდებულების ტექსტს ამჟამად აკლია ზოგადი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ იმუშავებს ვებ-პორტალი და როგორ მოხდება ინიციატივების შერჩევა. შესაბამისად, IRM მკვლევარი ურჩევს მერიას, რომ ვალდებულების ფარგლებში ასახოს დეტალური ინფორმაცია, როგორც შერჩევის კრიტერიუმებისა და პროცესის, ასევე განხორციელების სხვა ეტაპების შესახებ.

აგრეთვე, IRM მკვლევარის რეკომენდაციაა, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტმა გაიზიაროს მსგავსი პროექტის განხორციელების თბილისის მერიის გამოცდილება (idea.tbilisi.gov.ge) როგორც კარგი მაგალითი. თბილისის პროექტიდან შესაძლებელია ბევრი იდეის გადმოტანა და დანერგვა, მაგალითად საჯარო ხმის მიცემისა და სექტორული ფილტრის ფუნქცია.

¹ ღია მმართველობის პარტნიორობა, IRM: საქართველოს საბოლოო ანგარიში, 2016–2018, გვ. 66–67, <https://bit.ly/2PX6Cjz>

² IRM მკვლევარის მიერ განხორციელებული ფოკუს ჯგუფი სტუდენტებთან ზუგდიდში, 15 ივნისი 2019.

21. ქალაქ ბათუმისა და რუსთავის მუნიციპალიტეტებში ელექტრონული სერვისების დანერგვა და განვითარება

ვალდებულების ტექსტი სამოქმედო გეგმაში

მუნიციპალურ სერვისებზე ადგილობრივი მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესა ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს.

ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია აცნობიერებს რომ ელექტრონული სერვისები სახელმწიფოს მიერ განხორციელებული მომსახურების ყველაზე უფრო იაფ, მოსახერხებელ და სწრაფ მომსახურებას წარმოადგენს.

წინამდებარე გეგმის ფარგლებში ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია დანერგავს და განავითარებს ხუთ ელექტრონულ სერვისს.

განხორციელების ეტაპები:

1. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სისტემაში მუნიციპალურ სერვისებთან დაკავშირებული საკვანძო ბიზნეს-პროცესების ანალიზი
2. მონაწილეობითი ბიუჯეტირების მოდულის დანერგვა
3. ელექტრონული პეტიციების მოდულის დანერგვა
4. სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის მოდულის დანერგვა
5. ქონების მართვის სერვისების მოდულის დანერგვა
6. ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის სერვისების მოდულის დანერგვა

დაწყების თარიღი: მესამე კვარტალი, 2018

დასრულების თარიღი: სექტემბერი, 2019

შენიშვნა: ზემოთმოყვანილი ტექსტი არის ამონარიდი თბილისის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმიდან. სრულ ტექსტში მოცემულია დეტალური ტექნიკური ინფორმაცია ვალდებულების შესრულების შესახებ. ვალდებულება სრული სახით შეგიძლიათ იხილოთ: <https://www.opengovpartnership.org/documents/georgia-action-plan-2018-2019/>

ვალდებულების მიმოხილვა	კონკრეტულობა		OGP -ის ღირებულებებთან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				შესრულება				გახსნა ან მთავრობა?				
	შესაფასებლად არ არის საკმარისად კონკრეტული	შესაფასებლად საკმარისად კონკრეტული	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია	არცერთი	შუამდგომლობა	არსებითი	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	ნაწილობრივ	მეტწილად	სრულად	გააუარესა	არ შეცვლილა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი ცვლილება	გამორჩეული
21. ქალაქ ბათუმისა და რუსთავის მუნიციპალიტეტებში ელექტრონული		✓	✓	✓		✓			✓		შეფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის დასასრულს				შეფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის დასასრულს				

კონტექსტი და მიზნები

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოში თვითმმართველი ერთეულები აქტიურად მუშაობენ მუნიციპალური სერვისების საჯარო ხელმისაწვდომობის გაზრდის მიმართულებით. აღნიშნული ვალდებულების ფარგლებში ბათუმისა და რუსთავის მუნიციპალიტეტებმა აიღეს ვალდებულება, რომ ადგილობრივი მაცხოვრებლებისათვის დანერგონ ხუთი ახალი ელექტრონული სერვისი. ჩამონათვალი მოიცავს მოდულებს შემდეგი მიმართულებებით: 1) თანამონაწილეობითი ბიუჯეტირება, 2) ელექტრონული პეტიციები, 3) სივრცითი მოწყობა და არქიტექტურა, 4) ქონების მართვის სერვისები, 5) ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის სერვისები. შესაბამისად, ელექტრონულად ხელმისაწვდომი იქნება სერვისების ყველა მიმართულება, რომელსაც მუნიციპალიტეტები ამჟამად სთავაზობენ ადგილობრივ მოსახლეობას. შემდგომ ეტაპზე, დაგეგმილია, აღნიშნული სერვისებს ერთიან პლატფორმაზე განთავსება თითოეული მუნიციპალიტეტისთვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მონაწილეობითი ბიუჯეტირების ელექტრონული მოდულის დანერგვა ბათუმის მუნიციპალიტეტში დუბლირებულია ამ სამოქმედო გეგმის მეცხრამეტე ვალდებულებასთან.

ბათუმის მუნიციპალიტეტის სერვისების სააგენტოს წარმომადგენლის განცხადებით,¹ სააგენტო განახორციელებს სერვისების მიწოდების პროცესების ანალიზს (Business analytics), რაც ხელს შეუწყობს არსებული სერვისების ელექტრონულ პლატფორმაზე გადატანას. ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის (USAID GGI) წარმომადგენლის თქმით, რომელიც ტექნიკურ დახმარებას უწევს ბათუმის მუნიციპალიტეტს, დაგეგმილია სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავება, სადაც გაწერილი იქნება სამი საპილოტე სერვისის ტიპი და მათი განხორციელება მოხდება ონლაინ რეჟიმში.

ორივე მუნიციპალიტეტის ფარგლებში დაგეგმილი ხუთი სერვისის ონლაინ სივრცეში გადატანა საკმაოდ კონკრეტულია, იმისათვის რომ შეფასდეს. თუმცა ვალდებულების ტექსტიდან არ ჩანს ზემოაღნიშნული მიმართულებებიდან კონკრეტულად რომელი სერვისები გადავა ონლაინ რეჟიმში; ასევე, განხორციელების ეტაპების გათვალისწინებით გაუგებარია მინიმუმ რამდენი ხელმოწერა საჭირო ელექტრონული პეტიციის ინიცირებისათვის, რა ვალდებულება აქვს მთავრობას პეტიციების საშუალებით წამოყენებულ საკითხებზე საპასუხოდ, ან რა ინდიკატორები გამოიყენება წარმატების შესაფასებლად.

სრულად განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ვალდებულება, ელექტრონული სერვისების სრული სპექტრის შეთავაზებით, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სერვისებთან დაკავშირებულ არსებულ პრაქტიკას. სამომავლოდ, სერვისების მოდულების ერთიან პლატფორმაზე გადატანა ხელს შეუწყობს ადგილობრივი მთავრობების მიმართ მოქალაქეთა დამოკიდებულებების გაუმჯობესებას. ვალდებულება ასევე გააუმჯობესებს საჯარო სერვისების ხელმისაწვდომობასა თუ ხარისხს და გაზრდის ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობას.²

მიუხედავად იმისა, რომ განხორციელების ეტაპები ამბიციურია, ვალდებულების ტექსტს აკლია საკვანძო დეტალები თითოეული შემოთავაზებული მოდულის შესახებ, რაც ამცირებს პოტენციური შედეგის მასშტაბს. გარდა ამისა, USID GGI-ის წარმომადგენელმა

აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტები გეგმავენ სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავებას, რომლის საფუძველზეც პირველ ეტაპზე მოხდება სამი საპილოტე სერვისის ონლაინ რეჟიმში გადატანა. სერვისების ელექტრონული ფორმით დანერგვა ძვირადღირებული და დროში გაწეილი პროცესია, ამიტომ ბათუმისა და რუსთავის მუნიციპალიტეტებს მოუწევთ პრიორიტეტული სერვისების განსაზღვრა. აღნიშნულ ვალდებულებაში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია, რაც მომავალში ვალდებულების განხორციელების შეფასების საშუალებას იძლევა. ვალდებულების ტექსტი, ასევე არ მოიცავს ინფორმაციას თითოეული მოდულისა თუ განხორციელების ეტაპის მასშტაბის, დეტალების, ანგარიშვალდებულების მექანიზმების და ინდიკატორების შესახებ.

როგორც აღინიშნა, დაინტერესებული მხარეები ხაზს უსვამენ, რომ ვალდებულება საკმაოდ ამბიციურია, თუმცა უაღრესად მნიშვნელოვანია ისეთი სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავება, რომელიც განსაზღვრავს პრიორიტეტებს და კონკრეტულ ნაბიჯებს თუ რა, როგორ და როდის უნდა გაკეთდეს.³ მიუხედავად იმისა, რომ ვალდებულებას აქვს ტრანსფორმაციული აქტივობების ერთობლიობად ჩამოყალიბების პოტენციალი, ტექსტსა და ინტერვიუებზე დაყრდნობით ვალდებულების პოტენციური შედეგი იქნება არსებითი.

შემდგომი ნაბიჯები

იმის გათვალისწინებით, რომ ვალდებულების განხორციელების ეტაპები განსაზღვრავს სერვისების ზოგად მიმართულებებს და არა კონკრეტულ სერვისებს, რომელთა გადატანაც იგეგმება ელექტრონულ ფორმატში, IRM დამოუკიდებელი მკვლევარი რეკომენდაციას უწევს ბათუმისა და რუსთავის მუნიციპალიტეტებს, რომ სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში დააკონკრეტონ სერვისები და ინდიკატორები, რაც განხორციელების ეტაპებს გახდის გაზომვადს, ხოლო ვალდებულებას - კონკრეტულს. მაგალითად, განხორციელების ეტაპი 21.6 („ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის სერვისების მოდულის დანერგვა“) არ არის კონკრეტული და არ გვაწვდის ინფორმაციას თუ კონკრეტულად რომელი ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სერვისების გადატანაა დაგეგმილი ელექტრონულ ფორმატში. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ეტაპი მოიაზრებს ამ მიმართულებით ყველა არსებულ სერვისს, მნიშვნელოვანია, რომ ვალდებულებაში იყოს ჩანაწერი „ყველა არსებული (6) სერვისი“. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ განხორციელების ეტაპები მოიცავდეს შესაბამის რაოდენობრივ ინდიკატორებს, რაც ექვსივე სერვისის ელექტრონულ ფორმატში დანერგვის შემთხვევაში მიგვანიშნებდა რომ განხორციელების ეტაპი სრულად შესრულდა. აღნიშნული, არა მხოლოდ უფრო კონკრეტულს გახდის ვალდებულებას, არამედ გააუმჯობესებს მისი ადმინისტრაციული განხორციელების პროცესს.

¹ აკაკი გვიანიძე, მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსი, ბათუმის მუნიციპალური სერვისების სააგენტო, ბათუმის მერია, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 11 ივნისი 2019.

² გვიანიძე, ინტერვიუ, ივნისი 2019.

³ მარიამ გორგაძე, პროექტის ხელმძღვანელის მოადგილე და მიხეილ დარჩიაშვილი, სახელმწიფო მართვის პროგრამის მენეჯერი, USAID-ის პროექტი დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველო, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 14 მაისი 2019.

22. I.Gov.ზუგდიდი

ვალდებულების ტექსტი სამოქმედო გეგმაში

მოქალაქეთა ჩართულობის გაუმჯობესების მიზნით, გარდა კანონმდებლობით დადგენილი მექანიზმებისა, ზუგდიდის საკრებულო, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, ხელს შეუწყობს ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის გაძლიერებას, ასევე ანგარიშვალდებულებისა და საჯაროობის პრინციპების დანერგვასა და განვითარებას.

გეგმის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის საკრებულო შექმნის მრავალ-ფუნქციურ მობილურ აპლიკაციას – I.Gov.Zugdidi. აპლიკაციაში ჩატვირთული იქნება:

- მუნიციპალური კალენდარი, მაგალითად, საკრებულოს რიგითი სხდომების და განსახილველი საკითხების მითითებით;
- ქალაქში დაგეგმილი სხვადასხვა სახის კულტურული თუ სპორტული ღონისძიებების გამართვის თარიღები;
- განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების დაწყებისა და სავარაუდო დასრულების თარიღები და სხვა.

აპლიკაციის მეშვეობით მოქალაქე მიიღებს ინფორმაციას მუნიციპალური ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების შესახებ. ასევე, გაეცნობა კონკრეტული პროგრამით სარგებლობის პირობებსა და მერიაში წარსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალს. ასეთივე პრინციპით შესაძლებელი იქნება მშენებლობის ნებართვის შესახებ საჭირო ინფორმაციის მიღება. აპლიკაცია ითვალისწინებს უკუკავშირის დანერგვასაც. მოქალაქეს კონკრეტულ მისამართზე არსებული ინფრასტრუქტურული თუ სხვა სახის საჭიროებაზე შეეძლება ინფორმაციის თვითმმართველობისთვის მიწოდება. აპლიკაციას ექნება სურათებისა და ტექსტური აღწერილობის გაგზავნის ფუნქცია.

განხორციელების ეტაპები:

1. აპლიკაციის შექმნა
2. აპლიკაციის შესახებ საინფორმაციო კამპანია
3. აპლიკაციის ამუშავება

დაწყების თარიღი: იანვარი, 2019

დასრულების თარიღი: დეკემბერი, 2019

შენიშვნა: ზემოთმოყვანილი ტექსტი არის ამონარიდი თბილისის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმიდან. სრულ ტექსტში მოცემულია დეტალური ტექნიკური ინფორმაცია ვალდებულების შესრულების შესახებ. ვალდებულება სრული სახით შეგიძლიათ იხილოთ: <https://www.opengovpartnership.org/documents/georgia-action-plan-2018-2019/>

	შესაფასებლად არ არის საკმარისად კონკრეტული	შესაფასებლად საკმარისად კონკრეტულია	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულებისათვის	არცერთი	შეზღუდული	არსებითი	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულია	ნაწილობრივ	მეტწილად	სრულად	გააუარესა	არ შეცვლილა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი ცვლილება	გამორჩეული
22. I.Gov.ზუგდიდი		✓	✓	✓		✓		✓			შეფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის დასასრულს				შეფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის დასასრულს				

კონტექსტი და მიზნები

საქართველოს მესამე სამოქმედო გეგმის (2016-2017) ოცდამეორე ვალდებულების ფარგლებში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტმა შექმნა მობილური აპლიკაცია ზუგდიდი - INFO, რომლის მეშვეობითაც ადგილობრივი მოსახლეობა რეგულარულად იღებს შეტყობინებებს საკრებულოს სხდომების შესახებ. მიმდინარე ვალდებულების ფარგლებში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო გეგმავს მობილური აპლიკაციის I.Gov.Zugdidi შემუშავებას, რომლის საშუალებითაც მაცხოვრებლები მიიღებენ ინფორმაციას ქალაქში მიმდინარე ან დაგეგმილი პროცესების შესახებ, როგორებიცაა მუნიციპალური ღონისძიებები, განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტები, მიმდინარე ტენდერები და საკრებულოს წევრების შესახებ ინფორმაცია.¹ აპლიკაციას ასევე ექნება მომხმარებლების უკუკავშირის დაფიქსირების ფუნქცია, თუმცა აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია არ არის მკაფიოდ განსაზღვრული სამოქმედო გეგმაში.² აღნიშნულიდან გამომდინარე, ვალდებულება შესაბამისობაშია OGP-ის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, მოქალაქეთა ჩართულობის და ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ღირებულებებთან. ვალდებულება საკმარისად კონკრეტულია, იმისათვის რომ შეფასდეს. თუმცა არ არის დაკონკრეტებული რა აქტივობებს გულისხმობს განხორციელების მეორე ეტაპი - აპლიკაციის შესახებ „საინფორმაციო კამპანია“.

აპლიკაცია I.Gov.Zugdidi შესაძლებლობას მისცემს მომხმარებლებს, მიიღონ ინფორმაცია მუნიციპალიტეტში მიმდინარე აქტივობების შესახებ. ამჟამად, მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციის მოძიება მოქალაქეებს შეუძლიათ მუნიციპალიტეტის ოფიციალური, ყოველდღიურად განახლებადი ფეისბუქ-გვერდის, ან მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდის მეშვეობით, რომლის განახლებაც არ ხდება რეგულარულად.³ შესაბამისად, მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციის მოპოვებას მაცხოვრებლები ხშირად არაფორმალური კონტაქტების, პირადი ნაცნობობის გამოყენებით ცდილობენ. სწორედ ინფორმაციის მოპოვების ამგვარი ფორმების შესახებ საუბრობდნენ IRM დამოუკიდებელი მკვლევარის მიერ ჩატარებული ფოკუს ჯგუფის მონაწილეები, რომლებმაც ხაზი გაუსვეს, რომ აპლიკაცია გააუმჯობესებს არსებულ პრაქტიკას.⁴

იმდენად რამდენადაც ვალდებულება გულისხმობს მობილური აპლიკაციის შემუშავებას, მისი წარმატება მეტწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად აქვს ადგილობრივ მოსახლეობას წვდომა შესაბამის მობილურ მოწყობილობებზე (სმარტფონი, ტაბლეტი) და ინტერნეტზე. ზემოაღნიშნული რესურსები აუცილებლად გასათვალისწინებელია, რადგან

საქართველოში ელექტრონული მზაობის კვლევის თანახმად, მობილური აპლიკაციით უფრო მეტად ახალგაზრდა თაობა სარგებლობს, ვიდრე უფროსი თაობის წარმომადგენლები.⁵ ეს რეალობა კი გავლენას ახდენს აპლიკაციის პოტენციურ მომხმარებელთა არეალზე. კვლევის შედეგებს ასევე ამყარებს ფოკუს ჯგუფის მონაწილეების მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ მსგავსი ტიპის აპლიკაციას შესაძლოა არ ჰყავდეს ბევრი მომხმარებელი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვალდებულებას არ ექნება არსებითი გავლენა არსებულ სიტუაციაზე. განახლებული ინფორმაცია მიმდინარე ღონისძიებების, სიახლეების, და ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ მუდმივ რეჟიმში ქვეყნდება მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ფეისბუქ-გვერდზე. შესაბამისად, მობილური აპლიკაციის ამუშავებამ, რომელიც მოიცავს იგივე შინაარსის ინფორმაციას, რაც უკვე ხელმისაწვდომია, შესაძლოა მცირედით გააუმჯობესოს ინფორმაციის გავრცელების არსებული პრაქტიკა.

შემდგომი ნაბიჯები

IRM დამოუკიდებელი მკვლევარი რეკომენდაციას უწევს ამ სამოქმედო გეგმის მეოცე ვალდებულებით გათვალისწინებულ ონლაინ პორტალის ფუნქციონალისა და არსებული ელექტრონული და დისტანციური მუნიციპალური სერვისების ინტეგრირებას მიმდინარე ვალდებულების მობილური აპლიკაციაში. ყველა სერვისის ერთიან პლატფორმაზე განთავსება გაზრდის მეოცე ვალდებულების პოტენციურ შედეგს.

¹ ადგილობრივი თვითმმართველობების შეხვედრა ოზურგეთში: მირიან კილასონია, საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი, ზუგდიდის საკრებულო, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 11 ივნისი 2019.

² ადგილობრივი თვითმმართველობების შეხვედრა ოზურგეთში: მირიან კილასონია, საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი, ზუგდიდის საკრებულო, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 11 ივნისი 2019.

³ ნიკა ზარამია, ბიზნესის პროცესების ანალიტიკოსი, მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 3 ოქტომბერი 2019.

⁴ IRM მკვლევარის მიერ განხორციელებული ფოკუს ჯგუფი სტუდენტებთან ზუგდიდში, 15 ივნისი 2019.

⁵ დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა, USAID GGI, *ელ-მზაობის კვლევა საქართველოში, ეროვნული კვლევა*, 2016, <https://bit.ly/2PWLr0Q>

23. სერვისების შეფასებისა და მოქალაქეთა კმაყოფილების დონის გაზომვის სისტემის დანერგვა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში

ვალდებულების ტექსტი სამოქმედო გეგმაში

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო და მერია აქტიურად მუშაობენ მოსახლეობისთვის გაწეული სერვისების დახვეწასა და პროგრამულ ბიუჯეტში წარმოდგენილი ინდიკატორების მონიტორინგის სისტემის დანერგვაზე. წინამდებარე ვალდებულების მიზანია: ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ მოსახლეობისთვის გაწეული სერვისების შეფასების და მოსახლეობის კმაყოფილების ხარისხის გაზომვის სისტემის დანერგვა, რაც გააძლიერებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ინფორმირებასა და ჩართულობას.

მოსახლეობისთვის მიწოდებული სერვისების შეფასებისა და მოქალაქეთა კმაყოფილების დონის გაზომვის სისტემის არარსებობა:

- თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობის შესახებ ნაკლები ინფორმირებულობა;
- მართვის თანამედროვე მეთოდებისა და ინოვაციური ტექნოლოგიების ნაკლებობა;
- გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის მიმართ მოქალაქეთა დაბალი ინტერესი.

განხორციელების ეტაპები:

1. მომსახურების მიწოდების შეფასებისთვის ინდიკატორების განსაზღვრისათვის დაგეგმვის ჯგუფის შექმნა
2. ინდიკატორების გაზომვის მიზნით კვალიფიცირებულ დამკვირვებელთა სამუშაო ჯგუფის შექმნა
3. მომსახურების მიწოდების შესახებ მონაცემთა შეგროვება
4. შედეგების ინდიკატორებთან შედარება და სერვის მენეჯმენტის კორექტირება
5. პროექტის „თვითმმართველობა განათლებისთვის“ დანერგვა – თვითმმართველობის მნიშვნელობის პოპულარიზაცია და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ახალგაზრდების ჩართულობის წახალისება (ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების გამართვა)

დაწყების თარიღი: სექტემბერი, 2018

დასრულების თარიღი: სექტემბერი, 2019

შენიშვნა: ზემოთმოყვანილი ტექსტი არის ამონარიდი თბილისის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმიდან. სრულ ტექსტში მოცემულია დეტალური ტექნიკური ინფორმაცია ვალდებულების შესრულების შესახებ. ვალდებულება სრული სახით შეგიძლიათ იხილოთ: <https://www.opengovpartnership.org/documents/georgia-action-plan-2018-2019/>

ვალდებულების
მიმოხილვა

კონკრეტულობა

OGP -ის ღირებულებებთან
შესაბამისობა

პოტენციური
შედეგი

შესრულება

გახსნა ან მთავრობა?

	შესაფასებლად არ არის საკმარისად კონკრეტული	შესაფასებლად საკმარისად კონკრეტულია	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის	არცერთი	შეზღუდული	არსებითი	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულია	ნაწილობრივ	მეტწილად	სრულად	გააუარესა	არ შეცვლილა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი ცვლილება	გამორჩეული
23. სერვისების შეფასებისა და მოქალაქეთა კმაყოფილების დონის გაზომვის სისტემის დანერგვა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში		✓		✓					✓		შეფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის დასასრულს				შეფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის დასასრულს				

კონტექსტი და მიზნები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი ერთგვარ ტექნოლოგიურ ცენტრს წარმოადგენს, რომელიც აქტიურად იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს თვითმმართველობის პროცესის გამჭვირვალობისა და ეფექტურობის გაზრდის მიზნით. მაგალითად, საქართველოს მესამე სამოქმედო გეგმის (2016-2017) ოცდამესამე ვალდებულების ფარგლებში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა დანერგა საკრებულოს სხდომების პირდაპირ (live) რეჟიმში გადაცემის პრაქტიკა, რომლის მეშვეობითაც მოქალაქეებს შეუძლიათ ონლაინ რეჟიმში თვალი ადევნონ სხდომების მიმდინარეობას. ასევე, მუნიციპალიტეტმა დანერგა მოკლე ტექსტური შეტყობინებებისა (SMS) და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით დაგეგმილი საკრებულოს სხდომების შესახებ მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდების სისტემა.¹

მიმდინარე ვალდებულების ფარგლებში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო და მერია გეგმავენ საჯარო სერვისების შეფასების და მომხმარებლის კმაყოფილების შეფასების სტანდარტების შემუშავებას. მთავრობას შეეძლება შეფასების შედეგად მიღებული მონაცემები გამოიყენოს საჭიროებების იდენტიფიცირებისთვის და ისეთი საპასუხო აქტივობების დასაგეგმად, როგორებიცაა მაგალითად ინფორმაციის გავრცელება და მომხმარებელთან კომუნიკაცია. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა,² რომ მუნიციპალიტეტი გეგმავს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას ინიციატივით „თვითმმართველობა განათლებისათვის“, რომლის ფარგლებში გაიმართება საინფორმაციო შეხვედრები მუნიციპალიტეტის ყველა სოფლის მაცხოვრებელთან. შეხვედრების მიზანი იქნება მოქალაქეების ცნობიერების ამაღლება ისეთი საკითხებზე, როგორებიცაა თვითმმართველობის ფუნქციები, პრიორიტეტები, უფლებები, შესაძლებლობები და თვითმმართველობაში ჩართულობის არსებული მექანიზმები. 23.5-ე განხორციელების ეტაპის ფარგლებში დაგეგმილია გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში ახალგაზრდების ჩართულობის წახალისება. ამგვარად, ვალდებულება შესაბამისობაშია OGP-ის მოქალაქეთა ჩართულობის ღირებულებასთან.

მიუხედავად იმისა, რომ ვალდებულებაში გაწერილი რიგი აქტივობები კონკრეტულია, რამდენიმე მათგანი არ არის საკმარისად დაზუსტებული. მაგალითად, 23.1-ე და 23.2-ე განხორციელების ეტაპების ფარგლებში გათვალისწინებული „დაგეგმვის ჯგუფი“ და

„სამუშაო ჯგუფი“ არ არის ახსნილი. ასევე არ არის დაკონკრეტებული კონკრეტულად რა აქტივობები მოიაზრება განხორციელების ეტაპით 23.5, რომელიც ითვალისწინებს პროექტის „თვითმმართველობა განათლებისათვის“ პოპულარიზაციას ახალგაზრდებში.

საერთო ჯამში, სრულად განხორციელების შემთხვევაში, ვალდებულების შედეგი შესაძლოა შეფასდეს, როგორც არსებითი. განსაკუთრებით პირველი ოთხი სამიზნე ნიშნულის ფარგლებში ოზურგეთში შეიქმნება მუნიციპალური საჯარო სერვისების შეფასებისა და ადგილობრივი მოსახელობის სერვისებთან დაკავშირებული გამოცდილებების შესწავლის სტანდარტი. ვალდებულებას შესაძლოა ქონოდა ტრანსფორმაციული ხასიათი იმ შემთხვევაში, თუ რეფორმის შედეგად შეიქმნებოდა კონკრეტული ინსტრუმენტები, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნებოდა სერვისების იდენტიფიცირებისა და შემუშავების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა. ტრანსფორმაციული რეფორმის განხორციელებისას ასევე მნიშვნელოვანი იქნებოდა, რომ თვითმმართველობას შეფასების შედეგებზე რეაგირების და შესაბამისი ცვლილებების განხორციელების ვალდებულება აეღო.

შემდგომი ნაბიჯები

IRM დამოუკიდებელი მკვლევარის რეკომენდაციაა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა დაანერგოს მოქალაქეთა მონაწილეობისათვის საჭირო ინსტრუმენტები. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ საჯარო სერვისების შეფასების მიგნებები გამოქვეყნდეს საჯაროდ და მუნიციპალიტეტის მიერ შედეგების გათვალისწინების ანგარიშვალდებულებას ქონდეს სამართლებრივი საფუძველი.

¹ ღია მმართველობის პარტნიორობა, *IRM: საქართველოს საბოლოო ანგარიში, 2016–2018*, გვ. 72
<https://bit.ly/2XN8Oix>.

² ადგილობრივი თვითმმართველობების შეხვედრა ოზურგეთში: დავით დარჩია, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 11 ივნისი 2019..

24. პარლამენტის მიერ გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) შესრულების ხელშეწყობა და მონიტორინგი

ვალდებულების ტექსტი:

მას შემდეგ, რაც საქართველო შეუერთდა გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებს (SDGs), მთავრობამ მათი ეროვნულ დონეზე განხორციელება დაიწყო, რისთვისაც ქვეყანაზე მორგებული ამოცანები და ინდიკატორები განსაზღვრა. მდგრადი განვითარების 2030-ის დღის წესრიგი ცალსახად აღიარებს პარლამენტების მნიშვნელოვან როლს SDGs-ის წარმატებისთვის, მათ შორის მე-16 მიზნით გათვალისწინებული ამოცანების (16.6 - „ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე ინსტიტუციების შექმნა ყველა დონეზე“; 16.7 - „ინკლუზიურ, მონაწილეობით და წარმომადგენლობით პრინციპებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება“) მიღწევაში. ამასთანავე, მნიშვნელოვანია ამ პროცესის მაქსიმალური ღიაობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა. ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, პირველი ნაბიჯები გადადგმულია:

საპარლამენტო კომიტეტების სამოქმედო გეგმებში გაჩნდა ახალი კომპონენტი, რომელიც ადგენს გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესაბამისობას გლობალურ მიზნებთან და ამოცანებთან, რითიც წარმოაჩენს მჭიდრო კავშირს ეროვნულ პოლიტიკასა და გლობალურ დღის წესრიგს შორის და ზრდის სხვადასხვა მხარეების ინფორმირებულობას SDGs-ზე;

კონკრეტულ კომიტეტებს თავიანთი გეგმებით უკვე განსაზღვრული აქვთ შესაბამისი სამინისტროების ანგარიშების მოსმენა გლობალური მიზნების შესრულების პროგრესის შესახებ.

ამასთან, 2018 წლის ივნისში, შვედეთის მთავრობის, UNDP-სა და საპარლამენტთაშორისო კავშირის (IPU) მხარდაჭერით, პარლამენტში ჩატარდა „SDG-მზაობის“ თვითშეფასება UNDP/IPU-ს მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის გამოყენებით, სადაც განისაზღვრა პარლამენტის როლი მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებაში და გამოიკვეთა შესაძლო აქტივობები ამ მიმართულებით.

ამ ეტაპზე, მნიშვნელოვანია აღნიშნული თვითშეფასების საფუძველზე მომზადდეს პარლამენტის სამოქმედო გეგმა, სადაც გაიწერება ის საპარლამენტო მექანიზმები, საკანონმდებლო, სახედამხედველო თუ მოქალაქეთა ჩართულობაზე მიმართული აქტივობები, რაც გაზრდის პარლამენტის ჩართულობას SDGs-ების განხორციელებასა და მონიტორინგში და ხელს შეუწყობს ამ პროცესის ინსტიტუციონალიზაციას პარლამენტში.

განხორციელების ეტაპები:

1. პარლამენტის SDG სტრატეგიის/სამოქმედო გეგმის შემუშავება
2. პარლამენტის SDG სამოქმედო გეგმის განხორციელება

დაწყების თარიღი: ივნისი, 2018

დასრულების თარიღი: დეკემბერი, 2019

შენიშვნა: ზემოთმოყვანილი ტექსტი არის ამონარიდი თბილისის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმიდან. სრულ ტექსტში მოცემულია დეტალური ტექნიკური ინფორმაცია ვალდებულების შესრულების შესახებ. ვალდებულება სრული სახით შეგიძლიათ იხილოთ: <https://www.opengovpartnership.org/documents/georgia-action-plan-2018-2019/>

	შესაფასებლად არ არის საკმარისად კონკრეტული	შესაფასებლად საკმარისად კონკრეტულია	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულებისათვის	არცერთი	შეზღუდული	არსებითი	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულია	ნაწილობრივ	მეტწილად	სრულად	გააუარესა	არ შეცვლილა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი ცვლილება	გამორჩეული
24. პარლამენტის მიერ გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) შესრულების ხელშეწყობა და მონიტორინგი		✓	✓						✓		შეფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის დასასრულს				შეფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის დასასრულს				

კონტექსტი და მიზნები

2015 წელს საქართველომ აიღო ვალდებულება, რომ გაერთიანებული ერების მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) ეროვნულ დონეზე განხორციელებას 2030 წლისათვის დაასრულებს.¹ SDGs-ის მიზნების განხორციელებისა და მონიტორინგის ხელშეწყობის მიზნით, საქართველომ შექმნა მდგრადი განვითარების მიზნების SDGs საბჭო.² ამასთან, მდგრადი განვითარების მიზნების ელექტრონული მონიტორინგის სისტემისა და SDGs tracker-ის სისტემის შემუშავების ვალდებულება აიღო.³ აღნიშნული ინსტრუმენტების გამოყენებით შესაძლებელი იქნება განხორციელების პროგრესის როგორც შიდა - უწყებათაშორისი, ასევე საჯარო მონიტორინგი.

მიმდინარე ვალდებულების ფარგლებში, საქართველოს პარლამენტი, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით გეგმავს საპარლამენტო სტრატეგიას და სამოქმედო გეგმის შემუშავებას,⁴ რომლის მეშვეობითაც მოხდება როგორც SDGs-ის განხორციელების პროცესის მონიტორინგი ასევე განხორციელების ხელშეწყობა. UNDP-ის წარმომადგენლის განცხადებით, SDG მიზნების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული იქნება ყველა არსებული საპარლამენტო მექანიზმი, როგორცაა პოლიტიკის განსაზღვრა და კანონშემოქმედებითი, საზედამხედველო, საფინანსო-საბიუჯეტო თუ სამოქალაქო ჩართულობა. სამოქმედო გეგმა დაეფუძნება პარლამენტის თვითშეფასების ანგარიშის შედეგებს,⁵ რომელიც მომზადდა საპარლამენტოაშორისო კავშირის (IPU) მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით და IPU-ს, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის (USAID GGI) და გაეროს განვითარების ფონდის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით. თვითშეფასების მომზადება მიზნად ისახავდა SDG მიზნების ეროვნულ დონეზე განხორციელების მხარდაჭერისთვის პარლამენტის "SDGs-ის მზაობის", საჭირო საპარლამენტო რესურსის, სუსტი მხარეებისა და შესაძლებლობების შეფასებას.⁶

მთლიანობაში, ვალდებულება მიზნად ისახავს SDGs-ის მიზნების განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესში საკანონმდებლო, საზედამხედველო საფინანსო-საბიუჯეტო და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებების ფარგლებში პარლამენტის ჩართულობის გაზრდას. პარლამენტის ამგვარი ჩართულობა გაზრდის მთავრობის ანგარიშვალდებულებას პარლამენტის წინაშე ეროვნულ დონეზე იდენტიფიცირებული

SDGs-ის მიზნების შესრულების პროცესში. თუმცა, კავშირი მოქალაქეთა ჩართულობისა და ანგარიშვალდებულების ღირებულებებთან არის ბუნდოვანი, რადგან ვალდებულების ტექსტში არ არის მკაფიოდ ასახული, კონკრეტულად რა გზით აპირებს პარლამენტი მოქალაქეების ჩართვას SDGs-ის მიზნების მონიტორინგის პროცესში. შესაბამისობა OGP-ის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ღირებულებასთან ნათელია. რამდენიმე საპარლამენტო კომიტეტი, რომლებმაც უკვე შეიტანეს SDGs-ის მიზნების განხორციელების მონიტორინგი კომიტეტის სამოქმედო გეგმებში, პარლამენტის ვებ-გვერდზე პროაქტიულად გამოაქვეყნებს განხორციელების ანგარიშებს, როგორც ეს მიმდინარე სამოქმედო გეგმის ოცდამეექვსე ვალდებულებაშია გაწერილი.

როგორც UNDP-ის წარმომადგენლმა აღნიშნა,⁷ საპარლამენტო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებამ შესაძლოა ხელი შეუწყოს SDGs-ის თემატიკის პრიორიტიზებას საკანონმდებლო ორგანოში და ამასთან, გააძლიეროს პარლამენტის საზედამხედველო ფუნქცია სამთავრობო უწყებებზე SDG მიზნების განხორციელების პროცესში. გარდა ამისა, UNDP-ის წარმომადგენელი თვლის, რომ SDGs-ის სტრატეგიაში ბიუჯეტირების პროცესის ხაზგასმით, გაიზრდება პარლამენტის, როგორც მაკონტროლებელი ორგანოს როლი მთავრობის მხრიდან წარმოდგენილი ხარჯების განხილვისას, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს მთავრობის მიერ შესაბამისი ფინანსური რესურსის გამოყოფას SDGs-ის მიზნების განსახორციელებლად. მაგალითად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2019 წლის „*ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში*“-ს თანახმად,⁸ ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში (BDD) ინფორმაცია SDGs ინდიკატორებისა და შესაბამისი საბიუჯეტო მონაცემების შესახებ მხოლოდ ნაწილობრივ არის წარმოდგენილი. SDGs მიზნების განხორციელების მონიტორინგის პროცესის პრიორიტიზება პარლამენტში ხელს შეუწყობს BDD დოკუმენტში SDGs მიზნებთან დაკავშირებული სრულყოფილი საბიუჯეტო მონაცემების ასახვას.

საერთო ჯამში, ვალდებულების მეშვეობით შესაძლებელი იქნება პოლიტიკის, კანონმდებლობისა და პროგრამების უფრო სიღრმისეული შეფასება, რაც ხელს შეუწყობს SDGs განხორციელების პროცესის გასაუმჯობესებლად რეკომენდაციების შემუშავებას. აღნიშნულს ეხმიანება ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) წარმომადგენლის შეფასება,⁹ რომ პარლამენტში ამ მექანიზმების ინსტიტუციონალიზაცია გააუმჯობესებს პარლამენტის წინაშე მთავრობის ანგარიშვალდებულებას და უზრუნველყოფს პოლიტიკის შემუშავების დღის წესრიგში SDGs მიზნების როგორც ძირითადი კურსის ასახვას. დაინტერესებული მხარეების აზრით, აღნიშნული ვალდებულება ასევე ხელს შეუწყობს პარლამენტის წევრებისა და თანამშრომლების SDGs მიზნების შესახებ ცნობიერების ამაღლებას. შესაბამისად, ვალდებულება გააძლიერებს პარლამენტის ზედამხედველობის SDGs მიზნების განხორციელების პროცესზე.¹⁰ დაინტერესებული მხარეები ასევე თვლიან, რომ ვალდებულება პოზიტიურ შედეგს მოიტანს თითოეული მოქალაქისათვის, რადგან საპარლამენტო მონიტორინგმა შესაძლოა ხელი შეუწყოს პოლიტიკის განხორციელების პროცესის გაუმჯობესებას, რაც თავის მხრივ, ყოველდღიური ცხოვრების ხარისხს გააუმჯობესებს. სწორედ აღნიშნულისკენ არის მიმართული 2030 SDG მიზნები.

შემდგომი ნაბიჯები

დაინტერესებული მხარეები მიიჩნევენ, რომ იმისათვის, რათა მოხდეს SDGs მიზნების ეროვნულ დონეზე განხორციელების საპარლამენტო მონიტორინგის სრული პოტენციალის გამოყენება, მნიშვნელოვანია, რომ კანონპროექტის განმარტებითი ბარათი ნორმატიული აქტების შესახებ კანონით განსაზღვრულ სხვა ინფორმაციასთან ერთად

მოიცავდეს ინფორმაციას SDGs ეროვნულ ინდიკატორებთან შესაბამისობის თაობაზე. შესაბამისად, განმარტებითი ბარათი პარლამენტს მიაწვდის მნიშვნელოვან ინფორმაციას, თუ რამდენად შეესაბამება კონკრეტული კანონპროექტი მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნულ დონეზე განხორციელების გეგმას. ეს კი, გაზრდის საპარლამენტო ზედამხედველობის შესაძლებლობას და ხელს შეუწყობს მთავრობის მიერ პოლიტიკის შემუშავების დღის წესრიგში SDG მიზნების როგორც ძირითადი კურსის ასახვას.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პარლამენტი აქტიურად არის ჩართული SDGs-ის მიზნების ეროვნული დღის წესრიგის განხორციელების ხელშეწყობის პროცესში, IRM დამოუკიდებელი მკვლევარის რეკომენდაციაა, რომ პარლამენტმა გააძლიეროს ძალისხმევა, მაგალითად SDGs-ის მიზნებისა და განხორციელების პროცესის შესახებ პარლამენტის წევრებისა და კომიტეტის თანამშრომელთა კომპეტენციის ამაღლების მიმართულებით. აღნიშნულს ექნება მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა პარლამენტის ინსტიტუციურ შესაძლებლობაზე, რათა წარმატებით იმუშაოს SDGs-ის მიზნების ეროვნული განხორციელების საკითხზე. ამავე მიმართულებით, შესაძლებელია, პარლამენტის სასწავლო ცენტრმა ჩაატაროს შესაბამისი სემინარები, ტრენინგები, სამუშაო შეხვედრები, ა.შ.

SDGs-ის მიზნების მონიტორინგისა და განხორციელების ხელშეწყობის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობისა და გარე გამოცდილების გაზიარების მიზნით, IRM დამოუკიდებელი მკვლევარი რეკომენდაციას უწევს საპარლამენტო სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელების პროცესში სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩართვას.

¹ გაერთიანებული ერების მდგრადი განვითარების მიზნები, “მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ,” <https://bit.ly/2jHjQmD>.

² UNDP, “საქართველოს მდგრადი განვითარების მიზნები: მიღწეული წარმატება და არსებული გამოწვევები,” 13 ივლისი 2019, <https://bit.ly/3aP2Bpx>

³ ღია მმართველობის ინიციატივა, “საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა 2018–2019,” <https://bit.ly/2XLXiju>.

⁴ UNDP, “საპარლამენტო დემოკრატიის განმტკიცება საქართველოში,” <https://bit.ly/2Tx4voQ>

⁵ საქართველოს პარლამენტი: *თვითშეფასების ანგარიში*, 22 ოქტომბერი 2018, <https://bit.ly/2IEIEqz>.

⁶ სოფო გურული, პროექტის მენეჯერი, UNDP პროექტი: საპარლამენტო დემოკრატიის განმტკიცება საქართველოში, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 10 ივნისი 2019

⁷ გურული, ინტერვიუ, ივნისი 2019.

⁸ საქართველოს სახელწიფო აუდიტის სამსახური, *ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში-მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების მზადყოფნა*, 2019, <https://bit.ly/31Vxzaq>.

⁹ თამარ სართანია, პროექტის ხელმძღვანელის მოადგილე, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 11 ივლისი 2019.

¹⁰ სართანია, ინტერვიუ, ივლისი 2019.

25. ბიუჯეტის შემუშავებისა და დამტკიცების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა

ვალდებულების ტექსტი სამოქმედო გეგმაში

ეფექტიანი, ქმედითი და ანგარიშვალდებული საბიუჯეტო სისტემის ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვანია მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა საბიუჯეტო პროცესში.

საერთაშორისო საბიუჯეტო პარტნიორობის (International Budget Partnership-IBP) ფარგლებში 2017წ. ჩატარებული ღია ბიუჯეტის კვლევის (Open Budget Survey) თანახმად, საქართველომ მე-5 ადგილი დაიკავა. მიუხედავად რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით ჯამში მიღებული მაღალი შეფასებისა (82 ქულა/OBI 2017), ქვეყნისათვის გამოწვევად რჩება შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმის, “საბიუჯეტო პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა“, საკმაოდ დაბალი მაჩვენებელი (22 ქულა/ OBI 2017).

საბიუჯეტო პროცესის ხასიათიდან გამომდინარე, ღონისძიებების გარკვეული ნაწილი ითვალისწინებს საბიუჯეტო პროცესის მონაწილე ძირითადი ორგანიზაციების ერთობლივ ღონისძიებებს, მათ შორის კოორდინაციას და ასევე, შესრულებულ საქმიანობაზე საპარლამენტო კონტროლის განხორციელებას.

განხორციელების ეტაპები:

1. საქართველოს პარლამენტის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ სამოქალაქო საზოგადოების, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების მონაწილეობით საბიუჯეტო პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის პოლიტიკისა და სახელმძღვანელო დოკუმენტის შემუშავება (OBS-ს და GIFT-ის რეკომენდაციების შესაბამისად)
2. პარლამენტის ვებ გვერდზე სახელმწიფო ბიუჯეტის / პროექტის შესახებ მარტივი და გასაგები და ვიზუალურად დამუშავებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (GGI)
3. სახელმწიფო ბიუჯეტის გამჭვირვალობის და სახელმწიფო საბიუჯეტო პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის თვალსაზრისით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ პარლამენტისათვის წარდგენილი წლიური ანგარიშის განხილვა საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მიერ
4. ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და საქართველოს სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ ინფორმაციის პარლამენტში წარდგენიდან შემაჯამებელ საკომიტეტო განხილვამდე საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მიერ სამოქალაქო საზოგადოებასთან კონსულტაციების გამართვა პარლამენტის კომიტეტების, საბიუჯეტო ოფისის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის და სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობით.
5. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის პარლამენტში წარდგენიდან შემაჯამებელ საკომიტეტო განხილვამდე საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მიერ სამოქალაქო საზოგადოებასთან კონსულტაციების გამართვა პარლამენტის კომიტეტების, საბიუჯეტო ოფისის და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მონაწილეობით.
6. ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და საქართველოს სამინისტროების ძირითადი მიმართულებების დოკუმენტისა და სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის საკომიტეტო განხილვაში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის შესახებ ანგარიშის

შედგენა და გამოქვეყნება საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მიერ.

7. პარლამენტის რეკომენდაციების დოკუმენტის შემუშავება და გამოქვეყნება საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მიერ.

დაწყების თარიღი: სექტემბერი, 2018

დასრულების თარიღი: დეკემბერი, 2019

შენიშვნა: ზემოთმოყვანილი ტექსტი არის ამონარიდი თბილისის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმიდან. სრულ ტექსტში მოცემულია დეტალური ტექნიკური ინფორმაცია ვალდებულების შესრულების შესახებ. ვალდებულება სრული სახით შეგიძლიათ იხილოთ: <https://www.opengovpartnership.org/documents/georgia-action-plan-2018-2019/>

ვალდებულების მიმოხილვა	კონკრეტულობა		OGP -ის ღირებულებებთან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				შესრულება				გახსნა ან მთავრობა?				
	შესაფასებლად არ არის საკმარისად კონკრეტული	შესაფასებლად საკმარისად კონკრეტული	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის	არცერთი	შუალედური	არსებითი	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	ნაწილობრივ	მეტწილად	სრულად	გააუარესა	არ შეცვლილა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი ცვლილება	გამორჩეული
25. ბიუჯეტის შემუშავებისა და დამტკიცების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა		✓	✓	✓					✓		შეფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის დასასრულს				შეფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის დასასრულს				

კონტექსტი და მიზნები

2017 წლის ღია ბიუჯეტის კვლევის ანგარიშში, ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობამ საქართველოს მთავრობას ბიუჯეტის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში მოქალაქეთა ჩართვის მეტი შესაძლებლობების უზრუნველყოფის რეკომენდაცია გაუწია. რეკომენდაცია ასევე შეეხებოდა წლიური ბიუჯეტის შესახებ საკანონმდებლო მოსმენების ორგანიზებას, რომელიც საზოგადოებისა თუ სამოქალაქო საზოგადოების ნებისმიერ წევრს მისცემდა მონაწილეობის შესაძლებლობას.¹

აღნიშნული მიზნის მისაღწევად, საქართველოს პარლამენტი გეგმავს მოქალაქეთა ჩართულობის პოლიტიკისა და სახელმძღვანელო დოკუმენტის შემუშავებას. სამუშაო პროცესი დაგეგმილია საერთაშორისო პარტნიორობით, ფინანსთა სამინისტროსთან, სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა და სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით. დოკუმენტში გათვალისწინებული იქნება ღია ბიუჯეტის კვლევა და ფისკალური გამჭვირვალობის გლობალური ინიციატივის (GIFT) რეკომენდაციები.²

დოკუმენტი ასევე მიზნად ისახავს ბიუჯეტირების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდისათვის საჭირო მექანიზმების ინსტიტუციონალიზაციას.

ვალდებულება ასევე მოიცავს ონლაინ მოდულის შემუშავებას და ინტეგრირებას პარლამენტის ახალ ვებ-გვერდზე.³ ბიუჯეტის კანონ-პროექტის ფორმით გამოქვეყნების დღეს არსებულ პრაქტიკასთან შედარებით, ახალ ვებ-გვერდზე ბიუჯეტის კანონთან დაკავშირებული ინფორმაცია უფრო მარტივი და გასაგები ფორმით იქნება წარმოდგენილი. დაინტერესებული მხარეები აღნიშნავენ, რომ პარლამენტის ონლაინ მოდული განსხვავებული იქნება არსებული სახელმწიფო აუდიტის budgetmonitor.ge ვებ-გვერდისგან, რადგან მოქალაქეებს მიაწვდის ინფორმაციას არა სახელმწიფო ბიუჯეტის, არამედ პარლამენტში წარმოდგენილი ბიუჯეტის კანონპროექტის შესახებ.⁴

ბოლოს აღსანიშნავია, რომ ვალდებულების მიზანია, ბიუჯეტირების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად რამდენიმე მექანიზმის დანერგვა. იგულისხმება ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზების შესახებ სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენლებთან კონსულტაციების გამართვა, არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებით საკომიტეტო მოსმენებისა და კონსულტაციების ორგანიზება და ჩართულობის შესახებ კომიტეტის ანგარიშებისა და რეკომენდაციების შემუშავება და გამოქვეყნება. ჩამოთვლილი აქტივობები შესაბამისობაშია OGP-ის ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და მოქალაქეთა ჩართულობის ღირებულებებთან. ვალდებულების განხორციელების ეტაპები და ინდიკატორები კონკრეტულია.

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის NDI წარმომადგენელმა ინტერვიუს დროს აღნიშნა,⁵ რომ მოქალაქეთა ჩართულობა მეტწილად დამოკიდებულია პარლამენტის მიერ ცნობიერების ამაღლების კამპანიის წარმოებაზე (როგორც დედაქალაქში, ასევე რეგიონული მასშტაბით), რაც ძირითადად დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით და ორგანიზებით ხორციელდება. მიმდინარე ვალდებულების ფარგლებში პარლამენტი გეგმავს ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის გაავრცელოს, რაც პოზიტიური და დროული ნაბიჯია. IRM დამოუკიდებელი მკვლევარის მიერ ჩატარებული ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ვალდებულება მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან აქტივობებს, რომლებიც მნიშვნელოვნად გაზრდის გამჭვირვალობასა და ხელს შეუწყობს მოქალაქეთა ინფორმირებულობას.⁶ თუმცა ამავდროულად ფოკუს ჯგუფის მონაწილეები სკეპტიკურად უყურებენ მოქალაქეთა მონაწილეობის კომპონენტს, რადგან ბიუჯეტირების პროცესის გაგებისათვის საჭირო სპეციფიკური ცოდნის გარეშე, მათი ჩართვა ბიუჯეტის შემუშავებაში დიდ გამოწვევებთან იქნება დაკავშირებული.

საერთო ჯამში, ვალდებულება მოიცავს რამდენიმე წინგადადგმულ ნაბიჯს, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან კონსულტაციების ჩათვლით, რაც ხელს შეუწყობს საბიუჯეტო პროცესში - წარდგენიდან დამტკიცებამდე - სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩართულობის გაზრდას. ვალდებულება ასევე გაზრდის მთავრობის ანგარიშვალდებულებას პარლამენტის წინაშე. თუმცა იმის გამო, რომ საბიუჯეტო პროცესებში მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმები არ არის ნათლად განსაზღვრული, ვალდებულების პოტენციური შედეგი შეზღუდულია. წარმოდგენილი აქტივობებს კუმულაციური ეფექტის გათვალისწინებით, ვალდებულებამ შესაძლოა არსებითად

გააუმჯობესოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემუშავებისა და დამტკიცების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის საკითხი.

შემდგომი ნაბიჯები

პარლამენტს შეუძლია გააუმჯობესოს ვალდებულების მასშტაბი და არეალი, მაგალითად ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და ბიუჯეტის კანონპროექტის მთავარი მიმართულებების შესახებ საჯარო განხილვების რაოდენობის გაზრდისა და რეგიონებში კონსულტაციების ჩატარების გზით (განხორციელების ეტაპები 25.4 და 25.5).

კონსულტაციების რეგიონალური მასშტაბით გაფართოვებით პარლამენტს შეუძლია გაზარდოს მოქალაქეთა ჩართულობის მცირე მაჩვენებელი და შესაბამისად ვალდებულების პოტენციური შედეგი.

ბიუჯეტირების პროცესში საზოგადოებრივი ინტერესის ამაღლებისა და ჩართულობის წახალისების მიზნით, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა შესაძლოა არა მხოლოდ განიხილოს ბიუჯეტის გამჭვირვალობის და საბიუჯეტო პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის შესახებ ფინანსთა სამინისტროს წლიური ანგარიში (25.3), არამედ ორგანიზება გაუკეთოს საჯარო განხილვას, რაც გააძლიერებს ანგარიშვალდებულების კომპონენტს და შესაბამისად გაზრდის ვალდებულების მასშტაბს.

ასევე სასურველია, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა შეიმუშაოს მონიტორინგის მექანიზმი, რითაც უზრუნველყოფს 25.7 განხორციელების ეტაპით განსაზღვრული რეკომენდაციების, შემდეგ საბიუჯეტო პერიოდში გათვალისწინება მთავრობის მიერ.

¹ ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობა, “ღია ბიუჯეტის ინდექსი (2017), საქართველო,”

<https://bit.ly/2E1hNTE>

² ფისკალური გამჭვირვალობის გლობალური ინიციატივის, “სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმები,”

<https://bit.ly/2LW7yU5>

³ პარლამენტის ახალი ვებგვერდის შემუშავება არის OGP საქართველოს 2018-2019 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის, 26-ე ვალდებულების ნაწილი.

⁴ თამარ სართანია, პროექტის ხელმძღვანელის მოადგილე, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 11 ივლისი 2019.

⁵ სართანია, ინტერვიუ, ივლისი 2019.

⁶ IRM მკვლევარის მიერ განხორციელებული ფოკუს-ჯგუფი ექსპერტებთან, მკვლევარებთან და საჯარო ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან, 18 ივნისი 2019

26. პარლამენტის ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის გაძლიერება ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვით

ვალდებულების ტექსტი სამომედო გეგმაში

საქართველოს პარლამენტში აქტიურად ინერგება ინოვაციური ტექნოლოგიები პარლამენტის საქმიანობის ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფისათვის.

დღეის მდგომარეობით, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა პარლამენტის ვებ-გვერდზე განთავსებულ კანონპროექტებთან დაკავშირებით დააფიქსიროს საკუთარი მოსაზრება. შემუშავდა საქართველოს პარლამენტის მობილური აპლიკაცია და საჯარო ინფორმაციის მოდული, სადაც ინფორმაცია მარტივად დასამუშავებელ ფორმატშია მოცემული და ასევე ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის ელექტრონულად მოთხოვნა.

თუმცა, მოსახლეობის კიდევ უფრო აქტიური ჩართულობისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის, აუცილებელია, ახალი ინოვაციური მიდგომების გამოყენებით, ელექტრონული მმართველობის თანამედროვე სტანდარტების დანერგვა ან უკვე ხელთარსებული მექანიზმების დახვეწა.

განხორციელების ეტაპები:

1. პარლამენტის ახალი ვებგვერდის შექმნა. (GGI)
2. კანონპროექტის შემუშავებისათვის სპეციალური ელექტრონული ფორმის განსაზღვრა და პარლამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნება. (საქართველოს პარლამენტი)
3. პარლამენტის საზედამხედველო საქმიანობის შესახებ ინფორმაციის რეგულარულად და ორგანიზებულად გამოქვეყნება პარლამენტის ვებგვერდზე. (GGI)
4. პლენარული სხდომების სტენოგრამული ჩანაწერების ღია ფორმატში განთავსება პარლამენტის ვებგვერდზე. (IDFI)
5. კომიტეტის სხდომაზე დასწრების უზრუნველყოფის მიზნით, მოქალაქეების ონლაინ რეჟიმში რეგისტრაციის ადაპტირებული მექანიზმის დანერგვა (IDFI და საქართველოს პარლამენტი)
6. ინფორმაციის ონლაინ „chat“-ით მიღების შესაძლებლობის დანერგვა („live chat“). (GIZ)
7. პარლამენტის კომიტეტის ანგარიშების ერთიანი ფორმის შემუშავება და გამოქვეყნება პარლამენტის ვებგვერდზე. (GYLA)
8. დაჩქარებული წესით განხილული კანონპროექტების ელექტრონული საძიებო სისტემის შექმნა. (GYLA)
9. მაჟორიტარი დეპუტატების ბიუროების ელექტრონული რუკის შექმნა. (GYLA)
10. ანგარიშვალდებული ორგანოს მიერ წარმოდგენილი ანგარიშების საკომიტეტო მოსმენამდე რამდენიმე დღით ადრე ვებგვერდზე განთავსება და მოქალაქეთა მოსაზრებების/კითხვების მიღება. (GYLA)
11. კომიტეტთან არსებული საკონსულტაციო საბჭოების შემადგენლობის, ფორმირების წესისა და საქმიანობის შესახებ ინფორმაციის პარლამენტის ვებგვერდზე განთავსება. (TI)
12. განმარტებითი ბარათის შედგენის შესახებ სახელმძღვანელოსა და ვიდეო-ინსტრუქციის შემუშავება და პარლამენტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნება (TI და GIZ)

13. დაინტერესებული პირების (Stakeholders) საერთო რეესტრის შექმნა და განთავსება პარლამენტის ვებგვერდზე, რათა საწყის ეტაპზე უზრუნველყოფილი იყოს ამ პირების ჩართულობა საკანონმდებლო პროცესი. (ამერიკის სავაჭრო პალატა)
14. ლობისტური ორგანიზაციების რეესტრის შექმნა და განთავსება პარლამენტის ვებგვერდზე. (მოქალაქეთა: ნათია ბაღდაძე)
15. პარლამენტის მობილური აპლიკაციის გაუმჯობესება. (მოქალაქეები: შალვა დეკანოზიშვილი, კალენიკე ურიდია და რუსუდან მგელაძე)

დაწყების თარიღი: სექტემბერი, 2018

დასრულების თარიღი: დეკემბერი, 2019

შენიშვნა: ზემოთმოყვანილი ტექსტი არის ამონარიდი თბილისის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმიდან. სრულ ტექსტში მოცემულია დეტალური ტექნიკური ინფორმაცია ვალდებულების შესრულების შესახებ. ვალდებულება სრული სახით შეგიძლიათ იხილოთ: <https://www.opengovpartnership.org/documents/georgia-action-plan-2018-2019/>

ვალდებულების მიმოხილვა	კონკრეტულობა		OGP -ის ღირებულებებთან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				შესრულება				გახსნა ან მათავრობა?				
	შესაფასებლად არ არის საკმარისად კონკრეტული	შესაფასებლად საკმარისად კონკრეტულია	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის	არცერთი	შუალედური	არსებითი	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	ნაწილობრივ	მეტწილად	სრულად	გააუარესა	არ შეცვლილა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი ცვლილება	გამორჩეული
26. პარლამენტის ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის გაძლიერება ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვით		✓	✓	✓		✓			✓		შეფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის დასასრულს				შეფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის დასასრულს				

კონტექსტი და მიზნები

წინამდებარე ვალდებულება მოიცავს მრავალ აქტივობას, რომლებიც მიზნად ისახავს დაინტერესებული მხარეების მხარდაჭერით, საქართველოს პარლამენტის მუშაობის ეფექტურობისა და გამჭვირვალობის გაზრდას.¹ პარლამენტი გეგმავს ახალი ვებ-გვერდის შექმნას, რომელზეც ხელმისაწვდომი იქნება სხვადასხვა სახის ინფორმაცია. მაგალითად კანონპროექტების შემუშავებისათვის საჭირო ონლაინ ფორმა, ინფორმაცია პარლამენტის საზედამხედველო უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შესახებ, პლენარული სხდომების სტენოგრამული ჩანაწერები, უნიფიცირებულ ფორმატში ატვირთული პარლამენტის კომიტეტების ანგარიშები და კომიტეტთან არსებული საკონსულტაციო საბჭოების შემადგენლობა, ასევე საბჭოს ფორმირებასთან დაკავშირებული დოკუმენტები. ახალ ვებ-გვერდს ექნება პირდაპირ რეჟიმში გასაუბრების ფუნქცია (live chat), რომლის მეშვეობითაც მოქალაქეებს შეეძლებათ ინფორმაცია მიიღონ

ვებ-გვერდზე ნავიგაციის გარეშე.² ახალ ვებ-გვერდს ასევე ექნება ძეგლის ფუნქცია, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება დაჩქარებული წესით განხილული კანონპროექტების მარტივად მოძიება.³

პარლამენტი ასევე გეგმავს ონლაინ სარეგისტრაციო ფორმის შემუშავებას, რომლის მეშვეობითაც მოქალაქეები შეძლებენ აიღონ პარლამენტის შენობაში შესასვლელი საშვი და დაესწრონ კომიტეტის სხდომებს. აქამდე დამკვიდრებული არაფორმალური პრაქტიკით, ⁴დაინტერესებულ მოქალაქეებს პარლამენტში ნაცნობების მოძებნა და მათთვის კომიტეტის სხდომაზე დასასწრები საშვის თხოვნა უწევდათ. დამატებით, პარლამენტის მიზანია დაინტერესებული მხარეების და ლობისტური ორგანიზაციების საერთო რეესტრის შექმნა და მისი ახალ ვებ-გვერდზე განთავსება. დაგეგმილია ასევე ახალი მობილური აპლიკაციის გაშვება. წინა აპლიკაციისგან განსხვავებით, ახალი აპლიკაცია მომხმარებელს მეტ ფუნქციასა და უფრო ამომწურავ ინფორმაციას შესთავაზებს. აპლიკაციას ექნება ძეგლის მოდული კანონპროექტების, პარლამენტის კალენდრის, პარლამენტის დღის წესრიგის, დაგეგმილი ღონისძიებების, პარლამენტის წევრების, ასევე მათ მიერ წერილობითი ფორმით დასმული კითხვების შესახებ და სხვა.

ვალდებულება ასევე მოიცავს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული უწყებების ანგარიშების საკომიტეტო მოსმენებამდე პროაქტიულად გამოაქვეყნებს. როგორც საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენლმა აღნიშნა, ⁵ამჟამინდელი პრაქტიკისგან განსხვავებით აღნიშნული ანგარიშების წინასწარ გასაჯაროება დაინტერესებულ მხარეებსა და მოქალაქეებს მისცემს საშუალებას, რომ ანგარიშების შესახებ დასვან შეკითხვები და გააკეთონ კომენტარები ვებ-გვერდის საშუალებით. შემდგომში, კითხვებს შეაგროვებს შესაბამისი კომიტეტი და განიხილავს კომიტეტის სხდომაზე, მოქალაქეთა შეკითხვებისათვის საგანგებოდ გამოყოფილ დროს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, და ასევე იმის გათვალისწინებით, რომ დაგეგმილი აქტივობების განსახორციელებლად საჭიროა ტექნოლოგიების გამოყენება, ვალდებულება შესაბამისობაშია OGP-ის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, მოქალაქეთა ჩართულობის და ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ღირებულებებთან. აღნიშნული ვალდებულების ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები საკმარისად კონკრეტულია.

საპარლამენტო ვებ-გვერდის დახვეწა პარლამენტის მუშაობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფისაკენ გადადგმული დადებითი წინგადადგმული ნაბიჯია. პარლამენტი გეგმავს რეგულარულად განათავსოს და განაახლოს სხვადასხვა ტიპის ინფორმაცია, როგორცაა მაგალითად პლენარული სხდომების სტენოგრამული ჩანაწერები ღია მონაცემთა ფორმატში, კომიტეტების ანგარიშები, საზედამხედველო ფუნქციის ფარგლებში ინდივიდუალური პარლამენტის წევრების მიერ განხორციელებული აქტივობები, ინფორმაცია კომიტეტებთან არსებული საკონსულტაციო საბჭოების ფორმირების შესახებ და ანგარიშვალდებული უწყებების ანგარიშები.

ახალი ვებ-გვერდის ამუშავებით (განხორციელების ეტაპი 26.1), პარლამენტი გეგმავს გააუმჯობესოს მისი ინტერფეისი და ნავიგაცია, რაც შესაძლებელს გახდის ახალი ტიპის მონაცემების ატვირთვას და მოქალაქეებს გაუმარტივებს მათთვის საჭირო ინფორმაციის მოძიებას. ახალ ვებ-გვერდს ასევე ექნება ფუნქცია, რომელიც მოქალაქეებს შესაძლებლობას მისცემს, ანგარიშვალდებული უწყებების მიერ პარლამენტისათვის წარდგენილ სხვადასხვა ანგარიშებზე გააკეთონ კომენტარები, აღნიშნული ანგარიშების

კომიტეტის სხდომაზე განხილვამდე. პარლამენტი ასევე პროქტიულად გამოაქვეყნებს ინფორმაციას ლობისტური ორგანიზაციების შესახებ, რაც მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ლობისტების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროების კუთხით.

გამოსწორდება ასევე პარლამენტის მიერ ინფორმაციის გაცემის ხერხები და რიგი სერვისები. მაგალითად, კომიტეტების ანგარიშები ამჟამად მზადდება თითოეული კომიტეტის მიერ ინდივიდუალურად შემუშავებულ ფორმატში და მათი საჯაროდ გამოქვეყნება არ ხდება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ერთიანი სტანდარტიზებული ფორმატის არსებობა.⁶ ამას გარდა, პირდაპირ რეჟიმში გასაუბრების ფუნქცია (online chat) შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ინფორმაციის მიწოდების სწრაფი და მარტივი გზა, რომელიც პასუხობს მოქალაქეთა შეკითხვებს, აძლევს მიმართულებას და აკვლიანებს მათ. კომიტეტის სხდომებზე დასასწრებად ონლაინ რეგისტრაცია გაამარტივებს და დაარეგულირებს პროცესს, რასაც აქამდე პირადი კონტაქტები სჭირდებოდა.⁷ ხოლო მობილური აპლიკაციის საშუალებით მოქალაქეები შეძლებენ მიიღონ ინფორმაცია პარლამენტში მიმდინარე სიახლეებისა და აქტივობების შესახებ. საერთო ჯამში, აღნიშნულმა აქტივობებმა შესაძლოა არსებითად გააუმჯობესოს პარლამენტის გამჭვირვალობის ხარისხი. ეს კი, გრძელვადიან პერსპექტივაში, მნიშვნელოვან როლს ითამაშებს პარლამენტის საქმიანობის მიმართ ნდობის ამაღლების პროცესში.

შემდგომი ნაბიჯები

იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულება გაგრძელდება შემდეგ სამოქმედო გეგმაში, IRM დამოუკიდებელი მკვლევარის რეკომენდაციაა, ერთმანეთთან დაკავშირებული ერთი მიზნის მქონე მსგავსი აქტივობები დაჯგუფდეს ერთად. მაგალითად, ახალი ვებ-გვერდის შექმნა და ახალი მოდულების დანერგვა - როგორცაა საძიებო სისტემა და პირდაპირ რეჟიმში გასაუბრების ფუნქცია (live chat) - შესაძლოა დაჯგუფდეს ერთი ვალდებულების - ტექნოლოგიების გამოყენება გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად - ფარგლებში. ამის მსგავსად, სამიზნე ნიშნულები - სხვადასხვა დოკუმენტების შემუშავება და გამოქვეყნება, შეიძლება გაერთიანდეს ერთ ვალდებულებაში, რომელიც პირდაპირ შესაბამისობაში იქნება ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ღირებულებასთან. გარდა ამისა, IRM დამოუკიდებელი მკვლევარი რეკომენდაციას უწევს გაიწეროს ანგარიშების შეხვედრებამდე გამოქვეყნების ზუსტი ვადები, რათა პარლამენტის წევრებს, მოქალაქეებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს საკმარისი დრო მიეცეთ მათ შესასწავლად.

¹ პროცესში შემდეგი დაინტერესებული მხარეები იღებდნენ მონაწილეობას: USAIDGGI, IDFI, GIZ, GYLA, TI, AMCHAM, და მოქალაქეები.

² ნინო ცუხიშვილი, საპარლამენტო მდივანი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ინტერვიუ IRM- ის მკვლევართან, 5 ივლისი 2019

³ ცუხიშვილი, ინტერვიუ, 2019.

⁴ თამარ სართანია, პროექტის ხელმძღვანელის მოადგილე, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 11 ივლისი 2019.

⁵ ცუხიშვილი, ინტერვიუ, 2019.

⁶ ცუხიშვილი, ინტერვიუ, 2019

⁷ სართანია, ინტერვიუ, ივლისი 2019.

27. მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრის შექმნა საქართველოს პარლამენტში

ვალდებულების ტექსტი სამოქმედო გეგმაში

საქართველოს პარლამენტში დღეს არსებობს პარლამენტის აპარატის საქმისწარმოების დეპარტამენტი, რომელიც აერთიანებს რამდენიმე სტრუქტურულ ერთეულს. დეპარტამენტის ძირითადი ფუნქციებია პარლამენტის აპარატის ერთიანი საქმისწარმოების უზრუნველყოფა, მოქალაქეთა მიღება და მათი წერილებისა თუ სხვა მიმართვების რეგისტრაცია და შესაბამის ადრესატამდე გადაგზავნა.

2018 წლის ნოემბერში ძალაში შედის საკონსტიტუციო ცვლილებები, ასევე პარლამენტში მომზადებულია ახალი რეგლამენტი, რომლის თანახმად იზრდება პარლამენტის საზედამხებელო ფუნქცია. აღნიშნული წარმოადგენს იმ გამოწვევას, რომელსაც პარლამენტის აპარატმა ახლებური მიდგომების დანერგვით უნდა უპასუხოს.

პარლამენტის რეგლამენტის პროექტის 1-ლი მუხლის ვ) და ზ) ქვეპუნქტით განისაზღვრა პარლამენტის მუშაობის პრინციპები, კერძოდ საჯაროობის, გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობის პრინციპი. ასევე იზრდება კარგი მმართველობის პრინციპებისა და მდგრადი განვითარების გლობალური მიზნების კერძოდ მე-16 მიზნის სრული ასახვა საპარლამენტო საქმიანობაში.

ყოველივე აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია შეიქმნას მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრი, რომელიც სრულიად ახლებურ სერვისს შესთავაზებს მოქალაქეებს, როგორც უშუალოდ საპარლამენტო ცხოვრებაში მონაწილეობის უზრუნველყოფის, ასევე პარლამენტის საქმიანობის გაცნობისა და მიმდინარე სიახლეების თვალსაზრისით. ამავდროულად უზრუნველყოფს ადაპტირებულ სერვისებს იმ საჭიროებების გათვალისწინებით, რომელიც მოწყვლადი ჯგუფების მოთხოვნებს დააკმაყოფილებს.

განხორციელების ეტაპები:

1. დღეს არსებული მოქალაქეთა მისაღების საქმიანობის შესწავლა
2. მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრის კონცეფციის შემუშავება (მათ შორის ადაპტირებული სერვისების გათვალისწინებით) და დამტკიცება
3. მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრის შექმნა და აღჭურვა
4. მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრში ადაპტირებული სერვისების დანერგვა
5. მოქალაქეთა ჩართულობა ცენტრის თანამშრომლებისათვის სამუშაო ინსტრუქციებისა და ტრენინგ-პროგრამების შემუშავება და თანამშრომლების გადამზადება

დაწყების თარიღი: სექტემბერი, 2018

დასრულების თარიღი: ივნისი, 2019

შენიშვნა: ზემოთმოყვანილი ტექსტი არის ამონარიდი თბილისის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმიდან. სრულ ტექსტში მოცემულია დეტალური ტექნიკური ინფორმაცია ვალდებულების შესრულების შესახებ. ვალდებულება სრული სახით შეგიძლიათ იხილოთ: <https://www.opengovpartnership.org/documents/georgia-action-plan-2018-2019/>

ვალდებულების მიმოხილვა	კონკრეტულობა		OGP -ის ღირებულებებთან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				შესრულება				გახსნა ან მთავრობა?				
	შესაფასებლად არ არის საკმარისად კონკრეტული	შესაფასებლად საკმარისად კონკრეტულია	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის	არცერთი	შუალედური	არსებითი	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	ნაწილობრივ	მეტწილად	სრულად	გააუმჯობესა	არ შეცვლილა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი ცვლილება	გამორჩეული
27. მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრის შექმნა საქართველოს პარლამენტში		✓		✓					✓		შეფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის დასასრულს				შეფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის დასასრულს				

კონტექსტი და მიზნები

აღნიშნული ვალდებულების ფარგლებში საქართველოს პარლამენტი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით,¹ გეგმავს მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრის შექმნას და მისი საშუალებით მოქალაქეთა ინფორმირებულობისა და ჩართულობის გაზრდას. როგორც ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თავმჯდომარე აღნიშნავს,² ამჟამად, მოქალაქეთა მისაღებს არ გააჩნია არანაირი მექანიზმი იმისათვის, რომ პარლამენტის ყოველდღიურ აქტივობებში მოქალაქეთა ჩართულობა უზრუნველყოფს. მოქალაქეთა მისაღების ამჟამინდელი ფუნქცია შემოიფარგლება მოქალაქეთა განცხადებების დარეგისტრირებითა და მათთვის საშვების გაცემით. შესაბამისად, პარლამენტი გეგმავს არსებული მისაღები სრულიად ახლებური მიდგომით, კერძოდ კი, მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრით ჩაანაცვლოს.

პირველ რიგში, პარლამენტი გეგმავს ჩართულობის არსებული პრაქტიკის შესწავლას და მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრის კონცეფციის შემუშავებას, რომლის დროსაც, აგრეთვე გათვალისწინებული იქნება საპარლამენტო სერვისების ადაპტირება და შშმ პირების საჭიროებებზე მორგება. შემდეგ ეტაპზე, პარლამენტი აამუშავებს ცენტრს და დანერგავს ადაპტირებულ სერვისებს. ბოლოს, პარლამენტი ახალი ცენტრის თანამშრომლებისათვის შეიმუშავებს ტრენინგებს. ვინაიდან ვალდებულების თითოეული აქტივობა მიზნად ისახავს პარლამენტის აქტივობების შესახებ მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლებას და მოქალაქეების ჩართულობის უზრუნველყოფას, აღნიშნული ვალდებულება ცალსახად შესაბამისობაშია OGP-ის მოქალაქეთა ჩართულობის ღირებულებასთან.

განხორციელების ეტაპები და შესაბამისი ინდიკატორები საკმარისად კონკრეტულია. თუმცა ტექსტში არ არის დაკონკრეტებული მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრის მასშტაბი და მოცულობა. მაგალითად, არ არის განმარტებული შემუშავების პროცესში რამდენად არის გათვალისწინებული დაინტერესებული მხარეების და მოქალაქეების ჩართვა ან რა ტიპის ტრენინგები ჩატარდება პერსონალის შესაძლებლობების განვითარების კუთხით.

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის წარმომადგენელმა აღნიშნა,³ რომ შექმნის შემთხვევაში, მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრი წვლილს შეიტანს პარლამენტის მოქალაქეებთან ურთიერთობის გაუმჯობესებასა და მათთვის უკეთესი სერვისების მიწოდებაში⁴. საქართველოს პრეზიდენტის ყოფილი საპარლამენტო მდივნის განცხადებით, აღნიშნული ვალდებულება ასევე წვლილს შეიტანს პარლამენტის, როგორც ინსტიტუტის ეფექტურ მუშაობაში. მოქალაქეები, რომლებიც არ არიან გათვითცნობიერებული არსებული სამთავრობო სერვისების შესახებ, ხშირად მიმართავენ პოლიტიკოსებს ან პარლამენტის წევრებს, რომელთა კომპეტენციაშიც არ შედის აღნიშნული საკითხი. შესაბამისად, ახალი ცენტრი დაეხმარება მოქალაქეებს მათი პრობლემების გადაჭრისათვის სწორი ადრესატის (სააგენტო, კომიტეტი, დამოუკიდებელი პარლამენტის წევრი თუ სახალხო დამცველის ოფისი) იდენტიფიცირების პროცესში. ცენტრი მოქალაქეებს დაეხმარება განცხადების დაწერასა და ჩაბარებაში, ასევე შეხვედრების ორგანიზებაში. ყოველივე ზემოაღნიშნული დაზოგავს როგორც მოქალაქეების, ასევე პარლამენტის წევრების დროს. სწორი ადრესატის შერჩევის შემთხვევაში, მეტი მოქალაქე მიიღებს უკეთეს მომსახურებას, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში გაზრდის ნდობას პარლამენტის მიმართ. თუმცა, იმის გამო, რომ ინიციატივის მასშტაბი და მოცულობა არ არის დაკონკრეტებული, აღნიშნული ვალდებულების შედეგი, სრულად განხორციელების შემთხვევაში შესაძლოა იყოს არსებითი.

შემდგომი ნაბიჯები

სამომავლოდ, პარლამენტმა, სასურველია, დააზუსტოს თუ კონკრეტულად რა სერვისებს შესთავაზებს მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრი მოქალაქეებს და გაუმჯობესებისა და ჩართულობის რა მექანიზმები იქნება ცენტრის ფარგლებში ამოქმედებული. საპარლამენტო პროცესებთან დაკავშირებით საჯარო ინტერესისა და ჩართულობის სტიმულირებისათვის, IRM დამოუკიდებელი მკვლევარი რეკომენდაციას უწევს მოქალაქეებთან და სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან უფრო აქტიურ და მდგრად ურთიერთობას. ამასთანავე, პარლამენტმა, სასურველია, იზრუნოს მომავალი ცენტრის ჩართულობის შესაძლებლობების შესახებ ცნობიერების ამაღლების საკითხზე, სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებთან შესაბამისი პოპულარიზაციის მექანიზმების გამოყენებით. მაგალითად, მნიშვნელოვანია პოპულარიზაციის აქტივობები სკოლისა და უნივერსიტეტების მასწავლებლებსა და სტუდენტებთან, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდებსა თუ აკადემიურ წრეებში პარლამენტის როლისა და მიმდინარე აქტივობების ყოველდღიურ ცხოვრებაში აღქმას. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ვალდებულება გაგრძელდება მომავალ სამოქმედო გეგმაში, ცენტრმა შესაძლოა შეიმუშაოს მისი მუშაობის ზოგადი ეფექტურობის შეფასების მექანიზმები. იგულისხმება, მიმართვიანობის დათვლა - აღრიცხვა, დასმული შეკითხვებისა და მოთხოვნების ტიპის, პეტიციების, ჩართულობის შემთხვევების და მომსახურების ხარისხის და უკუკავშირის მექანიზმების მონიტორინგი.

¹ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) აღმოსავლეთ პარტნიორობის საპარლამენტო პროექტი: პარლამენტის აპარატის გაძლიერება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში.

² ირინა ფრუიძე, ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თავმჯდომარე, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 22 აპრილი 2019.

³ თამარ სართანია, პროექტის ხელმძღვანელის მოადგილე, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 11 ივლისი 2019.

⁴ ანა დოლიძე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, ყოფილი საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 12 ივლისი 2019

28. საპარლამენტო დემოკრატიის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

ვალდებულების ტექსტი სამოქმედო გეგმაში

საზოგადოების დიდი ნაწილი სრულყოფილად არ არის ინფორმირებული საქართველოს პარლამენტის საქმიანობისა და განხორციელებული სისტემური რეფორმების შესახებ, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს დემოკრატიული და ინკლუზიური მმართველობის ჩამოყალიბებას. აღნიშნული პრობლემის გადაჭრისათვის, აუცილებელია, რომ საქართველოს პარლამენტმა შეიმუშაოს კომუნიკაციის სტრატეგია, რომლითაც განისაზღვრება სხვადასხვა ღონისძიებების, მათ შორის საინფორმაციო კამპანიებისა და საჯარო შეხვედრების ორგანიზება, პარლამენტის ხელთ არსებული სოციალური ქსელების (მაგ: Facebook-ის) გამოყენება და საინფორმაციო მასალების დამზადება. საპარლამენტო საქმიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანია ხელს შეუწყობს ინფორმირებული საზოგადოების ჩამოყალიბებას და მოქალაქეთა უფრო აქტიურ მონაწილეობას კანონშემოქმედებით საქმიანობაში. ამასთან, ის მნიშვნელოვნად გაზრდის საზოგადოების ნდობას საკანონმდებლო ხელისუფლების მიმართ.

განხორციელების ეტაპები:

1. ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს კომუნიკაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება და დამტკიცება (GYLA)
2. საპარლამენტო კომიტეტებისა და პლენარული სხდომებისთვის პირდაპირი ტელერადიო ტრანსლაციის სიხშირის განსაზღვრა (საქართველოს პარლამენტი)
3. პარლამენტის მიერ მოქალაქეებისთვის გაწეული სერვისების ხელმისაწვდომი მომსახურების შესახებ ინფორმაციის გავრცელება, მათ შორის სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის ხელმისაწვდომი ფორმით. (საქართველოს პარლამენტი, UNDO და IDFI)
4. საქართველოს პარლამენტის სოციალური ქსელების საშუალებით კომუნიკაციის დამყარების კონცეფციის შემუშავება (IDFI)
5. პარლამენტისა და მისი საქმიანობის შესახებ საინფორმაციო მასალების დამზადება (კომიქსები, ფლაერები, გრაფიკული ვიდეო-რგოლები), მათ შორის სპეციალური საჭიროების მქონე პირებისათვის ხელმისაწვდომი ფორმით და გავრცელება. (საქართველოს პარლამენტი და GIZ-ის აღმოსავლეთ პარტნიორობის საპარლამენტო პროექტი)
6. სტუდენტებთან და ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება - პარლამენტის დღე უნივერსიტეტში. (საქართველოს პარლამენტი)
7. მოქალაქეების კომენტარების / წარმოდგენილი პეტიციების რაოდენობის სტატისტიკის წარმოება. თითოეული კომენტარისთვის პირობითად ერთი ქულის მინიჭება, სარეიტინგო ცხრილის შექმნა და აქტიური მოქალაქეების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება პარლამენტის ვებგვერდზე. (ამირან ჯანჯღავა, რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი)
8. „აქტიური მოქალაქის“ ჯილდოს დაწერება იმ მოქალაქეებისათვის, ვინც აქტიურად არის ჩართული პარლამენტის საქმიანობაში სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებით: კომენტარის დატოვება, ელექტრონული პეტიცია, კომიტეტის

სხდომაზე დასწრება. (ამირან ჯანჯღავა, რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი)

დაწყების თარიღი: აგვისტო, 2018

დასრულების თარიღი: დეკემბერი, 2019

შენიშვნა: ზემოთმოყვანილი ტექსტი არის ამონარიდი თბილისის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმიდან. სრულ ტექსტში მოცემულია დეტალური ტექნიკური ინფორმაცია ვალდებულების შესრულების შესახებ. ვალდებულება სრული სახით შეგიძლიათ იხილოთ: <https://www.opengovpartnership.org/documents/georgia-action-plan-2018-2019/>

ვალდებულების მიმოხილვა	კონკრეტულობა		OGP -ის ღირებულებებთან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				შესრულება				გახსნა ან მათავრობა?				
	შესაფასებლად არ არის საკმარისად კონკრეტული	შესაფასებლად საკმარისად კონკრეტული	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია	არცერთი	შუალედური	არსებითი	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	ნაწილობრივ	მეტწილად	სრულად	გაუარესა	არ შეცვლილა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი ცვლილება	გამორჩეული
27. საპარლამენტო დემოკრატიის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება		✓	✓	✓				✓			შეფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის დასასრულს				შეფასდება სამოქმედო გეგმის ციკლის დასასრულს				

კონტექსტი და მიზნები

საქართველოს პარლამენტი, ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელის მეშვეობით დიდი მოცულობის ინფორმაციას აქვეყნებს, მაგრამ გამოქვეყნებული ინფორმაცია ყოველთვის არ არის იმგვარად სტრუქტურირებული და მიწოდებული, რომ წახალისოს მოქალაქეთა ინტერესი და ჩართულობა საპარლამენტო პროცესებში. შესაბამისად, აღნიშნული ვალდებულება მოიცავს რვა სამიზნე ნიშნულს, რომლებსაც ერთიანი მიზანი გააჩნიათ - პარლამენტის, როგორც ინსტიტუტის, აქტივობებისა და ღია მმართველობის რეფორმების შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელმა აღნიშნა,¹ რომ პარლამენტმა უკვე დაწერა ბევრი მექანიზმი, რომელთა მეშვეობით მოქალაქეებს მეტ ინფორმაციაზე მიუწვდებათ ხელი.² თუმცა, ასევე გამოიკვეთა საჭიროება, რომ პარლამენტმა იზრუნოს ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ფარგლებში პარლამენტში არსებული შესაძლებლობების შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებაზე. შესაბამისად, საია-ს ინიციატივით და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) ხელშეწყობით, პარლამენტმა აიღო ვალდებულება შეიმუშაოს ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს კომუნიკაციის

სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. გეგმაში განსაზღვრული იქნება როგორც კომუნიკაციის სხვადასხვა მიდგომების დანერგვის ინსტიტუციური ჩარჩო, ასევე კონკრეტული აქტივობები 2019-2020 წლისათვის.

კომუნიკაციის სტრატეგიასთან ერთად, პარლამენტი ასევე გეგმავს შეიმუშაოს სხვადასხვა კონცეპტუალური დოკუმენტი და საინფორმაციო მასალა, რათა მოხდეს საკომუნიკაციო არხების მაქსიმალურად გამოყენება. საკომუნიკაციო არხები მოიცავს საკომიტეტო მოსმენებისა და პლენარული სხდომების პირდაპირ რეჟიმში გადაცემას სატელევიზიო და რადიო საშუალებებით, სოციალური ქსელები, საინფორმაციო ბუკლეტები და მოკლე ვიდეო-რგოლები. ვალდებულება ასევე ითვალისწინებს, როგორც სტუდენტებთან და ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზებას, ასევე არსებული საპარლამენტო (მათ შორის შშმ პირებზე ადაპტირებული) სერვისების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას. ბოლოს კი პარლამენტი გეგმავს „აქტიური მოქალაქის“ ჯილდოს დაწესებას, მათთვის ვინც აქტიურად არის ჩართული პარლამენტის საქმიანობაში სხვადასხვა ფორმით, როგორებიცაა მაგალითად კომენტარის დატოვება, ელექტრონული პეტიცია, კომიტეტის სხდომაზე დასწრება და სხვა. აღნიშნულის განსახორციელებლად, პარლამენტი შეაგროვებს მოქალაქეთა ჩართულობის სტატისტიკურ მონაცემებს და პროაქტიულად გამოაქვეყნებს ქვეყნის მასშტაბით ყველაზე აქტიური მოქალაქეების რეიტინგულ სიას.

ვალდებულების აქტივობების მიზანია, რომ ინფორმაცია პარლამენტის შესახებ მეტად ხელმისაწვდომი გახადოს და ამაღლოს მოქალაქეთა ცნობიერება პარლამენტის შესახებ. ამრიგად, იგი შესაბამისობაშია OGP-ის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ღირებულებასთან. ამას გარდა, „აქტიური მოქალაქის“ ჯილდო ხელს შეუწყობს საპარლამენტო აქტივობებში მოქალაქეთა ჩართულობას, რაც თავის მხრივ განაპირობებს ვალდებულების OGP-ის მოქალაქეთა ჩართულობის ღირებულებასთან შესაბამისობას. მთლიანობაში, ვალდებულების პოტენციური შედეგი შესაძლოა შეფასდეს, როგორც შეზღუდული. თითოეული აქტივობა პარლამენტის კომუნიკაციის სხვადასხვა არხების გაუმჯობესების მიმართულებით წინგადადგმული ნაბიჯია. თუმცა ერთი ვალდებულების ფარგლებში გაერთიანების შემთხვევაში კოლექტიური შედეგი შესაძლოა უფრო მაღალი იყოს. დაინტერესებული მხარეების განცხადებით,³ ვალდებულების განხორციელება ხელს შეუწყობს ზოგადად საპარლამენტო აქტივობებისა და შესაძლებლობების შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას. ასევე, შესაძლოა წახალისოს ჩართულობა OGP-ისთან დაკავშირებულ აქტივობებში, როგორიცაა მაგალითად სამოქმედო გეგმის შემუშავება. ვალდებულების განხორციელებამ ასევე შესაძლოა გააუმჯობესოს სამოქალაქო ჩართულობა საპარლამენტო პროცესებში, OGP-ის ჩარჩოს ფარგლებში დანერგილი მექანიზმების გამოყენებით.⁴

შემდგომი ნაბიჯები

IRM დამოუკიდებელი მკვლევარი რეკომენდაციები:

- შემუშავდეს შეფასების მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც შეფასდება ვალდებულების ეფექტურობა და შედეგი. აღნიშნული, შესაძლოა, გულისხმობდეს მეთოდოლოგიის შემუშავებას, რომლის საშუალებითაც დამუშავდება სხვადასხვა რესურსებიდან (ონლაინ მონაწილეობა, მობილური აპლიკაცია,⁵ სამოქალაქო ჩართულობის ცენტრი⁶ და სხვა არხები) მოპოვებული აგრეგირებული მონაცემები.

- მნიშვნელოვანია, რომ პარლამენტმა გააფართოვოს საკომუნიკაციო არხები რეგიონებში ქვეყნის მასშტაბით და ამისათვის გამოიყენოს როგორც პირდაპირი კომუნიკაციის საშუალებები, ასევე ცნობიერების ამაღლების სხვადასხვა ტიპის საინფორმაციო კამპანია.
- იმისათვის, რომ ვალდებულება გახდეს უფრო მრავლისმომცველი და ამბიციური, მნიშვნელოვანია შემუშავდეს პარლამენტის კომუნიკაციის პოლიტიკა და სტრატეგია; ჩამოყალიბდეს პარლამენტის, როგორც ინსტიტუციის, გარე კომუნიკაციისათვის და ასევე სპეციფიკური მიზნების, ამოცანებისა და საკომუნიკაციო არხების შესახებ ერთიანი ინსტიტუციური ჩარჩო. მიმდინარე ვალდებულების განხორციელების ეტაპები შეიძლება მოიაზრებოდეს, როგორც პარლამენტის ინსტიტუციური კომუნიკაციის პოლიტიკისა და სტრატეგიის ნაწილი. აღნიშნული ხელს შეუწყობს პარლამენტის სტრატეგიული მიზნის - მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლებისა და მათი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართულობის - განხორციელებას.

¹ ნინო ცუხიშვილი, საპარლამენტო მდივანი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ინტერვიუ IRM- ის მკვლევართან, 5 ივლისი 2019.

² ცუხიშვილი, ინტერვიუ, 2019.

³ ცუხიშვილი, ინტერვიუ, 2019. 2019.

⁴ ცუხიშვილი, ინტერვიუ, 2019.

⁵ ვალდებულება 26, ღია მართველობის ინიციატივა, “საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა 2018–2019,” <https://bit.ly/2XLXiju>.

⁶ ვალდებულება 27, ღია მართველობის ინიციატივა, “საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა 2018–2019,” <https://bit.ly/2XLXiju>.

V. ზოგადი რეკომენდაციები

წინამდებარე თავის მიზანია შემდეგი სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესისა და ამჟამინდელი სამოქმედო გეგმის განხორციელების ხელშეწყობა. თავი იყოფა 2 ნაწილად: 1) IRM-ის ძირითადი რეკომენდაციები ქვეყანაში ან თვითმმართველ ერთეულში OGP-ის პროცესისა და სამოქმედო გეგმის გასაუმჯობესებლად; 2) იმის შეფასება, თუ რამდენად გაითვალისწინა მთავრობამ IRM-ის წინა რეკომენდაციები.

5.1 IRM რეკომენდაციები

სამოქმედო გეგმის პროცესთან დაკავშირებული რეკომენდაციები

მნიშვნელოვანია, მრავალმხრივი ფორუმის (MSF) როლისა და მანდატის გაძლიერება, ასევე, ფორუმის, როგორც სამოქალაქო საზოგადოებისა და ხელისუფლების მონაწილეობისა და ჩართულობის (და შესაბამისად სრული თანამონაწილეობის პროცესის) ძირითადი მექანიზმის ეფექტურობის ამაღლება. აღნიშნულის განსახორციელებლად IRM დამოუკიდებელი მკვლევარი იძლევა შემდეგ რეკომენდაციებს:

- ფორუმის სახელმძღვანელო წესების დოკუმენტი ამჟამად არ მოიცავს წესებს ან/და პროცედურებს, ფორუმში ახალი წევრების გაწევრიანების შესახებ. შესაბამისად, IRM დამოუკიდებელი მკვლევარი საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას ურჩევს შეიმუშაოს ფორუმში გაწევრიანების გამჭვირვალე პროცედურები და ასახოს აღნიშნული ინფორმაცია ფორუმის სახელმძღვანელო წესების დოკუმენტში.
- MSF ფორუმის გაძლიერების მიზნით მნიშვნელოვანია, მთავრობის ადმინისტრაციამ მოიძიოს და მოიწვიოს სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები, როგორებიცაა სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები, აკადემიური სფეროს, კერძო სექტორის, ახალგაზრდული და რეგიონული ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე, სხვადასხვა დარგობრივი ექსპერტიზისა და გამოცდილების მქონე არასამთავრობო ორგანიზაციები. ფორუმში მხარეთა ფართო სპექტრის წარმოდგენა ხელს შეუწყობს არა მხოლოდ ფორუმის თვალსაწიერის გაფართოებას, სხვადასხვა დარგობრივი თემების წამოწევას და ქვემოდან ზემოთ მიმართული ინიციატივების გენერირებას, არამედ მეტად ინკლუზიურს გახდის სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესს. გარდა ამისა, აღნიშნული ხელს შეუწყობს თანამონაწილეობის არეალის გაფართოებას და OGP-ის შესახებ მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლებას ქვეყნის მასშტაბით. MSF ფორუმის დარგობრივი ცოდნისა და გამოცდილების გაძლიერების მიზნით, მთავრობამ, სასურველია, ფორუმის ფარგლებში შექმნას სამუშაო ჯგუფები, რომლებიც საჯარო პოლიტიკის კონკრეტულ მიმართულებებზე იმუშავებენ.
- IRM მკვლევარი რეკომენდაციას უწევს ფორუმის სახით გადაწყვეტილების მიმღები სტრუქტურის შექმნას, რომელშიც მთავრობა მაღალ დონეზე იქნება წარმოდგენილი. დამატებით, რადგან სახელმძღვანელო პრინციპების დოკუმენტში არ არის გაწერილი გადაწყვეტილებების მიღების წესები და პროცედურები, მნიშვნელოვანია, რომ მთავრობის ადმინისტრაციამ შეიმუშაოს გადაწყვეტილების

მიღების სისტემა და ასახოს სახელმძღვანელო წესების დოკუმენტში. რეკომენდებულია, გადაწყვეტილების მიღება ემყარებოდეს კვალიფიციური უმრავლესობის ან ორმაგი უმრავლესობის პრინციპს, რაც გააუმჯობესებს გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკას და გააძლიერებს სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხმას ფორუმში.

- მნიშვნელოვანია, რომ ფორუმის ფარგლებში უზრუნველყოფილი იყოს თანამშრომლობა როგორც სამუშაო, ასევე წარმომადგენლობით დონეზე. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია სამუშაო ჯგუფების შექმნით სხვადასხვა დარგობრივი მიმართულებით, რომლებიც შესაბამისობაში იქნება OGP-ის პოლიტიკის მიმართულებებთან. სამუშაო ჯგუფები რეგულარულად ითანამშრომლებენ სხვადასხვა სამუშაო არხების მეშვეობით, მაგრამ ფორუმის რეგულარულ შეხვედრებზე წარმოდგენილნი იქნებიან მაღალ დონის წარმომადგენლობით.
- სასურველია, ფორუმმა დაადგინოს შეხვედრების, შეხვედრის ოქმების და მათი ონლაინ გამოქვეყნების ფორმალური პროცედურები და ასახოს სახელმძღვანელო პრინციპების დოკუმენტში, რაც შესაძლებელს გახდის სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების პროცესზე ზედამხედველობას.
- ასევე მნიშვნელოვანია, რომ MSF ფორუმმა განსაზღვროს და სახელმძღვანელო წესების დოკუმენტში ასახოს სამოქმედო გეგმის საბოლოო კენჭისყრის წესი, რაც უზრუნველყოფს გეგმის მხარდაჭერას როგორც მთავრობის, ისე სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან.

თანამონაწილეობის (co-creation) პროცესის გაძლიერების მიზნით IRM დამოუკიდებელი მკვლევარი რეკომენდაციას უწევს **უნიფიცირებული და სტანდარტიზებული სახელმძღვანელოს შექმნას**, რომელიც შესაბამისობაში იქნება OGP-ის ჩართულობისა და თანამშრომლობის სტანდარტებთან. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია შემდეგი აქტივობების მეშვეობით:

- მნიშვნელოვანია, რომ MSF ფორუმმა შეიმუშაოს ინფორმაციის გავრცელების სახელმძღვანელო წესების დოკუმენტი, სადაც გაწერილი იქნება ინფორმაციის გამოქვეყნების კონკრეტული წესები და პროცედურები გეგმის შემუშავების ძირითადი ეტაპების, კონცეფციის, ვადების, საკონსულტაციო ღონისძიებებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. დოკუმენტით ასევე უნდა განისაზღვროს სამოქმედო გეგმის შემუშავების პროგრესის, ვალდებულებების სამუშაო ვერსიებისა და შეხვედრების ოქმების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების წესი. დამატებით, შესაძლებელია ასევე განისაზღვროს საჯარო განხილვის და საზოგადოებრივი მონაწილეობის, მთავრობის პასუხისა და სხვა შინაარსის დოკუმენტების გამოქვეყნების პროცედურები.
- მნიშვნელოვანია, რომ მთავრობის ადმინისტრაციამ გამოაქვეყნოს სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია, რაც მოქალაქეებს მისცემს კომენტარების და აზრის გამოხატვის შესაძლებლობას.

IRM დამოუკიდებელი მკვლევარის რეკომენდაციაა, რომ მთავრობის ადმინისტრაციამ შექმნას ელექტრონული მონაცემთა არქივი (online repository), სადაც თავმოყრილი იქნება

OGP-ისთან დაკავშირებული ყველა ინიციატივა თუ აქტივობა და ექნება ადვილად ხელმისაწვდომი და მომხმარებელზე ორიენტირებული ინტერფეისი. ვებ-გვერდი უნდა ახლდებოდეს რეგულარულად და აერთიანებდეს ინფორმაციას მთავრობის, პარლამენტისა და მუნიციპალიტეტების შესახებ. ასევე მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ, შესაბამის პასუხისმგებელ უწყებებთან თანამშრომლობით, თითოეული ვალდებულებისთვის განსაზღვროს ფინანსური და საკადრო საკითხები, რაც დაეხმარება პასუხისმგებელ უწყებებს უკეთ დაგეგმონ სამოქმედო გეგმის განხორციელების ფაზა და პრიორიტეტები მიანიჭონ ისეთ ვალდებულებებს, რომელთა განხორციელება რეალისტურია.

IRM დამოუკიდებელი მკვლევარი ასევე ურჩევს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას, რომ შესაბამის პასუხისმგებელ უწყებებთან თანამშრომლობით, მეტი დრო დაუთმონ სამოქმედო გეგმის ტექსტის, განსაკუთრებით კი ინგლისური თარგმანის დახვეწას, რომ ქართულ და ინგლისურ ვერსიებში ვალდებულებების ტექსტში მოცემული ინფორმაცია იყოს ერთმანეთთან შესაბამისობაში. აღნიშნული მნიშვნელოვანია რადგან ამჟამად, მიმდინარე სამოქმედო გეგმის რამდენიმე ვალდებულება, OGP-ის ღირებულებებთან შესაბამისობის საკითხთან დაკავშირებით, ქართულ და ინგლისურ ვერსიებში სხვადასხვა ინფორმაციას ასახავს (მაგ. ვალდებულებები 2, 4, 5, 6). ამასთანავე, IRM დამოუკიდებელი მკვლევარის რეკომენდაციაა, რომ ვალდებულების ტექსტში განხორციელების ეტაპების აღწერა იყოს უფრო ზუსტი და კონკრეტული და განხორციელების თითოეული ეტაპისთვის განისაზღვროს გაზომვადი თვისებრივი ან/და რაოდენობრივი ინდიკატორები. ვალდებულებას, რომელშიც მკაფიოდ არის ფორმულირებული განხორციელების ეტაპები და გაზომვადი ინდიკატორები, გაცილებით მეტი შანსი აქვს წარმატების, გაზომვადი შედეგის მიღების და შესაბამისად, პასუხობს წინასწარ მოლოდინს. თითოეული ვალდებულებისთვის კონკრეტული გაზომვადი ინდიკატორების უზრუნველყოფა, მნიშვნელოვანი იქნება სამოქმედო გეგმის სრულფასოვანი მონიტორინგისა და შეფასებისათვის.

ბოლოს, IRM დამოუკიდებელი მკვლევარი საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას რეკომენდაციას უწევს, რომ შეიმუშაოს მონიტორინგისა და თვითშეფასების მეთოდოლოგია, რომელიც შესაბამისობაში იქნება OGP-ის რეგულაციებთან და გაიდლაინებთან. აღნიშნული მეთოდოლოგიის მეშვეობით შესაძლებელი იქნება სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესის მონიტორინგის ეფექტური მექანიზმების შემუშავება და მიღწეული შედეგების ეფექტურობისა და ეფექტიანობის შეფასება. შემდგომში, აღნიშნული მეთოდოლოგიის საფუძველზე დაწერილი ანგარიშები ფორუმმა შესაძლოა გამოიყენოს სამოქმედო გეგმის მომზადების, განხორციელებისა და მონიტორინგისათვის პროცესის გასაუმჯობესებლად.

სამოქმედო გეგმის შინაარსთან დაკავშირებული რეკომენდაციები

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მეოთხე სამოქმედო გეგმა საჯარო პოლიტიკის მიმართულებების ფართო სპექტრს მოიცავს, მას აკლია ამბიციურობა. ვალდებულებების უმეტესობა მიმართულია მიმდინარე პროექტებისა თუ პროგრამების მცირე გაუმჯობესებისაკენ. ხშირ შემთხვევაში, გარდა იმისა, რომ აღნიშნული პროექტების OGP-ის ფარგლებში განხორციელება დონორი ორგანიზაციების დაფინანსებას იზიდავს, მკაფიოდ არ ჩანს, თუ რა წვლილი შეაქვს OGP-ის აღნიშნული პროექტების მიზნების

განხორციელებაში. ასევე აღსანიშნავია, რომ ყველა სხვა დანარჩენი სამოქმედო გეგმისგან განსხვავებით, მეოთხე სამოქმედო გეგმა არ მოიცავს არც ერთ პოტენციურად ტრანსფორმაციულ ვალდებულებას. აქედან გამომდინარე, IRM დამოუკიდებელი მკვლევარი რეკომენდაციას უწევს MSF ფორუმს, რომ შეიმუშაოს ერთიანი და თანმიმდევრული ღია მმართველობის სტრატეგია, რომელიც ფოკუსირებული იქნება პოლიტიკის რამდენიმე მიმართულებაზე და თანხვედრაში იქნება ევროკავშირისა და საქართველოს ასოცირების ხელშეკრულებასა და დაინტერესებულ მხარეთა მიერ დასახელებულ პრიორიტეტებთან. მნიშვნელოვანია, რომ შემდგომი გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების მეშვეობით შესაძლებელი გახდეს ხელშესახები შედეგების მიღწევა პოლიტიკის მიმართულებებში, რომლებიც თანხვედრაშია როგორც ასოცირების ხელშეკრულებასთან, ასევე დაინტერესებული მხარეების მიერ იდენტიფიცირებულ პრიორიტეტებთან. ასეთ მიმართულებებში მოიაზრება მთავრობის ანტიკორუფციული ჩარჩოს გაუმჯობესება, ინფორმაციის თავისუფლების კანონის მიღება, ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება და სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრა.

ქვეყნის წინაშე არსებული ელიტური და კომპლექსური კორუფციის გამოწვევების საპასუხოდ და საკითხის მიმართ მთავრობასა და ყველა ძირითად დაინტერესებულ მხარეს შორის ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებების გათვალისწინებით, IRM დამოუკიდებელი მკვლევარი რეკომენდაციას უწევს **ქვეყნის ანტიკორუფციული საჭიროებების ყოვლისმომცველი შეფასების განხორციელებას მესამე (დამოუკიდებელი) მხარის მიერ**. აღნიშნული გულისხმობს კვლევაში სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციისა და ექსპერტების ჩართვას, რომლებიც განახორციელებენ დამოუკიდებელ და ობიექტურ საჯარო პოლიტიკის ანალიზს, სადაც ასევე წარმოდგენილი იქნება ალტერნატიული სცენარების გავლენისა და შედეგების ყოვლისმომცველი შეფასება.

IRM დამოუკიდებელი მკვლევარი რეკომენდაციას უწევს **სამოქმედო გეგმის არეალის გაფართოებას და განვრცობას ბენეფიციარი-მესაკუთრეობის გამჭვირვალობის** მიმართულებით, რაც დღესდღეობით მსოფლიოში კორუფციასთან ბრძოლის მნიშვნელოვანი იარაღია. მნიშვნელოვანია, რომ პრიორიტეტი მიენიჭოს ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ ინიცირებულ ვალდებულებას, რომელიც გულისხმობს იმ უცხოური კომპანიების ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრის შექმნას, რომლებიც ფლობენ ქონებას საქართველოში და მონაწილეობას იღებენ სახელმწიფო შესყიდვებში. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო (TI-Georgia) მთავრობას მოუწოდებს, რომ მოითხოვოს კომპანიების მესაკუთრეების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება იმ შემთხვევაში მაინც, როდესაც აღნიშნული კომპანიები ან მათი შვილობილი კომპანიები მონაწილეობენ სახელმწიფო შესყიდვებში, საპარტნიორო ფონდის ან სახელმწიფო პროგრამებში.¹ 2016 წლის ლონდონის ანტიკორუფციულ სამიტზე, საქართველომ აიღო ვალდებულება გადადგას ქმედითი ნაბიჯები ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, განახორციელოს ყველა კომპანიის კონტროლი, რომელიც ჩართულია სახელმწიფო ხელშეკრულებების განხორციელებაში და განიხილოს კომპანიების ბენეფიციარი მესაკუთრეების ცენტრალური სახელმწიფო რეესტრის შექმნის საკითხი.² ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ანტიკორუფციული ქსელის 2017 წლის რეკომენდაციის თანახმად, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში

სავალდებულო გახდეს იურიდიული პირების ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ ინფორმაციის ცენტრალურ რეესტრში ასახვა და აღნიშნული ინფორმაციის ვებ-გვერდზე გამოქვეყნება.³ აღნიშნული რეფორმის განხორციელებით საქართველო გაითვალისწინებს OECD-ის რეკომენდაციას, შეასრულებს 2016 ლონდონის სამიტზე აღებული ვალდებულებას და შეუერთდება რეგიონში OGP-ის სხვა წევრი ქვეყნების სიას (მაგ. სომხეთს და უკრაინას), რომლებიც მუშაობენ ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროების საკითხებზე.

შემდგომი სამოქმედო გეგმა შესაძლოა ორიენტირებული იყოს სახელმწიფო შესყიდვების გამჭვირვალობის ძირეული გაუმჯობესების საკითხებზე. იმის მიუხედავად, რომ საქართველოს უკვე აქვს შესყიდვების ძლიერი სისტემა, არსებობს რიგი ხარვეზები და გამოწვევები, რომლებიც მოითხოვს რეაგირებას. მაგალითად, პირდაპირი შესყიდვების დიდი წილი, ქვეკონტრაქტორების მანკიერი პრაქტიკა და სახელმწიფო ხელშეკრულებების შესახებ ინფორმაციაზე შეზღუდული წვდომა. სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები, როგორებიცაა მაგალითად საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო (TI-საქართველო),⁴ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)⁵ და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA) დიდი ხანია ადვოკატირებას უწევენ აღნიშნული საკითხების დღის წესრიგში შეტანას.⁶ ამავე საკითხს შეეხება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ანტიკორუფციული ქსელის⁷ და ევროსაბჭოს⁸ რეკომენდაციები, ასევე ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების ხელშეკრულება. აღნიშნული ცვლილებები შეიძლება მოიცავდეს ქვეკონტრაქტორების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროების ვალდებულებას, რაც ქვეყანას დაეხმარება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში მიაღწიოს მნიშვნელოვან წარმატებას. ქვეკონტრაქტორების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების გასაჯაროება პირდაპირ უპასუხებს კანონში არსებულ ხარვეზს და მოახდენს შავ სიაში შესული კომპანიების ქვეკონტრაქტორების სახით სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის პრევენციას. დამატებით, IDFI-ის რეკომენდაციაა, რომ გასაჯაროვდეს ქვეკონტრაქტორების სრული პროცესი, რაც შესაძლებელს გახდის ქვეკონტრაქტორების იდენტიფიცირებას თუ კონტრაქტის პირობების შემოწმებას.⁹ კორუფციულ გარიგებებსა და თაღლითობაში შემჩნეული კომპანიების და მათი მენეჯმენტის სახელმწიფო შესყიდვების პროცესში მონაწილეობის აღკვეთის მიზნით, მნიშვნელოვანია შემუშავდეს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები.

გარდა აღნიშნულისა, IRM დამოუკიდებელი მკვლევარი ხაზგასმით იმეორებს საქართველოს 2016-2017 სამოქმედო გეგმის IRM წინსვლის ანგარიშში¹⁰ მოცემულ რეკომენდაციას, რომლის მიხედვითაც მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული წარმოების წესით შესყიდვებში მონაწილე განმცხადებლებისა და მათი წინადადებების გასაჯაროება. აღნიშნული ასევე უნდა მოიცავდეს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ აკმაყოფილებენ განმცხადებლები ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს. წინსვლის ანგარიშში ასევე რეკომენდებული იყო, მთავრობის მიერ ინვესტორებისთვის გადაცემულ ქონებაზე შეთანხმების პირობების გამოქვეყნება და ლიცენზიის გაცემამდე ან სახელმწიფო ქონების აუქციონზე გატანამდე გადაწყვეტილების მიღების პროცესში საჯარო ჩართულობის მექანიზმის შემუშავება.

ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით და რეგულირდება საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსით,

რომელიც დამტკიცებულია 1999 წელს. შესაბამისად, დიდი ხანია არსებობს საზოგადოებრივი მოთხოვნა ახალი სპეციალური კანონის მიღების შესახებ, რომელიც ქმედითი მექანიზმების საშუალებით უზრუნველყოფს ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის კონსტიტუციურ უფლებას. მიუხედავად იმისა, რომ 2014 წელს, მეორე და მესამე სამოქმედო გეგმის ფარგლებში იუსტიციის სამინისტრომ სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით შეიმუშავა კანონპროექტი ინფორმაციის თავისუფლების შესახებ, მისი წარდგენა არ მომხდარა პარლამენტში, შემდგომი საკანონმდებლო პროცედურების განსახორციელებლად. შესაბამისად, IRM დამოუკიდებელი მკვლევარი ხაზგასმით იმეორებს წინა რეკომენდაციას **ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონის დროული მიღების თაობაზე**.

ბოლოს, IRM დამოუკიდებელი მკვლევარი რეკომენდაციას უწევს მთავრობის ადმინისტრაციას, შეიმუშავოს ღია მმართველობის პარტნიორობის კომუნიკაციის სტრატეგია და განახორციელოს ცნობიერების ამაღლების ფართომასშტაბიანი კამპანია სამოქმედო გეგმის ფარგლებში განხორციელებული წინა და მიმდინარე გეგმებით გათვალისწინებული ვალდებულების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით. მნიშვნელოვანია, რომ 2017 წელს, USAID GGI-ის მხარდაჭერით შეიმუშავდა OGP-ის კომუნიკაციის სტრატეგია, რომელზე დაყრდნობით მთავრობის ადმინისტრაციას შეუძლია ხელახლა წამოწიოს აღნიშნული საკითხი.

ცხრილი 5.1 ხუთი ძირითადი რეკომენდაცია

1	თანამონაწილეობის პროცესის გაუმჯობესება მრავალმხრივი ფორუმის (MSF) როლისა და მანდატის გაძლიერების, ასევე OGP-ის ჩართულობისა და თანამონაწილეობის სტანდარტის შესაბამისი სახელმძღვანელოს შემუშავების გზით.
2	ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონის დროული მიღება.
3	საქართველოს ანტიკორუფციული საჭიროებებისა და მოქმედი ინსტიტუციური ჩარჩოს შესახებ დამოუკიდებელი, ობიექტური, პოლიტიკურად მიუკერძოებელი და ყოვლისმომცველი შეფასების განხორციელება.
4	ეროვნული სამოქმედო გეგმის არეალის განვრცობა ბენეფიციარი მესაკუთრეობის გამჭვირვალობის მიმართულებით, ასევე უცხოური კომპანიების ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრის შექმნა, რომლებიც ფლობენ ქონებას საქართველოში და მონაწილეობას იღებენ სახელმწიფო შესყიდვებში.
5	ღია კონტრაქტების მონაცემთა სტანდარტის (OCDS) შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მონაცემების გამოქვეყნების მიმართულებით მუშაობის გაგრძელება.

5.2 რეაგირება წინა **IRM** ანგარიშის ძირითადი რეკომენდაციებზე

ცხრილი 5.2 წინა **IRM** ანგარიშის ძირითადი რეკომენდაციები

რეკომენდაცია		რეაგირება	მიმდინარე სამოქმედო გეგმაში ინტეგრირება
1	ღია მმართველობის სტრატეგიისა და პოლიტიკური ხედვის ჩამოყალიბება გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდის მიზნით.	არა	არა
2	საქართველოს მიერ OGP-ის თანათავმჯდომარეობის წლის – 2018 წლის სამაგალითო სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად და თანამონაწილეობისა და ჩართულობის საუკეთესო პრაქტიკის ჩვენებისთვის გამოყენება.	არა	არა
3	ღია მმართველობისა და OGP-ის ღირებულებებისა და სარგებლის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად მასშტაბური კამპანიის ჩატარება.	ნაწილობრივ	ნაწილობრივ
4	ღია კონტრაქტების მონაცემთა სტანდარტის (Open Contracting Data Standard) მიღება და გამოყენება დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობით, ბუნებრივი რესურსების სფეროში ლიცენზიების გაცემისას, პრივატიზაციისას და ინფრასტრუქტურული პროექტების სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას მთავრობის კონტრაქტების გამჭვირვალობის გასაზრდელად.	ნაწილობრივ	ნაწილობრივ
5	ინფორმაციის თავისუფლების კანონის დროული მიღება და მასში იმ ძირითადი დებულების შეტანა, რომელიც ინფორმაციის ღია ფორმატით, პროაქტიულად გამოქვეყნების უნივერსალურ სტანდარტებს, დამოუკიდებელ ზედამხედველობას და კანონის აღსრულების მექანიზმებს ეხება.	არა	არა

IRM-ის ხუთი რეკომენდაციიდან, მთავრობამ სრულად არცერთი არ გაითვალისწინა და არ ასახა შემდგომ სამოქმედო გეგმაში. OGP-ის თანა-თავმჯდომარეობამ ხელი შეუწყო მესამე რეკომენდაციის ნაწილობრივ განხორციელებას. OGP-ის ღირებულებებისა და შესაძლებლობების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, საქართველოს მთავრობამ

განახორციელა სხვადასხვა აქტივობა, როგორცაა მაგალითად რადიო და სატელევიზიო ინტერვიუები თუ საჯარო უწყებებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან სამუშაო შეხვედრები. თუმცა, აღნიშნული აქტივობები იყო სპონტანური ხასიათის და არ წარმოადგენდა ცნობიერების ამაღლების ფართომასშტაბიანი კამპანიის ნაწილს. საკონტაქტო პირის განცხადებით, სამოქმედო გეგმის შეფასების ანგარიშის (რომელშიც აღნიშნულია IRM რეკომენდაციები) გამოქვეყნებასა და შემდგომი სამოქმედო გეგმის დამტკიცებას შორის არსებულმა მოკლე პერიოდმა, ხელი შეუშალა პირველადი რეკომენდაციების შემდგომ სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებას.

მეოთხე რეკომენდაცია ნაწილობრივ გათვალისწინებულ იქნა სამოქმედო გეგმის მე-13-ე ვალდებულებაში, რომელიც სახელმწიფო შესყიდვების პრაქტიკის ღია კონტრაქტების მონაცემთა სტანდარტთან (OCDS) შესაბამისობის გაუმჯობესებას გულისხმობს. თუმცა, 13 ვალდებულება არ ეხება კონკრეტულად ბუნებრივი რესურსების ლიცენზირების, პრივატიზების, და ინფრასტრუქტურულ პროექტებში სახელმწიფო შესყიდვების საკითხებს. რაც შეეხება მეხუთე რეკომენდაციას, საკონტაქტო პირის განცხადებით, საქართველოს მთავრობამ გამოხატა პოლიტიკური ნება, რომ მიიღოს კანონი ინფორმაციის თავისუფლების შესახებ და დაინტერესებულ სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით შეიმუშავა შესაბამისი კანონპროექტი. თუმცა, ახალი კანონის კომპლექსურობის გათვალისწინებით, რაც მოითხოვს ფართომასშტაბიან ჩართულობას, საკონსულტაციო შეხვედრებსა და შემუშავების ხანგრძლივ პროცესს, მეტი დროა საჭირო ინიციატივაზე მუშაობის პროცესის დასრულების და მისი პარლამენტისათვის საბოლოო სახით წარდგენისათვის.

¹ საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, „ოფშორები და საქართველო“, 27 ნოემბერი 2019, <https://bit.ly/2TQ3rfW>

² ანტი-კორუფციული სამიტი- ლონდონი 2016: საქართველოს განცხადება, <https://bit.ly/2U312gE>.

³ ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია, *სტამბულის ანტი-კორუფციული სამოქმედო გეგმა: მონიტორინგის მეოთხე რაუნდი: საქართველო, 2017*, <https://bit.ly/3cR8Pqp>

⁴ საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, „კორუფციაში და თაღლითობაში მხილებულ პირებს სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობა უნდა შეეზღუდოდეს“, 19 ნოემბერი 2018, <https://bit.ly/3aYwp2V>

⁵ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), *სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის აღსრულების შეფასება*, 2017, <https://bit.ly/2IwoMEM>

⁶ სალომე საღარაძე, „გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვები“, 2017, <https://bit.ly/2U3OQw6>

⁷ ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია, *სტამბულის ანტი-კორუფციული სამოქმედო გეგმა: მონიტორინგის მეოთხე რაუნდი: საქართველო*, გვ. 42, <https://bit.ly/3cQaLzz>

⁸ ევროსაბჭო, „კორუფციული რისკები სახელმწიფო შესყიდვებში“, მაისი 2017, <https://bit.ly/2vQE18U>

⁹ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), *სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის აღსრულების შეფასება*, 2017, გვ.14, <https://bit.ly/2IwoMEM>

¹⁰ ღია მმართველობის პარტნიორობა, *IRM: საქართველოს წინსვლის ანგარიში 2016–2018*, <https://bit.ly/2Q8wnxq>

VI. მეთოდოლოგია და წყაროები

IRM-ის ანგარიშებს OGP-ის მონაწილე თითოეული ქვეყნისთვის თუ თვითმმართველი ერთეულისთვის IRM დამოუკიდებელი მკვლევარები ამზადებენ. ყველა ანგარიში გადის ხარისხის კონტროლის პროცესს კვლევის უმაღლესი სტანდარტის უზრუნველსაყოფად.

OGP-ის სამოქმედო გეგმის პროგრესის შესაფასებლად კომბინირებულად გამოიყენება ინტერვიუები, სამაგიდე კვლევა, დაკვირვება და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა უკუკავშირი. IRM-ის ანგარიში ეყრდნობა საქართველოს OGP-ს ერთიან ვებ-პლათფორმაზე (OGP repository) (ან ელექტრონული ტრეკერი) ან ვებ-გვერდებზე ხელმისაწვდომ წყაროებსა და მტკიცებულებებს, ასევე მთავრობის თვითშეფასების ანგარიშებს, სამოქალაქო საზოგადოების, კერძო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებებს. ანგარიშების ციკლის დასაწყისში, IRM უზიარებს კვლევის გეგმას მთავრობას, რომელსაც წარმოდგენილი კვლევითი მიდგომის შესახებ უკუკავშირის გასაზიარებლად ეძლევა შვიდი (7) დღის ვადა.

თითოეული IRM მკვლევარი, მოვლენების ამსახველი ზუსტი სურათის შესაქმნელად ინტერვიუებს ატარებს დაინტერესებულ მხარეებთან. დროისა და ფინანსური შეზღუდვების გამო, IRM მკვლევარს არ შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირთან ინტერვიუს ჩატარება და შესაბამისი ადგილის მონახულება. კონტექსტიდან გამომდინარე, შესაძლებელია საჭირო გახდეს რესპონდენტების ანონიმურობის დაცვა. ასეთ შემთხვევებში, IRM უფლებას იტოვებს, კვლევაში მონაწილეთა მაიდენტიფიცირებული პერსონალური ინფორმაცია დაფაროს. გარდა ამისა, მეთოდის შეზღუდვებიდან გამომდინარე, IRM მოუწოდებს ყველა დაინტერესებულ მხარეს, ანგარიშის შესახებ მოსაზრებები შეფასების წინასწარი გამოქვეყნების პერიოდში წარმოადგინოს.

ყველა ანგარიში შემოწმებისა და ხარისხის კონტროლის რამდენიმე ეტაპს გადის. ანგარიშს IRM-ის გუდნის წევრები და IRM-ის საერთაშორისო ექსპერტთა პანელი (IEP) ამოწმებენ. ამას გარდა, თითოეული ანგარიში გადის გარე განხილვის ეტაპსაც, რომლის ფარგლებშიც მთავრობებისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს ეგზავნებათ ანგარიში მოსაზრებებისა და კომენტარების წარმოსადგენად.

ანგარიშის განხილვის პროცესი, მათ შორის, მიღებული კომენტარების გასათვალისწინებლად არსებული პროცედურები, IRM-ის პროცედურული სახელმძღვანელოს მესამე თავში დეტალურად არის მოცემული.¹

ინტერვიუები და მონაწილე მხარეთა კომენტარები

ანგარიშის მოსამზადებლად განხორციელებული კვლევის ფარგლებში, პირველადი მონაცემები ეფუძნება ინტერვიუების, ფოკუს ჯგუფების, დაინტერესებული მხარეებთან შეხვედრებისა და სატელეფონო ინტერვიუს საშუალებით მიღებულ ინფორმაციას.

ქვემოთ მოცემული ცხრილი აერთიანებს ანგარიშის მოსამზადებლად, მონაცემთა შეგროვების ფარგლებში განხორციელებები შეხვედრების შესახებ დეტალურ ინფორმაციას.

მეთოდი		წყარო	მოკლე შეჯამება	თარიღი	
1	Key Informant Interview	ფორუმი: მთავრობა	ნინო სარიშვილი, პოლიტიკის ანალიზის სტრატეგიული დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსი, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	დია მმართველობის კონტექსტი, ხელმძღვანელობა და მრავალმხრივი ფორუმი	16 აპრილი 2019
2	Key Informant Interview	ფორუმი: მთავრობა	ქეთევან ცანავა, პოლიტიკის დაგეგმვის და კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსი მრჩეველი, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	დია მმართველობის კონტექსტი, ხელმძღვანელობა და მრავალმხრივი ფორუმი	16 აპრილი 2019
3	Key Informant Interview	ფორუმი: მთავრობა	ზურაბ სანიკიძე, ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი, იუსტიციის სამინისტრო	დია მმართველობის კონტექსტი, ხელმძღვანელობა და მრავალმხრივი ფორუმი, ვალდებულება 6	3 მაისი 2019
4	Key Informant Interview	ფორუმი: პარლამენტი	ირინა ფრუიძე, ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თავმჯდომარე	დია მმართველობის კონტექსტი, ხელმძღვანელობა და მრავალმხრივი ფორუმი, ვალდებულება 24, ვალდებულება 26, ვალდებულება 27, ვალდებულება 28	22 აპრილი 2019
5	Key Informant Interview	ფორუმი: სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები	გიორგი ონიანი, აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო	დია მმართველობის კონტექსტი, ხელმძღვანელობა და მრავალმხრივი ფორუმი, ვალდებულება 6	30 მაისი 2019
6	Key Informant Interview	ფორუმი: სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაცია	სალომე სადარაძე, პროექტის კოორდინატორი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	დია მმართველობის კონტექსტი, ხელმძღვანელობა და მრავალმხრივი ფორუმი, ვალდებულება 6	17 მაისი 2019

7	Key Informant Interview	ფორუმი: საერთაშორისო ორგანიზაცია	მიხეილ დარჩიაშვილი, სახელმწიფო მართვის პროგრამის მენეჯერი, USAID-ის პროექტი დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში	ღია მმართველობის კონტექსტი, ხელმძღვანელობა და მრავალმხრივი ფორუმი, ვალდებულება 8, ვალდებულება 16, ვალდებულება 17, ვალდებულება 18, ვალდებულება 21	14 მაისი 2019
8	Key Informant Interview	ფორუმი: საერთაშორისო ორგანიზაცია	მარიამ გორგაძე, პროექტის ხელმძღვანელის მოადგილე, USAID-ის პროექტი დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში	ღია მმართველობის კონტექსტი, ხელმძღვანელობა და მრავალმხრივი ფორუმი, ვალდებულება 8, ვალდებულება 16, ვალდებულება 17, ვალდებულება 18, ვალდებულება 21	14 მაისი 2019
9	Key Informant Interview	ფორუმი: საერთაშორისო ორგანიზაცია	ნინო კაკუბავა, პროექტის მენეჯერი, დეცენტრალიზაციისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობა ადგილობრივ დონეზე საქართველოში, UNDP	ვალდებულება 16, ვალდებულება 17	10 ივნისი 2019
10	Key Informant Interview	ფორუმი: საერთაშორისო ორგანიზაცია	გიორგი ნასრაშვილი, კარგი მმართველობის ექსპერტი, დეცენტრალიზაციისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობა ადგილობრივ დონეზე საქართველოში, UNDP	ვალდებულება 16, ვალდებულება 17	10 ივნისი 2019
11	Key Informant Interview	ფორუმი: საერთაშორისო ორგანიზაცია	სოფო გურული, პროექტის მენეჯერი, UNDP პროექტი:საპარლამენტო დემოკრატიის განმტკიცება საქართველოში	ღია მმართველობის კონტექსტი, ხელმძღვანელობა და მრავალმხრივი ფორუმი, ვალდებულება 24	10 ივნისი 2019
12	Key Informant Interview	ფორუმი: სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაცია	საბა ბუაძე, ანტი-კორუფციული მიმართულების ყოფილი ხელმძღვანელი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)	ღია მმართველობის კონტექსტი, ხელმძღვანელობა და მრავალმხრივი ფორუმი, ვალდებულება 6, ვალდებულება 7, ვალდებულება 9, ვალდებულება 12, ვალდებულება 13	22 მაისი 2019

13	Key Informant Interview	ფორუმი: სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაცია	ანანო ცინცაბაძე, მონაწილეობითი დემოკრატიის პროგრამა, პროექტის კოორდინატორი, ფონდი ღია საზოგადოება საქართველო	ღია მმართველობის კონტექსტი, ხელმძღვანელობა და მრავალმხრივი ფორუმი, ვალდებულება 5, ვალდებულება 6, ვალდებულება 10, ვალდებულება 14	15 მაისი 2019
14	Key Informant Interview	ფორუმი: სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაცია	გიორგი თოფურია, უფრო ანალიტიკოსი, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო	ღია მმართველობის კონტექსტი, ხელმძღვანელობა და მრავალმხრივი ფორუმი, ვალდებულება 6, ვალდებულება 8, ვალდებულება 9, ვალდებულება 10, ვალდებულება 11, ვალდებულება 12, ვალდებულება 13	22 მაისი 2019; 25 ივნისი 2019
15	Key Informant Interview	ფორუმი: სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაცია	თამარ ტატანაშვილი, მთავარი იურისტი, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო	ვალდებულება 8	25 ივნისი 2019
16	Key Informant Interview	სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომლებიც არ არიან ფორუმის წევრები	ირაკლი სეფერთელაძე, გამგეობის წევრი, ანიკა	ვალდებულება 1, ვალდებულება 2	6 ივნისი 2019
17	Key Informant Interview	ექსპერტი	თინათინ კუპრაშვილი, საჯარო სერვისების ექსპერტი	ვალდებულება 1, ვალდებულება 2, ვალდებულება 3	18 ივნისი 2019
18	Key Informant Interview	ექსპერტი	გიორგი მელაძე, კონსტიტუციური კვლევების ცენტრის დირექტორი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი	ვალდებულება 6, ვალდებულება 8, ვალდებულება 16	8 ივნისი 2019
19	Key Informant Interview	ექსპერტი	თამარ ტატიშვილი, საჯარო ადმინისტრირების და არაკომერციული მენეჯმენტის მაგისტრი,	ვალდებულება 1, ვალდებულება 2, ვალდებულება 7	18 ივნისი 2019

			არაკომერციული მენეჯმენტის პროგრამის ხელმძღვანელი, კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი (CTC)		
20	Key Informant Interview	ექსპერტი	ნათია გოლიაძე, ექსპორტის განვითარების ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი და ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსი, საქართველოს უნივერსიტეტი	ვალდებულება 12	19 ივნისი 2019
21	Key Informant Interview	ექსპერტი	თამარ სართანია, პროექტის ხელმძღვანელის მოადგილე, ეროვნულ- დემოკრატიული ინსტიტუტი	ვალდებულება 24, ვალდებულება 25, ვალდებულება 26, ვალდებულება 27, ვალდებულება 28	11 ივლისი 2019
22	Key Informant Interview	ექსპერტი	ანა დოლიძე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, ყოფილი საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი	ვალდებულება 9, ვალდებულება 27	12 ივლისი 2019
24	სატელეფონო ინტერვიუ	ფორუმი: სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაცია	ნინო ცუხიშვილი, საპარლამენტო მდივანი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	ვალდებულება 16, ვალდებულება 16, ვალდებულება 28	5 ივლისი 2019
25	ფოკუს- ჯგუფი	მოქალაქე	ფოკუს-ჯგუფი საჯარო ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან	ვალდებულება 1, ვალდებულება 2, ვალდებულება 4, ვალდებულება 7, ვალდებულება 13, ვალდებულება 15, ვალდებულება 25	18 ივნისი 2019
26	ფოკუს- ჯგუფი	მოქალაქე	ფოკუს ჯგუფი ექსპერტებთან და სახელმწიფო გრანტის მიმღებებთან	ვალდებულება 12, ვალდებულება 15	18 ივნისი 2019
27	ფოკუს- ჯგუფი	მოქალაქე	ფოკუს ჯგუფი სტუდენტებთან ზუგდიდში	ვალდებულება 20, ვალდებულება 22	15 ივნისი 2019

28	დაინტერესებულ მხარეთა შეხვედრა	მოქალაქე	ადგილობრივი თვითმმართველობების შეხვედრა ოზურგეთში	ვალდებულება 16, ვალდებულება 17, ვალდებულება 18, ვალდებულება 19, ვალდებულება 20, ვალდებულება 21, ვალდებულება 22, ვალდებულება 23	11 ივნისი 2019
----	--------------------------------	----------	---	--	----------------

დამოუკიდებელი ანგარიშგების მექანიზმის შესახებ

დამოუკიდებელი ანგარიშგების მექანიზმი (IRM) არის ძირითადი საშუალება, რომლის მეშვეობით ყველა დაინტერესებულ მხარეს აქვს შესაძლებლობა თვალი ადევნოს OGP-ის მონაწილე ქვეყნის ან ერთეულის პროგრესს. საერთაშორისო ექსპერტთა პანელის (IEP) ძირითადი საქმიანობაა თითოეული IRM ანგარიშის ხარისხის კონტროლი. პანელის წევრი ექსპერტები საქმიანობენ ისეთ სფეროებში, როგორიცაა გამჭვირვალობა ანგარიშვალდებულება, მონაწილეობა და სოციალური მეცნიერებების კვლევის მეთოდები.

ამჟამად საერთაშორისო ექსპერტთა პანელი შედგება შემდეგი წევრებისგან:

- ცეზარ კრუზ-რობიო
- მერი ფაიგენბლატი
- ბრენდან ჰალორანი
- ჯეფ ლევიტი
- ფრედლინ მამორმაკ-ჰალე
- შოუერს მაუოუა
- ხუანიტა ოლაია
- ქვენტინ რიდი
- რიკ სნელი
- ჟან-პატრიკ ვილენევი

ანგარიშებს მეთვალყურეობს ვაშინგტონში მოქმედი IRM-ის მცირერიცხოვანი გუნდი IRM დამოუკიდებელ მკვლევართან მჭიდრო თანამშრომლობით. ანგარიშთან დაკავშირებული კითხვებისა და კომენტარების შემთხვევაში დაუკავშირდით IRM-ის გუნდს შემდეგი ელექტრონული ფოსტის მისამართზე: irm@opengovpartnership.org

¹ IRM-ის პროცედურების სახელმძღვანელო, V.3, <https://www.opengovpartnership.org/documents/irm-procedures-manual>.

დანართი I. საქართველოს სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესის მიმოხილვა

გასაღები:

მწვანე=აკმაყოფილებს სტანდარტს

ყვითელი=მიმდინარეობს პროცესი (სტანდარტის მისაღწევად ნაბიჯები გადადგმულია, თუმცა სტანდარტის ჯერ არ მიღწეულა)

წითელი=აქტივობის მტკიცებულება არ არსებობს

მრავალმხრივი ფორუმი (MSF)	
1ა. ფორუმი შექმნილია: არსებობს OGP-ის პროცესის საზედამხედველო ორგანო.	მწვანე
1ბ. სიხშირე: ფორუმი იკრიბება მინიმუმ კვარტალში ერთხელ, პირისპირ ან დისტანციურად.	მწვანე
1გ. შემუშავებულია თანამშრომლობის მანდატი: ფორუმის წევრები ერთობლივად იღებენ გადაწყვეტილებას მისი საქმიანობის წევრობისა და მართვის საკითხებზე.	ყვითელი
1დ. მანდატის საჯაროობა: ინფორმაცია ფორუმის საქმიანობის, წევრობისა და მმართველობითი სტრუქტურის შესახებ ხელმისაწვდომია OGP-ის ვებ-გვერდზე.	ყვითელი
2ა. მრავალმხრივი მონაწილეობა: ფორუმის წევრები არიან როგორც მთავრობის, ასევე სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები	მწვანე
2ბ. ბალანსი: ფორუმში მთავრობისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები თანაბრად არიან წარმოდგენილი.	ყვითელი
2გ. ფორუმის წევრად არჩევის პროცესის გამჭვირვალობა: სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების არჩევის პროცესი სამართლიანი და გამჭვირვალეა.	ყვითელი
2დ. მაღალი დონის პოლიტიკური ჩართულობა: ფორუმში მონაწილეობენ მთავრობის წარმომადგენლები, მაღალი დონის გადაწყვეტილების მიმღები პირები.	წითელი
3ე. ღიაობა: სამოქმედო გეგმის პროცესში ფორუმი იღებს და ითვალისწინებს იდეებსა და კომენტარებს სამოქალაქო საზოგადოების ან სხვა ნებისმიერი დაინტერესებული მხარისგან.	მწვანე

3ვ. დისტანციური ჩართულობა: დისტანციურად მონაწილეობა შესაძლებელია ფორუმის ზოგიერთ ღონისძიებაში	წითელი
3ზ. ოქმები: ფორუმი პროაქტიულად აქვეყნებს თავისი სამუშაოს შესახებ ანგარიშებს და მათ მთავრობისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს აწვდის.	წითელი

გასაღები:

მწვანე=აკმაყოფილებს სტანდარტს

ყვითელი=მიმდინარეობს პროცესი (სტანდარტის მისაღწევად ნაბიჯები გადადგმულია, თუმცა სტანდარტის ჯერ არ მიღწეულა)

წითელი=აქტივობის მტკიცებულება არ არსებობს

სამოქმედო გეგმის შემუშავება	
4ა. პროცესის გამჭვირვალობა: არსებობს OGP-ის ეროვნული ვებ-გვერდი (ან გვერდი, რომელიც ინტეგრირებულია მთავრობის ვებ-გვერდზე) სადაც პროაქტიურად ქვეყნდება OGP-ის პროცესთან დაკავშირებული ყველა სახის ინფორმაცია.	წითელი
4ბ. დოკუმენტების წინასწარ გაზიარება: ფორუმი დაინტერესებულ მხარეებს წინასწარ უზიარებს OGP-ის შესახებ ინფორმაციას, რათა მხარეები ინფორმირებული იყვნენ და შეძლონ ყველა პროცესში მონაწილეობა.	ყვითელი
4გ. ცნობიერების ამაღლება: ფორუმი OGP-ის პროცესის შესახებ დაინტერესებული მხარეების ინფორმირების მიზნით ახორციელებს პოპულარიზაციისა და ცნობიერების ამაღლების აქტივობებს.	ყვითელი
4დ. საკომუნიკაციო არხები: მთავრობა ხელს უწყობს დაინტერესებულ მხარეებთან პირდაპირ კომუნიკაციას (განსაკუთრებით OGP-ის აქტიურ ფაზაში) რათა უპასუხოს სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებულ შეკითხვებს.	ყვითელი
4ე. დასაბუთებული პასუხი: MSF ფორუმი აქვეყნებს დასაბუთებულ პასუხებს თავისი გადაწყვეტილებების შესახებ და პასუხობს საზოგადოების საჯარო კომენტარების უმეტეს ნაწილს.	ყვითელი

5ა. ინფორმაციის არქივი: მთავრობა თავს უყრის და აქვეყნებს დოკუმენტებს OGP-ის ერთიან ეროვნულ ვებ-გვერდზე, რომელიც წარმოადგენს OGP-სთან დაკავშირებული დოკუმენტების არქივს, სადაც ინახება ისეთი ინფორმაცია, როგორიცაა მონაცემები საკონსულტაციო შეხვედრების შესახებ, სამოქმედო გეგმები, მთავრობების თვითშეფასებები, IRM-ის ანგარიშები და ვალდებულებებთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები (ოქმები, მონაცემთა ბაზების ბმულები, სხვადასხვა პუბლიკაცია და ა.შ.).	ყვითელი
--	----------------

შენიშვნა: თუ ქვეყანა ან თვითმმართველი ერთეული შეასრულებს ექვსივე გამუქებულ სტანდარტს IRM ქვეყნის პროცესს შეაფასებს, როგორც ვარსკვლავურ პროცესს.